იგორ კეკელია

ბანძის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები

ბანძა – ესკიზები სოფლის წარსულიდან

III

ქუთაისი
2021

წერილობითი წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის განხილვის საფუძველზე მკვლევარს შესწავლილი აქვს ბანძისა (მარტვილის მუნიციპალიტეტი) და მისი შემოგარენის გზები, გზაჯვარედინები და საგზაო ნაგებობანი უძველესი დროიდან XIX საუკუნის დასასრულამდე, სოფლის ისტორიული გეოგრაფიის ჭრილში. აღნიშნულია, რომ ბანძა წარმოადგენდა ცენტრალურ პუნქტს, გზაჯვარედინს სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ და აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ გაჭრილ გზებზე. სწორედ ბანძის გავლით მიემართებოდა მთავარი გზა ეგრისის (ლაზიკის) სამეფოს დედაქალაქ ციხეგოჯ-არქეოპოლისისაკენ (ნაქალაქევი, სენაკის მუნიციპალიტეტი). ნაშრომი გამოდის შემდეგი სერიით: „ბანძა – ესკიზები სოფლის წარსულიდან“. ავტორს განზრახული აქვს მსგავსი სერიის გამოცემა რამდენიმე წიგნად.

წიგნი საინტერესო იქნება განსაკუთრებით მათთვის, ვინც შეისწავლის ანტიკური და შუა საუკუნეების, აგრეთვე XIX საუკუნის საქართველოს სოფლების ისტორიას. წიგნშ მოცემული ინფორმაცია ღირებული იქნება აგრეთვე მხარეთმცოდნეობის საკითხებით დაინტერესებული ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის.

რედაქტორი: **დავით ჭითანავა,** ისტორიის დოქტორი

რეცენზენტები: **პაატა ცხადაია,** ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ბეჟან ხორავა, ისტორიის დოქტორი, პროფესორი

შესავალი

საყოველთაოდ ცნობილია, რომ გზები და საგზაო ნაგებობები დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის ცხოვრებაში. საქართველოში გზების განვითარების ისტორიის ცნობილი მკვლევარი ნიკოლოზ კვეზერელი-კოპაძე აღნიშნავდა, რომ სწორედ სამიმოსვლო გზებზეა ბევრად დამოკიდებული ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების პოლიტიკური და კულტურულ-ეკონომიკური მხარეების ნორმალური კავშირურთიერთობა და ამ საფუძველზე მისი მეტ-ნაკლებად შეუფერხებელი აღმავლობა. კეთილმოწყობილი გზები ერის კულტურული დონის ერთ-ერთი მაჩვენებელია[1].

ქართულ ისტორიოგრაფიაში არაერთი გამოკვლევა მიეძღვნა ძველი ეგრის-ლაზიკისა და ქართლის ტერიტორიაზე გამავალი სამდინარო-სახმელეთო მაგისტრალის ისტორიის, მისი როლისა და მნიშვნელობის შესწავლას სამხრეთ კავკასიის კულტურულ-ეკონომიკური განვითარებისათვის. ეს გზა მიუყვებოდა რიონის, ყვირილისა და მტკვრის ხეობებს და როგორც მატერიალური კულტურის ძეგლებით დგინდება, სწორედ ამ მდინარეების გასწვრივ იყო განლაგებული უძველესი ქალაქები: ფაზისი, ნაქალაქევი (არქეოპოლისი-ციხეგოჯი), როდოპოლისი (ვარდციხე), ქუთათისი, შორაპანი, სურამი, ურბნისი, უფლისციხე, კასპი, მცხეთა, თბილისი, რუსთავი, ხუნანი. „ქვეყნის ცხოვრება ძირითადად თავმოყრილი იყო ამ ხეობებში, აქვე მიემართებოდა სამხრეთ კავკასიის მთავარი სახმელეთო მაგისტრალი, რომლის განშტოებანი მრავალრიცხოვანი გზებისა და ბილიკების სახით გვერდითს ხეობებსაც ერთიან სამიმოსვლო ქსელად აერთიანებდნენ“[2].

სწორედ ამ ძირითადი საგზაო არტერიის განშტოებებს შევეხებით წინამდებარე ნაშრომში, დიდი ისტორიული წარსულის მქონე სოფელ ბანძისა (მარტვილის მუნიციპალიტეტი) და მისი შემოგარენის ისტორიული გეოგრაფიის ჭრილში.

---

[1] **ნ. კვეზერელი-კოპაძე,** გზათა მშენებლობა საქართველოში, ნაწილი I (უძველესი დროიდან მე-18 საუკუნის დამლევამდე). თბ., 1974: 5, 6.

[2] იქვე: 18.

თავი პირველი
ბანძა და მისი მიდამოები ციხეგოჯ-არქეოპოლისის „საკონტროლო ზონაში“

ბანძა სამეგრელოს უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში, მდ. აბაშის მარცხენა ნაპირას, გაშლილ ველზე მდებარეობს. თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით მარტვილის მუნიციპალიტეტში შედის და ზ. დ. 90-100 მ-ზეა. მუნიციპალიტეტის ცენტრს – ქალაქ მარტვილს დაშორებულია 12 კმ-ით. უახლოესი რკინიგზის სადგურია აბაშა. მანძილი აბაშიდან ბანძამდე 22 კმ-ია.

სოფელი წერილობით წყაროებში პირველად მოხსენებულია 1639-1640 წლებში, ოდიშის სამთავროში რუსეთის ელჩების აღწერილობაში[3]. XVII საუკუნის იტალიელი მეცნიერ-მოგზაურის – არქანჯელო ლამბერტის რუკაზე, მდ. აბაშის მარცხენა მხარეს დატანილია პუნქტი **Pansas**, რაც ამჟამინდელი სოფელი ბანძაა[4].

სოფელ ბანძის ისტორიულ გეოგრაფიაზე მსჯელობის დროს, ამ საკითხისადმი მიძღვნილ გამოკვლევებში, შევეხეთ და განვსაზღვრეთ ბანძის, როგორც სტრატეგიული პუნქტის დიდი მნიშვნელობა, და აღვნიშნეთ კიდეც, რომ ამას, პირველ რიგში, სოფლის გეოგრაფიული მდებარეობა განაპირობებდა[5].

ბანძა წარმოადგენდა ცენტრალურ პუნქტს, გზაჯვარედინს სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ და აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ გაჭრილ გზებზე. სწორედ ბანძის გავლით მიემართებოდა მთავარი გზა ციხეგოჯ-არქეოპოლისისკენ. ამიტომ არ არის გამორიცხული, რომ ამ სოფლის ტერიტორიაზე უხსოვარ დროს ყოფილიყო საქარვასლე ნაგებობაც.

ბანძაზე გამავალი საგზაო არტერიები უნდა განვიხილოთ

---

[3] **Белокуров С.,** Посольство дьака Федота Елчина и священника Павла Захарева в Дадьянскую землю (1639-1640 гг.). Сергей Ал. Белокуров, Материалы для русской истории. Москва, 1888.

[4] იხ. **ი. კეკელია,** ბანძა – ესკიზები სოფლის წარსულიდან, I, ქუთ., 2020: 3.

[5] იხ. **ი. კეკელია,** ბანძის ისტორიულ-გეოგრაფიული დახასიათება. კრ. „მასალები საქართველოს სოფლების ისტორიისათვის“, ტ. I, თბ., 2019: 44-57; **მისივე,** ბანძა – ესკიზები სოფლის წარსულიდან, I, ქუთ., 2020: 14-16 და იქვე მითითებული ლიტერატურა.

ციხეგოჯ-არქეოპოლისის (აწინდელი ნაქალაქევი[6], სენაკის მუნიციპ.) ისტორიული გეოგრაფიის ჭრილში და მასთან მიმართებაში.

ქართულ ისტორიოგრაფიაში დადგენილია, რომ ნაქალაქევში მდებარეობდა ლაზების (ეგრისელების) ძველი ქალაქი, რაც ბიზანტიურ წყაროებში ახ. წ. VI საუკუნეში მოხსენებულია „არქეოპოლისად". არქეოპოლისის მსგავსად, აქვე მდებარეობდა ქართული წერილობითი წყაროების „ციხეგოჯი". მიჩნეულია, „რომ თანამედროვე ნოქალაქევში შემონახული ნაქალაქარის სახელწოდება ბიზანტიურ ხანაში იყო „არქეოპოლისი" – ბიზანტიელთაგან შერქმეული, ხოლო ადრეული ქართული სახელი კი – „ციხეგოჯი"[7]. ერთ ქართულ ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში („დავითისა და კონსტანტინეს მარტვილობა") შემონახულია ციხეგოჯის მეგრული ფორმა „ჯიხანქუჯი" („ჯიხან-ქუჯისა")[8]. V-VII საუკუნეებში ჯიხანქუჯი//არქეოპოლისი ეგრისის სამეფოს მთავარი ქალაქი, დედაქალაქი იყო[9].

ციხეგოჯისა და ნაქალაქევის იგივეობა რომ ეჭვს არ იწვევს, ეს დასტურდება „ქართლის ცხოვრების" XVIII საუკუნეში გადაწერილი ხელნაწერების არშიაზე (იმ ადგილის გასწვრივ, სადაც ლეონტი მროველი და ჯუანშერი ციხეგოჯს მოიხსენიებენ), გადამწერის მიერ გაკეთებული მინაწერები: „ოდიშს ნაქალაქევი" და „ციხე-გოჯი ნაქალაქევია". XVIII ს-ის დიდმა ქართველმა ისტორიკოსმა და გეოგრაფმა, ვახტანგ VI-ის ვაჟმა ვახუშტი ბატონიშვილმაც იცის, რომ „...აწ სენაკს ზეით, უნაგირას ძირში არს ნაქალაქევი,

---

[66]საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ცნობარის მიხედვით სოფლის სახელწოდებად დამკვიდრებულია **ნოქალაქევი**. ჩვენ უპირატესობას ვანიჭებთ **„ნაქალაქევი"** ფორმას. XVII საუკუნის იტალიელი მისიონერის არქანჯელო ლამბერტის რუკაზე აღნიშნულია პუნქტი Nachalaghens-ის ფორმით, რაც ახლანდელი ნაქალაქევია. იხ. თ. ბერაძე, ოდიშის ისტორიული გეოგრაფიიდან (XII-XVII სს.). სადისერტაციო ნაშრომი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. ინახება საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში. მსჯელობისათვის იხ. **ი. კეკელია, დ. ოდიშარია,** სენაკის რაიონის დასახლებული პუნქტების სახელწოდებანი, ქუთ., 2012: 49-51; **ი. კეკელია,** ნაქალაქევის გეოგრაფიული სახელწოდებანი, ქუთ., 2012: 8-10.

[7] **პ. ზაქარაია, ნ. ლომოური, ვ. ლექვინაძე, გ. გვინჩიძე,** ციხეგოჯი-ნოქალაქევი, თბ., 1984: 5.

[8] ქართული წერილობითი წყაროების **ციხეგოჯის** მეგრული შესატყვისია **ჯიხანქვინჯი**.

[9] „ნოქალაქევი ეგრისის სამეფოს დედაქალაქი იყო, თუ მეტი არა, ოთხასი წელი მაინც", - წერს პარმენ ზაქარაია. იხ. **პ. ზაქარაია,** ნოქალაქევში 1983-1988 წლებში ჩატარებული სამუშაოების საერთო ანგარიში. კრ. „ნოქალაქევი-არქეოპოლისი", III, არქეოლოგიური გათხრები, 1983-1989. თბ., 1993: 14.

ციხეგოჯად წოდებული. ეს აღაშენა პირველი მეფის ფარნაოზის ჟამს ქუჯიმ, ქალაქი და ციხე... შემუსრა ყრუმ, არამედ იყო კუალად ქალაქი და შემდგომად მოოხრდა ქალაქი. აწ არს ციხე კუალად და სასახლე დადიანისა“[10].

ნაქალაქევის გალავანი

ციხეგოჯში ცხოვრების ინტენსიურობა დაკავშირებულია იმ პერიოდთან, როცა ქუჯიმ „აღაშენა ციხეგოჯი“ და იგი გახდა ეგრისის საერისთავოს ცენტრი[11]. ძვ. წ. III ს-ის დასაწყისისათვის აქ ვრცელი სამოსახლოს არსებობის უტყუარ საბუთად უნდა მივიჩ-

---

[10] **ვახუშტი,** აღწერა სამეფოსა საქართველოსა. „ქართლის ცხოვრება“, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. IV, თბ., 1973: 776.

[11] **ქართლის ცხოვრება,** ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I, თბ., 1955: 24. დადგენილია, რომ ნაქალაქევში მშენებლობის სამი ძირითადი პერიოდი გამოიყოფა. ქალაქის მშენებლობის პერიოდიზაცია გალავნების აგებასათანაა დაკავშირებული. პირველი გალავანი აგებულია ახ. წ. IV ს. I ნახევარში, მეორე - ახ. წ. V ს-ის I ნახევარში, ხოლო მესამე - V-VI სს-ის მიჯნაზე. მსჯელობისათვის იხ. **პ. ზაქარაია,** ნოქალაქევის გამაგრების სისტემა. კრ. „ნოქალაქევი-არქეოპოლისი“, II, 1989: 137, 140, 171, 175, 187; **მისივე,** ნოქალაქევში 1978-1982 წლებში ჩატარებული სამუშაოების საერთო ანგარიში, II, 1989: 73; **ბ. ლორთქიფანიძე,** ქალაქის გარეგნული სახე. კრ. „ნოქალაქევი-არქეოპოლისი“, III, თბ., 1993: 178; **დ. ლომიტაშვილი, ბ. ლორთქიფანიძე,** ნოქალაქევის ნაქალაქარის პერიოდიზაცია. „ძეგლის მეგობარი“, №2, თბ., 1989: 25-28.

ნიოთ ნაქალაქევის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ელინისტური ხანის სამაროვანი – ქვევრსამარხები და ორმოსამარხები (ძვ. წ. IV ს. – I სს.). მაშასადამე, ჯერ კიდევ კოლხეთის სამეფოს არსებობის პერიოდში აქ არსებობდა მსხვილი სამოსახლო, რაც წარმოადგენდა სამეფოს ცენტრალური ოლქის - ეგრისის („შიდა ეგრისის“) ერისთავის - ქუჯის რეზიდენციას[12].

როგორც აღინიშნა, ბიზანტიურ წყაროებში არქეოპოლისის პირველმოხსენიებას ვხვდებით ახ. წ. VI ს-ში, ამ საუკუნის 30-60-იანი წლების პოლიტიკურ მოვლენებთან დაკავშირებით[13]. ბიზან-

---

[12]არქეოლოგიური თვალსაზრისით მეტად საინტერესოა ნოქალაქევის VII უბანი (კვ. K – 23, F – 3). მისი შესწავლა 1982 წლიდან წარმოებდა დავით ლომიტაშვილის ხელმძღვანელობით. ჭიშკრის ჩრდილოეთით, ორ გალავანს შორის მოქცეულ, 6 მ სიგანის ფართობზე, 2 მ სიღრმის ჭრილში ოთხი ფენა გამოვლინდა: ზედა ფენა ეგრისის სამეფოსდროინდელია; მის ქვემოთ არის ელინისტური ეპოქის კერამიკული ჭურჭლის ფრაგმენტები; ამის ქვეშ კი – ადრეანტიკური ეპოქის კერამიკა. ბოლო, ქვედა ფენა შეიცავს ვერძისა და სხვა, შინაური თუ გარეული ცხოველების ქანდაკებებს და ვანში მოპოვებული ქანდაკებების ანალოგიის გათვალისწინებით სპეციალისტთა მიერ ძვ. წ. VIII-VII სს-ით თარიღდება. იქვე: 15. ეს იმას ნიშნავს, რომ ეგრისის საერისთავოს ცენტრად ციხეგოჯის გამოცხადებამდე ბევრად ადრე აქ არსებობდა დასახლება.

[13] **დ. ლომიტაშვილი,** ცენტრალური ეგრისი ახ. წ. IV-VI საუკუნეებში (ნოქალაქევის არქეოლოგიური მასალების მიხედვით), საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 1990.

ტიის იმპერატორ იუსტინიანე I-ისა (527-565 წწ.) და ბიზანტიელი ჟამთააღმწერლის, იუსტინიანე I-ის კარის ისტორიკოსის – პროკოპი კესარიელისთვის (დაახლ. 507-562... წწ.) ესაა ლაზთა უძველესი ქალაქი. თვით სახელწოდება „არქეოპოლისიც“ (ძვ. ბერძნ. Αρχαιόπολις), რაც ბერძნულად სიტყვასიტყვით „ძველ ქალაქს“ ნიშნავს, ლაზთა ქალაქის სიძველის, ანუ VI ს-მდე ბევრად ადრე არსებობის მაუწყებელია.

არქეოპოლის-ციხეგოჯის (ნაქალაქევი) გეგმა

ქართველი მეცნიერების სავსებით მართებული მოსაზრებით, ეგრის-ლაზიკის სამეფოს ახალი დედაქალაქის აღმოცენებისათვის ყველაზე ხელსაყრელ დროდ სამეფოს გაძლიერების, ტერიტორიული გაფართოებისა და რომისაგან თითქმის სრული დამოუკიდებლობის მოპოვების ხანა, ე. ი. ახ. წ. IV საუკუნე უნდა მივიჩნიოთ[14]. იმდროინდელ ხელისუფალთ აწინდელი ნაქალაქევის ტერიტორია აურჩევიათ სამეფოს დედაქალაქად, რასაც, უპირველეს ყოვლისა, მისი შესანიშნავი სტრატეგიული მდებარეობა განსაზღვრავდა. ტეხურის მარცხენა მხარეს, მდინარის ციცაბოკლდიანი ნაპირებით შემოსაზღვრული და მცირე პლატოზე გაშენებული ციხეგოჯი-ნაქალაქევი, ამას გარდა, მდებარეობდა მთისა და ბარის საზღვარზე და აქედან ადვილად შეიძლებოდა მთიან ოლქებსა და ბარის მხარეებზე კონტროლის განხორციელება. ამასთანავე, გასათვალისწინებელია ციხეგოჯზე გამავალი უძველესი სავაჭრო-სამხედრო გზის მნიშვნელობა, რითაც შავიზღვისპირა ოლქები ეგრის-ლაზიკის აღმოსავლეთ მხარეებთან, შემდეგ კი ქართლის სამეფოსთან იყო დაკავშირებული. „ეს გზა ზღვის სანაპიროდან ჯერ რიონ-ფაზისის ქვემო წელს მიჰყვებოდა, შემდეგ, დაახლოებით აწინდელ სოფ. ისულასთან, ჩრდილოეთით უხვევდა, გაივლიდა ნოქალაქევ-ციხეგოჯს, გეგეჭკორ-მარტვილს, წულუკიძე-ხონს, დედალოურს, გვიშტიბ-წყალტუბო-ქუთაისს და

[14]იქვე: 11. არქეოლოგი დავით ლომიტაშვილი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ნაქალაქევში ცხოვრების დაწყების ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი ძვ. წ. VIII საუკუნეა და მისი უფრო ადრე გადატანა ჯერჯერობით გამართლებული არ არის. მკვლევარი ნაქალაქევში ინტენსიური ცხოვრების კვალის დასაწყისად ძვ. წ. VIII-VII სს. მიჯნას მიიჩნევს, რაც მეტ-ნაკლები ინტენსივობით გრძელდებოდა I ს-მდე. ახ. წ. I-III სს. შეიმჩნევა ცხოვრების დონის შეწყვეტა, რაზეც მეტყველებს კულტურული ფენის სტერილურობა. ამ ფაქტს დ. ლომიტაშვილი ძვ. წ. I ს-ში კოლხეთში ჯერ პომპეუსის, შემდეგ ბოსფორის მეფის – ფარნაკის და ბოლოს - მითრიდატე პერგამოელის ლაშქრობებით ხსნის. ცხოვრების აღმავლობა უკავშირდება ეგრისის სამეფოს დედაქალაქობის პერიოდს, რაც დაიწყო ახ. წ. III-IV სს. მიჯნაზე და გრძელდება VII ს. დასაწყისამდე. მას შემდეგ ნოქალაქევში ცხოვრების საერთო დონე კვლავ ეცემა, თუმცა იგი კვლავ რჩება ქვეყნის პოლიტიკურ ცენტრად, მის საბოლოო განადგურებამდე, VIII ს-ის 30-იან წლებამდე, როდესაც ქალაქი შეეწირა არაბთა დამანგრეველ ლაშქრობას მურვან-ყრუს სარდლობით. სწორედ ამ ლაშქრობის შემდეგ უნდა გაჩენილიყო ტოპონიმი „ნოქალაქევი“. იხ. **დ. ლომიტაშვილი,** სტრატიგრაფია ნოქალაქევის ნაქალაქარზე (VII უბნის მიხედვით). კრ. „ნოქალაქევი-არქეოპოლისი“, III, თბ., 1993, გვ. 157; მსჯელობისათვის იხ. აგრეთვე **მისივე,** ნოქალაქევი I, ძვ. წ. VIII-VII სს. განვითარების I ფაზა. კრ. „სიახლენი უძველეს კოლხეთზე“, თბ., 2010: 49-54; **მისივე,** ცენტრალური კოლხეთი ძვ. წ. VIII – ახ. წ. VI სს. (ციხეგოჯი-არქეოპოლისი-ნოქალაქევი). დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 2003.

შემდეგ შორაპანსა და რიკოთის უღელტეხილზე გადავლით ქართლს აღწევდა“[15].

ნაქალაქევის ორმოცმოწამეთა ტაძარი

ციხეგოჯისკენ სამხრეთიდან მომავალი გზა რომ მართლაც ისულასთან იწყებოდა, ამას მოწმობს თვით „ნესოსის“ (ბერძნ. Nesos „კუნძული“), როგორც მნიშვნელოვანი სასიმაგრო პუნქტის მოხსენიება ბიზანტიურ წყაროებში, აგრეთვე არქეოლოგიური მასალა და ტოპონიმები. აბაშისა და ტეხურის ხეობებში აგებული ციხე-სიმაგრეები აკონტროლებენ ხეობებს და იცავენ აქ გამავალ მაგისტრალებს. სტრატეგიული თვალსაზრისით ერთ-ერთი ასეთი ფრიად მნიშვნელოვანი და საგანგებოდ გამაგრებული ბანაკია ცნობილი ბიზანტიელი ისტორიკოსისა და პოეტის – აგათია სქოლასტიკოსის (536-582 წწ.) ცნობებში 552-556 წლების ეგრისის დიდი ომების აღწერის დროს არაერთგზის მოხსენიებული ხელოვნური კუნძული ნესოსი. მრავალი მცდელობის მიუხედავად, ბიზანტიელთა ხელთ არსებული ამ ბანაკის აღება ვეღარ შეძლეს ირანელებმა[16].

---

[15] **პ. ზაქარაია, ნ. ლომოური, ვ. ლექვინაძე, გ. გვინჩიძე,** ციხეგოჯი-ნოქალაქევი, თბ., 1984: 12.

[16] **გ. გრიგოლია,** ეგრის-ლაზიკის სამეფოს საისტორიო გეოგრაფიის პრობლემები, თბ., 1994: 113. 555 წელს ნახორაგანმა 60000 მეომრით შეუტია ნესოსს, სადაც გამაგრებული იყვნენ ბიზანტიელი სარდლები მარტინე და იუსტინე. 556 წელს ნესოსიდან გაიგზავნა ბი-

რიონის მარჯვენა ნაპირას, მდინარეების – აბაშისა და ტეხურის შესართავს ქვემოთ მდებარეობს **ტურაკელის**[17] ვრცელი ჭალა, ხოლო ტურაკელის აღმოსავლეთით, ტეხურისა და რიონის შესართავთან, მცირე ველი – კოდორე. ტურაკელის ჭალის უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთით, მდ. ტეხურის ნაპირზე, მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ექსპედიციამ, მუზეუმის დირექტორის – გივი ელიავას ხელმძღვანელობით, 1965 წელს მიაკვლია ჰორიზონტალურად, 80 სმ-ის სიღრმეზე დაფლულ ქვევრსამარხს. მასში აღმოჩნდა ბრინჯაოსა და თითბრის ბეჭდები, არწივის გამოსახულებით[18], მძივები, ვერცხლის კოლხური მონეტები (ნახევარდრაქმები), სამაჯურები და სხვ. მხარეთმცოდნე გ. ელიავა ამ ქვევრსამარხს ძვ. წ. V-II სს-ით ათარიღებს[19], ხოლო გ. გვინჩიძის მიერ კოდორეს ქვევრსამარხი ძვ. წ. III ს-ის შუა ხანებით და II ს-ით არის

ზანტიის ჯარი როდოპოლისის ასაღებად.

[17]ისტორიკოსი თამაზ ბერაძე ოდიშის საისტორიო გეოგრაფიის შესწავლისადმი მიძღვნილ საკანდიდატო დისერტაციაში მსჯელობს XVII საუკუნეში მოღვაწე იტალიელი მისიონერის - არქანჯელო ლამბერტის რუკაზე აღნიშნულ პუნქტებზე და შენიშნავს: „იმ ადგილას, სადაც მდ. ტეხური რიონს უერთდება, მოცემულია **Dturek**, ამ პუნქტის სახელის აღდგენა და ლოკალიზაცია ვერ მოვახერხეთ“. **თ. ბერაძე**, ოდიშის ისტორიული გეოგრაფიდან (XII-XVII სს.), 1967: 73-74. ვფიქრობთ, მართებულია დ. უჩანეიშვილის მოსაზრება ლამბერტის რუკაზე აღნიშნული პუნქტისა და **ტურაკე(ლი)ს** იგივეობაზე. მკვლევარი მიიჩნევდა, რომ რუკაზე ამ პუნქტის აღნიშვნა მოწმობს XVII საუკუნეში აქ მოსახლეობის არსებობას, მაგრამ აქედან აყრილი ხალხის ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე სოფლებში გადასვლის შემდეგ **ტურაკე** სახნავ-სათესად გამოუყენებიათ. იხ. დ. უჩანეიშვილი, ნესოსის ადგილმდებარეობის შესახებ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, №3, თბ., 1967: 795-796; მსჯელობისათვის იხ. **ი. კეკელია, კ. ქებულაძე,** მასალები აბაშის რაიონის ტოპონიმიისათვის. კრ. „ქართველური მემკვიდრეობა“, ტ. XVI, ქუთ., 2012: 107; **ი. კეკელია,** არქანჯელო ლამბერტის რუკაზე აღნიშნული ორი ტოპონიმის ლოკალიზაციისათვის (Dturek, Tcheis). „ქართველური ონომასტიკა“, VII, თბ., 141-142. ტურაკე(ლი) ეწოდება სახნავებს ტეხურის მარცხენა ნაპირას. აქვეა ადგილი **ტურაკეშ პალოტის** სახელწოდებით (გამოღმა ზანათი). გ. ელიავა დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე ასახელებს ტოპონიმ „ტურაკელს“, საყანე მასივის სახელწოდებად ზანათის თემში. იხ. **გ. ელიავა,** აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმიკა, 1977: 57.

[18] გ. გვინჩიძის აზრით, ფარაკზე საჭრისით არის ამოჭრილი რომელიღაც ფრთებგაშლილი ფრინველის გამოსახულება, რომელიც ნახევრად გადასულია. ასეთი საბეჭდავი ბეჭედი აღმოჩენილია ნოქალაქევის ძვ. წ. II ს-ის ქვევრსამარხში (№4). იხ. **გ. გვინჩიძე,** ნოქალაქევის ირგვლივ მდებარე ანტიკური ხანის სამარხეული ძეგლები. კრ. „ნოქალაქევი-არქეოპოლისი“, არქეოლოგიური გათხრები (1978-1982 წწ.), თბ, 1987: 264.

[19] **გ. ელიავა,** აბაშისა და ტეხურის ხეობების ისტორიული ღირსშესანიშნაობანი. გზამკვლევი. თბ., 1971: 12; ბეჭდებიდან ერთ-ერთი წარმოადგენს ბრინჯაოს თხელი ფირფიტისაგან დამზადებულ, ჭრილფარაკიან, რკალხსნილ საბეჭდავ ბეჭედს. რკალი ფართოვდება მხრებისაკენ და უშუალოდ წრიულ ფარაკში გადადის, ხოლო ქვემოთკენ ვიწროვდება და წაკვეთილი ბოლოებით მთავრდება.

დათარიღებული. ქვედა ქრონოლოგიურ ზღვარს გ. გვინჩიძე სამარხი ქვევრის ჰორიზონტული მდგომარეობის გათვალისწინებით ადგენს, ხოლო ზედას – სამარხში კოლხური თეთრის, ნახევარდრაქმის დადასტურების საფუძველზე[20]. მაშასადამე, ისულას[21] ტერიტორიაზე ცხოვრების კვალი ჯერ კიდევ მაშინ ჩანს, როცა ციხეგოჯი კოლხეთის სამეფოს შემადგენლობაში მხოლოდ მსხვილი სამოსახლოს და ერისთავ ქუჯის რეზიდენციის სახით არსებობდა. გ. ელიავას მოსაზრებით, ზანათ-ისულას მიდამოები „მჭიდროდ უნდა ყოფილიყო დასახლებული კოლხური მოსახლეობით, რომელიც მტკიცე ეკონომიურ ურთიერთობაში იყო ანტიკურ ქვეყნებთან, ჰქონია საკუთარი მონეტები, შესანიშნავი ქალაქები და სოფლები, მაღალ დონეზე მდგარი მოსახლეობის სამეურნეო და კულტურული ცხოვრება“[22].

ტურაკელის ჭალის შემოგარენში, „ნატახაზე“ გამავალი სახმელეთო გზა **ჯვეში შარას** „ძველი გზის“ და **ბერძენიშ შარას** „ბერძნის გზის“ სახელწოდებით არის ცნობილი ტოპონიმიაში. ამ გზის ორივე მხარეს აღმართული **დიხაზურგების** „მიწაზვინულების“ კულტურული ფენა უხვად შეიცავს ანტიკური ეპოქის მდიდარ ნაშთებს. რაიმე პირდაპირი მითითება, მართალია, არ არსებობს, მაგრამ მოპოვებული არქეოლოგიური მასალის საფუძველზე გ. ელიავა ვარაუდობს, რომ ძვ. წ. V საუკუნეში აქ გადიოდა რიონისპირეთის უძველესი სახმელეთო გზა „ბერძენიში შარა“[23].

ისულას არც ეგრისის სამეფოს პერიოდში დაუკარგავს მნიშვნელობა. პირიქით, ბიზანტიური წერილობითი წყაროები აქ მიუთითებენ მნიშვნელოვანი სიმაგრის არსებობას (ს. ყაუხჩიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, ი. კეკელია, პ. ცხადაია, მ. ჭუმბურიძე...).

მაშასადამე, ძვ. წ. V ს-იდან, ისულა, სამოსახლოს არსებობის

---

[20] **გ. გვინჩიძე,** ნოქალაქევის ირგვლივ მდებარე ანტიკური ხანის სამარხეული ძეგლები. კრ. „ნოქალაქევი-არქეოპოლისი“, 1987: 265.

[21] სოფელი სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის სენაკის მუნიციპალიტეტში, ახალსოფლის თემის შემადგენლობაში, ოდიშის დაბლობზე, ტეხურის მარჯვენა მხარეს, ზ. დ. 12 მ-ზე. სოფლის სამხრეთით მდებარეობდა ისტორიული გამაგრებული პუნქტი ნესოსი. აქ იყო ბიზანტიის ჯარების ერთ-ერთი მთავარი ბანაკი.

[22] იქვე: 12. მსჯელობისათვის იხ. **გ. გვინჩიძე,** ნოქალაქევის ირგვლივ მდებარე ანტიკური ხანის სამარხეული ძეგლები. კრ. „ნოქალაქევი-არქეოპოლისი“, 1987: 264-265.

[23] **გ. ელიავა,** აბაშისა და ტეხურის ხეობების..., 1971: 12.

პერიოდიდან (რასაც მოწმობს ქვევრსამარხის აღმოჩენა და გორა-ნამოსახლარები) მოყოლებული, ახ. წ. V-VI სს-ის ჩათვლით (და შემდგომაც) სახმელეთო მაგისტრალით უკავშირდებოდა სამხრეთიდან ციხეგოჯ-არქეოპოლისს[24]. ნესოსის გზა რიონისპირეთის მთავარი სამდინარო-სახმელეთო მაგისტრალის – ჯვეში შარას//ბერძენიშ შარას გვერდით და უმთავრეს სახმელეთო არტერიას წარმოადგენდა. ნესოსის ადგილმდებარეობის გარკვევით არაერთი ქართველი მკვლევარი დაინტერესებულა. ს. ყაუხჩიშვილი ფიქრობდა, რომ ბიზანტიელთა ცენტრალური ბანაკი – ნესოსად წოდებული – მდებარეობდა მდ. რიონისა და ტეხურის შესართავის სამხრეთით, რიონისკენ, სადაც სპეციალურად გაჭრილი არხით ბიზანტიელებს ხელოვნური კუნძული ჰქონდათ შექმნილი. თვით სახელწოდება მომდინარეობს „კუნძულის“ აღმნიშვნელი ლათინური „ინსულადან“ და დღეს „ისულას“ სახელითაა ცნობილი. ნესოსის სამხედრო მნიშვნელობას მისი კუნძულისებრი ხასიათი განაპირობებდა, რომელიც ძალზე ძნელი მისადგომი იყო[25]. ს. ყაუხჩიშვილი იშველიებს ისულასა და რიონს შორის დაფიქსირებულ ტოპონიმებს – **ნაოჩუ, ნადოხორი** (დოხორე მეგრ. „სასახლე“) და **ნაოხვამუ** (ოხვამე მეგრ. „სალოცავი“). ამ მიდამოებში ციხე-სიმაგრის კვალი არ ჩანს. ნესოსს ციხედ არც აგათია იხსენიებს. ამჟამად დაუსახლებელ ნესოს-ისულას მიდამოებს ახლომდებარე სოფლების მოსახლეობა **კოდორეს** უწოდებს[26]. ნესოსის ადგილ-

---

[24] რიონისა და ტეხურის შესართავთან ვახუშტი ასახლებეს პუნქტს ისულეთის სახელწოდებით, რომელსაც ვაკე-იმერეთის საზღვრებში აქცევს და აღნიშნავს, რომ ვაკეს „...მზღვრის... დასავლით ცხენისწყალი და ცხენისწყლიდამ წასული ხაზი **ისულეთამდე** და რიონამდე“; „ხოლო საზღვარი ოდიშისა არს ცხენისწყალი და ხაზი **ისულეთამდე**“. იხ. **ვახუშტი,** აღწერა..., 1973: 773, 776. გიულდენშტედტი ასახელებს **ისმულეთის** ფორმით. ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში დაცულ დოკუმენტში გვხვდება **ისულა** ფორმა: „დაბლა ისულას რიონს ღელე ჩაერთვის. ღალუჩა ქვიან“. მსჯელობისათვის იხ. **ი. კეკელია, დ. ოდიშარია,** სენაკის რაიონის დასახლებული პუნქტების სახელწოდებანი, ქუთ., 2012: 31-33; ი. კეკელია, ტეხურის ხეობის საისტორიო გეოგრაფია ვახუშტი ბაგრატიონის ნააზრევში, ქუთ., 2013: 6-8.

[25] **ს. ყაუხჩიშვილი,** ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტ. III, ტფ., 1936: 316-317.

[26] იქვე; **დ. უჩანეიშვილი,** ისულა თუ კოდორე. გაზ. „კოლხეთის ცისკარი“, №83 (528), 15 ივლისი, 1965: 3-4; **მისივე,** ნესოსის ადგილმდებარეობის შესახებ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. 75, №3, თბ., 1967: 789-796; **მისივე,** ნესოსი, ქსე, ტ. VII, თბ., 1984: 396; ლიტერატურის მიმოხილვა იხ. **ი. კეკელია, დ. ოდიშარია,** სენაკის რაიონის დასახლებული პუნქტების სახელწოდებანი, 31-33.

მდებარეობის ს. ყაუხჩიშვილისეული ლოკალიზაცია გაზიარებულია სხვა მეცნიერების მიერაც. ო. ლანჩავა რიონისა და ტეხურის შესართავთან სამხედრო ბანაკის მოწყობას წმინდა გეოგრაფიული ფაქტორით ხსნის და წერს, რომ ნესოსი აკონტროლებდა ნაქალაქევისა და ქუთაისისკენ მიმავალ ხეობებს და იცავდა ქ. ფასისის მისადგომებსაც[27].

ძვ. წ. III ს-ის შუა ხანებით და II ს-ით თარიღდება აგრეთვე ოფაჩაფუს ქვევრსამარხები[28]. ასე ეწოდება აბაშა-ტეხურის ხერთვისის სამხრეთით, მდ. რიონისკენ მდებარე ადგილს, სადაც 1964 წლის ზაფხულში მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ექსპედიციის მიერ შემთხვევით იქნა აღმოჩენილი სამი ქვევრსამარხი[29]. ქვევრსამარხებში მიკვლეულია ბრინჯაოს გრავირებული სა-

---

[27] **ო. ლანჩავა,** ქუთაისი ეგრის-ლაზიკის ციხე-ქალაქთა სისტემაში, თბ., 1996: 40. ნესოსის ლოკალიზაციასთან დაკავშირებით განსხვავებული თვალსაზრისი ეკუთვნის გ. გრიგოლიას. აგათიასეული აღწერის ნესოსს მკვლევარი ცხენისწყლისა და რიონის შესართავში არსებულ კუნძულ **ორპირთან** (ახლანდ. სოფელი **ქვიშანჭალა** აბაშის მუნიციპალიტეტში, პირველი მაისის თემში, ზ. დ. 20 მ-ზე) აიგივებს და დასძენს, რომ ნესოს-ორპირის იდენტურობის თვალსაზრისს დამაჯერებლობას ჰმატებს ორპირის ტერიტორიაზე V-VI სს. კერამიკული მასალის მოპოვება[27]. გურამ გრიგოლიას მოსაზრებას არ იზიარებს მერაბ ჭუმბურიძე და საამისოდ რამდენიმე არგუმენტი მოაქვს: „აგათია ზუსტად ასახელებს მანძილს ნესოსსა და ფაზისს შორის. თუ ნესოსი კუნძულ ორპირზეა, მაშინ ქ. ფასისი თანამედროვე სენაკის მახლობლადაა საძიებელი, რაც აშკარა შეუსაბამობას ქმნის. თავად აგათიასაც... ნაკლებ სავარაუდოა, რომ მანძილის განსაზღვრისას ასეთი შეცდომა დაეშვა. გარდა ამისა, რიონ-ცხენისწყლის შესართავს სამხრეთიდან აკონტროლებს ტოლების ციხე (ტელეფისი)... ბიზანტიელების მოქმედებებიდან აშკარაა, რომ მათ საომარი ოპერაციების ძირითად არენად ეგრის-ლაზეთის დასავლეთი და სამხრეთი ნაწილი აარჩიეს, სადაც ძირითადი საყრდენი ბაზები შექმნეს და საგულდაგულოდ გაამაგრეს. მათ საერთოდ მიატოვეს ეგრისის აღმოსავლეთი ნაწილი და სპარსელებს თითქმის წინააღმდეგობის გარეშე დაუთმეს არა მარტო სკანდისა და შორაპნის სასაზღვრო ციხეები, არამედ თვით ქუთაისი და ვარდციხე-როდოპოლისი, რომლებიც ლაზებმა თავად დაანგრიეს, ასევე ქვეყნის უმდიდრესი ეკონომიკური რეგიონი, მოხირისის მხარე. ბიზანტიელებმა თავდაცვა დასავლეთ ეგრისში ნოქალაქევ-ნესოს-ფასისზე დაყრდნობით მოაწყვეს და საკმაოდ წარმატებით. მთელი ომის მიმდინარეობის პერიოდში სპარსელებმა ვერც ერთი მათგანი ვერ აიღეს. სამივე დასახელებული სიმაგრე საომარი ტაქტიკის თავლსაზრისით ერთმანეთთან ხელმისაწვდომ მანძილზე მდებარეობს და საჭიროების თვალსაზრისით ადვილად მიეხმარებოდა ერთმანეთს. თუ ჩავთვლით, რომ ნესოსი კუნძულ ორპირზეა, აღმოჩნდება, რომ ის მტრის მიერ დაკავებული ტერიტორიის შუაგულშია, განსაკუთრებით ტელეფისის (ტოლების) დაცემის შემდეგ, ხოლო კუნძულზე გამოკეტილი, ალყაში მყოფი გარნიზონი... უფუნქციოდაა დარჩენილი და სარდლობისათვის გამოუყენებელია, რაც ძნელი წარმოსადგენია“. იხ. **მ. ჭუმბურიძე,** ეგრისის სამეფოს თავდაცვის სისტემა (ახ. წ. აღ. I-VIII სს.), ქუთ., 2009: 117-118.

[28] იხ. **გ. გვინჩიძე,** მდ. ტეხურის აუზის ძვ. წ. IV და ახ. წ. VI სს-თა სამარხები. იბერია-კოლხეთი, №1, თბ., 2003: 23-28. გ. ელიავა ოფაჩაფუს ქვევრსამარხებს ძვ. წ. IV ს-ზე არაუგვიანესი ხანით ათარიღებს. იხ. **გ. ელიავა**, რიონისპირეთის პირველი შესანიშნავი განძი. გაზ. „კოლხეთის ცისკარი“, 7 იანვარი, 1965: 3.

[29] იხ. **გ. ელიავა,** გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, თბ., 1968: 38; **მისივე,** აბაშისა

მაჯურის ფრაგმენტები, ადამიანის ძვლები, რკინის შუბისპირები, ხანჯლისპირები, ბრინჯაოს ბეჭდები, ბრინჯაოს, თიხისა და მინის მძივები, გაცვეთილი კოლხური თეთრები და ნახევარდრაქმები, ვერცხლის საყურე-რგოლები, მძივსაკიდები, ბრინჯაოს 17 რკალხსნილი სამაჯური და სხვ. ოფაჩაფუს ქვევრსამარხთა გამთხრელი და პირველი შემსწავლელი გ. ელიავა ვარაუდობდა, რომ ქვევრსამარხში დამარხული დიდებულისთვის მსხვერპლად შეუწირავთ და თან ჩაუტანებიათ მონა-მეომრები, რასაც აფიქრებინებდა სამარხებიდან ერთ-ერთის გვერდით შეიარაღებულ ადამიანთა ჩონჩხების აღმოჩენა[30]. ამ მოსაზრებას იზიარებს არქეოლოგი გიორგი გვინჩიძე და შენიშნავს, რომ 1974 წელს ნაქალაქევის №3 და №4 ქვევრსამარხების გათხრებისას სამარხი ქვევრის გვერდით, მათი დაფლვის დონეზე, აღმოჩნდა ჩონჩხები ზურგზე გაშოტილი თითო მიცვალებულისა, რომლებიც სამარხი ქვევრებისკენ სახეშებრუნებით იყვნენ დაკრძალულნი სრულიად უინვენტაროდ, პირდაპირ მიწაში. ამ მიცვალებულების შესახებ გ. გვინჩიძე გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ისინი წარმოადგენდნენ ქვევრებში ჩასვენებულისადმი მსხვერპლად შეწირულ ტყვეებს (მონა-მსახურებს?). ამასთანავე, გამოქვეყნდა ცნობა, რომ ადამიანის მსხვერპლად შეწირვის წესი დაფიქსირდა დაბლაგომის ქვევრსამარხებშიც[31]. „ამრიგად, – დაასკვნის გ. გვინჩიძე, – დღესდღეობით საქართველოს ქვევრსამარხებში ადამიანის მსხვერპლად შეწირვის წესი დამოწმებულად ითვლება. ასეთ ვითარებაში კი, ვფიქრობთ, სავსებით მისაღებია გ. ელიავას მიერ თავის დროზე გამოთქმული ვარაუდი, რომ ოფაჩაფუს ქვევრსამარხთან გამოვლენილი მიცვალებულები მსხვერპლად შეწირულები იყვნენ, რაც შეეხება ოფაჩაფუს ქვევრსამარხის გვერდით ადამიანის ძვლებთან ერთად მიკვლეულ რკინის იარაღს, ის, შესაძლოა, მართლაც მსხვერპლად

და ტეხურის ხეობების ისტორიული ღირსშესანიშნაობანი, 1971: 60-62; **დ. ახვლედიანი, მ. ელაშვილი, მ. კირკიტაძე, ს. ხარაბაძე, გ. ასათიანი,** მასალები ძვ. წ. V-I სს-ის კოლხეთის არქეოლოგიური რუკისათვის (ნამოსახლარები, სამაროვნები), თბ., 2017: 35.

[30] **გ. ელიავა,** რიონისპირეთის პირველი შესანიშნავი განძი. გაზ. „კოლხეთის ცისკარი“, 7 იანვარი, 1965: 3.

[31] **გ. გვინჩიძე,** დასახელებული ნაშრომი, გვ. 263; ო. ლორთქიფანიძე, ვანის ნაქალაქარი. გათხრები, ისტორია, პრობლემები (წერილი მეორე). ვანი, III, არქეოლოგიური გათხრები. თბ., 1977: 20, შენიშვნა 40.

შეწირულთა შეიარაღებას წარმოადგენდა, როგორც ფიქრობდა გ. ელიავა, მაგრამ უთუოდ არც ის უნდა იყოს გამორიცხული, რომ აღნიშნული იარაღი თვით ქვევრში ჩასვენებულს ეკუთვნოდა“[32].

რიონის ქვემო წელზე და მის ჩრდილოეთით, რიონის მარჯვენა შენაკადების – ცხენისწყლის, აბაშისა და ტეხურის ხეობებში არქეოლოგიური ძიების გზით დადასტურებული გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამაროვანი (მუხურჩა, „პეტრეშ ნაკარუ“)[33], ბრინჯაოსა და რკინის ხანის სამოსახლოები („კეკელური ზუგა“, „ნაჭვიშ ზუგა“, „ბაღდუდი“)[34], ადრეანტიკური დასახლებები (მუხურჩის „ნაწისქვიუ“), გვიანანანტიკური ხანის ქვევრსამარხი (სოფ. ბანძა)[35], ანტიკური ხანის ნამოსახლარები (სერგიეთის „ნაფაცაცუ“, ლეხაინდრავოს „გოგიაშ ნაოხვამუ“, მარტვილის ტაძრის ფერდობი)[36] და რომაული ვერცხლის მონეტების განძი (სოფ. სეფიეთიდან)[37], უნდა ვიფიქროთ, რომ მჭიდრო კავშირშია

---

[32] იქვე: 264.

[33] იხ. **გ. ელიავა,** პეტრეს ნაკარუს არქეოლოგიური მასალა, თბ., 1987.

[34] იხ. **ე. გოგაძე,** კოლხეთის ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანის ნამოსახლართა კულტურა (ნოსირი-მუხურჩის არქეოლოგიური ძეგლების მიხედვით), თბ., 1982; **ი. კეკელია,** მუხურჩის სიძველენი. გაზ. „მახარია“, №3 (42), 2004: 16**; მისივე,** არქეოლოგიური ძეგლი ბანძაში (ბაღდუდის გორა-ნამოსახლარი). გაზ. „მარტვილი“, №1, 29 იანვარი, 2021: 4.

[35] იხ. **ს. მაკალათია,** 1920-1924 წწ. საქართველოში აღმოჩენილი ზოგიერთი ნეკროპოლის დათარიღებისათვის. საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. IV, ტფ., 1928: 182-186; **გ. გვინჩიძე,** ნოქალაქევის ირგვლივ მდებარე ანტიკური ხანის სამარხეული ძეგლები. კრ. „ნოქალაქევი-არქეოპოლისი“, II, თბ., 1987, და იქვე მითითებული ლიტერატურა; ი. კეკელია, მეომრის სამარხი სოფელ ბანძიდან. გაზ. „მარტვილი“, №5, 23 აპრილი, 2021: 4.

[36] **გ. გრიგოლია, გ. ფხაკაძე, მ. ბარამიძე, გ. ლორთქიფანიძე,** დასავლეთ საქართველოს საძიებო-არქეოლოგიური ექსპედიციის 1966 წლის მუშაობის შედეგები. მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის, V, თბ., 1973: 17-38; „გოგიას ნაოხვამუ“ ეწოდება სამ მოზრდილ ბორცვს მდ. ნოღელის ნაპირზე, კოტორის მასივზე, ერთმანეთის გასწვრივ. მოპოვებული არქეოლოგიური მასალა ინახება მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. **გ. ელიავა,** აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმიკა, 1977: 96-97. გ. ელიავა „გოგიას ნაოხვამუს“ არქეოლოგიურ მასალას ორ პერიოდს მიაკუთვნებს: ადრეულს ენეოლითის ხანით ათარიღებს, ხოლო მეორეს – ანტიკური ხანით. იხ. **გ. ელიავა,** ჭყონდიდი-მარტვილი (ისტორიული მიმოხილვა), თბ., 1962: 66. მოგვიანებით გამოცემულ ნაშრომში მკვლევარი წერს, რომ ნოღელის ნაპირზე გრძელდება ენეოლითური კულტურის ხაზი, რაც „გოგიას ნაოხვამუს“ მიდამოებში მკვეთრად დამახასიათებელი მასალებით შესწავლილ იქნა მუზეუმის ექსპედიციის მიერ. იხ. **გ. ელიავა,** აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების..., 1977: 74-75.

[37] აღმოჩნდა 1931 წელს, მდ. აბაშის ნაპირიდან 200 მ-ის დაშორებით, მდინარესა და აბაშა-ბანძის საავტომობილო გზას შუა, სეფიეთ-ორქას საზღვარზე, მიწის ხვნისას, თიხის კოჭობში. ს. მაკალათიას მოსაზრებით მდინარის ამ ნაპირას უნდა ყოფილიყო ალექსანდრე სევერის მოქმედი ლაშქრის ბანაკი, რომელიც იცავდა სეფიეთის პიდაპირ, აბაშის გაღმა მდებარე ციხეგოჯი-არქეოპოლისის მისადგომებს შემორჩენილია 377 მონეტა. ეს განძი

რიონის სამდინარო-საგზაო მაგისტრალთან. ამასთანავე, ქუთაისისა და ციხეგოჯ-არქეოპოლისის არქეოლოგიურ მონაცემებზე დაყრდნობით ეჭვმიუტანლად დგინდება ამ გზის **გვერდითი შტოების** ფუნქციონირების შესაძლებლობა, ჯერ კიდევ ელინისტურ, ადრეანტიკურ და მომდევნო ხანაში აბაშისა და ტეხურის ხეობების შუა და ქვემო წელზე სამოსახლოთა მნიშვნელოვან კონცენტრაციას სწორედ მდ. ფასისის (რიონის) მაგისტრალი, აგრეთვე ციხეგოჯ-არქეოპოლისისკენ მიმავალი სახმელეთო გზა განაპირობებდა. საგულისხმოა პროკოპი კესარიელის ცნობა, რომ ლაზთა ყველაზე მნიშვნელოვანი დასახლება მდ. ფაზისის მარჯვენა მხარეს მდებარეობს „...და ქალაქებიც მათ ძველთაგანვე აქ აუშენებიათ. მათ შორის არქეოპოლისი, ძალიან გამაგრებული...“ ირანელთა ერთ ლაშქრობასთან დაკავშირებით პროკოპი კესარიელი შენიშნავს, რომ წაიყვანეს „ჯარი ერთი ქალაქის, არქეოპოლისის წინააღმდეგ, რომელიც არის მთავარი და უდიდესი ქალაქი ლაზების ქვეყანაში“.

ვ. ლექვინაძისა და ლ. ხვედელიძის მოსაზრებით, არქეოპოლისი და მისი შემოგარენი ნაკლებად იყო დასახლებული. შესაბამისად, აქ საერთოდ არ ყოფილა განვითარებული საქალაქო მეურნეობა. ამ მოსაზრების დამამტკიცებელ არგუმენტად კი ავტორთა მიერ არქეოლოგიური მასალის სიმცირეა მითითებული[38]. ეს თვალსაზრისი საფუძვლიანადაა უარყოფილი ნ. ლომოურისა და ბ. ლორთქიფანიძის მიერ[39].

ნაქალაქევის შემოგარენი რომ მჭიდროდ იყო დასახლებული, ამაზე მიუთითებს პრ. კესარიელის ცნობა, ასევე არქეოლოგი-

---

რომალე მოლაშქრეთა საკუთრება უნდა ყოფილიყო. განძის 365 ეგზემპლარი დენარია, აქედან 118 ცალი მოჭრილია რომში, 158 ცალი – ემესაში (სირია); 11 ცალი დრაქმაა და მიეკუთვნება კესარეის ზარაფხანას. 1 კესარიული დრაქმის მინაბაძია. განძის გვიანდელი მონეტა მოჭრილია ალექსანდერ სევერუსის სახელით, 222 წელს. ზოგადად თარიღდება I-III საუკუნეებით. იხ. **ს. მაკალათია,** სეფიეთში აღმოჩენილი რომაული ფულების განძი. კრ. „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე“, ტ. XII, თბ., 1944: 217-257; **გ. დუნდუა,** სეფიეთის განძი, ქსე, ტ. IX, თბ., 1985: 304-305; **მისივე,** საქართველოს სამონეტო განძები: რომაული მონეტები სოფ. ეკიდან და სეფიეთიდან, თბ., 1979.

[38] **В. Леквинадзе**, **Л. Хведелидзе**, Указ. соч., 147-148.

[39] იხ. **ბ. ლორთქიფანიძე,** ქალაქის გარეგნული სახე. „ნოქალაქევი-არქეოპოლისი“, III, 1993: 197-198; **ნ. ლომოური**, ნოქალაქევის გათხრების მნიშვნელობა საქართველოს ისტორიის შესაწვლისათვის, 43.

ური მონაცემები; კერძოდ, ნოსირში, ნოჯიხევში, ბეთლემსა და მარტვილში მიკვლეული აბანოები თუ ტეტრაკონქის ტიპის ეკლესია. „ციხეგოჯი-არქეოპოლისის გარეგნული სახე გვაძლევს საფუძველს აქ მოსახლეობის სიჭარბეზე, სამშენებლო ხელოსნობის განვითარებაზე და, შესაბამისად, მოსახლეობის სიჭარბის გამო, ხელოსნობის სხვა დარგების (მეთუნეობა, საფეიქრო მეურნეობა, სამშენებლო და საბრძოლო იარაღის ჭედვა და სხვა) განვითარებაზე ვიფიქროთ. ამ შემთხვევაში არა აქვს მნიშვნელობა, ეს ხელოსნები გალავნით შემოზღუდულ ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ თუ მის გარშემო განლაგებულ სოფლებში“, – სავსებით სამართლიანად შენიშნავს ბესიკ ლორთქიფანიძე[40]. საგულისხმოა (როგორც მკვლევარი მიუთითებს სტატიის სქოლიოში), რომ აგათია სქოლასტიკოსის ცნობით, ბიზანტიელთა მოკავშირე საბირები არქეოპოლისის მახლობლად მდებარე პატარა სოფელში იდგნენ. ეს სოფელი იმდენად ახლოს ყოფილა, რომ არქეოპოლისში მჯდარ სტრატეგოს ბაბას სოფელში გამართული ბრძოლით გამოწვეული ხმაური ღამით კარგად ესმოდა[41]. არქეოპოლისის შემოგარენში მდებარეობს: ჩრდილო-აღმოსავლეთით – აბედათი (ონოგურისის ციხე) და ბანძა, ხოლო სამხრეთ-დასავლეთით – კოტიანეთი, საჩიქობავო და გეჯეთი. აგათიასეულ არქეოპოლისთან მდებარე პატარა სოფელში ამათგან ერთ-ერთი უნდა ვიგულისხმოთ. არქეოპოლისში ციხის გარნიზონის ყოფნა გულისხმობს მეციხოვნეთა არა მხოლოდ აქ მსახურობას, არამედ ციხეში მათ ცხოვრებასაც, ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად[42].

არქეოპოლისი, როგორც აღვნიშნეთ, ბიზანტიურ წყაროებშია დადასტურებული და იდენტიფიცირებულია მდ. რიონის მარჯვენა მხარეს, ტეხურის ხეობაში, სენაკის მუნიციპალიტეტის სოფ. ნოქალაქევის ტერიტორიაზე არსებულ ციხესთან. იუსტინიანე კეისრის (VI ს.) ცნობის მიხედვით „არქეოპოლისი და როდოპოლისი უდიდესი და ძველი სიმაგრეებია ლაზეთში“[43]. ეს ცნობა

---

[40] **ბ. ლორთქიფანიძე,** დასახელებული ნაშრომი, 198.

[41] იქვე.

[42] იქვე, 197-198.

[43] **პროკოპი კესარიელი,** ბრძოლა პეტრას გარშემო. „გეორგიკა“, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტომი II, ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და

გარკვეულ ინტერესს აღძრავს იმდენად, რამდენადაც იუსტინიანეს განსაზღვრება – „უდიდესი“, მხოლოდ არქეოპოლისს მიემართება, რადგან მისი ფართობი 20 ჰა-ს უტოლდება[44].

ციხეგოჯ-არქეოპოლისის გალავანი

მნიშვნელოვნად გამაგრებული არქეოპოლისი IV-VI სს-ში ბიზანტიელთა და ლაზთა ხელშია. ჯუანშერის ცნობის თანახმად, VIII ს-ის 30-იან წლებში არაბთა ლაშქარს მარვან II იბნ მუჰამადის (ქართული წყაროებით მურვან ყრუს) სარდლობით ეგრისის ქვეყნის ყველა ქალაქსა და სიმაგრესთან ერთად გაუნადგურებია ციხეგოჯიც: „შემუსრნა ყოველნი ქალაქნი და სიმაგრენი ეგრისის ქუეყანისანი და ციხე იგი სამ-ზღუდე, რომელ არს ციხე-გოჯი“[45]. „მას დიდხანს არ დაუკარგავს პოლიტიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა დედაქალაქის ქუთაისში გადატანის შემდეგაც. ქართულ და ბიზანტიურ საისტორიო წყაროთა ცნობებს მხარს

განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა. თბ., 1965: 35-36.

[44] მსჯელობისათვის იხ. **პ. ზაქარაია,** ნაქალაქარი ციხე-გოჯი-ნოქალაქევი. „ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში“, I, სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა მოკლე შინაარსები. თბ., 1999: 5; **გ. ყიფიანი,** ქალაქი როდოპოლისი, თბ., 2012: 4.

[45] **ქართლის ცხოვრება,** ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955: 235. მსჯელობისათვის იხ. **ბ. ლორთქიფანიძე, დ. ლომიტაშვილი,** მურვან-ყრუს ლაშქრობა ციხეგოჯში წერილობითი წყაროების მიხედვით. თსუ პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა სამეცნიერო შრომები. ტ. III, თბ., 2001: 26-33.

უჭერს არქეოლოგიური კვლევის შედეგებიც“, – აღნიშნავს ანდრია აფაქიძე[46]. VIII ს-ის 30-იანი წლებიდან განვითარებული მძიმე პოლიტიკური კატაკლიზმების გამო, რაც მურვან-ყრუს ლაშქრის შემოსევას უკავშირდება, ციხეგოჯი დაქვეითებას იწყებს[47] და როგორც ეგრისის ცენტრი და დედაქალაქი, ასპარეზს უთმობს ქუთათისს. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობა, რომ იგი „იყო კულად ქალაქი და შემდგომ მოოხრდა ქალაქი. აწ არს ციხე კუალად და სასახლე დადიანისა“, ნაქალაქევის რიგით ქალაქად გადაქცევას გულისხმობს.

„ქართლის ცხოვრებიდან“ დამოწმებულ ფრაგმენტში ყურადღებას იქცევს ცნობა ციხის სამზღუდიანობის შესახებ. ბიზანტიური წერილობითი წყაროების არქეოპოლისი (არხაიოპოლისი) და ქართული მატიანეების „ციხეგოჯი“ ერთიდაიმავე პუნქტის სახელწოდებებია. ქართული ისტორიული წყაროების ტრადიციით სწორედ ციხეგოჯში იყო ქუჯის რეზიდენცია და მასვე აუგია აქ პირველად ციხე („ციხე ქუჯისა“, „ციხეგოჯი“).

54E3DCCD-58F7-43CA-A8AD-BC4402B0A7BE_w1080_h608_s.webp

ციხის თავდაცვითი სისტემის თავისებურების („სამზღუდე“) გათვალისწინებით უნდა ითქვას, რომ ეგრის-ლაზიკის სამეფოს დედაქალაქში მთავარი გზა სწორედ ჩრდილო-აღმოსავლეთიდან, სოფელ ბანძის მიდამოებიდან მოემართებოდა. ხალხური გადმოცემებით, აქ, ბანძაში გაუვლია ციხეგოჯის დასანგრევად მიმავალ მურვან ყრუს, თავისი ლაშქრით. ქართველი ისტორიკოსის - ჯუანშერ ჯუანშერიანის ცნობის თანახმად, ეგრისში შემოჭრილ არაბთა ლაშქარს ციხეგოჯის მახლობლად, ჭყონდიდის მიდამოებში, საშინელი წყალდიდობა დატყდომია თავს: „და გარდამოხდა წვიმა ფიცხელი. აღდგეს მდინარენი სასტიკად, და მიმართა უმცროსმან წყალმან სპასა აბაშთასა და წარიღო მათგან მკუირცხლი ოცდასამი ათასი. და მიმართა უფროსმან წყალმან სპასა აბაშთასა

[46] **ა. აფაქიძე,** ძველი ქალაქი არქეოპოლისი ნოქალაქევი. ჟურნ. „ძეგლის მეგობარი“, კრ. 19, თბ., 1969: 10-11.

[47] **ბ. ლორთქიფანიძე, დ. ლომიტაშვილი**, მურვან-ყრუს ლაშქრობა ციხეგოჯში წერილობითი წყაროების მიხედვით. თსუ პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა სამეცნიერო შრომები, ტ. III, თბ., 2001: 26-33.

და წარიღო მათგან მკუირცხლი ოცდასამი ათასი. და მიმართა უფროსმან წყალმან მხედართა, რომელთა იგი ბანაკი იყო უჭალაკე, რომელნიმე ივლტოდეს ადგილითა და რომელნიმე ხეთა ზედა გახდეს, და წარიღო ცხენი ოცდათხუთმეტი ათასი და მიერითგან სახელ-ედვა ორთა მათ მდინარეთა: ერთსა ცხენისწყალი და ერთსა აბაშა"[48].

ნ. მურღულიას მოსაზრებით, „არანაკლებ მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო სამეფოს ცენტრალურ ნაწილში გამავალი გზებიც, რომლებიც რეგიონში ვაჭრობის განვითარებას შეუწყობდა ხელს. ისტორიული წყაროების, არქეოლოგიური და ძველი კარტოგრაფიული მონაცემების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ დღევანდელი სამეგრელოს ტერიტორიაზე, უძველესი დროიდან და განსაკუთრებით IV-VI სს-ში, არაერთი მნიშვნელოვანი გზა გადიოდა: ცენტრალური ეგრისი ერთმანეთთან აფხაზეთის, იმერეთის და გურიის რეგიონებს აკავშირებდა"[49].

არქეოპოლის-ციხეგოჯზე გამავალი საგზაო კომუნიკაციების შესწავლის თვალსაზრისით ინტერესს იწვევს IV ს-ის II ნახევრის რომაელი გეოგრაფის – კასტორიუსის მიერ შედგენილი „მსოფლიო საგზაო რუკა", რომელიც „Tabula Peutingeriana"-ს სახელწოდებითაა ცნობილი. საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ირანული და ბიზანტიური ნუმიზმატიკური მასალა იმაზე მიუთითებს, რომ მცხეთიდან სავაჭრო გზა დასავლეთით, მტკვრის აყოლებით, ურბნისისაკენ გრძელდებოდა, დასავლეთ საქართველოში გადადიოდა და ვარდციხე-როდოპოლისთან უერთდებოდა კასტორიუსის რუკაზე აღნიშნულ კიდევ ერთ მაგისტრალურ გზას, რომელიც ქალაქ არტაშატს[50] სებასტოპოლისთან (სოხუმი) აკავშირებდა. ეს გზა ჯავახეთის (წუნდა) გავლით სამცხეში (ოძრხე) ჩადიოდა, მესხეთის ქედზე მდებარე ზეკარის//რკინისჯვრის

---

[48] იხ. **ჯუანშერი,** ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა. „ქართლის ცხოვრება", ტ. I, თბ., 1955: 238.

[49] **ნ. მურღულია,** ეგრისის სამეფოს გამაგრების სისტემა IV-VI საუკუნეებში (არქეოლოგიური მასალებისა და ისტორიული წყაროების მიხედვით). სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა. ნაშრომი შესრულებულია არქეოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 2012: 142.

[50] უწინ დიდი სომხეთის დედაქალაქი. მდებარეობს მდ. არაქსის ნაპირზე, ერევან-ჯულფის გზატკეცილზე.

უღელტეხილით გადადიოდა ეგრისში, როდოპოლისში (ვარდციხე). აქედან გზა მიემართებოდა ქუთათისისკენ; შემდეგ მიუყვებოდა რიონის მარჯვენა ნაპირს და აღწევდა ფასისამდე (ფოთი). ქუთათისიდან გზის ერთი შტო ხონი-მათხოჯი-მარტვილი-ბანძის (ან აბედათის) გავლით მიემართებოდა ციხეგოჯისკენ და ცაიშის გავლით სებასტოპოლისს აღწევდა[51]. სებასტოპოლისიდან შავი ზღვის აღმოსავლეთი ნაპირის გასწვრივ მიმავალი მაგისტრალით შესაძლებელი იყო ტრაპიზონის გავლით ბიზანტიის აღმოსავლეთ პროვინციებთან დაკავშირება. VII ს-ის შუა ხანებიდან ეს სამდინარო-სახმელეთო სატრანზიტო მაგისტრალი თავის მნიშვნელობას კარგავს ბიზანტიასა და არაბთა სახალიფოს შორის განუწყვეტელი ბრძოლების გამო[52]. მაშასადამე, ამ გზით ამიერკავკასიური

---

[51] ნ. მურღულია განსხვავებულად წარმოადგენს „ტაბულა პეუტინგერიანას“ XI სეგმენტზე მოცემული გზის მიმართულებას. მისი აზრით მაგისტრალი ქ. არტაშატიდან სებასტოპოლისამდე გამოივლიდა ჯავახეთს, დღევანდელ ბაღდათის რაიონს, შემდეგ ქუთაისს, ხონს, მარტვილს, აქედან ჩრდილოეთით უხვევდა და თამაკონის, კურზუს, ნაფიჩხოვოს, სათანჯოს, წარჩესა და რეკის ციხე-სიმაგრეების გავლით ჩადიოდა სებასტოპოლისში. **ნ. მურღულია,** ნაფიჩხავო და კურზუ – ეგრისის სამეფოს პერიოდის ორი ახალი ციხე ჩხოროწყუს და მარტვილის რაიონებიდან. ამირანი, ტ. 23, თბ., 2011: 62-64; **მისივე,** ეგრისის სამეფოს გამაგრების სისტემა IV-VI საუკუნეებში (არქეოლოგიური მასალებისა და ისტორიული წყაროების მიხედვით). ნაშრომი შესრულებულია არქეოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, 2012: 143-144.

[52] აღნიშნული მაგისტრალის შესახებ იხ. **ო. ლორთქიფანიძე, დ. მუსხელიშვილი,** ამიერკავკასიის ძველი სავაჭრო-სატრანზიტო გზები. ქსე, ტ. I, თბ., 1975: 390, და იქვე დასახელებული ლიტერატურა: **ნ. ლომოური,** ძველი საქართველოს სავაჭრო გზების საკითხისათვის. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. 4, ნაკვ. 1, თბ., 1958; ო. ლორთქიფანიძე, ანტიკურ ხანაში ინდოეთიდან შავი ზღვისაკენ მიმავალი სატრანზიტო-სავაჭრო გზის შესახებ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. 19, N3, თბ., 1957; **დ. მუსხელიშვილი,** ფეოდალური ხანის საქართველოს და ამიერკავკასიის მნიშვნელობა საერთაშორისო ვაჭრობაში. „ცისკარი“, №11, თბ., 1970 და სხვ. ი. მანდანიანის მოსაზრებით, კასტორიუსის რუკაზე გამოსახული გზა გაივლიდა ფარავნის ტბასთან სოფელ ფოკას (პაგას), აქედან - აბულის მთას (აპულუმ), სოფ. ხოსპიოს (ჩასპია), შემდეგ უცნობ პუნქტებს - ად მერცერიუმსა და ად ფონტენ ფელიცემ-ს, და შედიოდა სებასტოპოლისში. ალ ფონტენ ფელიცემ ქართველი ისტორიკოსების ვარაუდით იგივე ვარციხე-როდოპოლისია. ტაბულა პევტენგერიანას რუკის აღნიშნული მაგისტრალი, როგორც ისტორიკოსი გურამ გრიგოლია ფიქრობს, არ შედიოდა ნაქალაქევში, რომელიც ეგრისის დედაქალაქი იყო რუკის შედგენის დროს (III-IV სს.). აღნიშნულ რუკაზე ფოთშიც არ შედის გზა და ასევე გზაზე არ ჩანს კუტაია-ქუთაისი. იხ. **გ. გრიგოლია,** ეგრის-ლაზიკის სამეფოს საისტორიო გეოგრაფიის პრობლემები, 1994: 106-109. მაშასადამე, ტაბულა პევტენგერიანას რუკის გზა ასახავს მონაკვეთს არტაშატიდან ართვინ-ჭოროხის შესართავის ქალაქებისკენ. პევტენგერიანის რუკის სებასტოპოლისი, გ. გრიგოლიას მოსაზრებით, ამჟამინდელი ციხისძირია, სადაც შედიოდა პევტენგერიანას გზა. იხ. **გ. გრიგოლია,** დასახელებული ნაშრომი, 113.

ეგრის-ლაზიკის მთავარი საგზაო არტერიების შესახებ არაერთი საგულისხმო დაკვირვებაა მოცემული აკად. ნიკო ბერძენიშვილის ისტორიულ-გეოგრაფიულ დღიურებში, რომლის მეორე, შევსებული გამოცემა განხორციელდა დ. ბერძენიშვილის მიერ.

სატრანზიტო ვაჭრობა სომხეთის დედაქალაქ არტაშატის საშუალებით მიერთებული იყო ბიზანტიასთან და ირანთან. რუკის XI სეგმენტზე გამოსახულია ქალაქი არტაქსატა (არტაშატი). იგი ორი ერთმანეთზე მიდგმული კოშკის სახითაა დატანილი რუკაზე. არტაშატიდან მარცხნივ მიმართული მაგისტრალი კოლხეთში ჩადის, რომელზეც დატანილია სხვადასხვა სავაჭრო პუნქტები.

1960 წლის 18 სექტემბერს ხონიდან წამოსული ნ. ბერძენიშვილი მათხოჯის ციხეს სწვევია. ნაციხარს მეცნიერი ადრეფეოდალური ხანის ნაგებობად მიიჩნევს. მეტისმეტად ძნელად მისადგომ ადგილზე აგებული ციხე, მისი აზრით, უცილობლად ბატონობდა ცხენისწყლის მარცხენა მხარეს, სკვიმნიიდან ლაზიკაში მომავალ გზაზე და ამ ახლო ქვეყანაზე (ხონზეც?). „ასე რომ, მე არ მეჩვენება შეუძლებლად, რომ ეს ციხე VI საუკუნის ერთ-ერთ სიმაგრედ მივიჩნიო“, - წერს ნ. ბერძენიშვილი. მკვლევარი ვარაუდობს, რომ გზა ხიდიდან (იქვე ახლოს არის ცხენისწყლისპირა სოფელი ხიდი და „ბომბოას ხიდი“) მათხოჯზე გამოივლიდა, აქედან - ხონს, კასტირის ხიდს გუბისწყალზე (დედალაურს), ხომულს (მაღლაკ-წყალტუბოს), ქუთაისს, წყალწითელა-გელათს, ჭიშურა-გოდოგანს, სიმონეთ-ძევრის ხიდს და სკანდეს გავლით იბერიაში (არგვეთში) შედიოდა. ნ. ბერძენიშვილი ყურადღებას ამახვილებს ტოპონიმ **„კასტირზე“**, როგორც „აგრე მეტყველ სახელზე“. ეს ადგილი პირველად 1954 წელს უნახავს, ხოლო უფრო ადრე, 1949 წელს, მას ეს სახელი გვიშტიბელი კაცისაგან გაუგონია. მკვლევარი ასახელებს მეწისქვილე ვალერიან გოდერიძისაგან 1960 წლის 21 სექტემბერს ჩაწერილ ტოპონიმებს: **„კასტირი“, „კასტერის ფონი“, „კასტერის წისქვილი“, „კასტერის გორაები“**. გოდერიძეს არ დაუდასტურებია, თუმცა ნ. ბერძენიშვილი აცხადებს, რომ ადრე მას **„კასტერის ხიდიც“** დაუსახელეს. იმ ხიდის კურტანი - 1960 წლისათვის ჯერ კიდევ გადარჩენილი ერთადერთი ძეგლი, გოდერიძის თქმით, ცნობილია **„წისქვილის ლაგამის“** სახელწოდებით. ნ. ბერძენიშვილს მოჰყავს მეწისქვილის ნაამბობი: აქ ძველად დედალოურელ გლეხებს სასოფლო წისქვილი ჰქონდათ აგებული იოსელიანების წისქვილის (აწინდელი წისქვილია) საპირისპიროდ, რომელიც გუბისწყალს წაუღია და მხოლოდ ეს ლაგამი გადარჩენილა. აქ წისქვილის „სათაური“ უნდა ყოფილიყო. თვით ნაგებობის („ლაგამის“) ზომების გათვალისწინებით (სიგანე 3, 80, 3, 50), ასევე მისი აგების მიმართულება, როგორც მკვლევარი აღნიშნავს, საეჭვოს ხდის ვ. გოდერიძის ცნობას და გვარწმუნებს, რომ „წისქვილის ლაგამი“ ძველისძველი ხიდის „კურტანია“. ამ ადგილას გუბისწყალი დაკლაკნილად მიედინება და, ალაზნის „მოსაბრუნების“ მსგავსად, ქმნის ფართო ნახევარკუნძულებს. ერთ-ერთ ასეთ ნახევარკუნძულზე უნდა ყოფილიყო მოწყობილი **კასტირი** - რომაული ჯარის სადგომი (ბანაკი)... ამ ხიდით კასტირში შემავალი გზა მიემართებოდა ხონისაკენ, ხონის გავლით კი – ხიდისაკენ, ცხენისწყალზე. იხ. **ნ. ბერძენიშვილი,** საქართველოს ისტორიის საკითხები, მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისათვის. თბ., 1990, 461.

ტოპონიმ „კასტირის“ არსებობას ადასტურებს 2003 წელს გამოცემული ქვემო იმერეთის ტოპონიმიის მასალებში დასახელებული შემდეგი გეოგრაფიული სახელწოდებანი: **კასტირი** - 1. საძოვარი პირველ წყალტუბოში; 2. **კასტირი//კასტირის წისქვილი** – ნაწისქვილევი გუბისწყალში (წყალტუბოს მუნიციპ.); **კასტირის გორა** – 1. ტყე-ბუჩქნარი და საძოვარი წყალტუბოში; 2. გორა დედალაურში (ხონის მუნიციპ.); **კასტირის წისქვილი** – 1. ბუჩქნარი პირველ წყალტუბოში; 2. წისქვილი დედალაურსა და პირველ წყალტუბოში. იხ. **საქართველოს ტოპონიმია** (მასალები), ტ. III, თბ., 2003: 138.

ისტორიკოსი ავთანდილ ფაილოძე სოფელ დედალაურის ტოპონიმთა ნუსხაში ასახელებს **კასტირის ხიდს** - ძველისძველ ნახიდარს გუბისწყალზე. აქ გადიოდა საქარავნო გზა ხომულიდან დედალაურისკენ. „ზოგი მის სახელს მოგზაურ კასტელს უკავშირებს, რაც არაა სწორი. ტერმინი ჩამოჰგავს ესპანურ კასტილიას“, - წერს იგი. იხ. **ა. ფაილოძე,** ხონის რაიონი. ტოპონიმია და გვარსახელები, ქუთ., 2013: 73. გველესიანების უბანში ა. ფაილოძე მიუთითებს ტოპონიმებს - **კასტირის ყანა** და **კასტირის წისქვილი.** იქვე: 73.

როგორც აღვნიშნეთ, **ბანძის სტრატეგიულ პუნქტად მიჩნევას ეგრისის სამეფოს დედაქალაქთან – არქეოპოლის-ციხეგოჯთან მისი სიახლოვე, მის „საკონტროლო ზონაში“ მდებარეობა განაპირობებდა.** „ნოქალაქევზე გადიოდა უძველესი სავაჭრო-სამხედრო გზა, რომელიც ზღვისპირა ოლქებს ეგრისის აღმოსავლეთ მხარეებთან, შემდეგ კი აღმოსავლეთ საქართველოსთან აკავშირებდა“[53]. სწორედ ამ გზით შემოსულა კოლხეთის (ეგრის-ლაზეთის) დასავლეთ ნაწილში, ქართლის მეფე არტაგთან ბრძოლაში გამარჯვებული რომაელი სარდალი გნეუს პომპეუსი (ქ. წ. I ს.). ამიტომ ბანძის ჩრდილოეთით, 15 კმ-ის მოშორებით, ხუნწსა და სუხჩეს შორის, მდინარე ცხენისწყალზე გადებული ხიდისათვის პუმპუას (ბომბუა, ბუმბუა) ხიდი უწოდებია ადგილობრივ მოსახლეობას (დღესდღეობით ხიდის მხოლოდ ბურჯებია შემორჩენილი)[54]. ნ. ლომოურის მტკიცებით, აღმოსავლეთიდან შავიზღვისპი-

---

[53] იხ. **პ. ზაქარაია, ნ. ლომოური, ვ. ლექვინაძე, გ. გვინჩიძე,** ციხეგოჯი-ნოქალაქევი, თბ., 1984: 12.

[54]გაზ. „ივერია“, 1894; **ნ. ბერძენიშვილი,** საქართველოს ისტორიის საკითხები. ტ. VIII, თბ., 1975: 461. ისტორიული ტრადიცია რომის ლეგიონების ცნობილ მხედართმთავარს - გნეუს პომპეუსს მიაწერს იბერიის (ქართლის) სამეფოში მოკლე ხნით ყოფნისას მცხეთაში „მოგვთა ხიდის“, იგივე „გატეხილი ხიდის“, აგრეთვე კოლხეთის სამეფოში, მდ. ცხენისწყალზე „ბამბუას ხიდის“ მშენებლობას, მაგრამ როგორც ნ. კვეზერელი-კოპაძე ფიქრობს, ეს ლეგენდები XIX საუკუნეშია შექმნილი და სინამდვილეში ზემოთ დასახელებული ხიდები საქართველოში პომპეუსის მოსვლამდე არსებულა. **ნ. კვეზერელი-კოპაძე,** დასახელებული ნაშრომი, 18. ხიდი ხუნწსა და გორდს შორის, ცხენისწყლის ვიწრო და კლდოვან ნაპრალში ყოფილა გადებული, სადაც ნაპირებს შორის მანძლი 23-25 მეტრს შეადგენდა. ეს იყო ერთადერთი ხიდი ამ მდინარეზე. ამ ხიდს ახსენებს ვახუშტი ბატონიშვილი: „ძეს აქ ხიდი... გორდს ცხენისწყალზედ“ იხ. ვახუშტი, აღწერა..., 1973: 762. გამოთქმულია მოსაზრება, რომ აქ ქვის ბურჯებზე დაყრდნობილი ხის ხიდი ყოფილა გადებული. იხ. **ნ. კვეზერელი-კოპაძე,** საქართველოს ძველი ხიდები, 95. XIX საუკუნეში აქ ბონდის ხიდი ყოფილა. იმავე საუკუნის მიწურულს გიორგი ჩიჩუა თავის ჩანაწერებში გვაცნობებს: „ბამბუას ხიდი დავათვალიერეთ და ვნახეთ ძველი ცემენტით ნაშენი საძირკველი, რომელზედაც არის აშენებული ახალი ხიდი“. იხ. **გ. ჩიჩუა,** მოგზაურობა, გაზ. „ივერია“, №9, 1894, 13 იანვარი. გაზეთ „ცნობის ფურცელში“ გამოქვეყნებული ერთ-ერთი საგაზეთო წერილის ავტორი მ. გ-ია წერდა: „ს. ხუნწსა და გორდს შუა იქ, სადაც ცხენისწყალი ვიწროდ მოდის ორის მთის თურჩუს და ზენითის გვერდით, არსებობს შესანიშნავი „ბუმბუას ხიდი“, რომელიც, ამბობენ, პირველად რომის მხედართმთავარმა პომპეოსმა გასდო ცხენის წყალზედ, როდესაც იგი მისდევდა პონტოს მეფეს მითრიდატ დიდსა და საქართველოში შემოვიდა. რასაკვირველია, მას აქეთ ბევრჯელ გასდებდნენ ამ ადგილს ახალს ხიდს დაძველებულის ნაცვლად, მაგრამ პომპეოსის (ბუმბუა) სახელი მაინც დარჩენილა. აქ ბუმბუას ხიდთან დუქნებია გამწკრივებული და დაღალულს მგზავრს შეუძლიან დაისვენოს და პური სჭამოს. ზემოდან დასჩერებია ნანგრევი დადიანების მაღალ ციხე-სიმაგრისა, რომელიც არწივის ბუდესავით მიკეთებულია კლდეზედ“. **მ. გ-ია,** მგზავრის შენიშვნები. გაზ. „ცნობის ფურცელი“, №2746, 1905, 17 თებერვალი. 1915 წელს აქ აუგიათ რკინის ხიდი და მასაც ძველი ხიდის სახელი „ბამბუა“ შერჩენია. ერთადერთი, ავტორთა შორის, ვინც ხიდის სახელს პომპეუსს არ უკავ-

რეთისკენ მიმავალ გზას სწორედ ამ ხიდზე უნდა გაევლო. შემდეგ გზა მარტვილისკენ მიემართებოდა. აქედან კი მთების ფერდობებს მისდევდა და აღწევდა ფაზისამდე და კელასურ-სოხუმამდე[55]. ეს გზა, სავარაუდოდ, ბანძაზე ან მის სიახლოვეს მაინც გაივლიდა.



მდ. ტეხურზე ჩამავალი გვირაბი. ნაქალაქევი. VI ს.

შიდა ეგრისში გამავალი მაგისტრალების შესწავლის თვალსაზრისით საინტერესოა ტოპონიმი **სალეჩხუმო შარა//საეჩხომო შარა** „სალეჩხუმო გზა“. გივი ელიავას მიერ ჩაწერილი გადმოცემის მიხედვით, „ლეჩხუმიდან ზუგდიდისაკენ მიმავალი გზა მარსილში და აბედათში გადადიოდა. ამ გზით დადიოდა გორდში და-

---

შირებს, ალექსანდრე ცაგარელია. სამეგრელოში 1876 წლის სამეცნიერო ექსპედიციის ანგარიშში მეცნიერი წერდა: „სოფელ გორდამდე 6-7 ვერსზე, მთის ძირას ცხენისწყალზე არის ხიდი, რომელსაც „ბომბუას ხიდს“ უწოდებენ. ზოგიერთი ამაში ხედავს პომპეუსის სახელის დამახინჯებას და მას ტარგმნის, როგორც „პომპეუსის ხიდი“... სამეგრელოში ამ ხიდს „ბომბუაშვილის ხიდს“ უწოდებენ. აზნაური ბომბუაშვილები კი აქვე ხიდის მახლობლად ცხოვრობენ... ამრიგად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ წინანდელი წნული ხიდი, ბონდის ხიდი, ამ აზნაურებს აუგიათ და ამის გამო მათ რადაც დამოკიდებულება ჰქონიათ ხიდთან, ან უბრალოდ ეს ხიდი მათი მამულის სიახლოვეს იყო და ამის გამო ასეთი სახელით იხსენიებდნენ, რათა განესხვავებინათ მისი მსგავსი ხიდებისაგან, რომლებიც განსაკუთრებით იმ დროს მრავლად იყო... ძველი, ვაზისაგან დაწნული დაკიდული და მოქანავე ხიდის ნაცვლად ახლა აქ აგებულია ახალი მყარი ხიდი, რომელიც ყველაზე უკეთესია, რაც კი სამეგრელოში მინახავს“. იხ. **А. Цагарели**, Сообщение о поездке в Мингрелию, Известия Кавказского Отделения Географического Общества т. 5, 1877: 67. **პუმპუას ციხეს** მიუთითებენ აგრეთვე აბაშის მუნიციპალიტეტის ნაესაკაოს თემში, სუჯუნის მახლობლად. იხ. **გ. ელიავა,** გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, თბ., 1968: 37.

[55] იხ. **ნ. ლომოური,** ნოქალაქევი-არქეოპოლისი-ციხეგოჯი. კრ. „ნოქალაქევი-არქეოპოლისი“, I, თბ., 1981: 34-36.

დიანი“[56]. გზის სახელწოდებად „სალეჩხუმო შარა“ (პარალელური ფორმები: **ლეჩხომაშ შარა** „ლეჩხუმის გზა“//**ოდიშიშ შარა** „ოდიშის გზა“//**დადიაშ ნაჭკირა** „დადიანის გაჭრილი“//**დადიაშ შარა** „დადიანის გზა“// **სადადიო შარა** „სადადიანო გზა“//**ჯვეში შარა** „ძველი გზა“, **შქაზა** „შუაგზა“) ჩვენ ჩავიწერეთ აგრეთვე ხუნწსა და ბალდაში. ზუგდიდი-ბანძა-გორდის ეს გზა გაივლიდა ეფაციეში, ნოღელის მარჯვენა ნაპირზე, ნოღაგოჭკადირთან (ზემო ნაგვაზავო)[57]. საზიარაა ქვემო ნაგვაზავოსთან, ქვემო ხუნწთან... ახალ გზას **დიდი შარა//რუსიშ ნაკვათა** დარქმევია. გ. ელიავას თქმით, ძველი გზის კვალი სუხჩეს, ხუნწისა და ქვეითის (ქვაითის) სერებზე დღესაც შეიმჩნევა[58].

„ბუმბუას ხიდიდან“ არქეოპოლისისკენ მიმავალი გზის ერთი შტო, ჭყონდიდთან მარჯვნივ უხვევდა, მიჰყვებოდა ჩრდილოეთის მთისძირა ზოლს და ქვაითის, ინჩხურისა და ბალდის გავლით ჯვრის უღელტეხილამდე აღწევდა. ჯვარიდან „ცხენის გზით“ მგზავრს უნდა გაევლო ლეტაშ კარე[59], ნაჭვი, წყურგუეში[60], გვალაია[61], სქვამმინდორი[62], დიდკარე[63], კარმეედანი[64], გიშახუნაფუ[65]. აქედან კი უკვე ლეჩხუმი იწყებოდა. **საეჩხომო შარა//ლეჩხომაშ შარა**

---

[56] **გ. ელიავა,** აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმიკა, 108.

[57] ნაგვაზუს შესახებ იხ. **გ. ელიავა,** აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმიკა, 107-110; **ი. კეკელია,** ნაგვაზუს ისტორიისათვის. გაზ. „მახარია“, №3 (30), 2003, გვ. 4; **მისივე,** სოფელი ნაგვაზუ. გაზ. „რაეო“, №14, 1–15 ქრისტეშობისთვე, №16 , #15, 15-31 ქრისტეშობისთვე, 2005: 16; **მისივე,** ნაგვაზუს ტოპონიმია (ეტიმოლოგიურ-განმარტებითი ლექსიკონი). თბ., 2008.

[58] **გ. ელიავა,** ჭყონდიდი-მარტვილი, 1962: 7; მსჯელობისათვის იხ. **ი. კეკელია,** ნაგვაზუს ტოპონიმია, 2008.

[59] ეწოდება ტყეს ხონის მუნიციპალიტეტის საზღვარზე (გაჭედილის სატყეო, მარტვილის მუნიციპ.).

[60] ტყე ტორჩაში, რომელსაც ლეცავედან გამოყოფს ჭითაწყარი (გაჭედილის სატყეო).

[61] იგივე გოლაია – დაბალი, ტყიანი სერი ასხი-ხირზენის გზაზე, რაჩხისა და ქვიბიის წყალგამყოფი (სალხინოს სატყეო).

[62] ეწოდება მინდორს შქაშკარესთან (სალხინოს სატყეო).

[63] იგივე შქაშკარე „შუა სადგომი“ – ტყე-საძოვარი ჯვარიშ ღალის ორ სათავეს შუა. ამის ქვემოთაა ადამნუზუშ კარე (ტალერის სატყეო, მარტვილის მუნიციპ.).

[64] იგივე კარი//კარგიშალი – ვაკე-საძოვარი მეედანის დასავლეთ ნაწილში, ქვიბია-ასხიდან მეედანში მიმავალ გზაზე (სალხინოს სატყეო).

[65] ხევი შქაშკარესა და საუხაფუოს შუა, ასხის მთაზე (სალხინოს სატყეო). სექტემბერში მთიდან ბარისკენ დაძრული შეამხანაგებული მწყემსები თავ-თავის ცხვარს „გიშახუნაფუში“ გამოაცალკევებდნენ და ბარისკენ დამოუკიდებლად გააგრძელებდნენ გზას. იხ. **ჰ. ცხადაია,** სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, VI, მარტვილის რაიონი (ჩრდილოეთი ნაწილი), თბ., 2012: 174-175.

წერილობით წყაროებში მოხსნიებული „გზა თაკუერისა“-ს მერმინდელი სახელწოდება უნდა იყოს[66]. ქართველი მემატიანე ლეონტი მროველი IV საუკუნის პოლიტიკური ამბების აღწერისას აღნიშნავს, რომ სომეხთა მეფემ თავისი ჯარით ბერძენთა და ოსთა ლაშქართან ერთად „თაკვერის გზა“ გამოიარა და ეგრისის ერისთავს ეახლა. „მაშინ განდგეს ერისთავნი დასავლეთისანი ხუთნი: ორნი ერისთავნი ეგრისისანი, ერთი ოძრხისა, ერთი კლარჯეთისა და ერთი წუნდისა. ეზრახნეს ესე სომეხთა მეფესა და ითხოვეს ძე მისი მეფედ, რამეთუ დისწული იყო ამაზასპისი. მაშინ სომეხთა მეფე... წარმოემართა ქართლად, და მოირთო ძალი საბერძნეთითცა. და ეზრახნეს ოვსთასა, ხოლო ოვსნი სიხარულითა წარმოვიდეს, რამეთუ მესისხლე იყო ამაზასპ მათი და გარდმოვლეს **გზა თაკუერისა,** და მოვიდეს ერისთავთა თანა ეგრისათა“[67].

ისტორიოგრაფიაში გარკვეულია, რომ წერილობით წყაროებში მოხსენიებული „თაკუერი“ იგივე ლეჩხუმია[68], ეგრისის საერისთავო კი „იყო სრულიად რიონის დასავლეთი სუანეთით“ (ვახუშტი), რომლის პოლიტიკურ ცენტრს ციხეგოჯი წარმოადგენდა.

ლეონტი მროველის მიერ მოხსენიებულ „თაკუერის გზაზე“ ყურადღებას ამახვილებს თ. ბერაძე: „ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში ოსებს ცენტრალური კავკასიონის დიდი ნაწილი ეკავათ და დასავლეთით აფხაზებსა და ჩერქეზებს ესაზღვრებოდნენ. ასეთ შემთხვევაში „გზა თაკვერისა“ ყველაზე მოსახერხებელი გზა იყო, რომელიც ჩრდილო კავკასიას დღევანდელი რაჭა-ლეჩხუმის გავლით დასავლეთ საქართველოსთან აკავშირებდა“[69].

ეს გზა ცხენისწყლის ხეობას მოჰყვებოდა, გამოივლიდა კინჩხას, გორდს, დიდღვაბუნას, „ბუმბუას ხიდს“, ხუნწს, ჭყონდიდმარტვილს, ნახარებუს, ნაგვაზუს, ბანძას, ჯოდო-აბედათს და არ-

---

[66] იხ. **ი. კეკელია, კ. ქებულაძე,** „შიდა ეგრისის“ ისტორიული გეოგრაფიიდან („გზა თაკუერისა“, „სალეჩხუმო გზა“). ჟურნ. „ქართველური მემკვიდრეობა“, XV, ქუთ., 2011: 196.

[67] ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955: 57.

[68] **თ. ბერაძე,** ლეჩხუმის ისტორიული გეოგრაფიიდან. ჟურნ. „მაცნე“, №3, თბ., 1976: 33; **ქ. მუშკუდიანი,** ლეჩხუმის ისტორიიდან, ქუთ., 2001: 5-15.

[69] იქვე: 33.

ქეოპოლის-ციხეგოჯში ჩადიოდა[70].

ქაჯანა მუშკუდიანი თავის ნაშრომში ვრცლად ეხება „თაკვერის გზას“: „ეგრისის ერისთავთა რეზიდენცია იყო არქეოპოლისში. ამ ქალაქში მიმავალი ოსები, უეჭველია, გაემართებოდნენ უმოკლესი გზით. ერთადერთი უმოკლესი გზა ოსეთიდან არქეოპოლისამდე იყო თავკვერზე გავლით. ამიტომ ოსეთიდან სამხრეთში გადმოსული ოსები უნდა გაყოლოდნენ რიონის ხეობას და იქ, სადაც რიონი თაკვერის ტერიტორიაზე იწყებს დინებას, მკვეთრად გაუხვევდნენ დასავლეთის მიმართულებით. შუა თაკვერის გავლით მათ ადვილად შეეძლოთ ეგრისის პოლიტიკურ ცენტრში მისვლა. ეს გზა დაახლოებით ასეთი უნდა ყოფილიყო: რიონის ხეობა – ჭყვიში – თაბორის გადასასვლელი – ლაილაში – დეხვირი – ქულბაქი – ასხის მთაზე ჯვრის გადასასვლელი[71] – ნოქალაქევი. ამ პუნქტებიდან თაკვერის ტერიტორიაზე მდებარეობენ ჭყვიში-თაბორი-ლაილაში-დეხვირი-ქულბაქი-ჯვრის გადასასვლელი... ქულბაქი[72] თაკვერის დასავლეთ საზღვარზე მდებარეობს, ჯვრის გადასასვლელის ძირში. აქედან იწყება სამეგრელო. ქულბაქიდან ეგრისის დედაქალაქ ნოქალაქევამდე პირდაპირი გზით დაახლოებით 70-80 კილომეტრი თუ იქნება. თვით ამ სოფლის სახელწოდება მიგვითითებს იმაზე, რომ წინათ აქ სავაჭრო პუნქტი და დუქნები იყო. საფიქრებელია, რომ ლეონტი მროველიც ამიტომ ამახვილებდა ყურადღებას თაკვერზე, როცა იგი ოსეთიდან ეგრისის დედაქალაქში უმოკლეს გზას მიუთითებდა“[73].

თამაზ ბერაძის აზრით, გზა, რომლითაც ოსებს შესაძლოა ემოძრავათ ეგრისის მიმართულებით, სრულიად შესაძლებელია, ასეთი მიმართულებისა ყოფილიყო: მაჩხაფარის უღელტეხილი –

---

[70] **ი. კეკელია, კ. ქებულაძე,** დასახელებული ნაშრომი, 196; **ი. კეკელია,** ძველი სამეგრელოს ისტორიული გეოგრაფიისათვის. გაზ. „მახარია“, №6 (57), 2005: 15.

[71] ეწოდება უღელტეხილს ლეჩხუმ-სამეგრელოს გამყოფ ქედზე. ამ უღელტეხილით გადადის გზა მდ. ჩხოროწყუს ხეობიდან ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ქულბაქში, ჩეროღალის ხეობაში, უღელტეხილიდან 4-5 კმ-ზე. აქვე გზა-გადასასვლელს ასხი-მედანიდან ჯვარში **ჯვარიშ გინალ2** ეწოდება. იხ. **პ. ცხადაია,** სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, VI, მარტვილის რაიონი (ჩრდილოეთი ნაწილი), თბ., 2012: 709.

[72] სოფელი ცაგერისმუნიციპალიტეტში, ჩქუმის თემში. მდებარეობს მდინარე ჯონოულის (ცხენისწყლის მარჯვენა შენაკადი) ხეობაში, ზ. დ. 720 მეტრზე, ცაგერიდან დაშორებულია 17 კმ-ით, ჩქუმიდან 3 კმ-ით.

[73] **ქ. მუშკუდიანი,** დასახელებული ნაშრომი, 15-16.

ლაშხეთი – ორბელი – ცაგერი – ღვედი – გორდი – მათხოჯი – ხონი. ამ გზის სიძველეზე მეტყველებს მის გასწვრივ ადრეფეოდალური ხანის ციხეების სიმრავლე[74]. უფრო მოკლე გზას მიუთითებს გ. მამარდაშვილი: ჩრდილოეთ კავკასიიდან მომავალი გზა ლაშხეთიდან ცაგერის გავლით მიაღწევდა ზუბის ციხემდე და შემდეგ მკვეთრად დასავლეთით, ასხის მასივის გავლით სენაკის რაიონში ჩავიდოდა. მეორე მხრივ, თუ ჩრდილოეთიდან მომავალნი რიონის გადმოსასვლელებით ისარგებლებდნენ, ციხეგოჯისკენ მიმავალი გზა მაინც ლეჩხუმისკენ უხვევდა და ასხის გადავლით ჩადიოდა ეგრისის ცენტრში[75].

ამ გზას არც მოგვიანებით დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. XIX საუკუნეში, დავით დადიანის მთავრობის (1846-1853 წწ.) დროს, შუა სამეგრელოს გზა, ზუგდიდან ჭაქვინჯის, ლესიჭინეს, ჯოლევისა და ნოჯიხევის გავლით ხონისკენ მიემართებოდა. ამ გზით წასულა 1837 წელს ზუგდიდიდან ქუთაისში იმპერატორი ნიკოლოზ I (1825-1855 წწ.), ამიტომ ეს გზა მაშინ კარგად იყო შეკეთებული[76]. მეორე გზა სენაკიდან, ნაქალაქევის, მარტვილის, ბუმბუას (ბამბუას) ხიდის გავლით გორდისაკენ მიემართებოდა[77].

რიონის სამდინარო-საგზაო მაგისტრალის ერთ-ერთი გვერდითი შტო ჩრდილოეთით ცხენისწყლის მარჯვენა ნაპირის მჭიდროდ დასახლებულ ჭალებს მიუყვებოდა შუაქალაქიდან ხუნწისაკენ, რასაც ადასტურებს არქეოლოგიური მასალა და ტოპონიმები. მდ. ნოღელას მთელ სიგრძეზე მიუყვება საინტერესო კულტურული ფენის შემცველი ხაზი, მახათიდან ვიდრე ნაგვაზავო-ხუნწამდე. მისი სიგანე დაახლ. 200-300 მეტრია. ადგილობრივი მოსახლეობა ამ ხაზს ნარონას „ნადგომს“ უწოდებს. ეს ხაზი ცნობილია აგრეთვე ჯვეში შარას „ძველი გზის“ სახელითაც[78]. აბაშა-სამიქაო-ონოდია-ნაჯახავო-ლეხაინდრავო-ნაგვაზავოს გავლით ეს გზა

---

[74] **თ. ბერაძე,** ლეჩხუმის ისტორიული გეოგრაფიიდან. „მაცნე“, არქეოლოგიის, ისტორიისა და ეთნოგრაფიის სერია, №3, თბ., 1976: 65.

[75] **გ. მამარდაშვილი,** ლეჩხუმის სამხედრო-პოლიტიკური ისტორიიდან, თბ., 2006: 20.

[76] **ი. მეუნარგია,** სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი და დავით დადიანი, 1939: 107.

[77] იქვე: 106-107.

[78] **გ. ელიავა,** აბაშისა და ტეხურის ხეობების..., 34.

გორდს ქვემოთ, ბუმბუას ხიდზე გადადიოდა და ხონისკენ მიემართებოდა. გზის მარცხენა შტო ჭყონდიდში ჩადიოდა, აქედან კი ჯოდო-არქეოპოლისის გავლით კლისურისკენ მიემართებოდა. ეს ძველი გზაც „ჯვეში შარას“ სახელითაა ცნობილი[79]. აღსანიშნავია, რომ ნარონას ხაზზე, სოფ. ლეხაინდრავოში, „გოგიაშ ნაოხვამუს“ ტერიტორიაზე მიკვლეულია ანტიკური ხანის ნასახლარები, ხოლო ვედიდკარის თემის სოფელ მახათში, ადგილ „ნა(ო)ჭკადურზე“ აღმოჩნდა ენეოლითური კულტურის ნაშთები[80].

---

[79] იქვე: 35-36.

[80] **გ. ელიავა,** ჭყონდიდი-მარტვილი, 51-62; მისივე, აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმიკა, 66-67; **მისივე,** აბაშისა და ტეხურის ხეობების ისტორიული ღირსშესანიშნაობანი, 30.

თავი მეორე
ბანძის ისტორიულ სანახებში

ბანძასა და მის შემოგარენში, აბაშა-ტეხურის ხეობებზე გამავალი მნიშვნელოვანი სავაჭრო-სატრანზიტო თუ სამხედრო დანიშნულების გზები თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის აუცილებელს ხდიდა ხეობებში საეკლესიო თუ საფორტიფიკაციო ნაგებობების მშენებლობის საჭიროებას. სასიმაგრო ნაგებობების აგება საჭირო იყო საზღვრების, გზებისა და მდინარის ხეობის ჩასაკეტად. ციხე-სიმაგრე წარმოადგენდა სამხედრო დანიშნულების მქონე გამაგრებულ პუნქტს, რაც საალყო პირობებში ხანგრძლივი ბრძოლისათვის ყოველმხრივ უზრუნველყოფილი და მუდმივი გარნიზონით იყო დაცული. შემორჩენილი ციხე-სიმაგრეების ერთი ნაწილი ჯერ კიდევ ანტიკურ და ადრეული ფეოდალიზმის ხანაშია აშენებული. გვხვდება მომდევნო პერიოდის საფორტიფიკაციო ნაგებობათა ნაშთებიც. სიმაგრეთა რამდენიმე სახეს განარჩევენ: სახელმწიფო დანიშნულების ციხეები, ადგილობრივ ფეოდალთა ციხე-დარბაზები, ციხე-გალავნები, ცალკე მდგარი კოშკები, ეკლესია-მონასტერთა გალავნები... ვახუშტი თავის ნაშრომში ჩამოთვლის და რუკებზე აღნიშნავს აბაშა-ტეხურის ხეობებში მდებარე რამდენიმე პუნქტს. კერძოდ, ციხეს ბანძაში, ციხეს სასახლითურთ სახარიაში, ნაქალაქევსა და შხეფში. ზოგი ისტორიული ძეგლის შესახებ საინტერესო ცნობებს იძლევა არქეოლოგიური მასალა და სხვა ისტორიული წყაროები.

1. სეფიეთი

ბანძის სამხრეთით, 12 კმ-ის დაშორებით, მდ. აბაშის მარცხენა ნაპირზე გაშლილია **სოფელი სეფიეთი**. 1989 წელს სეფიეთის მთავარანგელოზის ეკლესიის ირგვლივ ნოქალაქევის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ წარმოებული გათხრებით გამოვლინდა კირქვის დამუშავებული ფილის ფრაგმენტი, ბერძნული ასომთავრული წარწერის ნაწილით. 3-სტრიქონიან წარწერას თ. ყაუხჩიშ-

ვილი ასე კითხულობს: „სალოცველად მონისა კლიმენტისა[1] და ყოველთა ნათესავთა მისთა“[2]. იგი დათარიღებულია VI-VII სს-ით[3]. წარწერაში მოხსენიებული პირის ვინაობა დაუდგენელია, თუმცა ერთი რამ, როგორც თ. ყაუხჩიშვილი შენიშნავს, უდავოა: მას გარკვეული წვლილი მიუძღვის სეფიეთის რომელიღაც ძეგლის მიმართ, რის გამოც საკუთარ თავს უფლება მისცა, რომ ეს წარწერაში აღენიშნა[4]. იმავე სეფიეთის ტაძარში, შიგნით, თახჩაში ჩაშენებული წმ. სტეფანესა და ფილოქტისტეს მომხსენებელი ბერძნული ნაქანდაკევი წარწერა VI-VII სს-ით თარიღდება და ასეთი შინაარსისაა: „წმიდაო სტეფანე, ყოველთა წმიდათა თანა მეოხეყავ მონასა შენსა ფილოქტისტეს და ყოველთა ნათესავთა მისთა“[5]. სეფიეთის ბერძნული წარწერების თანადროულია თვითონ სამნავიანი ბაზილიკაც, მაგრამ მრავალგზის გადაკეთების შემდეგ დაკარგული აქვს თავდაპირველი სახე[6]. „სეფიეთის ბაზილიკაში ოთხი წარწერიანი ქვაა, – წერს თ. კაპანაძე, – ორი მათგანი ასომთავრულითაა შესრულებული, ორიც ბერძნულით. ასომთავრული წარწერები არაუადრეს XV საუკუნისაა, ბერძნულები კი VI-VII სს-ით თარიღდება. ყველა ეს წარწერიანი ქვა ეკლესიის შემდეგდროინდელი გადაკეთებების დროს სამშენებლო მასალადაა ნახმარი“[7]. მკვლევრის დაკვირვებით, სეფიეთის ბაზილიკა ადრეული პერიოდის ძეგლია. ეკლესიის შვეული, წრიული აფსიდა, ერთნაწილიანი საკურთხეველი, ბურჯების კვადრატული გეგმა, პროპორციები,

---

[1] სახელი პირობითად არის აღდგენილი.

[2] **თ. ყაუხჩიშვილი,** ნოქალაქევის ექსპედიციის მიერ მოპოვებული ბერძნული წარწერები. „ნოქალაქევი-არქეოპოლისი“, III, თბ., 1993: 273-276.

[3] იქვე: 276.

[4] იქვე.

[5] **თ. ყაუხჩიშვილი,** ბერძნული წარწერები საქართველოში, თბ., 1951: 90.

[6] სეფიეთის შესახებ ვრცლად იხ. **ე. თაყაიშვილი,** არხეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში. კრ. „ძველი საქართველო“. ტ. III, ტფ., 1913-1914; **გ. ელიავა,** აბაშისა და ტეხურის ხეობების ისტორიული ღირსშესანიშნაობანი, თბ., 1971: 26-29; **მისივე,** აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმიკა, თბ., 1977: 9-14; **ი. კეკელია,** სეფიეთის ტოპონიმია, ქუთ., 2011; **მისივე,** სეფიეთის წარსულისათვის (ზოგადი ისტორიული და ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა). მარტვილის მუნიციპალიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი. პროფესორ სერგი მაკალათიას დაბადებიდან 120 წლისთავისადმი მიძღვნილი V რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია, სამუშაო პროგრამა და მასალები. 7-8 დეკემბერი, ქუთ., 2013: 36-41.

[7] იხ. **თ. კაპანაძე,** სეფიეთის ეკლესია. „ძეგლის მეგობარი“, №4, 1999: 27.

წყობის თავისებურება, კარ-ფანჯრის სწორწირთხლიანობა, დასავლეთის კარის ღია ლუნეტი, მორთულობის ზოგადი ხასიათი, ჯვაროვანი კამარების გამოყენება და სხვ., მას V-VI საუკუნეების ძეგლებთან აახლოვებს. დასავლეთ საქართველოს ბაზილიკების უმრავლესობაც ამ პერიოდშია აშენებული[8]. საინტერესოა აქ ნაპოვნი ჯვრებითა და მზის გამოსახულებით შემკული სვეტისთავი (კაპიტელი), რაც სეფიეთის ტერიტორიაზე არსებულ ძველ ნაგებობას უნდა ეკუთვნოდეს[9].

სეფიეთის წმ. მთავარანგელოზთა სამნავიანი ბაზილიკა

[8] იქვე: 28; **პ. ზაქარაია,** ნოქალაქევში 1983-1988 წლებში ჩატარებული სამუშაოების საერთო ანგარიში. კრ. „ნოქალაქევი-არქეოპოლისი“, III, 1993: 66.
[9] დაცულია მარტვილის გივი ელიავას სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

სეფიეთის ეკლესია. ხედი ჩრდილო-დასავლეთიდან

პ. ზაქარაიას მოსაზრებით, სეფიეთის ეკლესიის ახლოს იდგა რომელიღაც დიდი, კაპიტალური შენობა. ეკლესიის სამხრეთის ნავის მეორე სართულზე თაღის იატაკად გამოყენებული ბერძნულწარწერიანი ქვის ზომები და მისი რელიეფით შემკობა იმაზე მიუთითებს, რომ იგი სხვა შენობისაა, რომელიც შემდეგ ეკლესიაში გამოუყენებიათ. ეს აზრი შეიძლება განამტკიცოს კაპიტელმა, რომელიც თავისი მასშტაბით ამ ადგილას ადრე დიდი და კაპიტალური ნაგებობის არსებობაზე მიგვითითებს. არ არის გამორიცხული, რომ ეს ეკლესია თავდაპირველად რომელიღაც ანსამბლის ნაწილი ყოფილიყო[10]. იმავე დროის ორი სხვა წარწერიანი ქვაც მესამედ თუ მეოთხედ გამოუყენებიათ. თავდაპირველად ეს ორი უზარმაზარი ქვა (ზომები: 175+91 სმ; 175+80 სმ) რომელიღაც დიდ შენობაზე გვერდიგვერდ უნდა მდგარიყო, ხოლო შენობის დანგრევის შემდეგ ისევ სხვა დიდი შენობის კარების ზღურბლებად გამოუყენებიათ, რაზეც მეტყველებს კარების ქუსლებისათვის ფოსოების ამოკვეთა. ეს შენობაც დანგრეულა და ქვები კიდევ სხვა შენობის ფასადებზე მოუთავსებიათ, ასომთავრული წარწერის ამოსაკვეთად. ამ შენობასაც ვერ გაუძლია დიდხანს და ეკლესიისთვის დასავლეთის კარიბჭის მიშენებისას და, საერთოდ, ეკლესიის აღდგენისას, ერთი ქვა კარიბჭის ჩრდილოეთ ფასადზე გა-

---

[10] **პ. ზაქარაია,** ნოქალაქევში 1983-1988 წლებში ჩატარებული სამუშაოების საერთო ანგარიში. კრ. „ნოქალაქევი-არქეოპოლისი“, III, 1993: 64.

ნუთავსებიათ, ხოლო მეორე ცენტრალური ნავის ქვის იატაკში ჩაურთავთ[11].

ფასადზე არსებული ძლიერ დაზიანებული წარწერა ვ. სილოგავას მიერ ასეთი სახითაა წაკითხული: „მე დიდმან მსახურთუხუცესმან... შვილმან პეტრე... უხუცესმან... პატრონმა... უნდილმან, და ცოდვილმან პავლემან... ჩვენ ორი“. თვით წარწერას მკვლევარი XV ს-ით ათარიღებდა. თუმცა, როგორც პ. ზაქარაია შენიშნავს, ესაა

[11] იქვე: 64.

ქვის მესამედ გამოყენება და, ამდენად, ეს თარიღი არაფერს ამ-ბობს იმაზე, თუ ეს ქვები პირველად როდის გამოითალა და რო-მელ შენობაზე იქნა გამოყენებული[12]. დასავლეთის ფასადზე სა-შენ მასალად გამოყენებულია თავდაპირველი ეკლესიის ჯვრის-გამოსახულებიანი ანტეფიქსი, რაც ადრეული ეპოქისთვისაა და-მახასიათებელი[13].

ეკლესიის აგება თავისთავად დაკავშირებულია ამ სოფელში გზის არსებობასთან. სეფიეთის ეკლესიასთან გამავალი გზა კი რიონისპირეთიდან მოუყვებოდა აბაშის ხეობას და ჩრდილოეთით სწორედ ბანძის მიმართულებით გადიოდა. იოჰან ანტონ გიულ-დენშტედტი სამეგრელოში მდებარე (ვ)აბაშის მხარის სოფლებს შორის ასახელებს საპატეის, რაც, სავარაუდოდ, სწორედ სეფიე-თი უნდა იყოს[14].

2. ვედიდკარისა და მახათის ციხეები

სოფელი ვედიდკარი მდებარეობს ბანძის სამხრეთით, მდ. აბაშის მარცხენა მხარეს, ზ. დ. 80 მ-ზე. მარტვილს დაშორებულია 15 კმ-ით, ხოლო ბანძას - 3 კმ-ით. ეურიდიეში, გზისპირას შემორჩე-ნილია ციხის უმნიშვნელო ნაშთი. მას უწინ ირგვლივ წყლით სავ-სე არხი ჰქონია შემოვლებული. ამ ადგილს ადგილობრივი მოსახ-ლეობა **ნოჯ(ი)ხენს** „ნაციხარს“ უწოდებს. პარალელური სახელ-წოდებაა **ჭიოკაშ ჯიხა.** ასეთივე ნაციხარი ამავე სახელწოდებით შემორჩენილია ვედიდკარის თემის სოფელ მახათში, ნაოჭკადუ-რის დასავლეთით. ამ ციხის თუ ნაციხარის პარალელურ სახელ-წოდებად გ. ელიავა მიუთითებს **ჭიას ციხეს**[15]. აქაც ციხე შემაღლე-ბაზე მდგარა და გარს უვლიდა წყლით სავსე თხრილი.

ნაციხართა პირველი აღწერილობა მოცემულია გ. ელიავას გამოკვლევებში. მახათის გაშლილი ველი უწინ უღრანი ტყით ყო-ფილა დაბურული. მხოლოდ ორ ადგილას, ერთმანეთისგან 2 კმ-ის

---

[12] იქვე: 65.
[13] იქვე.
[14] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, I, თბ., 1962: 323; მსჯელობისათვის იხ. **ი. კეკელია,** სეფიეთის ტოპონიმია, ქუთ., 2011: 9-10.
[15] **გ. ელიავა,** აბაშისა და ტეხურის ხეობების..., 30.

დაშორებით იდგა ციხეები, რომლებშიც ერთი კარით და ასაწევი ხიდით შედიოდნენ. ერთ-ერთი ციხე-კოშკის მებატონე ადგილობრივი დიდკაცი ყოფილა, ჭის გვარისა[16]. 1977 წელს გამოცემულ ნაშრომში მკვლევარი იმოწმებს მარო კეკელიას გადმოცემას: ეს ციხეები სჭერია ორ მოძმე გვარს – ჭიას და ჭოიკას, რომლებსაც ერთმანეთი შინაომებში ამოუხოცავთ. ციხეები დანგრეულა, რომელთა ნაშთებიც დღემდეა მოღწეული. ნაოჭკადურის ციხის (სოფ. მახათში) საფუძველში აღმოჩენილია მეტად საინტერესო არქეოლოგიური მასალა. ეს ადგილი **ჭიითის** სახელითაც არის ცნობილი. როგორც ჩანს, ნაციხარის ზვინული ხელოვნური მიწაყრილი ყოფილა. მიწაყრილში ნაპოვნია ენეოლითის ხანის ადამიანის შრომის იარაღები, სამკაულები და სარიტუალო ნივთები[17]. ენეოლითური ადამიანის ნასახლარზე მოგვიანებით ციხე აუგიათ.

სოფელ ვედიდკარში, აბაშის მარცხენა ნაპირთან ახლოს, ისტორიკოსი დ. ჭითანავა ასახელებს ადგილს „ნოჯიხევის“ სახელწოდებით და აღნიშნავს, რომ აქ შემორჩენილია რიყის ქვის კედლის ნაშთები. ადგილი დაფარულია ეკალ-ბარდებით. ციხის გეგმის წაკითხვა თითქმის შეუძლებელია. სახელწოდება მიუთითებს, რომ აქ ოდესღაც იდგა ციხე-სიმაგრე. ადგილობრივების გადმოცემით, აქ მდგარა დაახლოებით 10 მ სიმაღლის წრიული შენობა, აგებული ფლეთილი კირქვით, კირის დუღაბზე. ციხის ნაშთიდან 20 მეტრში, წრეზე, ირგვლივ, კიდევ ყოფილა მეორე წრე, მიწაყრილით და გალავნით. ეს ნაგებობა 1965 წლამდე ყოფილა შემორჩენილი, შემდეგ კი დაუშლიათ. მკვლევარი ვარაუდობს, რომ ეს უნდა ყოფილიყო ვახუშტის მიერ მდ. აბაშასთან მოხსენიებული ციხე „სახარია“ და დადიანთა სასახლე. აქ, მცირე მონაკვეთზე დღესაც შემორჩენილია დაახლ. 2 მ სიმაღლის კედლის ნაშთები. მკვლევარი არც იმას გამორიცხავს, რომ აქ შესაძლოა ყოფილიყო აგათია სქოლასტიკოსის მიერ მოხსენიებული ონოგურისის ციხე[18].

სამწუხაროდ, დ. ჭითანავას ნაშრომიდან არ ჩანს, ციხის აღ-

---

[16] **გ. ელიავა,** ჭყონდიდი-მარტვილი, 51-52.

[17] **გ. ელიავა,** აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმიკა, 67.

[18] **დ. ჭითანავა,** ეკლესიები და თავდაცვითი ნაგებობანი სამეგრელოში (უძველესი დროიდან დღემდე), თბ., 2010: 208.

წერილობაში ეურიდიეს ტერიტორიაზე მდგარი ნაციხარი იგულისხმება თუ ვედიდკარის ტერიტორიაზე სადმე კიდევ იდგა ციხე-სიმაგრე! ბანძის ციხეზე მსჯელობისას მკვლევარი დასძენს, რომ ვახუშტის მიერ მოხსენიებული „ბანძა და ციხე კეთილნაშენი“ უნდა ყოფილიყო მუხურჩაში ფიქსირებული ციხე და არა „სახარია“. დ. ჭითანავას მაინც ეჭვი ეპარება „ციხე კეთილნაშენის“ მუხურჩის ტერიტორიაზე არსებობაში. იგი იმოწმებს გ. ელიავას შემდეგ ცნობას: ბანძის ველზე ყოფილა ორგალავნიანი ციხე-დარბაზის ნანგრევები. მეორე გალავანზე, ჩრდილოეთით, მდგარა წვერწაკვეთილი პირამიდის მსგავსი კოშკი, რომლის მხოლოდ პირველი სართულის ნანგრევებიღაა დარჩენილი. ასევე შემორჩენილია სამხრეთით მდგარი კოშკის მცირე ნაშთი. გალავანს შორის სივრცე 3 მ-ს აღემატება. კოშკის ეზოში, შიდა გალავნის გარეთ, წყარო ყოფილა. გ. ელიავას ვარაუდით, იგი იყო ვახუშტის მიერ მოხსენიებული ბანძის „კეთილნაშენი ციხე“[19].

„ციხე კეთილნაშენის“ შესახებ გ. ელიავას აღწერილობის დ. ჭითანავასეული ინტერპრეტაცია მცდარია. გ. ელიავას თქმით სახელწოდება „ბანძას“ უძველესი დროიდან ატარებდა მხოლოდ ბანძის ველი, ადგილი ციხის ირგვლივ. არქეოლოგიური თვალსაზრისით საინტერესოა ბანძის ველზე მდგარი ორგალავნიანი ციხე-დარბაზის ნანგრევები[20]. დ. ჭითანავას ვეთანხმებით იმაში, რომ „ციხე კეთილნაშენად“ მიჩნეული ნაციხარის ადგილმდებარეობის გ. ელიავასეული ლოკალიზაცია, მითითებული შრომის საფუძველზე, მთლად ნათელი არ არის, მაგრამ საქმე ისაა, რომ 1971 წელს გამოცემულ მცირე ზომის ნაშრომში გ. ელიავა, ბანძის ისტორიული სიძველეების აღწერისას ციხის ნანგრევებს მიუთითებს ბანძის ჩრდილოეთით, მდ. აბაშის ვრცელ ჭალაზე, ფართო მინდორზე, ნოჯიხენთან. ციხის იქით, მდ. აბაშის გადასახედამდე არის ველი, რაც მოფენილია მდიდარი არქეოლოგიური მასალით. აქ, ახალ ნახნავზე აიკრიფა რუსუდანის მონეტები, მოზაიკურ ჭურჭელთა ფრაგმენტები და სხვ. ეტყობა, იგი ვახუშტის მიერ მი-

[19] იქვე: 213; **გ. ელიავა,** აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმიკა, 84-85.
[20] **გ. ელიავა,** აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმიკა, 84-85.

თითებული „ციხე კეთილნაშენი“ ოყოო, – დასძენს მკვლევარი[21]. „ნაჯახაოს სასოფლო საბჭოს“ ტოპონიმთა ნუსხაში დასახელებულ „ჯიხასაც“ გ. ელიავა მიუთითებს ვრცელ მინდორზე, ნოჯიხევის გასწვრივ[22]. ნაჯახაო სწორედ სოფ. ნოჯიხევის სამხრეთით მდებარეობს. მაშასადამე, გ. ელიავას ეჭვი არ ეპარება იმაში, რომ ვახუშტის მიერ მოხსენიებული „ბანძა და ციხე კეთილნაშენი“ სწორედ ის ციხეა, რაც ბანძის ჩრდილოეთით, მდ. აბაშის მარცხენა ნაპირას, ნოჯიხენის ველზე დგას.

3. ბანძის „ციხე კეთილნაშენი“

ბანძის ჩრდილოეთით, ნოჯიხენის ველზე, მდ. აბაშის მარცხენა ნაპირას, ნოქალაქევის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ გასული საუკუნის 70-80-იან წლებში მიკვლეული და არქეოლოგიურად შესწავლილია ადრეფეოდალური ხანის რეზიდენცია და გვიანი შუა საუკუნეების ციხე-დარბაზი. სპეციალისტთა დაკვირვებით, ამ ტერიტორიაზე ცხოვრება მეტ-ნაკლები ინტენსივობით თითქმის 1500 წლის მანძილზე მიმდინარეობდა.



ნოჯიხენის ეკლესიის რეკონსტრუქცია (გეგმა)

[21] **გ. ელიავა,** ჭყონდიდ-მარტვილი უძველესი ქართული საგანმანათლებლო კერა, 1969: 25.
[22] **გ. ელიავა,** აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმიკა, 79-80.

აღნიშნული ძეგლის შესწავლით აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნაქალაქევის არქეოლოგიური ექსპედიცია 1976 წელს დაინტერესდა, ანუ მას შემდეგ, რაც აქ შემთხვევით იქნა აღმოჩენილი კერამიკული ნივთები[23]. 1977 წელს ექსპედიციამ აბაშის ჭალაში, ვაკეზე, გათხრებით გამოავლინა აბანოს ნაშთები. ზოგადი მონაცემებით იგი ნაქალაქევის აბანოებთან ჰპოვებს საერთოს და მათთან ერთად ეგრისის სამეფოს აღმავლობის პირველი პერიოდით უნდა დათარიღდეს. იქვე ახლოს, აბანოს სამხრეთ-დასავლეთით, ოციოდე მეტრზე, მცირე ბორცვის გაწმენდით გამოვლინდა შენობა, ერთმანეთზე მიდგმული ოთხი ნახევარწრით, რაც ტეტრაკონქის ტიპის ეკლესიის ნაშთი აღმოჩნდა. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ეგრისის სამეფოს ძლიერების ხანაში აქ, აბაშის მარცხენა ნაპირიდან 300 მ-ის დაშორებით დასახლებულა მცირე შესაძლებლობის მქონე ფეოდალი. მის საცხოვრებელ კომპლექსში, ეკლესიისა და აბანოს გარდა, უთუოდ იქნებოდა სასახლე და მასთან დაკავშირებული საცხოვრებელი თუ სამეურნეო დანიშნულების ნაგებობებიც, მაგრამ მათ ჩვენამდე ვერ მოუღწევია[24]. ეკლესიის მცირე ზომები შეიძლება მისი ადრეულ ეტაპზე წარმოშობის შედეგი იყოს. მაშასადამე, ამ ძეგლის აგების დროდ, ეკლესიის სტილისტიკური თავისებურებების გათვალისწინებით, შეიძლება მივიჩნიოთ საქართველოში ტეტრაკონქური გუმბათოვანი არქიტექტურის გაჩენისა და განვითარების პირველი ეტაპი. ესაა V ს-ის ბოლო მესამედი და VI ს-ის პირველი მესამედი[25]. აბანოდან აღებული ნახშირის ოთხი ნიმუშის საფუძველზე C_{14}-ის ანალიზით დადგინდა მისი დანგრევის დროც – IX ს-ის შუა ხანებიდან X ს-ის თითქმის ბოლომდე[26].

რვაფსიდიანი ეკლესია კაპიტალურად ნაგები საინტერესო ძეგლია, რასაც თავზე ედგა მცირე ზომის, ყოვლად უსახო დარბა-

---

[23] აბაშის ჭალაში მუშაობისას ტრაქტორისტი შეეხო ერთმეტრიან ბორცვს, საიდანაც ამოცვივდა კერამიკული მილები.

[24] **პ. ზაქარაია,** ნოქალაქევში 1973-1977 წლებში ჩატარებული სამუშაოების საერთო ანგარიში. კრ. „ნოქალაქევი-არქეოპოლისი“, I, არქეოლოგიური გათხრები, 1973-1977. თბ., 1981: 108-110; **თ. კაპანაძე,** ნოჯიხევის ტეტრაკონქი. იქვე, 220-221.

[25] **პ. ზაქარაია,** დასახელებული ნაშრომი, 109; თ. კაპანაძე, დასახელებული ნაშრომი, 223-224.

[26] **პ. ზაქარაია,** დასახელებული ნაშრომი, 110.

ზული ეკლესია.

რვააფსიდიანი ტაძრის დეტალი

რვააფსიდიანი ტაძარი არქიტექტურულ-მხატვრული ანალიზის საფუძველზე X-XI სს-თა მიჯნითაა დათარიღებული[27]. „ნოჯიხევის რვააფსიდიანი ტაძრის წარწერის სახით საქმე უნდა გვქონოდა X ს-ის დასასრულის ერთ-ერთ ღირსშესანიშნავ და მრავალმხრივ გამორჩეულ წერილობით ძეგლთან, რომლისგანაც, სამწუხაროდ, მხოლოდ ნამუსრევი შემოგვრჩა“[28].

რვააფსიდიანი ტაძრის ორთოფოტო

[27] ვრცლად იხ. **თ. კაპანაძე,** ნოჯიხევის რვააფსიდიანი ეკლესია, 225-235; **პ.ზაქარაია, თ. კაპანაძე,** ციხეგოჯი-არქეოპოლისი-ნოქალაქევი. ხუროთმოძღვრება. თბ., 1991: 241-254.
[28] **ვ. სილოგავა,** დასახელებული ნაშრომი, 265.

რვააფსიდიანი ტაძრის ნაშთი. ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან. ბანძა-ნოჯიხენი

ბანძის ციხე-დარბაზის სამხრეთ-დასავლეთით, ორიოდე კილომეტრზე, ნაჯახავოს საზღვარზე, გზატკეცილიდან ორმოცდაათიოდე მეტრის დაშორებით, 1978-1980 წლებში ნაქალაქევის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ მცირე შემაღლების („ჯიხას“) გათხრებით ეკლესიის ნაშთი გამოავლინა. შემორჩენილია ერთ მეტრამდე სიმაღლის კედლები. სპეციალისტები ამ ძეგლს ე. წ. გუმბათოვან დარბაზთა ტიპს მიაკუთვნებენ, რომელსაც Kuppel-halle-ს უწოდებენ. ეს ეკლესიაც, მისგან 2 კმ-ის დაშორებით მდგარ რვააფსიდიან ტაძართან ერთად, შემოსეულ მტერს გადაუწვავს და პირწმინდად დაუნგრევია XIII-XIV საუკუნეებში, რაზეც მიუთითებს ნაცრიანნახშირიან ფენაში ნაპოვნი ვერცხლის მონეტები. გუმბათოვანი დარბაზის ტიპის ამ ეკლესიის აგების შესახებ არაფერია ცნობილი. ვარაუდობენ, რომ საერთო მონაცემებით იგი VIII-IX საუკუნეებში, ან X-XI საუკუნეთა მიჯნაზეა აშენებული[29].

---

[29] ძეგლის შესახებ ვრცლად იხ. **პ. ზაქარაია, ნ. ლომოური, ვ. ლექვინაძე, გ. გვინჩიძე,** ციხე-გოჯი-ნოქალაქევი, თბ., 1984: 61-62; **თ. კაპანაძე,** ნაჯახავოს „გუმბათოვანი დარბაზის“ ტიპის ეკლესია. „ძეგლის მეგობარი“, №76, 1987: 50; **პ. ზაქარაია, თ. კაპანაძე,** ციხე-გოჯი-არქეოპოლისი-ნოქალაქევი. ხუროთმოძღვრება. თბ., 1991: 235-260; **ნ. გენგიური,** კუპელჰალე, თბ.,



რვააფსიდიანი ტაძრის რეკონსტრუქცია, განაკვეთი ჩრდილოეთით (არქიტექტორ რ. გვერდწითელის მიხედვით)



სურ. 47 და 48. მარტვილის ტაძარი. VII ს. გეგმა და სქემატური რეკონსტრუქცია. ანაზომი და ნახატი ნ. სევეროვისა.

მარტვილის ტაძარი. VII ს. გეგმა და სქემატური რეკონსტრუქცია. ანაზომი და ნახატი ნ. სევეროვისა

2005.

სოფელში ამ ძეგლების აღმოჩენა იმ ფაქტის თვალსაჩინო დადასტურებაა, რომ ფეოდალურ ხანაში, კერძოდ, V-XVIII საუკუნეებში, სწორედ **აქ გადიოდა ერთ-ერთი საგზაო არტერია ჭყონდიდისაკენ.**

4. ლეხაინდრე

ლეხაინდრე//ლეხაინდრავო მდებარეობს ბანძის აღმოსავლეთით, ნოღელა-ცხენისწყლის ხეობებში, ზ. დ. 114 მ. თემში სამი სოფელი შედის – ლეხაინდრავო, ნოჯიხევი (ნოჯიხენი) და სტეფასდაბალი. რუსეთის იმპერიის მიერ 1886 წელს ჩატარებული საკომლო აღწერის ცნობარზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ლეხაინდრავო-ონოღიის სოფლის საზოგადოება ერთ-ერთი მოზრდილი დასახლება იყო ნოქალაქევის საპოლიციო უბანში, სადაც შედიოდა ოთხი სოფელი – ლეხაინდრავო, ნაგიბეროვო, ნაჯახოვო და ონოღია (696 კომლი, 4669 სული). არქანჯელო ლამბერტი რუკაზე, ცხენისწყლის ნაპირას, აღნიშნავს პუნქტს **ლეხორის** ფორმით. მკვლევარი შალვა ჯღარკავა მიიჩნევდა, რომ „ლეხორი დღევანდელი ლეხაინდრაოა“[30]. ვახუშტის მიერ შედგენილ რუკაზე, ცხენისწყლის პირას აღნიშნულია პუნქტი **ლეხაინა.** ვახუშტისეული ლეხაინა ფორმითაც და რუკაზე მოცემული ადგილმდებარეობითაც დღევანდელ ლეხაინდრეს შეესაბამება[31]. სენაკის მაზრის უფროსი კ. ბოროზდინი წერს: „ცხენისწყლის პირას მდებარე, ფაღავების საყმო, სოფლები – ლეხაინდრო და ნაგვაზუ ადამიანს გააოცებდა. აქ არაფერსა სთესდნენ: არც პურს, არც სიმინდს და სოფლელებს კი არაფერი აკლდათ“[32].

ხაინდრავების მიერ 1770 წელს ხონის მთავარეპისკოპოს მაქსიმესადმი მიცემულ „პირობის წიგნში“ დასტურდება „მოწმე სულ

---

[30] **შ. ჯღარკავა,** სალიპარტიანო. ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომის ხელნაბეჭდი, თბ., 1970: 230.

[31] **ი. კეკელია,** ძიებანი მარტვილის მუნიციპალიტეტის ოიკონიმიიდან. ჟურნ. „კულტურათაშორისი კომუნიკაციები“, N12, 2010: 73.

[32] **კ. ბოროზდინი,** სამეგრელო და სვანეთი, 1854-1861. მოგონებანი, თარგმნილი თ. სახოკიას მიერ. ტფ., 1934: 250.

ერთობით სახაინდრაო“[33].

5. ნაგვაზუ

ნაგვაზუ საინტერესო ისტორიული წარსულის მქონე სოფელია. თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის მიხედვით მარტვილის მუნიციპალიტეტში შედის და მოიცავს ტერიტორიას მდინარეებს – აბაშასა და ცხენიწყალს შუა. ტერიტორია ვრცელდება ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ.

არქეოლოგიური აღმოჩენებით ადამიანის ცხოვრებისათვის თვალის მიდევნება ამ სოფელში შესაძლებელია ახალი ქვის (ნეოლითი) ხანიდან. მიწის სამუშაოების დროს სოფლის ტერიტორიაზე ნაპოვნია რიყის მოგრძო ფორმის ქვა და კაჟის დაახლოებით 20 სმ სიგრძის, კარგად გახეხილ-გაპრიალებული ნივთი. ამათგან ერთი დაკარგულია, მეორე კი მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახება[34]. ნეოლითური ხანის ნასახლარს წარმოადგენს **ნანდუს** 7 მ სიგანისა და 2 მ სიმაღლის ზეგანი, რაც 500 მ-ის სიგრძეზე ვრცელდება. ზეგანს ფართო არხი მიუყვება. მარტვილის მუზეუმის ექსპედიციამ აქ აღმოაჩინა ცულები, სატევრები, ისრის წვერები, კაჟის დანები, სასრესი ქვები, კერამიკული ჭურჭლის ფრაგმენტები და ა. შ.[35]

1980 წელს ნოსირი-მუხურის არქეოლოგიურმა ექპედიციამ ნაგვაზუში მიაკვლია ანტიკური ხანის მძივების განძს, რომელიც ინახება აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში[36].

ნაგვაზუ ჭყონდიდ-მარტვილის სამხრეთით მდებარეობს. ამ სოფელში გადიოდა ბანძა-არქეოპოლისის, პეტრა-ჭყონდიდისა და

---

[33] **ს. კაკაბაძე,** დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, II, ტფ., 1921: 175; ლეხაინდრავოს შესახებ იხ. **გ. ელიავა,** აბაშისა და ტეხურის ხეობების ისტორიული ღირსშესანიშნაობანი, 1971, 34-37; **მისივე,** აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმიკა, 74-79; **ი. კეკელია,** მარტვილის რაიონის ოიკონიმია, 65-68.

[34] **გ. ელიავა,** ჭყონდიდი-მარტვილი, 1962: 62-63.

[35] **გ. ელიავა,** აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმიკა, 1977: 109.

[36] **ე. გოგაძე,** კოლხეთის ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანის ნამოსახლართა კულტურა, 1982: 39.

არგუეთ-კლისორის გზები. სოფელში ჩაწერილია დრომონიმი **სალეჩხუმო შარა//საეჩხომო შარა.** ეს გზა გამოივლიდა ჯოდო-აბედათს, ნოჯიხენს, ნაგვაზუს და ხუნწი-ხიდი-გორდის გავლით ლეჩხუმისკენ მიემართებოდა. ხუნწთან, ცხენისწყალზე არსებული ბორნით სოფელი დაკავშირებული იყო ქალაქ ხონთან, რომელიც ფეოდალურ ხანაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან სავაჭრო პუნქტს წარმოადგენდა. ეს გზა ტოპონიმიაში **ხონიში შარას** (ხონის გზა) სახელითაა ცნობილი[37]. გზის ერთი შტო სამხრეთიდან მოემართებოდა. გ. ელიავას თქმით, „ეს გზაც მონიშნულია **ჯვეში შარას** ანუ **მარტვილიში შარას** სახელწოდებით. იგი გაივლის აბაშას, სამიქაოს, ონოღიას, ნაჯახაოს, ლეხაინდრაოს, ნაგვაზაოს და მარტვილში ჩადის. ყველგან ეს გზა აღინიშნება ძველი გზის სახელწოდებით. იგი უძველესი დროიდან მომდინარე მაგისტრალია, რომელსაც სუჯუნაში, ანდა ადრე შუაქალაქში (აბაშის მუნიციპალიტეტში – ი. კ.) უკიდურესი პუნქტი ჰქონდა“[38].

სოფლის სახელწოდება **ნა-უ** ცირკუმფიქსითაა ნაწარმოები, რომლის ფუძეს **გვაზ-** წარმოადგენს. ამ და სოფლის მსგავს სახელწოდებათა წარმომავლობის შესახებ აკად. არნოლდ ჩიქობავა წერდა: „**ნა-ლეფს-ო-უ** სადაც ლეფსაიები ცხოვრობდნენ; **ნა-გვაზ-ო-უ**, სადაც გვაზავები მოსახლეობდნენ... შეუძლებელი არაა, ამგვარი წარმოების სოფლის სახელები ისტორიულად იმაზე კი არ მიუთითებდეს, სადაც ამა თუ იმ გვარს წინათ უცხოვრია, არამედ – სადაც ეს გვარი ცხოვრობს, ე. ი. ნა=სა: ნა-გვაზოუ, სა-გვაზუ... თუ ეს ასეა, სოფლის სახელთა ნა- პრეფიქსით წარმოება ძველია“[39]. ამ თვალსაზრისს იზიარებს აკაკი შანიძეც: „ნა- პრეფიქსი ამ შემთხვევაში ქართ. სა-ს ბადალია. ეს **ნა** წარმოშობით სვანურია და თავდაპირველად უნდა ყოფილიყო არა ნა, არამედ **ლე,** რომელიც დანიშნულების პრეფიქსია (უდრის ქართულ სა-ს) და რომელიც დღესაც შემორჩენილია სამეგრელოს რამდენიმე სოფლის სახელში“[40].

---

[37] **გ. ელიავა,** აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმიკა, 1977: 108.

[38] **გ. ელიავა,** აბაშისა და ტეხურის ხეობების ისტორიული ღირსშესანიშნაობანი, 1971: 35-36.

[39] **არნ. ჩიქობავა,** სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942: 196.

[40] **ა. შანიძე,** ნა პრეფიქსის მნიშვნელობისათვის სამეგრელოს გეოგრაფიულ სახელებში.

გ. ელიავას მიაჩნდა, რომ „**ნაგვაზაო** წარმომდგარია გვაზა გვარიდან; ნაგვაზუ სიტყვასიტყვით გვაზავების ნასახლარია. ახლა აქ ოცამდე სხვადასხვა გვარი ცხოვრობს, გვაზავები კი საგრძნობლად მცირერიცხოვანია“[41].

ნა- პრეფიქსით ნაწარმოები ტოპონიმების წარმავლობისა და შინაარსის საკითხს ვრცლად შეეხო პ. ცხადაია, რომელმაც გვარისგან აღნიშნული პრეფიქსით ნაწარმოები (თანმხლები სუფიქსითურთ) მიკროტოპონიმების წარმომავლობისა და სახელდების ისტორიის გათვალისწინებით, არ გაიზიარა მოსაზრება ნა-, ლე- და სა- პრეფიქსების იდენტურობის შესახებ: „ინფორმატორთა ახსნა-განმარტებანი ცხადყოფენ, რომ ნა- თავისი დანიშნულებით არ უდრის და არც ახლო წარსულში უდრიდა სვანურ ლე- და ქართულ სა- აფიქსებს: **სა-გვაზა-ო** არის „გვაზავების საცხოვრებელი ადგილი“, ხოლო **ნა-გვაზ-უ** – „გვაზავების (ან გვაზავას) ნაცხოვრები ადგილი... **ნა-ჯდარკ-უ//ლე-ქურსუ-ე** ტიპის სახელწოდება-ვარიანტებშიც კი ნა- და სა-, ან ნა- და ლე- ფუნქციით ერთმანეთის იდენტურნი არ არიან. ორი განსხვავებული ფორმა ერთი და იმავე ობიექტის სახელწოდებისა, ერთისა და იმავე ფუძისაგან ნაწარმოები, ასახავს სინამდვილის ორ სხვადასხვა მხარეს, ორ განსხვავებულ ისტორიულ ვითარებას“[42].

სოფელში გვაზავებით დასახლებულ ერთ მიკროუბანს, რაც თუდონ ნაგვაზუში (ქვემო ნაგვაზავო), მდ. ნოღელის მარჯვენა მხარეს მდებარეობს, **ეგვაზე** (საგვაზაო) ეწოდება. ამ უბანსა და, საერთოდ, სოფელში, გვაზავები დღესაც ცხოვრობენ (61 კომლი). მაშ, როგორ უნდა ავხსნათ ის ფაქტი, რომ მთლიანად სოფლის სახელწოდებად ფიქსირებული ფორმა **ნაგვაზუ(უ)** „გვაზავების (ან გვაზავას) ნასახლარს“ ნიშნავს? ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრება გამოთქვა პაატა ცხადაიამ, რომლის აზრით, **ნაგვაზ(უ), ნაგვაზოუ** თავდაპირველად მცირე ტერიტორიული შემოსაზღვრულობის მქონე ობიექტის – სახნავის, ტყის, მინდვრის, ბორცვის სახელწოდება უნდა ყოფილიყო, მეტონომიის

„მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, №3, თბ., 1972: 155.

[41] **გ. ელიავა,** აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმიკა, 107.

[42] **პ. ცხადაია,** მთიანი სამეგრელოს ტოპონიმია (ენათმეცნიერული ანალიზი), თბ., 1985:170-171.

გზით კი მთელ სოფელს ამ ადგილის სახელი დაერქვა. „ნა-გვაზ-ოუ „გვაზავას ნაცხოვრები ადგილი“ შემდეგ დასახლებულთა თვალსაზრისს კი არ გამოხატავს, არამედ ახლომახლო მოსახლე იმ კოლექტივის თვალსაზრისს, რომლის თვალწინ მოხდა გვაზავას საცხოვრებელი ადგილის გადაქცევა ნასახლარად“, – წერს პაატა ცხადაია (იქვე). მაშასადამე, ნაგვაზოუს ტიპის სახელი თავდაპირველად დარქმევია მხოლოდ პატარა ადგილს (სახნავს, ტყეს, მინდორს, ბორცვს) და მხოლოდ შემდეგ, დროთა განმავლობაში, გარკვეული მიზეზების გამო, ქცეულა მთელი სოფლის სახელად (იქვე). ამის მსგავსი არაერთი მაგალითი გვხვდება სამეგრელოს ტოპონიმიაში. შდრ. ნა-გიბერ-უ (ნა-გიგიბერ-უ) ან ნა-გებერ-უ მცირე ადგილის (მიკროუბნის) სახელი იყო, სადაც უწინ გიგიბერიას ან გებერავას გვარისკაცს უცხოვრია. შემდეგ კი მცირე ტერიტორიული შემოსაზღვრულობის აღმნიშვნელი სახელი მთელი სოფლის სახელწოდებად ქცეულა. ასეთივე შემთხვევასთან გვაქვს საქმე ოიკონიმებში: ნაესაკუ, ნაჯახუ, ნამკოლუ, ნახარებუ, ნაესუ, ნაჯახუ, და ა. შ.[43].

წერილობით წყაროებსა და ზეპირმეტყველებაში კომონიმის რამდენიმე ფორმაა ცნობილი. XVII საუკუნის I ნახევრით დათარიღებული საბუთით ირკვევა, რომ ნაგვაზუში მამულებს ფლობდა ოდიშის მთავრის უმცროსი შტოს წარმომადგენელი ლიპარტიანი. „ბატონმან დადიანმან ბატონის ლიპარტიანის სულისათვის ხუთი კვამლი კაცი ხატს შესწირა: ამ ადგილს ძველად ლიპარტიანებისაგანა ქონდა ხატსა მიწერილი კაცები და აწ ჩუენ კარგი სასახლე გაგვიკეთებია. ამას გარდა **ნაგვაზაურს** ორი კაცი იყო, მარტო ბეგარა ჩვენი იყო და სხვა სამსახური ლიპარტიანისა ედვა“. „ძველად ლიპარტიანებისაგანა“ გულისხმობს იმას, რომ ამ სოფლის ყმა-მამულებს ოდიშის მთავრის უმცროსი შტოს წარმომადგენლები ბევრად ადრე ფლობდნენ. იმავე საბუთის ადრინდელი მინაწერი გვამცნობს: „ნაგვაზაოს სასახლისათვის ბატონს ლიპარტიანს შევეხვეწეთ და ცარიელი უსახლკარო სასახლე ადგილი მომაქრთამა ორი მოსახლითა... საყდარი ავაშენე“; „აგრეთვე გკადრეთ

[43] მსჯელობისათვის ვრცლად იხ. **ი. კეკელია,** მარტვილის რაიონის ოიკონიმია, 2010: 78-81.

და შემოგწირეთ ჩვენ... სასახლე ნაგვაზაუს...“[44].

„აფხაზეთის საკათოლიკოსო გლეხების დიდ დავთარში“ ფიქსირებულია ტოპონიმი ნაგვაზაურები: „ახლა ბატონმა ლიპარტიანმა და ბატონმა კ’ზმან დავსდევით ნაგვაზაურებს რაც კაცი სახლობს კუამლის თავსა თითოს კაცსა ათათი კოდი ღომი, ექსექსი კოკა ღვინო, ჰდ, რომე ბეგარა ემართა იმას გარეთ ეს სახასო იქნების, ანუ ამისი მოწმე არის...“ სოფლის ყმა-გლეხები ასე დიდი რაოდენობით რომ იყვნენ დაბეგრილნი, მიუთითებს იმაზე, რომ XVI-XVII საუკუნეებში ამ მხარეში კარგად ყოფილა განვითარებული სოფლის მეურნეობა, რასაც ადასტურებს ტოპონიმიკური მასალაც.

სოფელი „ნაგვაზაუს“ ფორმით თავის რუკაზე აღნიშნული აქვს XVIII საუკუნის ქართველ ისტორიკოსს, გეოგრაფსა და საზოგადო მოღვაწეს – ვახუშტი ბაგრატიონს.

მწერალი და საზოგადო მოღვაწე იონა მეუნარგია ოდიშის მთავრის – დავით დადიანის დროინდელი მარტვილის მაზრის სოფლებში **პირველ** და **მეორე ნაგვაზოუს** ასახელებს[45].

რუსეთის იმპერიის მიერ 1886 წელს ჩატარებული სტატისტიკური მონაცემების ცნობარში სენაკის მაზრის მარტვილის საპოლიციო უბანში შემავალი ნაგვაზავოს სოფლის საზოგადოება აერთიანებდა სოფლებს: ნაგვაზავოს, ნაჯიხევს, სუხჩეს და ხუნწს (Свод..., 1893).

საქართველოს პირველი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის 1930 წლის ცნობარში მითითებულია, რომ არსებობს ნაგვაზაოს სასოფლო საბჭო, მასში შემავალი ორი სოფლით – ნაგვაზაო ზედა და ნაგვაზაო ქვედა. აღნიშნულ ცნობარში ლეკვანტალიე სოფლის სტატუსით დასახელებული არ არის, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მას სოფლის სტატუსი მოგვიანებით უნდა მი-

---

[44] იხ. აფხაზეთის კათალიკოზის დიდი დავთარი, 191, 193; დოკუმენტის შესახებ იხ. აგრეთვე **ს. კაკაბაძე,** დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, II, ტფ., 1921: 172; **თ. ბერაძე,** ოდიშის პოლიტიკური გეოგრაფიიდან, სიგკ, III, 1967: 128-129; **ო. სოსელია,** ნარკვევები დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები), III, თბ., 1990: 90.

[45] **ი. მეუნარგია,** სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი და დავით დადიანი, 1939: 113.

ელო. ამასთანავე, ნაგვაზაო ზედა იწოდა ზემო ნაგვაზავოდ, ხოლო ნაგვაზაო ქვედა – ქვემო ნაგვაზავოდ.

საქართველოს გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიულ ლექსიკონში (მასალები)"მითითებულია „**ნაგვაზავო** – სოფლების ზემო ნაგვაზავოსა და ქვემო ნაგვაზავოს გავრცელებული სახელწოდება"[46]. ხალხურ მეტყველებაში მოსახლეობა სოფლის სახელწოდებად **ნაგვაზუ(უ)ს** იყენებს.

ნაგვაზუუ ორ ნაწილად იყოფა: **ჟიდონ(ი) ნაგვაზუ** „ზემო ნაგვაზუ" და **თუდონ(ი) ნაგვაზუ** „ქვემო ნაგვაზუ". ჟიდონი ნაგვაზუ გვარების მიხედვით დასახლებულ ათ უბანს აერთიანებს (ესურმე//(ჲ)ესურმე, ეგეგეჭკორე//(ი)ეგეგეჭკორე, ეკიზირიე//(ჲ)ეკიზირიე, ეკუდე//(ჲ)ეკუდე, (ჲ)ესიგუე, ეფაციე//(ი)ეფაციე, ეღაჭე//(ჲ)ეღაჭე, ეფირცხაჲე//ეფი(რ)ცხაე, ეყუფარაიე//(ჲ)ეყუფარაიე, ეახაე//(ჲ)ეახა(ჲ)ე//(ჲ)ეახალაიე), თუდონი ნაგვაზუ - ექვს უბანს (ეგადეიე//(ი)ეგადეიე, ეჯღარკე//(ი)ეჯღარკე, ესიაგე//(ჲ)ესიაგე, ეგვაზე//(ჲ)ეგვაზე, ეგვაიე//(ჲ)ეგვა(ჲ)იე, ეცერცვე//(ჲ)ეცერცვე), საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ცნობარის მიხედვით სოფლის სტატუსი აქვს მინიჭებულიაგრეთვე **ლეკვანტალიეს**. იგი სამ უბანს ((ჲ)ეგაბსონიე, (ჲ)ეკვატაიე, საჭვაბრიო//(ჲ)ეჭვაბრიე) აერთიანებს.

საინტერესოა ის გარემოებაც, რომ ზემო ნაგვაზუ(უ)ს პარალელურ, არაოფიციალურ სახელწოდებად გვხვდება **ნოღა-ნაგვაზუ(უ)** და და ქვემო ნაგვაზუ(უ)ს პარალელურ სახელწოდებად – **საჩიქვანონაგვაზუ(უ)**.

XVII ს-ის საისტორიო-საეკლესიო საბუთების, კერძოდ, „აფხაზეთის საკათალიკოზო გამოსავალი მოსაკრებლის დავთრის" (1621 წ.) მონაცემებით ამ სოფელში უცხოვრიათ გლეხებს: ნარსია, სოფრონიას, ბაჩილას, სურმას, წყალბიას, ჯავნაშიას, პაპაკუდას, ნაჭყებიას[47].

ამდენად, სოფლის სახელწოდების რამდენიმე ვარიანტიდან (ნაგვაზაური, ნაგვაზაურები, ნაგვაზუ(უ), ნაგვაზაო, ნაგვაზავო)

---

[46] საქართველოს სსრ გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიულ ლექსიკონი (მასალები), თბ., 1987: 73.

[47] **ქსძ,** III, 412-413.

ჩვენ უპირატესობას ვანიჭებთ ზეპირ მეტყველებაში დამკვიდრებულ ნაგვაზუ(უ) ფორმას.

ნაგვაზუ (ნაგვაზაუ) გიორგი ლიპარტიანის საუფლო სოფელს წარმოადგენდა, რომელიც მას ბიჭვინთის ღვთისმშობლის ეკლესიისათვის შეუწირავს. აქვე აუგია აფხაზეთის კათალიკოს მალაქია გურიელს საყდარი: „აგრეთვე გკადრეთ და შემოგწირეთ ჩვენ ლიპარტიანმან გიორგი და ძემან ჩუენმან ვამეყ და მეცხედრემან ჩვენმან დადიანის ქალმან ბატონმა ანა თქუენ საშინელსა ბიჭვინტისა ღ(ვთისმ)შობელსა სასახლე ნაგვაზაო რვის კვამლის კაცითა“.

საინტერესოა „აფხაზეთის საკათალიკოზო გამოსავალი მოსაკრებლის დავთრის“ (1621 წ.) მონაცემები ნაგვაზუში მცხოვრები ყმა-გლეხების ვალდებულებების შესახებ, რომელშიც ვკითხულობთ: „ახლა ბატონმან ლიპარტიანმან და და ბატონმან კ-ზმან დავსდევით ნაგვაზაურებს რაც კაცი სახლობს კუამლის თავსა თითოს კაცსა ათათი კოდი ღომი, ექსექსი კოკა ღვინო, პ დ, რომე ბეგარა ემართა იმას გარეთ ეს სახასო იქნების, ანუ ამისი მოწმე არის...“[48]. სოფლის ყმა-გლეხები ასე დიდი რაოდენობით რომ იყვნენ დაბეგრილნი, მიუთითებს იმაზე, რომ XVI-XVII საუკუნეებში ამ მხარეში კარგად ყოფილა განვითარებული სოფლის მეურნეობა, რასაც ადასტურებს ტოპონიმიკური მასალაც.

ოდიშის სამთავროში ახალი დინასტიის – ჩიქვანების (ჩიქოანი, ჩიქოვანი) გაბატონებამ ხელი შეუწყო ფაღავების გვარის წინ წამოწევას, რომელთაც ჰქონდათ თავიანთი ფეოდალურ-სამეურნეო და პოლიტიკური ერთეული **საფაღვო** (საფაღავო). ფაღავების აღზევება ლიპარტიანებთან უნდა იყოს დაკავშირებული. ფაღავები მათი ერთგულნი იყვნენ, რომელთა აღზევებას ადგილი უნდა ჰქონოდა კაცია და გიორგი ლიპარტიანების დროს, რომლებიც უმოწყალოდ ანადგურებდნენ თავიანთ მოწინააღმდეგეებს. ამ პროცესს არაერთი ურჩი ფეოდალის სიცოცხლე შეეწირა. მათ ადგილს კაციასა და გიორგის ერთგული, ახლად აღზევებული თავადები იკავებდნენ. ამ პერიოდში აღზევებულთა შორის ფაღავებიც უნდა ვიგულისხმოთ.

---

[48] **ს. კაკაბაძე,** აფხაზეთის საკათალიკოზო გლეხების დიდი დავთარი, 18.

ლიპარტიანისადმი ფადავას ერთგულებით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ ეს უკანასკნელი, კორნელი ბოროზდინის ცნობით, მამულებს ფლობდა სოფელ ნაგვაზუშიც, რომელიც ლიპარტიანის საუფლოს წარმოადგენდა.

ნაგვაზუ საეკლესიო მამულიც იყო და საჭყონდიდლო სოფლად მიიჩნეოდა. 1871 წლით დათარიღებული აღწერით საჭყონდიდლო აერთიანებდა სოფლებს – სუჯუნას, კადარს, ონტოფუს, აბაშას, სეფიათს, წალიკარს, ზანათს, მაცხოვრის-კარს, კოდორს... სიდიდით მეორე საეკლესიო მამული მარტვილის მონასტრის სანახებში მდებარეობდა და მასში შედიოდა სოფლები: მარტვილი, ინჩხური, საელიავო, ნახარებუ, ნაგვაზუ[49]. ნაგვაზუ რომ საეკლესიო სოფელი იყო, ჩანს აგრეთვე 1712 წელს შედგენილი „შეწირულების წიგნიდან“, სადაც ვკითხულობთ: „დადიანმა გიორგიმ **ნაგუაზოვს** ხატის ყმა აყარა“[50]. როგორც ვხედავთ, ამ დოკუმენტში სოფლის სახელწოდების სრულიად განსხვავებული ფორმაა წარმოდგენილი.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა სოფლის მიკროტოპონიმიაც: *საეკლესიოდ* იწოდებოდა ადგილი, რაც ეკლესიის მამულს წარმოადგენდა. *ანტონიშ ტყე* „ანტონის ტყე“ საეკლესიო ტყედ, „ხატის მამულად“ ითვლებოდა, რაც ანტონ ცაგერელ-ჭყონდიდელის საკუთრებას წარმოადგენდა (ანტონი მოღვაწეობდა ნაგვაზუს მახლობლად, მის მიერ აშენებულ ნახარებუს მონასტერში, და იქვეა დაკრძალული).

იმავე აღწერით ნაგვაზუში საბატონო ყმები და საბატონო აზნაურები ჭუბაბრიებიც მკვიდრობენ. ისინი მამულებს ფლობდნენ დეეფანღელეს ნაპირებზე. აქ ყმები ჰყოლია ნოქალაქეველ მებატონეს – არჩილ დადიანსაც. აღნიშნულთან დაკავშირებით ერთ საბუთში ვკითხულობთ: „ამ სოფლებში (იგულისხმება საეკლესიოდ მიჩნეული სოფლები, მათ შორის ნაგვაზუც – ი. კ.) აზნაურნი ეკუთვნიან მთაურებს, მათ რომელთა ყოველი საბუთი და მამული მიცემული აქვთ მთავრისაგან“.

ნაგვაზუში ბატონობდნენ ჩიქვანებიც, რომელთა შთამომავ-

---

[49] ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, ფონდი №6494/18.
[50] იხ. **ქსძ,** III, 671.

ლობა ბოლო დრომდე ცხოვრობდა ამ სოფელში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამის გამო მის ერთ უბანს, კერძოდ, ეჯღარკეს, საჩიქვანონაგვაზუ(უ)ს უწოდებენ დღესაც.

1904 წლის აღწერის მასალების მიხედვით ნაგვაზუში მამულები ჰქონიათ აზნაურებს – წულუკიძესა და იოსელიანს.

სოფლის ტოპონიმიას შემოუნახავს ინფორმაცია სამიმოსვლო გზების შესახებ. **დილიჟანიში შარა, ხონიშ შარა, დადიაშ შარა, საეჩხომო შარა//ეჩხომაშ შარა//დადიაშ ნაჭკირა** და **ფოსტაჲშარა** ძველ მაგისტრალებზე მიგვითითებს.

ასეთია მოკლედ სოფელ ნაგვაზუს წარსული ისტორიული გეოგრაფიის ჭრილში.

6. ჭყონდიდ-მარტვილი

ჭყონდიდ-მარტვილი დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან პოლიტიკურ-სამეურნეო და რელიგიურ-სამწიგნობრო ცენტრს წარმოადგენდა. „ბუნებრივია, რომ სამეგრელოსა და აფხაზეთისაკენ მიმავალი ლაშქრის, ვაჭართა ქარავნების, საფოსტო შიკრიკების, მეფეების მოციქულთა, მსტოვართა და საქმისკაცთა სადგური სწორედ აქ უნდა ყოფილიყო“[51]. მხარეთმცოდნე გივი ელიავა ჭყონდიდ-მარტვილის ისტორიული მიმოხილვისადმი მიძღვნილ გამოკვლევაში აღნიშნავს, რომ **საჭყოინდროს//საჭყონდიდლოს** ეკონომიკური, კულტურული და რელიგიური ცენტრი იყო **ჭყონდიდი,** მთელს საქართველოში ცნობილი მარტვილის მონასტრით. სოფელი ჭყონდიდი, ანუ მარტვილი ძველად სტრატეგიული თვალსაზრისით მეტად ხელსაყრელ ადგილას მდებარეობდა. „იგი იყო ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დასახლებული პუნქტი „არგუეთ-კლისორის“ გზაზე“[52]. მკვლევარი იმოწმებს გაზეთ „ივერიაში“ 1878 წლის 5 სექტემბერს გამოქვეყნებულ ცნობას მარტვილის შესახებ: „მშვენიერი მდებარეობა ადგილისა, ნაყოფიერი ნიადაგი მიწისა, მდიდარი მცენარეულობა,

---

[51] **გ. ელიავა,** ჭყონდიდ-მარტვილი უძველესი ქართული საგანმანათლებლო კერა. გზამკვლევი. თბ., 1969: 5.

[52] **გ. ელიავა,** ჭყონდიდი-მარტვილი (ისტორიული მიმოხილვა), თბ., 1962: 5-6.

საუკეთესო ჰაერი, წმინდა და მარგებელი წყალი მდინარისა, წყაროისა და ჭისა, - აი, ბუნებითი ღირსებანი ამა სოფლისა“-ო. ბორცვებით გარშემოზღუდულ მცირე ველზე სოფლის ცენტრი მდებარეობს, რასაც დასავლეთით მდ. აბაშის პატარა შენაკადი ინჩხია ჩამოუდის. ინჩხიასა და აბაშას შორის გაშლილი ნაოღალევის ვრცელი და ნაყოფიერი ველი ტაბაკოლას კალთებამდე ვრცელდება, საიდანაც სათავეს იღებს ინჩხია. სამხრეთით მარტვილის ცენტრი ნახარებაოს მცირე სერებით იზღუდება, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთით ჭვენიას მაღალი სერი დაჰყურებს: ჭვენიას სერის სამხრეთ ტაფობზეა აგებული მარტვილის სამონასტრო ანსამბლი. მონასტრის პლატოდან კარგად მოჩანს 20-30 კმ რადიუსში მდებარე სოფლები, ასევე ტეხურის, რიონისა და ცხენისწყლის გაშლილი ველები. ამრიგად, – დასძენს გ. ელიავა, – მარტვილის სამონასტრო ანსამბლის მდებარეობა მისი სტრატეგიული მნიშვნელობის მაუწყებელია[53]. მარტვილის მონასტრის ხელსაყრელ გეოგრაფიულ მდებარეობაზე გ. ელიავა ყურადღებას ამახვილებს 1971 წელს გამოცემულ სამხარეთმცოდნეო ხასიათის „მეგზურში“, სადაც აღნიშნავს: ძველი კულტურის ძეგლებისა და ისტორიული წყაროების დამოწმებით ძველი გზა გაივლიდა ჭყონდიდს, რომელიც ამ გზაზე ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სტრატეგიული, სამხედრო პუნქტი და მძლავრი ბურჯი უნდა ყოფილიყო. ამას განაპირობებდა აღნიშნულ გზაზე წარმართული სალოცავის (კერპის) არსებობა, რომელიც ამ გზის „გამგებელი“ და ამ კუთხის მოსახლეობის უდიდესი სალოცავი იყო უდავოდ[54].

---

[53] იქვე: 6.

[54] **გ. ელიავა,** აბაშისა და ტეხურის ხეობების ისტორიული ღირსშესანიშნაობანი. თბ., 1971: 7-8; ძველ საქართველოში ხეთა თაყვანისცემისა და მცენარეულობის მძლავრი კულტის არსებობაზე მიუთითებდა ივანე ჯავახიშვილი და ამის ერთ-ერთ საუკეთესო დამამტკიცებლად სწორედ ძველ სამეგრელოში სახელგანთქმულ ჭყონდიდს თვლიდა, რაც მეგრულად „დიდ მუხას“ ნიშნავს და, მეცნიერის აზრით, უეჭველად მიუთითებდა ამ ადგილას მუხის მსახურების სალოცავი ადგილის არსებობაზე იხ. **ი. ჯავახიშვილი,** ქართველი ერის ისტორია, ტ. I, 1979: 134. მარტვილის ეკლესიის ტრაპეზი თითქოს იმ მუხის გადანაჭერზე უნდა იყოს დადგმული, რაც ანდრია მოციქულს მეგრელთა ქრისტიანულ რჯულზე მოქცევისას მოუკვეთია. დიუბუას აზრით, ამ ფაქტის სისწორეს მოწმობს ის, რომ მარტვილის საკერპო ტაძრის ნამტვრევები იმჟამინდელი ტაძრის კედლებშიც იყო ჩაყოლებული. მსჯელობისათვის იხ. **ე. თაყაიშვილი**, მარტვილის მონასტერი, თბ., 1993: 3.

ჭყონდიდის ტაძარი

მარტვილის ე. წ. ჩიქოვანების ეკლესია

არგუეთ-კლისურის გზაზე ისტორიულ წყაროებში არავითარი ცნობა არ მოიპოვება. ესაა პირობითი სახელწოდება იმ მაგისტრალისა, რაც, გ. ელიავას მოსაზრებით, ჭყონდიდზე გადიოდა. იგი ქუთაისიდან ხონისა და ბუმბუას ხიდის გავლით მდ. ცხენისწყალს კვეთდა. ბუმბუას ან პუმპუას//პომპეუსის ქვითკირისბურჯებიან, ფართო ხიდზე გავლით დატვირთულ ურმებს შეეძლოთ ცხენისწყლის გადალახვა. აქედან გზა სუხჩეს, ხუნწისა და ქვეითის სერებს მიუყვებოდა (მისი კვალი დღესაც შეიმჩნევა) და ჭყონდიდს ჩადიოდა. ჭყონდიდიდან, ბობოთისა[55] და სერგიეთის[56] გავლით, ნაქალაქევის სიმაგრეში შედიოდა, ხოლო აქედან გაივლიდა სახარბედიოსა და ეკის მთებს და კლისურისკენ მიემართებოდა[57]. მკვლევარს ამ გზის არსებობას ავარაუდებინებს მის გაყოლებაზე **ნაჯიხუების** (ნაციხარების), **ნაოხვამუების** (ნაეკლესიარების), **სანიშნო ათასწლოვანი ხეების, დიხაგუძუბებისა** და **დიხაკურზულების** (მიწაზურგების) არსებობა. ასეთ სიძველეთა შორის ასახე-

---

[55] სოფელია სერგიეთის თემში, სადაც დგას შუა საუკუნეების საგუშაგო კოშკი. კოშკის გაყოლებაზე, მდ. აბაშასთან ჩამავალი საურმე გზის ორივე მხარეს, მიწის ჭრილში ჩანს ძველი კედლის ნანგრევები. იხ. **გ. ელიავა,** გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის გამოცდილებიდან, თბ., 1962: 42; **მისივე,** აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმიკა, 1977: 96.

[56] სერგიეთი დასახლებული ყოფილა ანტიკურ ხანაში. იხ. **დ. ახვლედიანი, მ. ელაშვილი, მ. კირკიტაძე, ს. ხარაბაძე, გ. ასათიანი,** მასალები..., 2017: 35; აქ, ნაფაცაცუს მაღალ ბორცვზე აღმოჩნდა ხუფიანი კრამიტის ხუფი, რაც დაცულია მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. მასზე გამოსახულია ფასკუნჯის თავი ბიბილოებით, გრძელი, მოკაუჭებული ნისკარტით, მსხვილი, ბრიალა თვალებით და ყელის ირგვლივ კრამიტის გონიოებს შეფენილი ყვავილის ჯამის ფოთოლაკების მსგავსად გადაშლილი ფაფარით. აქვე ნაპოვნია ამფორის ყურები, ორნამენტიანი ქოთნის ნამტვრევები, წარწერიანი ქვის ფრაგმენტი, რომელზეც ჯვარი ყოფილა ბარელიეფურად ამოჭრილი. ამავე სოფელში გამოვლინდა შესანიშნავად დამუშავებული კვადრატული ქვის წყობა. ქვას ჰქონია მშრალი წყობის ნიშნები, ე. ი. კოტამოჭრილი მხრები. გადმოცემით, როცა ციხეგოჯს (ნაქალაქევს) მტერი შემოესია, ეგრისის ცენტრი ნაფაცაცუში გადმოიტანეს, რადგან აქ დიდი და ძლიერი ქალაქი იყოო. ხალხში დარჩენილი გამოთქმა – **„მარტვილი დაეცეს და ნაფაცაცუ აღდგეს“,** – ამ ადგილის სტრატეგიულ მნიშვნელობაზე მიუთითებს. იხ. **გ. ელიავა,** გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მუშაობის გამოცდილებიდან, 1962: 43; **მისივე,** გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი (გზამკვლევი), თბ., 1968: 31; **მისივე,** აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმიკა, თბ., 1977: 96-97.

[57] იქვე: 7. **კლისური, კელასურის კედელი, აფხაზეთის დიდი კედელი** - სიმაგრეთა სისტემა ცხუმის აღმოსავლეთით, მდ. კელასურის მარცხენა ნაპირის გაყოლებით და კოდორის ქედის გასწვრივ. ქართულ წყაროებში VIII საუკუნის ამბებთან დაკავშირებით ნახსენებია „ზღუდე კლისურისა“, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიიდან შავიზღვისპირეთში მიმავალ გზებს ამაგრებდა. იდგა ჩრდილოეთ კავკასიიდან დასავლეთ საქართველოში მიმავალ ერთ-ერთ მნიშვნელოვან გზაზე. VIII ს-ის დასასრულიდან ზღუდემ თავისი მნიშვნელობა დაკარგა და თანდათან დაინგრა. იხ. **თ. ბერაძე,** კელასურის კედელი, ქსე, ტ. V, თბ., 1985: 462.

ლებს მათხოჯის ციხის ქვემოთ, გზისპირა ფლატეზე შემორჩენილ უძველესი ნაგებობის (სიმაგრის) ბურჯებს, სოფელ ხიდთან (ხონის მუნიციპ.) მდებარე კოშკებისა და ქვითკირის კედლების ნაშთებს; სუხჩეს (ხონის მუნიციპ.) გადასახედზე ძველი ციხის კარგად შესამჩნევ ნანგრევებს; ზედა ხუნწში (ახლანდ. მარტვილის მუნიციპ.) მიკვლეულ ასეთივე ნაგებობათა კვალს. ქვეითიც უძველესი გზა და ადგილია. აქვე მდგარ მრავალწლოვან ცაცხვის ხეს ხალხი „თურქთა სანიშნოს“ უწოდებს. „გადმოცემები გვარწმუნებენ, რომ ამ გზაზე მრავალი ასეთი ცაცხვის ხე იდგა ერთიმეორის პირდაპირ და ლაშქრისათვის თუ მოგზაურისათვის საიმედო სანიშნოს წარმოადგენდა. თუ ამ გადმოცემებს ოდნავ მაინც დაეჯერება, იგი ერთგვარი ცოცხალი სტელის მაგივრობას სწევდა უძველეს დროში. გადმოცემები იმასაც მოგვითხრობენ, რომ გზის გასწვრივ ოდესღაც ქვის სტელებიც მდგარა. აქედან ჩვენამდე მხოლოდ ერთი ლოდის ნამუსრევმა მოაღწია. მასზე რაიმე ნიშანი არ არის, მაგრამ ხალხი დარწმუნებულია, რომ იგი სანიშნო სვეტის ნატეხია“[58].

ამავე სოფელში, **ხორიათის** ფერდობზე დგას **ნაოხვამუდ** წოდებული მცირე ზომის ბაზილიკა. ეს ეკლესია და მის მიდამოებში არსებული ციხის ნაშთი, გ. ელიავას აზრით, აქედან ჭყონდიდისაკენ მიმავალი გზის საიმედო სენაკი და საგუშაგო უნდა ყოფილიყო[59]. ქვაითის ეკლესია თარიღდება XIII საუკუნით.

ჭყონდიდში გზის არსებობაზე მეტყველებს არა მხოლოდ მარტვილის მონასტრის (VI-VII სს.), არამედ ინჩხიისა და აბაშის შესართავთან, ნახევარკუნძულად შეჭრილ სერზე, ნაოღალევის ველის სამხრეთ-აღმოსავლეთ ბოლოში, ციხე-ქალაქის არსებობაც, რასაც ადგილობრივი მოსახლეობა **ქაჯიშ ნამარანუს** „ქაჯის ნამარნევს“ უწოდებს. „წლების განმავლობაში ამ მდინარეებმა მათ შორის მდებარე ნაოღალევის ველის ორივე მხარეს წარმოშვეს ღრმა ხეობები გაშლილი ჭალებით. ამ ჭალებს შორის სერადაა გაჭრილი ნაოღალევის ველის სამხრეთ-აღმოსავლეთი ბოლო, რომელიც უნაგირათი ორ ნაწილადაა გაყოფილი. ეტყობა, ეს

[58] იქვე: 7.
[59] იქვე: 7-8.

უნაგირა ხელოვნურად არის ჩაკვეთილი გზის გასაყვანად. სერის ჩრდილო ნაწილიც გაყოფილია ორ ნაწილად და მცირე გასასვლელი აქვს. მისი სამხრეთი ნაწილი, როგორც გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის განკარგულებაში არსებული არქეოლოგიური მასალები ადასტურებს, სამარხი და საყოფაცხოვრებო უბანი იყო, ხოლო ჩრდილოეთის ვრცელი მასივი – ქალაქი და საცხოვრებელი ადგილი. ორივე ნაწილს, თვით ჭალასთან, ერთიანი გალავანი ჰქონდა შემოვლებული. მეორე გალავანი, ისიც საერთო, ფერდობს შუა წელზე ერტყა, ხოლო მესამე გალავანი ცალ-ცალკე ზღუდავდა ორივე უბანს. სამხრეთ ველს ჩრდილო-აღმოსავლეთით, გასასვლელთან, ედგა მაღალი, მძლავრი კოშკი, რომლის ორი-სამი მეტრის სიმაღლის ნანგრევი დღემდეა შემორჩენილი. ასეთივე კოშკი იდგა ჩრდილოეთის ველის სამხრეთ კიდეზე. ეტყობა, კოშკები სამხედრო დანიშნულების ციხეებს წარმოადგენდნენ. სამხრეთის ნაწილის უკიდურესი კონცხიდან სერს ქვემოთ ჩასდევს ქვის საფეხურების ნაშთები. იგი გზისკენ ჩამავალი რაღაც პროპილეის მსგავს ნაგებობას მოგვაგონებს“[60].

აბაშასა და ინჩხიას შორის მდებარე, ვიწრო და მაღალ სამკუთხა ბორცვზე მდგარი უძველესი ციხე, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, **ქაჯიშ ნამარანუს** სახელით არის ცნობილი. სახელწოდების შესახებ საინტერესოა ხალხური გადმოცემა. გ. ელიავა იმოწმებს 90 წლის მიხა ხელაიას ნაამბობს, რომ, მას შემდეგ, რაც ქრისტიანებმა კერპი მოჭრეს (იგულისხმება ჭყონდიდის კერპი – ი. კ.), ისინი, ვისაც ქრისტე არ სწამდა, ე. ი. კერპს ემსახურებოდნენ, თითქოს ამ ციხე-სიმაგრეში გამოიკეტნენ. ისინი ურჯულოები და დაწყევლილები იყვნენ. არც ღმერთი სწამდათ და არაფერი ქრისტიანული, ხალხს ატყუებდნენ, რომ თითქოს შეეძლოთ მკურნალობა, სეტყვის, ჭექა-ქუხილისა და გრიგალის მოყვანა. ისინი ქაჯები იყვნენ, რომელთა დანახვაც კი აშინებდა ხალხს. ამიტომ აქ ქალაქს შემდეგ ქაჯების მარანი შეერქვაო. ციხე-სიმაგრეში შეხიზნულ წარმართებს, ანუ ქაჯებს ციხის სამხრეთით, ველზე ჰქონდათ მოწყობილი მარანი, სადაც ინახავდნენ ჩეშონას ველზე

[60] იქვე: 8; იხ. **მისივე,** გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მუშაობის გამოცდილებიდან, თბ., 1962: 33-34.

მოკრეფილი ჩეშის ყურძნიდან დაწურულ ღვინოს. დიდხანს ეს ადგილი დაწყევლილი და შეჩვენებული ყოფილა. კერპის განადგურების შემდეგ ჭყონდიდის საუფლოდან გამოდევნილი წარმართები ამ ქალაქში იზოლირებულად ცხოვრობდნენ. ხალხმა მათ ეშმაკეულები, ქაჯები შეარქვა და დღემდე ასე იხსენიებს. ქრისტიანთა რისხვით იავარქმნილი ეს ქალაქი, გ. ელიავას ვარაუდით, უძველეს დროში ალბათ ერთ-ერთ მძლავრ ქალაქს წარმოადგენდა „არგუეთ-კლისურის“ გზაზე[61].

მიხა ხელაიასგან ჩაწერილი თითქმის ამგვარივე შინაარსის გადმოცემა მოცემულია გ. ელიავას მიერ 1977 წელს გამოცემულ წიგნში: „აქ ქაჯები ცხოვრობდნენ. ისინი ქრისტიანები არ იყვნენ და კერპებს სცემდნენ თაყვანს. მათი საკუთრება იყო ეს ადგილი და მის ირგვლივ გაშლილი ჭალა. სამხრეთ მხარეზე, რომელიც ბორცვის დიდი ნაწილისაგან უნაგირათია გამოყოფილი და ზედ უნაგირასთან ციხე-კოშკითაა შეკრული, მარანი და სამარხი ჰქონიათ მოწყობილი“[62].

საგულისხმოა ის გარემოება, რომ 1949 წელს აქ აღმოუჩენიათ კრამიტ-სამარხის ნაშთი. ფლატეზე შეიმჩნეოდა კრამიტისა და აგურის წყობის ნაწილი, ადამიანის თავის ქალით. მიცვალებულის კიდურები კი, კრამიტსა და აგურთან ერთად, ჩამორეცხილი ყოფილა. აქვე მიუკვლევიათ ხანჯლის ტარისა და ქოთნის ფრაგმენტებისათვის, აგრეთვე სამარხი კრამიტისათვის, წარწერით – W[63]. სამწუხაროდ, მარტვილის ციხე-სიმაგრე („ქაჯიშ ნამარანუ“) გასული საუკუნის 80-იან წლებში საბრძოლო დიდების მემორიალის მშენებლობას შეეწირა[64].

მარტვილის სტრატეგიული გეოგრაფიული მდებარეობა და ამ გზაზე უპირატესი მდგომარეობა, რაც ხელს უწყობდა მხარის

---

[61] იქვე: 8-9.

[62] **გ. ელიავა,** აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმიკა, 1977: 100.

[63] იქვე: 100: **მისივე,** გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მუშაობის გამოცდილებიდან, თბ., 1962: 33-34.

[64] გამორიცხული არ არის, რომ სწორედ ეს ციხე-სიმაგრე ყოფილიყო ბიზანტიური წერილობითი წყაროების „ონოგურისი“, რასაც პ. ზაქარაია აბედათის ციხესთან აიგივებდა. ამ ვარაუდის არსებობისთვის საგულისხმოა ციხის მახლობლად, ქალაქის ცენტრალური სტადიონის კეთილმოწყობისას გამოვლენილი ადრეფეოდალური ხანის აბანოს ნაშთი. ციხე აგებულია აბაშის მარჯვენა ნაპირზე, უნაგირისებურ სერზე. აუცილებელია ამ ადგილის არქეოლოგიური შესწავლა.

სამეურნეო დაწინაურებას, უნდა აიხსნას სახელგანთქმული წარმართული ბომონის - ჭყონდიდის (დიდი მუხის) სწორედ ამ ადგილას არსებობით, სადაც მოგვიანებით, ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ, აიგო მარტვილის ტაძარი (VI-VII სს.). ამასთანავე, მის მიდამოებში შეიმჩნევა 3 დიდი ციხე-ქალაქის ნაშთი და უძველესი მეტალურგიის ათზე მეტი კერა (ქვაითი, საელიავო, მარტვილის ფერდობი, ნახუნაო, სერგიეთი, ბობოთი...). ეს ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ მარტვილის ბორცვი საუკეთესო სათვალთვალო პუნქტის მოვალეობას ასრულებდა[65].

ინტერესს იწვევს ის გარემოებაც, რომ ბანძის ჩრდილო-დასავლეთით, მდ. აბაშის მარჯვენა მხარეს, ეგრისის სამეფოს დროინდელი ციხე-სიმაგრეები უნაგირას მთის სამხრეთ და აღმოსავლეთ კალთებზეა განლაგებული და ეგრის-ლაზიკის ცენტრალური ნაწილის ციხე-სიმაგრეთა სისტემაში ერთიან თავდაცვით ხაზს ქმნის. ამასთანავე, ეგრისის სამეფოს ცენტრალურ სექტორში ციხე-სიმაგრეების აგებისას გათვალისწინებული იყო მდინარეთა გასწვრივ მათი განლაგება[66]. სამეფოს შიდა რეგიონებში III-IV სს-ში ციხე-ქალაქებისა და ციხე-სიმაგრეების წარმოქმნას თვით სამეფოს სტრატეგიული ინტერესები განაპირობებდა[67]. ესაა პერიოდი ეგრისის სამეფოს გაძლიერება-გაერთიანებისა, რაც IV ს-ის მიწურულისათვის სრულდება. ბუნებრივია, სასიმაგრო თავდაცვის ხაზი მთავარ საგზაო არტერიებზე გადიოდა. რიონ-ფაზისის სამდინარო-სავაჭრო მაგისტრალი ამ პერიოდში მოქცეული იყო ბიზანტია-ირანის გეოპოლიტიკური ინტერესების სივრცეში.

---

[65] იქვე: 10; ინტერესს იწვევს ის გარემოება, რომ გ. ელიავა დაბა გეგეჭკორის (მარტვილის) ტოპონიმთა ჩამონათვალში ასახელებს „ნაჯიხუს“ (ნაციხარს), და აღნიშნავს, რომ ბორცვის ვიწრო თხემზე შეიმჩნევა უძველესი ნაგებობის კვალი. აქ ნაპოვნია ამფორისა და სხვა კერამიკული ჭურჭლის ფრაგმენტები. აქვე ნაპოვნი ვერცხლის ფული შემდეგ ბავშვებს დაუკარგავთ. ეს ციხე ძველი გზის დარაჯი ყოფილა; თუ რომელი ძველი ციხისა, გაურკვეველია. რომელი ციხის ნაშთზეა საუბარი, მკვლევრის ნაშრომიდან ასევე ვერ ირკვევა. ტოპონიმის დაზუსტებული ლოკალიზაცია ნაშრომში არ არის მოცემული. იხ. **მისივე,** გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მუშაობის გამოცდილებიდან, თბ., 1962: 38.

[66] **ნ. მურღულია,** ეგრისის სამეფოს გამაგრების სისტემა IV-VI საუკუნეებში (არქეოლოგიური მასალებისა და ისტორიული წყაროების მიხედვით). სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა. ნაშრომი შესრულებულია არქეოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 2012: 142.

[67] **ო. ლანჩავა,** ქუთაისი ეგრის-ლაზიკის ციხე-ქალაქთა სისტემაში, თბ., 1996: 64.

მას განსაკუთრებული ინტერესი მიექცა VI საუკუნეში, ირან-ბიზანტიის ომიანობისას, და შემდეგ პერიოდში[68].

თავდაცვის ხაზის წარმოქმნა, როგორც აღინიშნა, მეტწილად ფაზისის საერთაშორისო მნიშვნელობის სამდინარო და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების (გვერდითი განშტოებების) დაცვით, ფაზისის აუზის მდინარეთა ხეობებში მდებარე სავაჭრო-სახელოსნო ცენტრებისა და სოფელ-ქალაქების უშიშროებით და პოლიტიკური სტაბილურობის უზრუნველყოფით უნდა აიხსნას[69].

აბაშისა და ტეხურის ხეობების თავდაცვის ხაზიც ერთიანი და კარგად გააზრებული გეგმის შესაბამისად არის შექმნილი. ყოველმხრივი ძლიერი თავდაცვითი სისტემის მოწყობას ორგანიზებული სახე სწორედ სახელმწიფოს ჩამოყალიბების შემდეგ მიეცა. საზღვრებზე, მაგისტრალებსა და გზაჯვარედინებზე ციხე-სიმაგრეების აგება სახელმწიფოს საჭიროებას – მომხვდურთაგან დაცვას ემსახურებოდა[70].

გერამნელი მეცნიერისა და მოგზაურის – ედუარდ აიხვალდის (1795-1876 წწ.) მოგზაურობის აღწერაში მოცემულია „მეოგალებიდან“ (ნაოღალევი, მარტვილი) სალხინოში მგზავრობის მარშრუტი. აღწერიდან ირკვევა, რომ XIX ს-ის I მესამედში ეს გზა თითქმის ემთხვეოდა მარტვილიდან სალხინოსკენ მიმავალ ამჟამინდელ გზას. სოფ. ბალდის (მოთენას მთისძირის) გავლით, მდ. აბაშაზე გასვლის შემდეგ, – წერს აიხვალდი, – აღმართ-დაღმართზე მიმავალი გზა იყო ძალზე დამქანცველი და ტყიანი. მთელ ამ გზაზე ყურადსაღები არაფერი ყოფილა. იყო ყველგან თიხამიწა, პატარა ნაკადულები და ხშირფოთლოვანი ტყე[71]. აიხვალდი საერთოდ ყურადღებას ამახვილებს სამეგრელოში ცუდ ბილიკებსა და ტალახ-ჭაობებში გამავალ გზებზე[72].

---

[68] **მ. ჭუმბურიძე,** ეგრისის სამეფოს თავდაცვის სისტემა (ახ. წ. აღ. I-VIII სს.), ქუთ., 2009: 115-116.

[69] იქვე: 62-63.

[70] **პ. ზაქარაია,** საქართველოს ძველი ქალაქები და ციხეები, თბ., 1973: 46.

[71] ედუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ (XIX საუკუნის პირველი მესამედი), გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და სამიებლები დაურთო გია გელაშვილმა, თბ., 2005: 173-174; მსჯელობისათვის იხ. **ი. კეკელია,** აბაშის ხეობის საისტორიო გეოგრაფია ვახუშტი ბაგრატიონის ნააზრევში, ქუთ., 2013.

[72] იქვე: 185, 197.

7. კვაუთის ციხის კომპლექსი

ბანძა-ნაქალაქევის სექტორში განლაგებული ციხეებიდან მნიშვნელოვანია **კვაუთისა** და **აბედათის ციხეები,** რომლებიც უნაგირას კალთაზეა აგებული. უნაგირა ეწოდება ეგრისის ქედის ერთ-ერთ განშტოებას. მას წაგრძელებული ფორმა აქვს. მთის სიგრძე 35 კმ-ია; სიგანე 2-5 კმ-ს შორის მერყეობს. მაქსიმალური სიმაღლე ზ. დ. 590 მ-ია. მთა ცხენისწყლის დასავლეთით 8 კმ-ის დაშორებით, ხოლო ქ. მარტვილიდან ჩრდილოეთით 3 კმ-ში იწყება. გრძელდება აღმოსავლეთისკენ და მცირე დახრილობით – სამხრეთისკენ. 11 კმ-ის გავლის შემდეგ, სოფ. კვაუთთან მთა სამხრეთისკენ მკვეთრად უხვევს და 8 კმ-ის მანძილზე მიემართება ნაქალაქევისკენ. ნაქალაქევთან მთის მასივში მდ. ტეხურს კალაპოტი აქვს გაჭრილი. აქედან კიდევ უფრო სამხრეთით დახრილი მთა სამხრეთ-დასავლეთით ქ. სენაკამდე, 15 კმ-ზე გრძელდება და სრულდება დაბა მენჯთან (სენაკის მუნიციპ.). „უნაგირა მთა ერთგვარ ბუნებრივ დაბრკოლებას წარმოადგენს სამეგრელოს მთიან რეგიონში მოსახვედრად, - წერს ნ. მურღულია, – მასზე მრავლად გადის საცალფეხო ბილიკები, თუმცა სავაჭრო ქარავნებისათვის და საჯარისო შენაერთებისათვის ამ მთის ჩრდილო-დასავლეთით მოხვედრა მხოლოდ 3-4 გადასასვლელის მეშვეობით იყო შესაძლებელი“[73].

კვაუთის ციხე ბანძიდან დასავლეთით დაახლოებით 7 კმ-ში მდებარეობს, იქ, სადაც უნაგირას მთა სამხრეთ-დასავლეთისკენ უხვევს. ციხე აგებულია სოფლის ცენტრიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, 1, 5 კმ დაშორებით, ერთ-ერთი მთის სამხრეთ, მაღალ და მიუდგომელ ფერდობზე და, როგორც ნ. მურღულია შენიშნავს, „შესაბამისად ამ ციხიდან რაიმე გზის გაკონტროლება (ჩაკეტვა) შეუძლებელი იქნებოდა. ჩვენი აზრით, მისი მთავარი ფუნქცია სამხრეთით და ჩრდილოეთით ვრცელი ტერიტორიების დაზვერვა იყო და იმავდროულად, კვაუთში გამოვლენილი ციხე, მისი ზომებიდან და სამშენებლო ტექნიკიდან გამომდინარე, რომელიმე ადგილობ-

[73] იქვე: 143.

რივი დიდებულის რეზიდენციაც უნდა ყოფილიყო“[74]. ციხის დასავლეთით მიედინება მდ. ტეხური. ძეგლის სამხრეთი მხარე მიმართულია კოლხეთის დაბლობისაკენ (GPS კოორდინატები: N42 25. 157 E 42 15. 365. სიმაღლე: 326 მ).

აღნიშნული ციხის ნაშთი ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლებში იქნა მიკვლეული ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნოქალაქევის ექსპედიციის სამუშაო ჯგუფის მიერ, ხოლო მისი სრულად აღწერა განხორციელდა 2008 წელს, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დაკვეთით, სენაკის რაიონის უძრავი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების პასპორტირების დროს[75].

ციხე ძლიერ დაზიანებულია. ჭიშკართან და აღმოსავლეთ დაბოლოებაზე შემორჩენილი გალავნების მაქსიმალური სიმაღლე 4 მ-ია. ციხის შიგნით, ცენტრალურ მონაკვეთში მდგარი მთავარანგელოზის ეკლესიის ზომებია 8. 55 მ + 11. 5 მ. ესაა დარბაზული ტიპის ნაგებობა, მომრგვალებული აფსიდით. ეკლესიას შესასვლელი კარები სამი მხრიდან ჰქონია (დასავლეთით, სამხრეთით და ჩრდილოეთით) და სამივე თაღით მთავრდებოდა. მეტ-ნაკლებად სრულად არის შემორჩენილი ეკლესიის მთავარი, დასავლეთი კარი. მისი სიმაღლე 2. 30 მ-ია, სიგანე გარე ფასადზე – 0, 94 მ, ხოლო შიდა მხრიდან – 1, 34 მ. ეკლესიის ოთხივე კედელში სულ 6 წაგრძელებული ფორმის სარკმელია დატანებული. აქედან თითო-თითო – დასავლეთი და აღმოსავლეთი ფასადების შუა ნაწი-

---

[74] **დ. ლომიტაშვილი, ნ. მურღულია,** კვაუთის ციხის კომპლექსი. კულტურულ-საისტორიო ძიებანი. თბ., 2010: 187-195; **ნ. მურღულია,** ეგრისის სამეფოს გამაგრების სისტემა IV-VI საუკუნეებში (არქეოლოგიური მასალებისა და ისტორიული წყაროების მიხედვით). სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა. ნაშრომი შესრულებულია არქეოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 2012: 144.

[75] პ. ზაქარაია არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიშში აღნიშნავს, რომ 1985 წელს დაზვერვა მნიშვნელოვანი მიღწევებით აღინიშნა, კერძოდ, დაიზვერა სოფ. კვაუთის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის ტერიტორია. სადაზვერვო თხრილების გარეშე, ზედაპირულად მოძიებულ იქნა კერამიკული ნატეხები, რომლის ძირითადი ნაწილი ადრეფეოდალური ხანისაა. გვხვდება გვიანი პერიოდისაც. მოძიებული მასალის დიდი ნაწილი სამზარეულო კერამიკაა, ხოლო დანარჩენი –კრამიტები. შესაძლოა ძვ. წ. II ათასწლეულისა იყოს რიყის ქვის ცულის ფრაგმენტი, გადამრგვალებული ყუით და წრიული სატარე ხვრეტილით. მსგავსი ცული ნაპოვნია ნაქალაქევში, ნაქალაქარის ტერიტორიაზეც. იხ. **პ. ზაქარაია,** ნოქალაქევში 1983-1988 წლებში ჩატარებული სამუშაოების საერთო ანგარიში. კრ. „ნოქალაქევი-არქეოპოლისი“, III, 1993: 76.

ლებში, ორ-ორი კი – სამხრეთ და ჩრდილოეთ ფასადებზე. გეგმაში ტრაპეციის ფორმის სარკმლები გარედან ვიწროვდება. სარკმლების სიმაღლე გარე ფასადზე 80-დან 90 სმ-მდე მერყეობს, ხოლო შიდა მხრიდან – 1. 75-დან 1. 90 სმ-მდე. სარკმლის სიგანეები გარე ფასადზე 16 სმ-ია, შიდა მხარეს კი – 68 სმ.

ეკლესია კლდის ქვით არის აშენებული და რიგები მკაცრადაა დაცული. ეკლესიის სამხრეთი და ჩრდილოეთი კედლების შუა ნაწილები, სახურავი და თაღები გასული საუკუნის 20-იან წლებში მოურღვევიათ. ეკლესიის თითქმის სრულად შემორჩენილი დასავლეთი კედლის მიხედვით სიმაღლე 8, 5 მ-ს აღწევდა და ორფერდა სახურავით იყო გადახურული. საკურთხეველში არსებული ნალისებური ფორმის ქვა ამბიონად გამოუყენებიათ. სავარაუდოდ, ეკლესიის პირველი სამშენებლო ფენა ციხის თანადროულია (IV-VI სს.). ეკლესიის კედლებში შემორჩენილ ორნამენტთა ფრაგმენტები XI-XIII სს-ში ეკლესიის განახლებაზე მიანიშნებს. III სამშენებლო ფენა – XVI-XVIII სს-ებისაა[76].

კვაუთის ეკლესია

[76] **ნ. მურღულია,** ეგრისის სამეფოს გამაგრების სისტემა IV-VI საუკუნეებში (არქეოლოგიური მასალებისა და ისტორიული წყაროების მიხედვით). ნაშრომი შესრულებულია არქეოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, 2012: 159-160.

კვაუთის ეკლესია

ძეგლი აგებულია დამრეც ფერდობზე მოწყობილ ჰორიზონტალურ პლატფორმაზე, საკმაოდ დიდი რაოდენობის მიწის მოჭრით. ფერდობზე შექმნილი ტერასის მსგავსი სივრცის ზომებია 50 მ+100 მ. ციხეს მიუვალს ხდის სამი მხრიდან ბუნებრივი ციცაბო ფერდობების არსებობა.

დასავლეთ-აღმოსავლეთის ხაზზე გაშლილი და ოვალური ფორმის ციხის სიგრძე 95 მ-ია, ხოლო სიგანე – 45 მ. ციხე ჩრდილოეთით ციცაბო კლდეს ებჯინება, ხოლო დანარჩენი სამი მხრიდან კლდის ქვით აგებული გალავნებითაა შემოზღუდული. რიგების დაცვის გარეშე აგებულ კედლებზე სადუღაბე მასალად კირია გამოყენებული, ხოლო კედლების საპირე წყობისათვის – კლდის

ქვა. ყველაზე უკეთ ციხის აღმოსავლეთი გალავანია შემორჩენილი. ჭიშკარი დასავლეთიდან ყოფილა, რომლის სიგანე 3, 5 მ-ია. „საფიქრებელია, რომ ჭიშკრის ირგვლივ წარმოქმნილი დერეფნის მსგავსი სივრცის (ზომები 3. 5 მ + 5. 5 მ) თავზე მოწყობილი იქნებოდა მეორე სართული, რომელიც კოშკის როლს შეასრულებდა და სადაც გუშაგები იქნებოდნენ განლაგებულნი. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს ჭიშკრის ჩრდილოეთით მდებარე კონტრფორსი, რომელიც სიმაღლეში მატებასათან ერთად იხრება სამხრეთისკენ ანუ ჭიშკრის მიმართულებით და ქმნის თაღოვანი გადახურვის შთაბეჭდილებას“[77].

ეგრისის სამეფოს ცენტრალური მონაკვეთის გამაგრების ქვესისტემა რაოდენობრივად 20-მდე სიმაგრეს აერთიანებს. მათ შორისაა კვაუთის ციხეც, რომლის დანიშნულება მოკლე მანძილზე (მაქსიმუმ 5-7 კმ) ინფორმაციის გადაცემა იყო. ეგრისის სამეფოს თავდაცვითი ნაგებობების დიდი ნაწილი სწორედ საგუშაგო-სასიგნალო დანიშნულებისა იყო[78].

ჩვენ ვიზიარებთ არქეოლოგ ნ. მურღულიას თვალსაზრისს, რომ კვაუთისა და აბედათის ციხეები მათგან სამხრეთით გაშლილი ტერიტორიების საკონტროლებლად უნდა ყოფილიყო აგებული. ასევე გამორიცხული არ არის მათ შორის კვამლის ან კოცონის მეშვეობით ურთიერთობა[79]. კვაუთის ციხე კარგად დაცული პუნქტი-რეზიდენცია უნდა ყოფილიყო, რომელსაც ფლობდა ადგილობრივი ფეოდალი. ციხე ნაკლებად იღებდა მონაწილეობას ქვეყნის თავდაცვაში, თუმცა აქედან საკმაოდ ვრცელი ტერიტორიების დაზვერვა იქნებოდა შესაძლებელი სამხრეთ-დასავლეთით ლეძაძამესა და ნაქალაქევის, ხოლო სამხრეთით – ბანძის მიმართულებით.

კვაუთი ისტორიული სოფელია. იგი სალიპარტიანოში შედიოდა, რაც ირკვევა XVII ს-ის მეორე ნახევარში შედგენილი საბუთით. გიორგი კაციას ძე ლიპარტიანს კვაუთში ყმა-მამული უბოძე-

---

[77] **ნ. მურღულია,** ეგრისის სამეფოს გამაგრების სისტემა IV-VI საუკუნეებში (არქეოლოგიური მასალებისა და ისტორიული წყაროების მიხედვით). ნაშრომი შესრულებულია არქეოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, 2012: 157.

[78] იქვე: 6.

[79] იქვე: 161.

ბია გიორგი ფადავასათვის: „შეგიწყალეთ:. და:. გიბოძეთ:. კვაუთს:. პუჭკუელა:. ძიმისეის:. შვლი:. ერთი:. ბიჭი:. მიშველია:. მდივნის:.“[80]

8. აბედათის ციხე „ონოგურისი“

აბედათის ციხის გალავანი

ნაქალაქევის ჩრდილო-აღმოსავლეთით გზის არსებობის მაუწყებელია აგრეთვე **აბედათის ციხის** არსებობა (GPS კოორდინატები: N4225. 400 E42 17. 064. სიმაღლე: 372 მ). 1985 წლიდან ნაქალაქევის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიცია დაინტერესდა სოფ. აბედათში მდებარე ციხით. თვით სოფელი მდ. აბაშის ხეობის სიახლოვეს მდებარეობს. სოფლის გარკვეული ნაწილი ვიწრო ხეობაშია მოქცეული. ხეობის უკიდურეს ჩრდილოეთით აგებული ციხის შესახებ მცირე ინფორმაციაა მოცემული გ. ელიავას ავტო-

[80] **ი. კეკელია,** ტეხურის ხეობის საისტორიო გეოგრაფია ვახუშტი ბაგრატიონის ნააზრევში, 2013: 33, და იქვე მითითებული ლიტერატურა; **ი. კეკელია, დ. ოდიშარია,** სენაკის რაიონის დასახლებული პუნქტების სახელწოდებანი, ქუთ., 2012: 35-36.

რობით 1971 წელს გამოცემულ სამხარეთმცოდნეო ნაშრომში. მკვლევარი თავის გზამკვლევში აბედათის ისტორიულ სიძველეებზე მსჯელობისას აღნიშნავდა, რომ ამ სოფლის თითქმის ყველა უბანში 10-12 ადგილას ეწოდება „წაკორტები“ (წალკოტები). წალკოტთა მოწყობა, უდავოდ, ამ მხარის მოსახლეობის სამეურნეო ტრადიცია ყოფილა. სოფელი მდიდარია ისტორიული ძეგლებით. აქ მრავალ ადგილას არის დიხაგუძუბები, ნაოხვამუები, ნაციხარები. ბანძასა და აბედათს შორის და აბედათის ცენტრის მახლობლად, მარსილის ველზე, მდ. ტარჩენის ნაპირას, არის ადგილი ტარჩუ, სადაც დადიანთა ციხისა და სასახლის არსებობაზე მიუთითებენ. მარსილის სასახლე ცნობილია ისტორიული დოკუმენტითაც. ტარჩუ, როგორც ამ ციხისა და სასახლის ადგილი, სალიპარტიანოს ცენტრი და მისი მთავარი სარეზიდენციო კერა ყოფილა.

აბედათის ციხე

აბედათში დაცულია მეტად საინტერესო ძეგლი. ესაა ბჟერის მთის შეფერდებაზე, ნადოხორუს მახლობლად აგებული ციხედარბაზი. გ. ელიავა ასე აღწერს მას: ძეგლი ძველი ნაგებობის ნანგრევზეა დაშენებული. თვით ნანგრევი გორაკის თხემს ერტყმის ირგვლივ. სამხრეთით შემორჩენილი სამსართულიანი კოშკის

პირველი სართული გამოყენებული ყოფილა დილეგად. მას არსაიდან არა აქვს კარი, მხოლოდ ორგან შეინიშნება ვიწრო სამზერები. კოშკის ზედა ორი სართული საცხოვრებელი ტიპის ნაგებობაა, თახჩებით და კარგად გაფორმებული, ვიწრო, ლამაზი სარკმლებით. კოშკი და მის ორივე მხარეზე მკვიდრად ნაგები გალავანი მიუდგომელი და გაუტეხელი სიმაგრის შთაბეჭდილებას სტოვებს. ამ უძველეს ძეგლზე უფრო გვიან, XV-XVI სს-ში, დაუშენებიათ ციხე-დარბაზი და ღვთისმშობლის კარის ეკლესია, რომელიც გალავნის შიგნით, აღმოსავლეთ მხარეს და კოშკის პირისპირ არის მოთავსებული. გალავნის სიმაღლე 6 მ-ია, კედლის სისქე - 1, 5 მ. მასში შესვლა ერთი მხრიდან არის შესაძლებელი. გალავნის ჩრდილო-დასავლეთით გაშენებული სამსართულიანი კოშკი შედარებით ხელუხლებლადაა დაცული. 600 $м^2$ მოედანზე არსებული დანარჩენი ნაგებობების ზუსტი მონახაზის გაკეთება ჭირს. ნაგებობა დადიანთა დიდი ციხე-სიმაგრე ყოფილა, სადაც გადმოცემით, ბატონიშვილებს საცხოვრებელი დარბაზებიც ჰქონიათ. ციხის დასავლეთით, ქვემოთ, აბანოს ნანგრევებიც კია შემორჩენილი.

ასეთია აბედათის ციხის გ. ელიავასეული მოკლე აღწერა[81]. აღწერილობაში ზოგი რამ ბუნდოვანია და მთლად ზუსტიც არ არის. ნაქალაქევის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ჩატარებულმა გათხრებმა განსხვავებული და მეტად საინტერესო სურათი წარმოაჩინა ძეგლის არქიტექტურისა და ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით.

გ. ელიავა 1962 წელს გამოცემულ ნაშრომში („ჭყონდიდი-მარტვილი“) აბედათის უძველეს ნაგებობათა ანსამბლის შესახებ იმოწმებს ხალხურ გადმოცემას, რომ, თითქოს, აბედათის ციხე „მარტვილთან რკინის ჯაჭვით იყო დაკავშირებული“[82].

---

[81] **გ. ელიავა,** აბაშისა და ტეხურის ხეობების ისტორიული ღირსშესანიშნაობანი. გზამკვლევი. თბ., 1971: 37-39. აბედათის ისტორიული სიძველეების შესახებ იხ. **მისივე,** ღრმად შევისწავლოთ მშობლიური მხარის ისტორია, გეგეჭკორი, 1957: 3-4; **მისივე,** გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მუშაობის გამოცდილებიდან, 1962: 13-14.

[82] **გ. ელიავა,** ჭყონდიდი-მარტვილი (ისტორიული მიმოხილვა), თბ., 1962: 9.

აბედათის ციხის ეკლესია. IX ს.

ეკლესიის დასავლეთი ხედი

აბედათის ეკლესია. ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან

სოფლის მოსახლეობა ამ ძეგლს **ჯიხას** „ციხის“ სახელით მოიხსენიებს. გადმოცემა მის აშენებას მიაწერს ძლიერ კაცს, ვინმე ხურციას (ხურცილავა), რომელიც იღლიაში ამოდებული დიდი ლოდით, თმის ვარცხნით ასულა ციხის ფერდობზე. ამ ლოდზე თავისი სახელი ამოუჭრია და კედელში ჩაუსვამს[83].

აბედათის ისტორიული ტოპონიმებიდან საყურადღებოა **ჯვეში ნაშარუ** (ძველი ნაგზაური), **ჯვარი, ნაოხვამუ გა** (ნაეკლესიარი სერი), **პატონსქუაშ ტყა** (ბატონიშვილის ტყე), **ნადოხორუ** (ნასასახლევი), **ნაოხვამუ, დადიაში ნადოხორუ** (დადიანის ნასასახლევი), **მესარონი, ნოჯიხენი//ნათურქუ** (ნაციხარი, ნათურქალი), **წყურგიი ჯიხაში** (ციხისწყარო), **ნაპაპუ** (მღვდლის ნასახლარი),

[83] **გ. ელიავა,** აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმიკა, თბ., 1977: 93.

პატონსქუაშ გა (ბატონიშილის სერი), **ტარჩუ**[84].

პ. ზაქარაიას დაკვირვებით, აბედათის ციხესთან ისტორიული გზა გადიოდა თუ არა, ახლა არ დგინდება. ადრეული შუა საუკუნეების ეგრისში ციხეები, ჩვეულებრივ, მაღლა, მთებზე შენდებოდა, რომ იქ მყოფთ გარემოზე და, კერძოდ, გზებზე ებატონათ. ვიწრო ხეობის ბოლოში აგებულ აბედათის ციხესთან კი გზა არ ჩანს. თვით ხეობა 2-3 კმ სიგრძეზე ვიწროა, ხოლო ციხესთან უფრო ვიწროვდება. მართალია, აქ საურმე გზის ნაშთი კიდეც ჩანს, – აღნიშნავს პ. ზაქარაია, – მაგრამ ციხის გავლით, ზემოთ მდებარე მთებისკენ ასვლა მეტად გაჭირდებოდა. იმის მიუხედავად, რომ ეს გადასასვლელი გაუვალი არ არის, გადამსვლელი ჯარი მაინც მსუბუქად უნდა ყოფილიყო შეიარაღებული. სურსათ-სანოვაგით და საჭურველით დატვირთულ ჯარს ამ მთაზე გადასვლა ნამდვილად გაუჭირდებოდა. საკითხავია, რა აუცილებელი იყო ამ გზით მთებზე ასვლა, როცა მთებს იქით მდებარე სოფლებთან ადვილად მისასვლელი გზები გვერდზე გამავალი აბაშისა და ტეხურის ხეობებიდან ჰქონდათ. ციხის ზემოთ, ამ ორ მდინარეს შორის მანძილი 10 კმ-ს არ აღემატებოდა. პ. ზაქარაია ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე დადგენილია აღმოსავლეთ საქართველოდან მომავალი მთავარი გზის მიმარ-

---

[84]ტოპონიმებს ვასახელებთ გ. ელიავას წიგნიდან. იხ. **გ. ელიავა,** აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმიკა, 1977: 94; პ. ცხადაიას მიერ 1972, 1981 და 1987 წლებში აბედათში ჩაწერილი ისტორიული ტოპონიმებიდან აქვე დავასახელებდით რამდენიმეს: **ივანე ნასმერიშ ოხვამე** (იოანე ნათლისმცემლის ეკლესია), **მეისარონი//მისარონი//მეშქარონი, ნოჯიხენი** (ნაციხარი), **ნოჯიხენიშ კურკუზა** (ნოჯიხენის ბორცვი), **პაპაშ ნოხორი** (მღვდლის ნასახლარი), **პაპაშ ტყა** (მღვდლის ტყე), **პატონსქუაშ არგვანი, პატონსქუაშ გა, პატონსქუაშ ნოხორი** (ბატონიშვილის ნასახლარი), **პატონსქუაშ ტყა** (ბატონიშვილის ტყე), **ჩიქვანიშ სასადიო//ცხაცხუჯინჯი** (ჩიქოვანის სასადილო, ცაცხვისძირი), **დადიანიშკარი, დადიანიშ ნადოხორუ** (დადიანის ნასასახლევი), **დადიაშ ნოხორი** (დადიანის ნასახლარი), **დოხორე//ფაღვაშ დოხორე** (სასახლე//ფაღვავს სასახლე), **იზდორეთიშ ოხვამე//მისარონოხვამე//წმინდა გიორგი მეისარონი, ნადოხორუ** (ნასასახლევი), **ნაოხვამ(უ)** (ნაეკლესიარი), **ნაპაპუ//პაპაშ ნოხორი** (ნამღვდელარი//მღვდლის ნასახლარი), **ნარუუშ ოხვამე//წმინდა გიორგი, ოხვამეკარი, ოხვამეფერდი, ფაღური//გახუნიაშ ნაპანღურუ, მიქეფიშ ნაოხვამგ//ღვთიშობეი, წმინდა გიორგი მეისარონი** (წმინდა გიორგი მოისარი, მახვილოსანი), **ნაოხვამუ//ოხვამეგეტახიი** (ნაეკლესიარი, დამტვრეული ეკლესია), **ნოჯიხენიშ კუნჭულია, ჲემოწაფიეშ ნაოხვამ(უ)**... იხ. **პ. ცხადაია,** სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, V, მარტვილის რაიონი (სამხრეთი ნაწილი), თბ., 2010: 143, 146, 149, 151, 152, 156, 163, 164, 165, 169, 171, 174, 177, 178, 180, 189, 190, 191. აბედათის გეოგრაფიულ სახელწოდებათა შესახებ იხ. აგრეთვე **ი. კეკელია,** აბედათის ტოპონიმია, თბ., 2008; **ნ. ბუღაძე, ც. კაკულია, ი. კეკელია,** აბედათის მიკროტოპონიმთა ხალხური მოტივაციისათვის. კრ. „ქართველური მემკვიდრეობა“, XII, ქუთ., 2008: 42-48.

თულება: იგი გაივლიდა ხონს, მარტვილს, ჩაუვლიდა არქეოპოლისს და ამის შემდეგ ერთი ხაზი მიემართებოდა ცხუმ-სოხუმისაკენ, მეორე კი – ფაზის-ფოთისაკენ[85].

აბედათის ციხისკენ, ისევე როგორც დღესაც, ამოსვლა მხოლოდ ქვემოდან, ხეობის აყოლებით, ერთადერთი გზით არის შესაძლებელი. ციხისთვის მშენებლებს არატიპიური ადგილი შეურჩევიათ. ესაა მთებს შორის მცირედ ჩავარდნილი ადგილი. ციხის გაჩენის საფუძველი ხეობის ბოლოს, ციხისძირში გამომდინარე ცივი და ანკარა წყაროც იქნებოდა, რომლის თავზე დადგმული კამაროვანი, მოზრდილი სათავსი ციხის აგების თანადროული ჩანს. ამ ქვის შენობიდან მხოლოდ ჩრდილოეთის ფერდობზე მიდგმული კედელია გადარჩენილი, ხოლო დანარჩენი თითქმის საძირკვლამდეა დანგრეული[86].

აბედათის ციხის ეზო

---

[85] **პ. ზაქარაია,** ნოქალაქევში 1983-1988 წლებში ჩატარებული სამუშაოების საერთო ანგარიში. კრ. „ნოქალაქევი-არქეოპოლისი“, III, არქეოლოგიური გათხრები (1983-1989). თბ., 1993: 31 და იქვე მითითებული ლიტერატურა: ნ. ლომოური, ნოქალაქევი-არქეოპოლისი-ციხეგოჯი. კრ. „ნოქალაქევი-არქეოპოლისი“, წ. I, თბ., 1981, გვ. 34-36. გზების შესახებ იხ. აგრეთვე **გ. გრიგოლია,** ეგრის-ლაზიკის სამეფოს უმთავრესი საგზაო არტერიები, თბ., 1984.

[86] **პ. ზაქარაია,** დასახელებული ნაშრომი, 33. აბედათის ციხის ჩრდილოეთით, **ჯიხაწყუსთან**, გზა გადადის ბჟერის მთაზე. ამ უღელტეხილს აბედათელები **გინაწონუს** უწოდებენ, ხოლო გზას ბჟერსა და ქაჯაიეფიშ გოლას შუა – **თარგამუიშ შარას//ჯიხაშ გინალს.** თარგამეულელებისათვის ესაა **აბედათიშ შარა//ბანძაშ შარა//ურიაკარიშ შარა.** იხ. **პ. ცხადაია,** სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, V, მარტვილის რაიონი (სამხრეთი ნაწილი), თბ., 2010: 184, 186, 192.

ქვევრები ციხის ეზოში

აბედათის ციხისადმი მიძღვნილ სპეციალურ რუსულენოვან გამოკვლევაში ვადიმ ლექვინაძე შეეცადა იმის ახსნას, თუ რატომ არის ონოგურისის ციხე მთების უბეში აგებული. როგორც სტატიის სქოლიოში პროფ. პ. ზაქარაია აღნიშნავს, ონოგურისი მართლაც ჩიხშია აგებული, თუმცა მას დღეს პირდაპირი ახსნა არ მოეპოვება. ვ. ლექვინაძე, ბიზანტიელ მემატიანეთა ცნობებზე დაყრდნობით დაასკვნის, რომ აღმოსავლეთიდან დასავლეთით, შავი ზღვისკენ მიმავალ გზას სწორედ ამ ხეობაზე, ონოგურისის ციხესთან უნდა გაევლო, შემდეგ დასავლეთით მოუხვევდა, მდ. ტეხურზე გადავიდოდა და მდინარის მარჯვენა ნაპირით (დედამოკამიკოტახირის გზით – ი. კ.) ჩაუვლიდა არქეოპოლისს. პ. ზაქარაია საეჭვოდ მიიჩნევს ამ მოსაზრებას, ვინაიდან ფიქრობს, რომ ვ. ლექვინაძის მიერ მითითებული გზა ჯარისთვის უვარგისი იყო. თუმცა არ გამორიცხავს ამ გზის გამოყენებას მსუბუქად შეიარაღებული ჯარის ნაწილებისათვის, მაგრამ, როგორც აღნიშნავს: „იგი არ გამოდგებოდა ქვეყნის მთავარ გზად“. პ. ზაქარაია იზიარებს ნ. ლომოურის თვალსაზრისს: აღმოსავლეთიდან მომავალი გზა გაივლიდა ხონს, მარტვილს და არქეოპოლისის ჩავლით მიემართებოდა ფაზის-ფოთისა და კელასურ-სოხუმისკენ. სწორედ ამ გზის დამცველებად იყო აღმართული კოტიანეთის, შხეფის, საკალანდარიშვილოს, ეკისა და სხვა ციხეები[87].

---

[87] **პ. ზაქარაია,** რედაქტორის მინაწერი ვ. ლექვინაძის სტატიაზე: **В. Леквинадзе**, Абедатская

ციხის პირველი დათვალიერებისთანავე, ნაგებობათა თავისებურების გათვალისწინებით, ექსპედიციის წევრებს გაუჩნდათ აზრი: ეს ციხე ხომ არ იყო VI ს-ის ბიზანტიურ წყაროებში მოხსენებული და მიუკვლეველი „ონოგურისის ციხე?“[88]. „ცალკე საკვლევი საკითხია, რამდენად სწორია ამგვარი იდენტიფიკაცია, – აღნიშნავს ნ. მურღულია, – თუმცა ფაქტია, რომ ციხეზე გამოვლენილი, ქრონოლოგიურად პირველი, სამშენებლო და არქეოლოგიური ფენების თარიღები სწორედ IV-VI სს-ით არის განსაზღვრული. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ აბედათში მიკვლეული ციხე სწორედ IV-VI საუკუნეებში და მოგვიანო პერიოდშიც არსებობდა და უნაგირა მთაზე არსებულ გადასასვლელს უწევდა კონტროლს“[89].

ერთ-ერთ საგაზეთო სტატიაში ამ ციხის შესახებ პ. ზაქარაია აღნიშნავს: „ნოქალაქევიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, თხუთმეტიოდე კილომეტრზე, მაღალი მთების დასაწყისში მდგარი უზარმაზარი ციხე არქიტექტურული და არქეოლოგიური მონაცემებით ნოქალაქევის თანადროულია. მის კედლებს დღესაც აჩნია შეუპოვარი ბრძოლების კვალი“[90].

ჩვენი აზრით, უნაგირას მთაზე აგებული აბედათის ციხისა და ბიზანტიური წყაროების „ონოგურისის“ იგივეობას მხარს უმაგრებს რამდენიმე გარემოება: უნაგირა პოლისემური ტერმინია და როგორც გეოგრაფიული ნომენი, ნიშნავს უნაგირის კეხივით ჩაზნექილ ადგილს სერზე; უღელტეხილს, გზა-გადასასვლელს ორ მთას შუა. სამეგრელოში ამ მნიშვნელობას გამოხატავს აგ-

---

Крепость, კრ. „ნოქალაქევი-არქეოპოლისი“, III, თბ., 1993: 222; **В. Леквинадзе**, Абедатская Крепость, კრ. „ნოქალაქევი-არქეოპოლისი“, III, თბ., 1993: 209; **პ. ზაქარაია,** ნოქალაქევის გამაგრების სისტემა. კრ. „ნოქალაქევი-არქეოპოლისი“, II, თბ., 1987: 138-139.

[88] **პ. ზაქარაია,** ნოქალაქევში 1983-1988 წლებში ჩატარებული სამუშაოების საერთო ანგარიში. კრ. „ნოქალაქევი-არქეოპოლისი“, III, არქეოლოგიური გათხრები (1983-1989). თბ., 1993: 33, 52; **პ. ზაქარაია, თ. კაპანაძე,** აბედათის ციხე, გეგეჭკორის სარაიონთაშორისო სამხარეთმცოდნეო მუზეუმის XXXII სამეცნიერო სესია. მასალები, გეგეჭკორი, 1986, 21-22; **პ. ზაქარაია, თ. კაპანაძე,** ციხე-გოჯი-არქეოპოლისი-ნოქალაქევი. ხუროთმოძღვრება. თბ., 1991: 128-137; **ს. ყაუხჩიშვილი,** ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტ. III, თბ., 1936: 59-62 და სხვ.

[89] **ნ. მურღულია,** ეგრისის სამეფოს გამაგრების სისტემა IV-VI საუკუნეებში (არქეოლოგიური მასალებისა და ისტორიული წყაროების მიხედვით). ნაშრომი შესრულებულია არქეოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, 2012: 144.

[90] **პ. ზაქარაია,** მიკვლეულია ონოგურისის ციხე. გაზ. „კომუნისტი“, 20 ივლისი, 1986: 3.

რეთვე ლექსემა „გოდირაკილი“ (ჩადრეკილი). მიჩნეულია, რომ უნაგირად იწოდებოდა აბაშისა და ტეხურის წყალგამყოფი ქედი, რაც რამდენიმე მთის – დადიაშ ტახტას (სოფ. ზედა სორტაში), ნაქალაქევის, აბედათისა და კალამონას (სოფ. ნაესუუ-ინჩხურში) კრებსით სახელადაა აღიარებული. ეს მთები ერთმანეთისაგან მართლაც უნაგირისებური დადაბლებებითაა გამოყოფილი.

აბაშა-ტეხურის წყალგამყოფი მთათა სისტემის უნაგირად მიჩნევის თვალსაზრისს იზიარებდნენ თ. ბერაძე, გ. ელიავა და შ. ჯღარკავა[91]. ამ საკითხს თავის მოგზაურობის დღიურში შეეხო აკად. ნიკო ბერძენიშვილი, რომელიც წერდა: „მე ონოგურის ციხე ვერა ვძებნე, მაგრამ იმ აზრის არა ვარ, რომ ის სადღაც ღრმად ხევში იმყოფებოდეს... უფრო სადღაც მარტვილის მახლობლად არის საძიებელი... უნაგირის მთა აქ მარტვილში გაუგონიათ, სადღაც შორს, ჩრდილო-დასავლეთით ასახელებენ... ვახუშტის კი ის ცნობა მიაწოდეს, როგორც ჩანს, რომ უნაგირას მთა ისაა, რომელიც მთელ სალიპარტიანოს ჩრდილოეთიდან გასდევს ნოქალაქევამდე... (ბანძაში ხომ არ იყო ის ციხე ონოგურისი – ონოღია???)“[92]. მკვლევარი აგრძელებს მსჯელობას ონოგურისის მდებარეობაზე და დასძენს: ონოღიასთან ბერძნული „ონოგურისის“ დაკავშირებას თითქოს ხელს უშლის -ურ სუფიქსი, რაც ონოღიაში არ ჩანს, მაგრამ ენობრივი სიძნელის მიუხედავად მატერიალურ-შინაარსობლივი ეთანხმება წყაროების ჩვენებას და მხარს უჭერს ონოგურისის დაგულებას მაინცდამაინც ონოღიაში[93].

მკვლევარი დავით ჭითანავა იმ აზრისაა, რომ ონოგურისის

---

[91] **თ. ბერაძე,** ოდიშის პოლიტიკური გეოგრაფიიდან. „საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული“, III, თბ., 1967: 163-165; **მისივე,** ვახუშტი ბაგრატიონი და ოდიშის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, სიგკ, IV, თბ., 1971: 57; **გ. ელიავა,** ჭყონდიდი-მარტვილი (ისტორიული მიმოხილვა), თბ., 1962: 44-45; **მისივე,** აბაშისა და ტეხურის ხეობების ისტორიული ღირსშესანიშნაობანი (გზამკვლევი), თბ., 1971: 9-10; **შ. ჯღარკავა,** სალიპარტიანო (ისტორიულ-გეოგრაფიული დახასიათება), თსუ შრომები, ისტ. მეცნიერებათა სერია, ტ. 113 (V), თბ., 1965; **მისივე,** სალიპარტიანოს ისტორიიდან. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“, №6, თბ., 1970. მსჯელობისათვის ვრცლად იხ. **კ. ქებულაძე, ი. კეკელია,** კვლავ „უნაგირას მთის“ ლოკალიზაციისათვის. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბე, №2, ქუთ., 2013: 214-220.

[92] **ნ. ბერძენიშვილი,** საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1990: 462.

[93] იქვე: 465-466.

ციხე სეფიეთ-ონოღიის მიდამოებშია საძიებელი[94].

პირველი წერილობითი წყარო, სადაც უნაგირას მთაა მოხსენიებული, როგორც აღვნიშნეთ, არის ვახუშტის მონუმენტური ნაშრომი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“. ტეხურის ხეობის საისტორიო გეოგრაფიაზე მსჯელობისას ისტორიკოსი აღნიშნავს: „...ტეხურის დასავლის კიდურსა რიონიდამ წარმოსდევს მცირე მთა კავკასამდე, ტყიანი და ნადირიანი. ამას უწოდებენ **უნაგირას**. ამ მთას მზღვრიდენ ოდესმე იმერთა და ოდიშთა საზღვრად. და არს ჭყონდიდიდამ უნაგირამდე მთის ძირი სალიპარტიანო. არიან ამ ადგილთა შინა მოსახლენი მთავარნი და აზნაურნი. და არს ქვეყანა ესე მგზავსი ვაკისა და უმეტეს ნაყოფიერი და ტყიანი“[95]. იმერეთის სამეფოს საზღვრების აღწერისას ვახუშტი შენიშნავს, რომ „...სიგრძე იმერეთისა არს ლიხის მთის თხემიდამ უნაგირამდე ძუელად, და აწ ქართლის საზღვრიდამ... ცხენისწყლამდე“[96]. ამასთანავე, ვახუშტიმ იცის, რომ „ტეხურისა და აბაშას შესართავს ზეით, უნაგირას მთის ძირზედ და ტეხურის დასავლის კიდეზედ, არს შხეთს ციხე და სასახლე დადიანისა“[97].

შხეფის ციხე

---

[94] **დ. ჭითანავა,** ეკლესიები და თავდაცვითი ნაგებობანი სამეგრელოში (უძველესი დროიდან დღემდე), თბ., 2010.

[95] **ვახუშტი ბაგრატიონი,** აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბ., 1973: 777.

[96] იქვე: 747; მსჯელობისათვის იხ. **ი. კეკელია,** ტეხურის ხეობის საისტორიო გეოგრაფია ვახუშტი ბაგრატიონის ნააზრევში,ქუთ., 2013: 21-27.

[97] იქვე: 777.

შხეფის მდებარეობის ვახუშტისეული აღწერა ზუსტია, მაგრამ თვით ტოპონიმს დამახინჯებული ფორმით იმოწმებს. წერილობითი წყაროებიდან ირკვევა, რომ მას „შხეთი“ კი არა, შხეფი ერქვა და დღესაც ასე ეწოდება. შხეფი უწინ სოფელი იყო, ამჟამად ქ. სენაკის შემადგენლობაშია და ტეხურის დასავლეთ მარჯვენა მხარეს (ე. ი. დასავლეთით) მდებარეობს. ამის შემდეგ ვახუშტი გვაწვდის ცნობას სენაკის ადგილმდებარეობის შესახებ და წერს: „ამას (იგულისხმება შხეფი – ავტ.), ზეით, კიდევ ტეხურისავ კიდეზედ, არს სენაკს ეკლესია გუმბათიანი...“[98]. სენაკის ვახუშტისეული ლოკალიზაციაც მართებულია, ოღონდ ერთი გარემოების გათვალისწინებით: აქ იგულისხმება არა ამჟამინდელი ქალაქი სენაკი, არამედ მის ჩრდილო-აღმოსავლეთით, 7 კმ-ის დაშორებით მდებარე სოფელი ძველი სენაკი.

ნაქალაქევის ციხის ეზო

მაშასადამე, ვახუშტის თხზულებიდან უნაგირას შესახებ ამოკრეფილი ცნობების ანალიზი და დასახლებული პუნქტების (შხეფი, სენაკი, ნაქალაქევი, ჭყონდიდი...) ადგილმდებარეობა

[98] იქვე.

ცხადყოფს, რომ აღნიშნული გეოგრაფიული ობიექტი მდებარეობდა ოდიშის აღმოსავლეთ ნაწილში, აბაშისა და ტეხურის ხეობებში, რაც დასტურდება ტოპონიმური მასალებითაც. გ. ელიავა „ნახუნაოს სასოფლო საბჭოს“ ტოპონიმთა ნუსხაში მიუთითებს „უნაგირას“ და აღნიშნავს, რომ ასე ერქვა თამაკონისა და ნახუნაოს მთას ლებაჩიედან სახარბედიომდე[99].

ექსპედიციის მიერ შემდგომ წლებში განხორციელებული არქეოლოგიური ძიებით გაირკვა, რომ აბედათის ციხეს უსწორო ოთხკუთხა ფორმა ჰქონია[100]. კედლების სიმაღლე 10-12 მ-ია. ამას ორი მხრიდან (სამხრეთით და აღმოსავლეთით) მეორე გალავანი შემოუყვება, რითაც ციხის ირგვლივ მცირე მონაკვეთია შემოსაზღვრული. პირველ და მეორე გალავანს შორის დაცილება მთის რელიეფის შესაბამისადაა განსაზღვრული. სამხრეთის მხარეს მდებარე გალავანი დასავლეთის მიმართულებით უხვევს და ციხის გალავნის ქვეშ შედის. სწორედ გარეთა, სამხრეთის გალავანშია ჩართული ამ მხარის მთავარი ობიექტი სწორკუთხა კოშკის სახით. აღმოსავლეთის გარე გალავანი ციხის კედელს 25 მეტრზე მეტით არის დაცილებული და ეტყობა რამდენიმეჯერ გადაკეთების კვალი. მისი ძირითადი სამშენებლო ფენა ადრეფეოდალური ხანისა უნდა იყოს. ციხის მახლობლად, ციხესა და გარე გალავანს შორის, ჩრდილოეთის მხარეს გამოვლინდა ორი ბუხრიანი სათავსი, ხოლო აღმოსავლეთის ბოლოში - რომელიღაც სწორკუთხა შენობის ნაშთი[101].

პირველი პერიოდის ციხეს ჭიშკარი ჩრდილოეთის ცენტრში ჰქონია, ხოლო მას შემდეგ, რაც ციხე დაინგრა და მის ადგილას ახალი ციხე აიგო, ჭიშკარი მოპირდაპირე მხარეს, სამხრეთის ცენტრში გადაუტანიათ. ორივე ჭიშკარი ღიათაღოვანი უნდა ყოფილიყო. ჭიშკრების II სართული ყარაულისთვის იქნებოდა განკუთვნილი. თუკი ჭიშკრები გალავნის სიმაღლისა იყო, მაშინ თვით ჭიშკრისთვის განკუთვნილი, გვერდებიდან დახურული ნაგებობე-

---

[99] **გ. ელიავა,** აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმიკა, თბ., 1977: 122.

[100] **პ. ზაქარაია,** ნოქალაქევში 1983-1988 წლებში ჩატარებული სამუშაოების საერთო ანგარიში. კრ. „ნოქალაქევი-არქეოპოლისი“, III, არქეოლოგიური გათხრები (1983-1989). თბ., 1993: 51-53; სურ. 21-22.

[101] იქვე: 52.

ბი არანაკლებ 10 მ სიმაღლისა და რამდენიმესართულიანი უნდა ყოფილიყო. ციხის შიგნით, ჩრდილო-დასავლეთის კუთხეში არსებული მოზრდილი ნაგებობა, სავარაუდოდ, ციხისთავის საცხოვრებელი უნდა ყოფილიყო. იგი შედგება კოშკისა და სამხრეთით მობმული სათავსისგან. ამათგან ერთი კოშკური საცხოვრებელი ყოფილა, ხოლო მეორე - დარბაზული, რადგან ეს უკანასკნელი სიგრძით თითქმის სამჯერ აღემატება კოშკს. არაა გამორიცხული, რომ ისინი სხვადასხვა დროს იყოს აშენებული.

გალავნის სამი მხარე სიმაღლით 4-6 მ-ია, ხოლო დასავლეთი გალავანი სიმაღლით თითქმის ორჯერ სჭარბობს დანარჩენებს. არსებული კედლები ყრუა. ზემოთ ქონგურები და საბრძოლო ბილიკები უნდა ყოფილიყო მოწყობილი, მაგრამ არ შემორჩენილა. ციხის დასავლეთ გალავანზე შიგნითა მხრიდან ე. წ. საბრძოლო ბილიკის ნაშთიც გამოვლინდა, რაც, ალბათ, გამოიყენებოდა ლოდების ჩამოსაყრელად, ცხელი სითხის გადმოსასხმელად და სხვ.[102]

ციხის აღმოსავლეთის მონაკვეთში მდგარი ეკლესია წარმოადგენს საშუალო ზომის დარბაზულ ნაგებობას, სამი შესასვლელი კარით. ეკლესიას ორივე მხარეს მიშენებული ჰქონია სათავსები, რომელთაგან მხოლოდ კრონშტეინებია შემორჩენილი ეკლესიის გვერდით კედლებზე. ეკლესიის კამაროვანი გადახურვა ეყრდნობოდა პილასტრებზე გადამავალ თაღს. აფსიდში, გვერდებზე, თითო მაღალი ნიშია. ეკლესია თითო სარკმლით არის განათებული. სარკმლები და კარები გადახურულია ნახევარწრიული თაღებით. საშუალო ზომის ზედაპირმოსწორებული ქვით ამოყვანილი კედლები შემდეგში შეულესიათ და მოუხატავთ, რაც მცირე ფრაგმენტებადაა შემორჩენილი. XIX ს-ის ბოლოს თუ XX ს-ის დასაწყისის შეკეთების კვალი ეტყობა ეკლესიის დასავლეთის ცენტრალურ ნაწილში მდებარე სარკმელს, კონკრეტულად, სარკმლის ქვედა ნაწილს და მის ქვემოთ მდებარე კარის თაღს, რაც მცირე ზოლად ყოფილა გარღვეული. ამ პერიოდის აღდგენას ემთხვევა ეკლესიის იატაკის დაგება და დასავლეთით კარიბჭის მიშენება. კარიბჭეს შესასვლელი კარი მხოლოდ დასავლეთიდან

[102] იქვე: 53-55.

აქვს. ეკლესიის ფასადები შემოსილია მოზრდილი ზომის, თლილი ქვებით, რაც დამახასიათებელია ეგრისის ადრეული შუა საუკუნეების ნაგებობებისათვის. ეკლესიის აღმოსავლეთ მხარეს გაჭრილ სარკმელს ჰორიზონტალური გადახურვა აქვს, ხოლო სამხრეთისა და დასავლეთისას - თაღოვანი (ჩრდილოეთის მხარეს სარკმელი არ არის). სარკმლის ბრტყელი გადახურვა და ქვემოთ არსებული საფეხურები ასევე ადრეული პერიოდისთვისაა დამახასიათებელი. ეკლესიის კრამიტით გადახურვაზე მიუთითებს გათხრების გზით კრამიტის უამრავი ნატეხის აღმოჩენა. დარბაზულ ეკლესიას პ. ზაქარაია ათარიღებს XI ს-ით[103].

ციხის გარე გალავანში, სამხრეთის ხაზის შუაში ჩართული კოშკი რამდენიმესართულიან, კვადრატული გეგმის ნაგებობას წარმოადგენს. მას კარი ზემოთ, ციხის ტერასის დონეზე ჰქონია. გარედან კარი არ სჭირდებოდა, რადგან საშიში იყო. ციხის ეზოდან კოშკში ზემოდან ჩასვლა უფრო გამართლებული იქნებოდა, რადგან კოშკს კავშირი ჰქონდა მხოლოდ ციხესთან და მის ნაწილს წარმოადგენდა. სამწუხაროდ, კოშკის ზედა სართული თუ სართულები მორღვეულია, შესაბამისად, ციხის ეზოდან კოშკში ზემოდან ჩასასვლელ კარსაც არ მოუღწევია. თლილი ქვებით აგებული კოშკი, პირველი სართულის გარდა, განათებული ყოფილა მცირე ზომის სარკმლებით. კოშკის დაცვა მისი ბანიდან ხორციელდებოდა. პ. ზაქარაიას ვარაუდით, კოშკი იმ თავდაპირველი ციხის თანადროულია, რომლის ნაშთებიც ეზოს შიგნით, ჩრდილოეთ სექტორშია მიკვლეული.

ციხის ჩრდილოეთით და დასავლეთით, მოზრდილი ფართობის ვაკეზე, რამდენიმე ადგილას გაკეთებული საცდელი თხრილით გამოვლინდა ადრეფეოდალური ხანის არქეოლოგიური მასალა, გვიანი ხანის მასალასთან ერთად. ერთგან გამოვლინდა კვადრატს მიახლოებული გეგმის მქონე ხის სახლის ნაშთი, რომელსაც ერთ ფენად დაუყვებოდა მშრალი წყობის ქვის საძირკველი. სახლის დასავლეთის კედლის ცენტრში კაპიტალური ბუხრის ნაშთია დარჩენილი, რომლის სიმაღლეც 0, 5 მ-ია. ბუხარს სწორ-

---

[103] **პ. ზაქარაია, თ. კაპანაძე,** ციხეგოჯი-არქეოპოლისი-ნოქალაქევი. ხუროთმოძღვრება. თბ., 1991: 229-231.

კუთხა გეგმა და ასევე სწორკუთხა ნიშა აქვს. ნაგებია კირის დუღაბზე, პატარა ზომის აგურით (19, 0 + 13, 5 + 2, 5 სმ). ბუხრიანი სახლები მდგარა ციტადელის აღმოსავლეთითაც. აქ ასეთი ორი ბუხრის ნაშთია დარჩენილი. როგორც ჩანს, ბუხრიანი ნაგებობები აქ გვიან უნდა იყოს აშენებული[104].

საგულისხმოა ის გარემოება, რომ შენობის ნაშთების ფიქსაციის შემდეგ ექსპედიციის მიერ გაკეთებულ ჭრილში, 5 მ სიღრმეზე, გამოვლინდა ელინისტური ხანის ამფორები და სხვა კერამიკული მასალა, რაც, თავისთავად, მიუთითებს ამ ადგილზე ცხოვრებას ჯერ კიდევ ძვ. წ. III-I სს-ში[105].

აბედათის ციხეზე წარმოებული გათხრებით გამოვლინდა სამი არქეოლოგიური ფენა: ადრეელინისტური, აგრეთვე ადრეფეოდალური, ე. ი. ეგრისის სამეფოსდროინდელი სამზარეულო ჭურჭლის, ქვევრების, ლუთერიუმების, თასებისა და ამფორების ნატეხები, როგორც იმპორტული, ისე ადგილობრივი წარმოებისა. მიკვლეულია აგრეთვე XI-XIII სს. მოჭიქული ჭურჭლის ფრაგმენტები, XIII-XIV სს-ით დათარიღებული დასავლურ-ქართული ვერცხლის მონეტა კირმანეული. გვიან შუა საუკუნეებშიც აბედათის ციხის მოქმედებაზე (ნოქალაქევისა და შხეფის მსგავსად) მეტყველებს XVII-XVIII სს-ით დათარიღებული თურქული ვერცხლის მონეტების („ახჩების“) დიდი რაოდენობა, იმავე პერიოდის უბრალო და ორნამენტირებული ჩიბუხები. გამოვლენილია აგრეთვე ოქროს ბალთები, მძივები და სხვადასხვა დანიშნულების ოქროს ნივთები, რომელთა ზუსტი თარიღის დადგენა ძნელია[106].

ასეთია, მოკლედ, აბედათის ციხის არქეოლოგიური გათხრების შედეგები. აქვე აღვნიშნავთ, რომ ძეგლზე ჩვენი მსჯელობა ორიგინალური არ არის და უმთავრესად ეყრდნობა ნაქალაქევის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელის, პროფ. პარმენ ზა-

---

[104] **პ. ზაქარაია**, ნოქალაქევში 1983-1988 წლებში ჩატარებული სამუშაოების საერთო ანგარიში. კრ. „ნოქალაქევი-არქეოპოლისი“, III, 1993: 57-59.

[105] **პ. ზაქარაია,** ნოქალაქევში 1983-1988 წლებში ჩატარებული სამუშაოების საერთო ანგარიში. კრ. „ნოქალაქევი-არქეოპოლისი“, III, 1993: 59.

[106] **პ. ზაქარაია,** ნოქალაქევში 1983-1988 წლებში ჩატარებული სამუშაოების საერთო ანგარიში. კრ. „ნოქალაქევი-არქეოპოლისი“, III, 1993: 59-60; მისივე, ქართულ ციხესიმაგრეთა ისტორია უძველესი დროიდან XVIII ს. ბოლომდე, თბ., 2002: 80-81.

ქარაიას ანგარიშს. „აბედათის ციხის დანიშნულების განსაზღვრისათვის, უპირველეს ყოვლისა, ყურადღება უნდა მიექცეს მის მდებარეობას. პ. ზაქარაიას მიერ ციხის ონოგურისთან გაიგივებით მისი ფუნქციის განსაზღვრაც მოხდა. ონოგურისის ციხე არქეოპოლისის (ანუ ნოქალაქევის) აღმოსავლეთ მისადგომებს იცავდა. ჩვენი აზრით, – წერს ნ. მურღულია, – ეს მოსაზრება მცდარია... ციხის ტერიტორიაზე IV-VI სს-ის არქეოლოგიური მასალა ძალზე მწირია და ამ მხრივ, მისი ბიზანტიური წერილობითი წყაროების მეტად მნიშვნელოვან სტრატეგიულ პუნქტ ონოგურისთან გაიგივება საეჭვოა. გარდა ამისა, აბედათის ციხის გარშემო რელიეფზე დაკვირვება აშკარად მიანიშნებს იმაზე, რომ ციხის მთავარი ფუნქცია უნაგირა მთაზე არსებული სამხრეთ-ჩრდილოეთი მიმართულების ვიწრო გადასასვლელის ჩაკეტვა უნდა ყოფილიყო. იმავდროულად აბედათის ციხე საკმაო მანძილით არის დაშორებული იმერეთიდან (ისტორიული მოხირისის რეგიონიდან) არქეოპოლისისკენ მიმავალ გზას და, შესაბამისად, აბედათის ციხიდან არქეოპოლისის აღმოსავლეთი მისადგომების დაცვა გაჭირდებოდა“[107].

9. ტარჩუ(ლი) - ლიპარტიანის სასახლე და კარის ეკლესია

XVI ს-ის დასასრულსა და XVII ს-ის I მესამედში სალიპარტიანოს აღმოსავლეთი საზღვარი მდ. ცხენისწყლამდე ვრცელდებოდა და ხუნწი, ნაგვაზაუ, ბონბოთი და კვაუთი მის შემადგენლობაში შედიოდა.

XVII ს-ში სალიპარტიანოს ცენტრი უნდა ყოფილიყო ნაქალაქევში ან მის მახლობლად, **ტარჩულად** სახელდებულ პუნქტში. 1646 წლით დათარიღებულ მარტვილის ღვთისმშობლის ხატს წარწერაში აღნიშნულია, რომ გარდაცვლილი მეუღლის, ნესტანდარეჯანის სულის საოხად თვალ-მარგალიტით შემკობილი ხატი ოდიშის მთავარ ლევან II დადიანს (1611-1657 წწ.) დაუსვენებია ლიპარტიანის სასახლესა ტარჩულს“ და მისთვის აღაპიც დაუწესე-

[107] **ნ. მურღულია,** ეგრისის სამეფოს გამაგრების სისტემა IV-VI საუკუნეებში (არქეოლოგიური მასალებისა და ისტორიული წყაროების მიხედვით). ნაშრომი შესრულებულია არქეოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, 2012: 155.

ბია: „დადიანმან:. პატრონმან ლევან:. ვიგულსმოდგინეთ:. და:. მოვა-ჭედინეთ:. ხატი:. ესე:. სახისა:. თქვენისა:. და:. შევამკევით:. თვალი-თა:. და:. მარგალიტითა:. და:. დავასვენეთ:. ტარჩულს:. ლიპარტია-ნის სასახლესა:. კარის:. ეკლესიასა“[108].

მხარეთმცოდნე გ. ელიავა „აბედათის სასოფლო საბჭოს“ ტოპონიმთა ნუსხაში დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე ნა-სახლარი ადგილის სახელწოდებად მიუთითებს „ტარჩუს“[109]. 1971 წელს გამოცემულ სამხარეთმცოდნეო ნაშრომში მკვლევარი სოფლის ცენტრის მახლობლად, მარსილის ველზე, ბანძა-აბე-დათს შორის, ტარჩენის ნაპირას მიუთითებს ამ ადგილს და შენიშ-ნავს, რომ „ხალხის გადმოცემით აქ დადიანთა დიდებული ციხე და სასახლე ყოფილა წინათ“[110]. ტარჩუ სწორედ იმ სასახლისა და ციხის ადგილი უნდა იყოს, რაც ერთ ისტორიულ წყაროში მარსი-ლის სასახლის სახელითაა დამოწმებული. იგი გვიან შუა საუკუ-ნეებში სალიპარტიანოს ცენტრი და მისი მთავარი სარეზიდენციო კერა უნდა ყოფილიყო[111].

სახელწოდება უკავშირდება პატარა მდინარის სახელს – **ტარჩენს,** რაც ჩამოედინება აბედათის აღმოსავლეთ ნაწილში. ქმნის სამი მდგენელი: ნოდა, ისქია და არჯანია. სათავეს იღებს ნა-ხუნუში, საიდანაც გაედინება აბედათ-ნაქალაქევში და მარჯვნი-დან შეერთვის აბაშას, ბანძა-ნაქალაქევის საზღვარზე. მდინარის ორივე ნაპირზე მდებარე ჭალები **ტარჩენჭაჲას//ტარჩენჭა-ჲეს//ჭა(ჲ)ეს** სახელითაა ცნობილი. ტარჩენჭაიასა და მდ. აბაშას შუა არის მარსი(ლ)ის ფართო ვაკე, 500-მდე ჰა. მარსილი საზია-როა ლემიქავესა, ლექაჯაიესა, ჯოლევსა, ბანძასა და სხვ. სოფ-ლებს შორის[112]. პუნქტი **მარსელის** სახელწოდებით დატანილია არქანჯელო ლამბერტის მიერ შედგენილ რუკაზე, ახლანდელ აბედათის ტერიტორიაზე (იხ. ქვემოთ).

---

[108] **ე. თაყაიშვილი,** მარტვილის მონასტერი, თბ., 1993: 17, 54-57; შ. ჯღარკავა, სალიპარტია-ნოს ისტორიიდან. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, №6, თბ., 1970: 78.

[109] **გ. ელიავა,** აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმიკა, 1977: 94.

[110] **გ. ელიავა,** აბაშისა და ტეხურის ხეობების..., 38.

[111] იქვე: 38.

[112] **პ. ცხადაია,** სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, V, მარტვილის რაიონი (სამ-ხრეთი ნაწილი), თბ., 2010: 145, 154.

10. სახარია - „ციხე და სასახლე დადიანისა“

დიდი ხანია ქართველ ისტორიკოსთა ინტერესს იწვევს ვახუშტის მიერ აბაშის ნაპირზე მითითებული **სახარია**, სადაც ყოფილა „ციხე და სასახლე დადიანისა“[113]. სად მდებარეობდა ვახუშტისეული „სახარია“? აღნიშნული პუნქტის ლოკალიზაციის შესახებ გამოთქმულია რამდენიმე განსხვავებული მოსაზრება. გ. ელიავამ ტოპონიმი „სახარია“ სალხინოსთან გააიგივა. ჩანს, რომ მკვლევარი სალხინოსა და სახარიას იგივეობას ამ ორი სახელწოდების ფონეტიკური მსგავსებით ხსნიდა[114]. ეს მოსაზრება გაიზიარეს გოგილო და დემურ ბასილაიებმა[115].

პ. ზაქარაიამ და თ. კაპანაძემ სახარია ბანძის უკიდურეს ჩრდილოეთით, აბაშის მარცხენა ნაპირას მდგარი ციხე-დარბაზის სახელწოდებად მიიჩნიეს; თუმცა, სრულიად სამართლიანად, მნიშვნელოვანი დასკვნის გამოტანისგან თავი შეიკავეს. „ეს ის ადგილია თუ არა, ამის ზუსტად დადგენა ძნელია, ასეთი ტოპონიმი დღეს არ არსებობს“, – წერენ ისინი[116].

საქმე ისაა, რომ ბანძის ციხე შეუძლებელია სახარიად მივიჩნიოთ და ეს კარგად ჩანს თვით ვახუშტის ცნობიდან, რომელიც წერს: „ცხენისწყლის დასავლით არს მუნვე ბანძა და ციხე კეთილნაშენი“[117]. ბანძა აბაშის ხეობაში მდებარეობს. ციხის ნაშთი, როგორც აღვნიშნეთ, ბანძის ჩრდილოეთით, აბაშის მარცხენა ნაპირზე, ველზე დგას და **ნოჯიხენის** სახელწოდებითაა ცნობილი. ესაა სოფლის სახელის ადგილობრივი არაოფიციალური ვარიანტიც. **ნაჯიხუ, ნოჯიხენი** მეგრულში „ნაციხარს“ ნიშნავს (ჯიხა „ციხე“). ამრიგად, ეს სახელი სავსებით შეეფერება ციხის ნაშთებსაც. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ვახუშტის დროს და უფრო ადრეც, ციხის სახელი **ნოჯიხენი** ვერ იქნებოდა. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ციხის არ-

---

[113] **ვახუშტი,** აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1977: 776-777.
[114] **გ. ელიავა,** აბაშისა და ტეხურის ხეობების ისტორიული ღირსშესანიშნაობანი, 1971: 82.
[115] **გ. ბასილაია, დ. ბასილაია,** ჩვენი სალხინო, 2008: 29-30.
[116] **პ. ზაქარაია, თ. კაპანაძე,** ციხეგოჯი-არქეოპოლისი-ნოქალაქევი. ხუროთმოძღვრება. თბ., 1991: **234**.
[117] **ვახუშტი,** აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 776.

სებობის პერიოდში სოფელს **ჯიხა** ერქვა, ხოლო მას შემდეგ, რაც, აქ მდგარი ნაგებობები დაინგრა, სოფელსაც ნოჯიხენი ეწოდა. ეს უნდა მომხდარიყო XVIII ს. ბოლოსა და XIX ს. დასაწყისში[118].

ჩვენი ფიქრით, ციხის გარშემო მდებარე დასახლების სახელწოდება ნოჯიხენამდე **ბანძა** უნდა ყოფილიყო. ეს სავსებით დამაჯერებელი ვარიანტია მაშინ, თუკი გავითვალისწინებთ იმ საგულისხმო გარემოებას, რომ ბანძა, გვიან შუა საუკუნეებსა და, შემდეგაც, XIX საუკუნეში, მოიცავდა საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას აბაშიდან ცხენისწყლამდე[119]. სწორედ ამიტომ უნდა მიუთითებდეს ვახუშტი ცხენისწყლის დასავლეთით ბანძას „კეთილნაშენი“ ციხით.

ძეგლი, რასაც ვახუშტისეულ ბანძის „ციხე კეთილნაშენად“ მივიჩნევთ, თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით, ბანძის თემის უკიდურეს ჩრდილოეთ მხარეს, ლეხაინდრავოს თემის სოფ. ნოჯიხევში, აბაშის მარცხენა მხარეს მდებარე შემაღლებაზეა. ციხის გეგმა მოზრდილი ოვალია. მის მახლობლად აგებული პალატი ოთახებიან შენობას წარმოადგენდა, რისიც მხოლოდ უმნიშვნელო ნანგრევებია შემორჩენილი. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ნოჯიხენში ქვის ნაგებობების გვერდით ხის შენობებიც იქნებოდა, მაგრამ გასაგები მიზეზების გამო მათი არსებობა არ დასტურდება. თუკი ჩავთვლით, რომ ნიკო დადიანის მიერ მოხსენიებული ნოჯიხევი სწორედ ეს ადგილია, მაშინ სწორია მისი ცნობა აქ დადიანის სასახლის არსებობის შესახებ. ნ. დადიანის მსჯელობით, „ამისთვის იმეცადინა გიორგიმ დადიანის ძემ და მიიბირა გელოანი ქაიხოსრო და მოუწოდა გრიგოლს თვისსა სასახლესა შინა ნოჯიხევს“[120]. ამ შემთხვევაში XVIII ს. 90-იანი წლების ამბებია აღწერილი. მაშასადამე, დასახელებული საუკუნის მიწურულამდე აქ ცხოვრება გრძელდებოდა. XIX ს. დასაწყისში კი ციხე და სასახლე ნადგურდება. ამიტომ აქ ცხოვრება

---

[118] **პ. ზაქარაია, ნ. ლომოური, ვ. ლექვინაძე, გ. გვინჩიძე,** ციხეგოჯი-ნოქალაქევი, თბ., 1984: 55.

[119] **ი. კეკელია,** ბანძის ციხე. გაზ. „მახარია“, №9, 2002: 7; №6, 2005: 14.

[120] **შ. დადიანი,** ქართველთ ცხოვრება, თბ., 1962: 188.

წყდება.

ბანძის შემდეგ ვახუშტი აღწერს ჭყონდიდის ადგილმდებარეობას, საუბრობს ჰიდრონიმ „აბაშის“ წარმომავლობაზე და მხოლოდ ამის შემდეგ გვაწვდის ცნობას სახარიას ციხესა და სასახლეზე. ამასთანავე, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ვახუშტის რუკაზე ტოპონიმი „სახარია“ ნაჩვენებია ბანძის მახლობლად, აბაშის მარჯვენა ნაპირას, დღევანდელ აბედათ-სერგიეთის ტერიტორიაზე.

შალვა ჯღარკავას ვარაუდით, „სახარია“ სახარბედიოს დამახინჯებული ფორმა უნდა იყოს. ხარბედიები აბედათში მოსახლეობდნენ. „საინტერესოა, რატომ აღნიშნავს ვახუშტი ამ ადგილს სახარიად. შესაძლოა ეს მისი ძველი სახელწოდება იყო. ამ ადგილის შესწავლამ ერთ საყურადღებო გარემოებაზე შეგვაჩერა. აქ ცხოვრობენ ხარბედიები. დღეს რამდენიმე ოჯახია დარჩენილი, შეიძლება ვიფიქროთ, რომ წინათ ხარბედიებს მარსელში ეკავათ გარკვეული ტერიტორია და ეს ადგილი იწოდებოდა სახარბედიოდ... ვახუშტიმ შესაძლოა სახარბედიო აღნიშნა სახარიად... ვფიქრობთ, რომ ვახუშტის სახარია, „ციხე და სასახლე დადიანისა“, არის იგივე მარსელის დადიანის სასახლე“[121].

შ. ჯღარკავას მოსაზრება გაიზიარა თამაზ ბერაძემ. თუმცა სხვა, დამატებითი არგუმენტი ვარაუდის გასამყარებლად მკვლევარს არ წარმოუდგენია[122].

ლამბერტის მიერ შედგენილ რუკაზე, ახლანდელ აბედათის ტერიტორიაზე, აღნიშნულია პუნქტი **მარსელის** სახელწოდებით. აბაშის მარჯვენა ნაპირის სახნავ-საბალახოები ჯოლოაბედათიდან ვიდრე სერგიეთ-ბობოთამდე, დღესაც მარსი(ლ)ის//მარსიიშ მინდორის სახელითაა ცნობილი[123]. ეს ადგილი მარსელის, მარსი(ლ)ის სახელს ატარებდა XVII-XIX საუკუნეებში და იგივე სახელითაა ცნობილი დღესაც.

---

[121] **შ. ჯღარკავა,** სალიპარტიანო (ისტორიულ-გეოგრაფიული დახასიათება), ტსუ შრომები, ისტორიულ მეცნიერებათა სერია, ტ. №113 (V), თბ., 1965: 287.

[122] **თ. ბერაძე,** ვახუშტი ბაგრატიონი და ოდიშის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები. „საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული“, ტ. IV, 1971: 56.

[123] **ი. კეკელია,** ბანძის ტოპონიმია, თბ., 2007: 47.

შ. ჯღარკავას ზემოთ მოხმობილი მსჯელობიდან გამოდის, რომ ლამბერტის რუკაზე აღნიშნული მარსელი და ვახუშტისეული სახარია ერთსა და იმავე პუნქტში, აბედათის ტერიტორიაზე, ან მის შემოგარენში ლოკალიზდება.

სახარიასა და მარსილის იგივეობა ნაკლებ სარწმუნოდ მიგვაჩნია. ამ იგივეობის მართებულობას უფრო ის გარემოება ართულებს, რომ ტოპონიმი „სახარია“ აბედათის ტერიტორიაზე დამოწმებული არ არის. ამასთანავე, შეცდომაა, როცა შ. ჯღარკავას ვახუშტისეულ „სახარიად“ აბედათში, მარსილის ველზე, ხარბედიების გვარით დასახლებული თუ მათ მფლობელობაში არსებული და, უწინ, ალბათ, სახარბედიოდ სახელდებული გარკვეული ტერიტორია ესახება. ამ მოსაზრების მცდარობაზე მეტყველებს შემდეგი გარემოებანი: 1. ხარბედია ერთ-ერთი რიცხვმრავალი გვარია, მაგრამ აბედათის თემის არც ერთ სოფელში (აბედათი, ჯოლო, ლემიქავე, ლექაჯაიე) ხარბედიების მოსახლეობა ვერ დავადასტურეთ. შ. ჯღარკავას ნაშრომის გამოქვეყნების თარიღის (1965 წ.) გათვალისწინებით, აბედათში ხარბედიებს არ უცხოვრიათ არც გასული საუკუნის 60-იან წლებში, თუმცა ისტორიკოსი დარწმუნებით წერს, რომ აბედათში თითქოს ხარბედიები მოსახლეობენ. რეალური სურათი კი სხვაგვარია: ჩვენ მიერ მოწყობილი ისტორიულ-გეოგრაფიული ექსპედიციების დროს ხარბედიების გვარის კომპაქტური დასახლება დადასტურდა არა აბედათში (როგორც აღნიშნავს შ. ჯღარკავა), არამედ მეზობელ სოფელ სერგიეთში (ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ცენტრი აბედათის ჩრდილოეთით, აბაშის მარჯვენა მხარეს), სადაც ამ გვარით დასახლებული უბანი წინაკვერკვესა და ნახუნუს საზღვრებთან „სახარბედიოდ“ იწოდება. აქვე დასტურდება გვართან დაკავშირებული ორი ტოპონიმი: ნეძგიდეა//ხარბედიეფიშ ონეძე „ხარბედიების ნიგვზნარი“ – ფერდობი არჯანიაშ ღეეს შენაკადის – ნოდის მარცხენა ნაპირზე, და ხარბედიეფიშ ნოხორი „ხარბედიების ნასახლარი“ – სახნავი ნახუნუს საზღვართან. ამასთანავე, XVII–XVIII სს. ისტორიული წყაროების მიხედვით ხარბედიები საეკლესიო გლეხები იყვნენ. თუკი სერგიეთში კომლმრავალ გვარებად ითვლებოდა გაწერელია, სურ-

მავა, ბედია, სულავა, ქუთათელაძე, თოდუა, ინჯგია და სხვ., ხარბედიას გვარი რიცხოვნობით გამორჩეული არ ყოფილა და არაა სავალდებულო, რომ უწინ დამოუკიდებელი სოფლის ან სოფლის შიგნით დასახლებული უბნის სახით არსებულიყო.

იური სიხარულიძის ვარაუდით, გეოგრაფიულად აბაშის ნაპირზე მდებარე სოფელი ნახარებაო სახელით უფრო ახლოსაა „სახარიასთან". ამიტომ სახელწოდებათა მსგავსება ჩვენთვის საინტერესო პუნქტის არსებობას მკვლევარს სწორედ აბაშის ხეობაში, ამ სოფლის ტერიტორიაზე აფიქრებინებდა[124].

შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ვახუშტიმ სოფლის სახელწოდება **ნახარებაო** მართლაც სახარიად გაიაზრა და ამ ფორმით კიდეც მოიხსენია თავის ნაშრომში, მაგრამ ამ ვარაუდის დაშვების შესაძლებლობას მაინც ართულებს რამდენიმე გარემოება: 1. ვახუშტი სახარიას აღნიშნავს ბანძის პირდაპირ, აბაშის მარჯვენა მხარეს. ნახარებავო კი ბანძის ჩრდილოეთით, აბაშის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს; 2. ჩვენამდე მოღწეულ არცერთ წერილობით დოკუმენტში ნახარებუს უწინდელ თუ პარალელურ ფორმად სახარია ნახსენები არ არის. უფრო მეტიც: ვახუშტის ცნობის თითქმის თანადროულ, 1771 წლით დათარიღებულ ანტონ ცაგერელის შეწირულების წიგნში სოფლის სახელწოდებად მითითებულია **ნახარბოი**[125]; 3. ახლანდელ ნახარებუს ტერიტორიაზე ციხის ნაშთი შემორჩენილი არ არის.

სახარიას ლოკალიზაციის საკითხს შეეხო დ. ჭითანავა და გამოთქვა ვარაუდი, რომ ვახუშტის მიერ აბაშასთან მოხსენიებული ციხე და დადიანის სასახლე ვედიდკარში, აბაშის მარცხენა ნაპირთან ახლოს მდებარე, „ნოჯიხევად" (ნაციხარი) სახელდებული ადგილი უნდა იყოს, სადაც შემორჩენილია ეკალ-ბარდებით დაფარული რიყის ქვის კედლის ნაშთები[126]. იმავე ნაშრომში მკვლევარი ერთგან აღნიშნავს, რომ ვედიდ-

---

[124] **ი. სიხარულიძე,** ოდიშის საისტორიო გეოგრაფიის წყაროები, გაზ. „მახარია", №1, 2003: 3.

[125] **ს. კაკაბაძე,** დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, ტფ., წ. II, 1921: 43.

[126] **დ. ჭითანავა,** ეკლესიები და თავდაცვითი ნაგებობები სამეგრელოში (უძველესი დროიდან დღემდე), თბ., 2010: 208.

კარ-მუხურჩის ციხე იგივეა, რაც ვახუშტის „ბანძა და ციხე კეთილნაშენი“[127].

„სახარიას“ ისტორიისა და ლოკალიზაციის საკითხთან მიმართებაში ჩვენი ყურადღება მიიქცია აგრეთვე სოფლის სახელწოდება **ლეხაინდრავომ**. ვახუშტის რუკაზე, ცხენისწყლის მარჯვენა მხარეს აღნიშნული პუნქტი **ლეხაინა** ფორმითაც და რუკაზე მოცემული ადგილმდებარეობითაც დღევანდელ ლეხაინდრეს შეესაბამება[128].

XVIII საუკუნეში ერთი და იგივე პუნქტის პარალელურ სახელწოდებად **ლეხაინდრე** და **სახაინდრაო** დასტურდება. ხაინდრავების მიერ 1770 წელს ხონის მთავარეპისკოპოს მაქსიმესადმი მიცემულ პირობის წიგნში დასტურდება „მოწმე სულ ერთობით სახაინდრაო“[129]. 1997 წელს სოფლის ისტორიულ-გეოგრაფიული აღწერისას ჩავიწერეთ ტოპონიმი „სახარიაშ ფონი“. ასე ეწოდება ფონს სოფლის აღმოსავლეთით, ცხენისწყალზე. 2007 წელს ფეხდაფეხ შემოვიარეთ ლეხაინდრავოს თემში შემავალი სოფლები და მისი შემოგარენი. თუმცა ცხენისწყლის გაყოლებით, არც „სახარიაშ ფონის“ სახელწოდებით ცნობილი ადგილის მახლობლად და არც მეზობელი სოფლების (ნაგვაზუ, ნაგებერუ, ნაჯახუ) ტერიტორიაზე ციხისა და სასახლის ნაშთებს ვერ მივაკვლიეთ. თვით „სახარიაშ ფონის“ სახელდების მოტივის შესახებ კი შემდეგი განმარტება ჩაგვაწერინეს: სახარია ერქვა პიროვნებას, რომელიც ცხენისწყლის ნაპირას, სახელდებული ობიექტის მახლობლად ცხოვრობდა.

საინტერესოა კიდევ ერთი ფაქტი: რაფიელ ერისთავის ცნობით, მარტვილიდან ხონისკენ მიმავალი გზა გადაკვეთდა ნაჯიხევისა და მარსილის მინდვრებს. ხონისკენ მიმავალისთვის გზა უხვევდა მარცხნივ და ძველ საფოსტო გზაზე ორად იყოფოდა: ერთი ხუნწის გავლით, ბუმბუას ხიდზე გადადიოდა, მეორე კი დიაგონა-

---

[127] იქვე: 213.

[128] **ი. კეკელია,** ძიებანი მარტვილის მუნიციპალიტეტის ოიკონიმიიდან. ჟურნ. „კულტურათაშორისი კომუნიკაციები“, №12, თბ., 2010: 73; **მისივე,** მარტვილის რაიონის ოიკონიმია, ქუთ., 2010: 66.

[129] **ს. კაკაბაძე,** დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, ტფ., წ. II, 1921: 175.

ლურად მიემართებოდა ხუნწს ქვემოთ და ნაგვაზაოს ზემოთ მდებარე სურმავების ბორნისკენ. ამ ბორნის ზემოთ და ქვემოთ კიდევ ორი ასეთივე ბორანი ყოფილა: ერთი ხუნწს ქვემოთ, ხოლო მეორე ადგილ **სახარიასთან,** რომელსაც თავადი წულუკიძეები ფლობდნენ. მათხოჯისა და ხონისკენ ხუნწისა და ბუმბუას ხიდის გავლით მიმავალი გზა **ზემო სამეგრელოს სამხედრო გზის** სახელწოდებით იყო ცნობილი, ხოლო ზოგიერთი იმერეთის მმართველის, გენერალ ა. ესპეხოს სახელის მიხედვით **ესპეხოს გზასაც** უწოდებდა. გზის დაპროექტება მოხდა 1838 წელს, ლობოდას მიერ[130]. მაშასადამე, რაფიელ ერისთავის მიერ დამოწმებული ადგილი „სახარია“ სწორედ ხუნწის სამხრეთით, ნაგვაზაო-ლეხაინდრავოს ტერიტორიაზეა საძიებელი.

ციხისა და სასახლის არსებობაზე ადგილობრივი მოსახლეობის ხსოვნას არანაირი გადმოცემა არ შემორჩენია. რაც შეეხება გ. ელიავას მიერ „ლეხაინდრაოს სასოფლო საბჭოს“ ტოპონიმთა ნუსხაში, აბაშის ჭალაში მდებარე ბორცვისა და ქვითკირის ნაგებობათა ნაშთების სახელწოდებად „ნოჯიხუს“ (ნაციხარი) დამოწმებას, მკვლევარი ამ ტოპონიმში სწორედ იმ ციხის ნაშთებს უნდა გულისხმობდეს, რაც მკვლევართა ერთი ნაწილის მიერ ვახუშტისეულ ბანძის „ციხე კეთილნაშენთანაა“ გაიგივებული[131].

ჩვენი მიზანი იყო „სახარიას“ ლოკალიზაციასთან დაკავშირებით მკვლევართა მიერ გამოთქმული მოსაზრებების მიმოხილვა. ყველა თვალსაზრისი მხოლოდ ვარაუდის დონეზე რჩება, ვიდრე თითოეული მათგანი სათანადო არგუმენტებით არ გამყარდება.

11. ხუნწის ციხე

ხუნწი მდებარეობს სამეგრელო-იმერეთის საზღვარზე, ცხენისწყლის მარჯვენა მხარეს. სოფელი სამ ნაწილად არის გაყოფილი: ზემო ხუნწი, ქვემო ხუნწი და ლეციცხვაიე. ამათგან ქვემო

---

[130] **Р. Эристов**, Путевыя заметки по Мингрелии, „ Кавказская старина“, 3, 1873: 79.

[131] **გ. ელიავა,** აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმიკა, 75.

ხუნწი თემის ცენტრია და ზ. დ. 160 მ-ზეა. ციხის ნაშთი დგას ეხაჟომიესა და ქუქითს შუა, ოხვამეკარის გვერდით. პარალელური სახელწოდებაა **ნაციხვარი//ნაჯიხ(ო)უ.**

აბედათის ციხე-სიმაგრეზე მსჯელობისას (იხ. ზემოთ) აღვნიშნეთ: მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყველაფერი ნათელია და სადავოც არაფერი არ უნდა იყოს, ქართულ ისტორიოგრაფიაში მაინც არის მცდელობა „უნაგირას მთის“ სხვაგან, კერძოდ, ცხენისწყლის ხეობაში ლოკალიზაციის შესახებ. მხედველობაში გვაქვს ავთანდილ ფაილოძის მიერ არაერთგზის დაჟინებით გამოთქმული თვალსაზრისი, რომ წერილობით წყაროებში მოხსენიებული, ერთი და იმავე გეოგრაფიული ობიექტის სახელწოდება **ონოგურისი** და **უნაგირა** საძიებელია ცხენისწყლის ხეობაში. ა. ფაილოძე მიიჩნევს, რომ **სოფ. ხუნწის „ნაჯიხუ“** (ნაციხარი), რაც უნაგირას მთაზეა აღმართული, წერილობითი წყაროების „ონოგურისი“ უნდა იყოს. მკვლევარი ვრცლად მიმოიხილავს „ონოგურისის“ გარშემო არსებულ წყაროებსა და ლიტერატურას და დაასკვნის: უნაგირას ქედი იწყება ცხენისწყლის მარჯვენა მხარეს, სოფ. მათხოჯის პირდაპირ, ზემო ხუნწის გორაკებით. მაშასადამე, ჰონოგურის-უნაგირა ისტორიული მოხირისის გარეთაა და აგათიასეული აღწერილობა ზუსტად შეესაბამება ქვემო ხუნწში, ცხენისწყლის მარჯვენა ნაპირიდან 600-700 ნაბიჯით დაშორებულ უნაგირას მთას. ა. ფაილოძე შენიშნავს, რომ მის მოსაზრებას ბიზანტიელ ავტორთა ცნობების გარდა ადასტურებს მიდამოს გეოგრაფია, ტოპონიმია, ნაციხარის მასშტაბი და სხვა გარემოებანი. გ. ელიავას ნაშრომზე მითითებით, ა. ფაილოძე დასძენს, რომ ადგილობრივნი ამ მთას „ნაჯიხუს“ (ნაციხარს) უწოდებენ[132].

„ონოგურისი“ პირველად ცნობილმა ბიზანტიელმა პოეტმა და ისტორიკოსმა აგათია სქოლასტიკოსმა (დაახლ. 536-582 წწ.) ახსენა თავის საისტორიო თხზულებაში – „ისტორიები“ ანუ „იუს-

---

[132] **ა. ფაილოძე,** მატიანე ხონისა, ნაწილი II, ბათ., 2003: 30-31. ხუნწის შესახებ იხ. **მისივე,** წულუკიძის რაიონის ისტორიიდან, თბ., 1984: 5-8. ხუნწის ნაციხარს რომ „ნაჯიხუ“ ეწოდება, ეს არ გამოდგება ონოგურისთან ამ ძეგლის გასაიგივებლად, ვინაიდან ცხენისწყლის მარჯვენა მხარეს, ხუნწის შემოგარენში (ვედიდკარი, ლეხაინდრავო, ნაჯახავო, აბედათი, ნაგვაზავო, მარტვილი), სხვა არაერთი „ნაჯიხუ“ , „ნოჯიხუ“ და „ნოჯიხენია“ დაფიქსირებული ტოპონიმებად. იხ. **გ. ელიავა,** აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების..., 67, 75, 79, 93, 102, 108...

ტინიანეს მეფობისათვის“, ეხებოდა რა იმპერატორ იუსტინიანეს დროის ლაზეთის სამეფოს ტერიტორიაზე ირანსა და ბიზანტიას შორის 552-558 წლებში წარმოებულ ომებს; თუმცა ციხის დაზუსტებული ლოკალიზაცია მოცემული არა აქვს. „ონოგურისის ციხეში, – წერს აგათია თხზულების II, 22 ფრაგმენტში, – რომელიც მას (სპარსთა სარდალ მერმეროეს – ავტ.) წინათ არქეოპოლისის მიდამოებში რომაელთა წინააღმდეგ საჭირო სასიმაგრო საფრად გაეხადა, ჩაყენებული იყვნენ სპარსელები, და აი, ეს სპარსელები მან გაამხნევა, სხვა რაზმიც დაუტოვა, იქაურობა, რამდენადაც შესაძლებელი იყო, გაამაგრა და კვლავ კოტაისისა და მუხირისისაკენ გაბრუნდა“[133]. აგათიას ამ ცნობაზე დაყრდნობით აკად. ს. ყაუხჩიშვილმა გამოთქვა მოსაზრება „ონოგურისის“ ცხენისწყლის დასავლეთით, არქეოპოლისის მიდამოებში, უნაგირას მთაზე ლოკალიზების შესახებ[134].

უნაგირას მთა, როგორც აღვნიშნეთ, აბაშისა და ტეხურის წყალგამყოფს წარმოადგენს. სწორედ ამ მთის ფერდობზეა აგებული ეგრისის (ლაზეთის) სამეფოს დედაქალაქი არქეოპოლისი-ნაქალაქევი. ვახუშტი წერს: „...აწ სენაკს ზეით, უნაგირას ძირში არს ნაქალაქევი, ციხეგოჯად წოდებული. ეს აღაშენა პირველი მეფის ფარნაოზის ჟამს ქუჯიმ, ქალაქი და ციხე...“[135]

პროფ. პ. ზაქარაიას მიაჩნდა, რომ ონოგურისი იგივე აბედათის ციხეა. „სწორედ ამ უნაგირას მთების გაგრძელებაზე, ჩრდილო-დასავლეთით, სოფელ აბედათის მთაზე მდებარეობს ის ციხე, რომელიც ონოგურისად მივიჩნიეთ. სხვა ციხე თუ ნაციხარი ამ მიდამოებში არსად ჩანს. ამიტომ ჩვენ მტკიცედ ვართ დარწმუნებული იმაში, რომ ახლანდელი აბედათის ციხე ძველი ონოგურისის ციხეა“, – წერს იგი[136].

---

[133] „გეორგიკა“, III,. 1936: 41.

[134] იქვე: 62.

[135] **ვახუშტი,** აღწერა სამეფოსა საქართველოსა. „ქართლის ცხოვრება“, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. IV, თბ., 1973: 777.

[136] **პ. ზაქარაია, თ. კაპანაძე,** ციხეგოჯი-არქეოპოლისი-ნოქალაქევი. ხუროთმოძღვრება, თბ., 1991: 128-129.

ხუნწის ციხე. ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან

მკვლევარ ა. ფაილოძის მოსაზრება „ონოგურისის“ სოფ. ხუნწში არსებულ ციხის ნანგრევებთან იგივეობის შესახებ უმართებულოდ მიგვაჩნია. მისი ცნობით, მთა, რაზეც ხუნწის ციხეა აღმართული, უნაგირას სახელს ატარებს. მიუხედავად იმისა, ეს მაინც არ მოგვცემდა იმის მყარ საფუძველს, რომ ონოგურისის ციხის ხუნწში ლოკალიზაცია გვემტკიცებინა, იმდენად, რამდენადაც არქეოპოლისს (ახლანდელი ნაქალაქევი სენაკის რ-ნში) აღნიშნული ციხე დიდი მანძილითაა დაშორებული; აგათია სქოლასტიკოსის თქმით კი ონოგურისი „არქეოპოლისის მიდამოებშია“ და ეგრისის სამეფოს დედაქალაქის „სასიმაგრო საფარს“ წარმოადგენს[137]. ამასთანავე, ტოპონიმი „უნაგირა“ და მისი ვარიანტები საქართველოში ბევრგან დასტურდება. აქვე საკითხისადმი ჯეროვანი სიცხადის შესატანად მოვიხმობთ საილუსტრაციო მასალას: უნაგირა – 1. სერი სოფ. რუსთავში (ასპინძის რ.); 2. სათიბი, სათესი სოფ. ერკოტაში (ასპინძის რ.); 3. სათიბი, საძოვარი სოფ. დადეშში (აწყვიტის თემი); 4. გორა ახალბედისეულში (ხონის რ.); 5. მთა ნავენახევსა და სიმონეთში (თერჯოლის რ.); 6. საბანაო ადგილი ქუთაისში; 7. საძოვარი სოფ. ცხუნკურში; 8. სახნავი ზემო ბაშში; 9. უნაგირა//უნაგირე – ჩაის პლანტაცია სოფ. მათხოჯში (ხონის რ.);

---

[137] **კ. ქებულაძე, ი. კეკელია,** კვლავ „უნაგირას მთის“ ლოკალიზაციისათვის. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბე, №2, ქუთ., 2013: 217.

10. უნაგირა//უნაგირეის სერი – ტყე სოფ. ოჯოლაში; 11. უნაგირა//წმინდა გიორგი – საზღვარი სოფ. ცუცხვათში; უნაგირა - მთა ნამუნასტრევში (მერისის თემი); უნაგერა – უღელტეხილი, სათიბები რაჭის ქედზე (ხიხათა); უნაგერა//უნაგირა – 1. უღელტეხილი სუნდაურის თავზე (კვაცხუთი, წესი); 2. მთა სათამაშო მინდორსა და ზვარეთგვერდს შუა (ბოყვა); უნაგერას ტბა – ტბა უნაგერაში (ხიხათა); უნაგირა – 1. ტყე სხვავის საზღვართან (გორი); 2. უღელტეხილი საელიოში (ძირაგეული); 3. უღელტეხილი სოფ. აბარში; 4. სერი ტომარაძეებში (კვაშხიეთი); ონაგირა - ტყე, საძოვარი ზედა მაღლაკონში (აჭარისწყლის თემი); 2. საძოვარი გაბრელაურში (დღვანის თემი); 3. ტყე ნიგაზეულში (სხალთის თემი); 4. სათესი განახლებაში (ხულოს თემი); ონაგირასერი – საძოვრები გუნდაურსა და მაწყვალთის მთაში; და ა. შ.[138]. მხარეთმცოდნე გ. ელიავა მთებს შუა გადასასვლელი გზის სახელწოდებად „უნაგირას“ ასახელებს „გაჭედილის სასოფლო საბჭოს“ ტოპონიმთა ჩამონათვალში; მაგრამ რა მთებსა და რა გზა-გადასასვლელზეა საუბარი, ჩვენთვის ამჯერად უცნობია[139]. რამდენადაც უფრო დაზუსტებული ლოკალიზაცია მის ნაშრომში არაა მოცემული, შეიძლება ვიფიქროთ, რომ გ. ელიავა სწორედ აბაშისა და ტეხურის წყალგამყოფ იმ მთათა სისტემაზე მსჯელობს, რაზეც ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი.

XVIII ს. გერმანელი მეცნიერი იოჰან ანტონ გიულდენშტედტი 1772 წლის მოგზაურობის დღიურში წერს: „ხუნწი პატარა ციხე“[140]. „პატარა ციხეში“ სწორედ ხუნწის „ნაჯიხ(ო)უ“ უნდა ვიგულისხმოთ[141]. თუ ციხის მასშტაბებსაც გავითვალიწინებთ, მაშინ

---

[138] **ი. სიხარულიძე,** სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა (აჭარის ასსრ), წ. I, ბათ., 1958: 49, 64, 80, 90, 91, 97, 110; **მისივე,** მასალები სამცხის ისტორიული გეოგრაფიისათვის (ტოპონიმიკა), „საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული“, II, თბ., 1964: 156, 157, 161; **საქართველოს ტოპონიმია** (მასალები), ქვემო იმერეთი. ტ. III, თბ., 2003: 306; **პ. ცხადაია, ვ. ჯოჯუა,** რაჭის გეოგრაფიული სახელწოდებანი (სალექსიკონო მასალა),II, თბ., 2005 : 202; III, 2010: 293.

[139] **გ. ელიავა,** აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმიკა, 1977: 131.

[140] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, თარგმანი და გამოკვლევა გ. გელაშვილისა. თბ., 1962; 323.

[141] ხუნწის შესახებ იხ. **ი. კეკელია, ჯ. ხუროძე,** სოფელ ხუნწის ისტორიისათვის. გაზ. „მახარია“, №2 (19), 2002: 15, 18; **ი. კეკელია,** ხუნწის ისტორიული გეოგრაფიიდან. გაზ. „მარტვილი“, №5, 30 ივნისი, 2005: 3; **ი. კეკელია,** ხუნწი (ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა).

ადვილი წარმოსადგენია, რომ აგათიას თხზულებაში აღწერილი მასშტაბური ბრძოლა ონოგურისისა უნდა გამართულიყო სწორედ აბედათის ციხის მიდამოებში, რადგან თვით ციხის სიდიდეც ამის ერთ-ერთ დადასტურებად შეიძლება ჩაითვალოს[142].

ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ გ. ელიავა „ეკის სასოფლო საბჭოს ტოპონიმთა ნუსხაში დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე ორჯერ ასახელებს ადგილის სახელწოდებას „უნანგერეშის“, „უნანგირეშის“, „ონანგურეშის“ ფორმით და განმარტავს, როგორც „საუნაგიროს“. მართალია, ტოპონიმის ასეთი თარგმანი უმართებულოა, მაგრამ მკვლევარს მეორე შემთხვევაში მოცემული აქვს სახელწოდების ზუსტი გააზრებაც: „უნაგირის მსგავსად ჩაჭრილი“[143]. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ეკი სწორედ უნაგირას მთით ემიჯნება ნაქალაქევს და მის ნაშრომში დამოწმებულ ტოპონიმურ პარალელებში წერილობით წყაროებში მოხსენიებული „უნაგირა“ უნდა იგულისხმებოდეს. ამასთანავე, მიგვაჩნია რომ მთის ადგილობრივი არაოფიციალური და ზუსტი სახელწოდება იყო და დღესაც არის **უნანგერეში//უნანგირეში**. შდრ. ა. ქობალია: **უნანგერა** „უნაგირი“; **უნანგერი** „უნაგირი“[144].

უნაგირას ლოკალიზაციის შესახებ ვახუშტის ნაშრომში დაცულ ცნობებს პირველხარისხოვანი წყაროს მნიშვნელობა ენიჭება. უნაგირას მთის ქვეშ ნაგულისხმევი ტერიტორიის მოცულობაზე ნათელ წარმოდგენას გვიქმნის ვახუშტის მიერ 1745 წელს შედგენილი მეორე ატლასის რუკებიც, სადაც მთა ამ სახელწოდებით გამოსახულია ტეხურის მარჯვენა მხარეს[145].

ტეხურის მარჯვენა მხარეს აღმართული, უნაგირას ქვეშ ნაგულისხმევი მთა აღწევს სოფ. თეკლათამდე, მდ. ციის ხეობამდე. ამდენად, ვახუშტი ცდება, როცა წერს, რომ უნაგირას მთა ტეხურის „დასავლის კიდურსა რიონიდამ წარმოსდევს“-ო. ეს მთა იწყება თეკლათთან და, ამასთანავე, ყოველთვის როდი მიუყვება

ჟურნ. „ეგრისი“, №2, მარტი, 2006: 42-43.

[142] ციხის არქიტექტურის შესახებ ვრცლად იხ. **პ. ზაქარაია, თ. კაპანაძე,** ციხეგოჯი-არქეოპოლისი-ნოქალაქევი. ხუროთმოძღვრება. თბ., 1991: 128-137.

[143] **გ. ელიავა,** სენაკის რაიონის ტოპონიმია, თბ., 1989: 82, 87.

[144] **ა. ქობალია,** მეგრული ლექსიკონი, თბ., 2010: 613.

[145] **ვახუშტი ბაგრატიონი,** საქართველოს ატლასი (XVIII ს.), თბ., 1997.

ტეხურის მარჯვენა სანაპიროს. იგი ნაქალაქევის ციხიდან მდინარის მარცხენა მხარესაც ვრცელდება მარტვილის რაიონის სოფლებამდე (ნაესუუ, ნახუნუუ, ლებაჩიე, თამაკონი)[146].

ნაციხარი დგას სოფლის ჩრდილოეთ ნაწილში (GPS კოორდინატები: 42. 4000330; 42.4154670. სიმაღლე ზ. დ. 275 მ). არქეოლოგი ნ. მურღულია შენიშნავს, რომ ონოგურისისა და ხუნწის იგივეობის შესახებ გამოთქმულ მოსაზრებას მხარს უჭერს ის ფაქტიც, რომ ამ სოფელში, გორაკის ძირში გადის მდ. ნოღელა, რომლის სახელიც შესაძლებელია უკავშირდებოდეს ონოგურისს. ამასთანავე, ციხის სტრატეგიული მდებარეობა (მისი ყველაზე შემაღლებული წერტილიდან ოთხივე მხარე კარგად ჩანს და კონტროლდება), აჩენს ეჭვს მისი ონოგურისთან კავშირის შესახებ[147].

2015 წლიდან დაწყებულმა არქეოლოგიურმა კვლევამ გამოავლინა გალავნის კედლების ფრაგმენტები და კერამიკული ნაწარმი ბორცვის ჩრდილოეთ ფერდობზე და ჰიდრავლიკური ხსნარით მოპირკეთებული იატაკი ცენტრალურ, შემაღლებულ ადგილას.

2016 წელს გამოვლინდა იატაკთან დაკავშირებული გაურკვეველი დანიშნულების ნაგებობა. მთლიანად ციხის ტერიტორიის აღმოსავლეთ, ჩრდილოეთ და დასავლეთ ფერდობზე გამოვლენილია 50 მ-მდე სიგრძის გალავნის კედლის ფრაგმენტი და მიწის ფენით დაფარული ოთხკუთხა კოშკი. გალავნების შიდა პერიმეტრზე მიკვლეულია დიდი რაოდენობის და ნაირსახეობის ამფორები, ქვევრები, ლუთერიუმები, აგრეთვე სამშენებლო კერამიკის მასალა – აგურები, კრამიტები, ფილები, რაც დათარიღებულია IV-VI საუკუნეებით. „შესაბამისად, ციხის არსებობის ქრონოლოგიაც აღნიშნულ პერიოდში უნდა მოექცეს“[148].

ციხის დღემდე შესწავლილ ტერიტორიაზე სამზარეულო და სასუფრე ჭურჭლის ფრაგმენტების ძალზე მცირე რაოდენობით

---

[146] მსჯელობისათვის იხ. **ლ. მარუაშვილი,** საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია, თბ., 1964: 231. საკითხზე მსჯელობისათვის ვრცლად იხ. **კ. ქებულაძე, ი. კეკელია,** კვლავ „უნაგირას მთის“ ლოკალიზაციისათვის. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბე, №2, ქუთ., 2013: 214-220.

[147] **ნ. მურღულია,** ახალი აღმოჩენა ხუნწის ციხეზე. „ონლაინ არქეოლოგია“, №18, 2020: 59.

[148] იქვე: 61.

აღმოჩენა ნ. მურღულიას ავარაუდებინებს, რომ „ხუნწის ციხე უფრო მეტად სამხედრო-სტრატეგიული პუნქტი იყო, ვიდრე რომელიმე დიდებულის საცხოვრებელი რეზიდენცია“[149].

2016-2018 წლებში სრულად გაიწმინდა კრიპტა. ჩასასვლელის გაწმენდა-გამოვლენა 2020 წლის ექსპედიციის მუშაობის დროს დასრულდა. სამშენებლო ტექნიკისა და გამოვლენილი კერამიკული მასალის (ჭურჭელი, სამშენებლო მასალა) ქრონოლოგიის გათვალისწინებით, ხუნწის ციხის ტაძარი, როგორც ითქვა, ზოგადად, IV-VI სს-ით თარიღდება.

ხუნწის ციხის ეკლესიის ნაშთი

[149] იქვე.

ტაძრის დარბაზის ცენტრალურ ნაწილში, მთავარი შესასვლელის წინ, ყოფილა კრიპტაში ჩასასვლელი. კრიპტა შედგება სამი კედლისა და ოთსაფეხურიანი კიბისაგან. ჩასასვლელი დერეფნის სიგრძე 0. 80 მ სიგანისაა, სიგრძე კი 2. 30 მ-ია. თაღოვანი შესასვლელით შესაძლებელია 1. 90 მ სიგანის, 2. 80 მ სიგრძისა და 1. 25 მ სიმაღლის კამაროვან საძვალეში მოხვედრა. მისი კედლებიც ქვით და აგურით წრიულად არის ამოყვანილი[150]. ოსტეოლოგიური ანალიზით დადგინდა, რომ კრიპტაში დაკრძალული ყოფილა 12 ზრდასრული და ერთი მცირეწლოვანი ბავშვი[151]. ცენტრალური იატაკქვეშა საძვალის გარდა ტაძარს ჩრდილოეთ ნაწილშიც ჰქონია ორი სარკოფაგი მიშენებული, რომელთაგან ერთი სრულიად დანგრეულია, ხოლო მეორეში მიკვლეულია ერთმანეთში არეული ძვლების დიდი რაოდენობა (სულ მცირე, ოთხი ინდივიდისა მაინც). ტაძრის გარეთ გამოვლენილია ინჰუმაციური ორმო-სამარხებიც. მის დასავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში გაიწმინდა სამი სამარხი... შესაძლებელია, რომ ეს ტაძარი კრიპტასა და მის გარეთ დასვენებული მიცვალებულების პატივსაცემად აიგო, რომელთა ვინაობისა და მნიშვნელობის განსაზღვრა ამ ეტაპზე რთულია[152].

---

[150] იქვე: 63-65.

[151] იქვე: 65-66.

[152] იქვე: 67. ხუნწის ციხის შესახებ იხ. აგრეთვე: დ. ლომიტაშვილი, **ბ. ლორთქიფანიძე, ნ. მურღულია, პ. ევერილი, პ. ქოლვინი,** ხუნწის ციხე. „იბერია-კოლხეთი". საქართველოს კლასიკური და ადრემედიევური პერიოდის არქეოლოგიურ-ისტორიული კვლევანი, №13, თბ., 2017: 99-111; **ბ. ლორთქიფანიძე, ნ. მურღულია, დ. ლომიტაშვილი, ნ. ქებულაძე,** 2017 წელს ხუნწის ციხეზე შესრულებული არქეოლოგიური სამუშაოების მოკლე ანგარიში. კრ. „2017 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების მოკლე ანგარიშების კრებული", თბ., 2018: 47-51; **ბ. ლორთქიფანიძე, ნ. მურღულია, დ. ლომიტაშვილი, ი. ევერილი, ი. ქოლვინი**, სად მდებარეობდა ეგრისის ციხესიმაგრე ონოგურისი? „არქეოსპექტრი", №1, 2018: 80-100.

თავი მესამე
ბანძის საისტორიო გეოგრაფიის ზოგიერთი საკითხისათვის

ბანძას მეტად ხელსაყრელი გეოგრაფიულ-სტრატეგიული მდებარეობა ეკავა. იგი იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დასახლებული პუნქტი **არგუეთ-კლისორისა** (კლისურის) და **პეტრა-ჭყონდიდის გზებზე**, – წერს გივი ელიავა[1]. „ლიხთ-იმერეთის“ 1737 წლის რუკაზე დატანილია „ბანძა-ფაღაოს“ სასახლე, სათანადო პირობითი ნიშნით. ბანძა წარმოადგენდა ოდიშის სამთავროს ერთ-ერთი წარჩინებული გვარის - ფაღავების სათავადოს ცენტრს, რასაც, ბუნებრივია, მისი ხელსაყრელი სტრატეგიული მდებარეობაც განაპირობებდა. ოდიშის მთავარი გრიგოლ დადიანი (1788-1804 წწ.) ხშირად ჩერდება ბანძაში, ფაღავას რეზიდენციაში[2].

დასავლეთ საქართველოს, მათ შორის ოდიშის (სამეგრელოს) სამთავროს სათავადოების შინაგანი ორგანიზაცია, მათი დაშლის მიზეზები და ზოგადი არსი, პირველწყაროების – დოკუმენტური მასალების, თავადთა საგვარეულო საბუთებისა და ადგილებზე მოგზაურობისას შეგროვილ-ჩაწერილი ზეპირი და საველე-ეთნოგრაფიული მონაცემების ანალიზის საფუძველზე წარმოდგენილია ოლია სოსელიას „ნარკვევებში“[3].

მკვლევარი იმოწმებს ცნობას საქართველოს თავადთა და აზნაურთა გვარების „აღწერიდან“, სადაც ფაღავათა საგვარეულოს შესახებ აღნიშნულია შემდეგი: „ფაღავა... იყო ორბელიანთ გვარი, რ(ომე)ლიც მეფემან გარდაასახლა ოდიშში და იწოდნენ

---

[1] **გ. ელიავა,** აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმიკა, თბ., 1977: 8; ბანძის შესახებ იხ. **ი. კეკელია,** ბანძის ციხე. გაზ. „მახარია“, №9 (26), 2002, გვ. 7; **მისივე,** სოფელი ბანძა (გეოგრაფიული მდებარეობა და ისტორიული საზღვრები). გაზ. „მახარია“, №6 (57), 2005: 14; **მისივე,** აბაშის ხეობის საისტორიო გეოგრაფია ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომისა და რუკების მიხედვით. კრ. „ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი“, ტ. XIV, თბ., 2012: 210-238; **მისივე,** ბანძის ისტორიულ-გეოგრაფიული დახასიათება. კრ. „მასალები საქართველოს სოფლების ისტორიისათვის“, ტ. I, თბ., 2019: 44-57; **მისივე,** ბანძის ისტორიულ-ყოფითი ძეგლების დაცვისათვის. ჟურნ. „ქართველოლოგია“, №3, 2020: 87-100; **მისივე,** ბანძა - ესკიზები სოფლის წარსულიდან, I, ქუთ., 2020.

[2] **ნ. დადიანი,** ქართველთ ცხოვრება, 1962: 89.

[3] **ო. სოსელია,** ნარკვევები, II, 1981: 187-194.

ფაღავაშვილებად წელსა 1271“[4]. კ. ბოროზდინი ფაღავების წარმომავლობის შესახებ მოგვითხრობს: „ფაღავები ჩამომავალნი არიან ერთი ჯიქეთის თავადისა, რომელიც ამ რამდენიმე საუკუნის წინათ დადიანთან გადმოსულა. დადიანმა მიიღო და აქ დაასახლა. ამ თავდის ჩამომავლობა გამრავლდნენ“[5]. ორივე ცნობის სისწორეს ო. სოსელია საეჭვოდ მიიჩნევს და ფიქრობს, რომ ფაღავები შესაძლებელია თავიდანვე ოდიშის მკვიდრნი ყოფილიყვნენ. ვინაიდან ფაღავა (მეგრ. ფორმა: **ფაღუა//ფაღვა//ფაღა**) რამდენადმე მიაგავს ძველ ფეოდალურ გვარსახელ ბაღუაშს, მკვლევარი ვარაუდობს, რომ ეს ორი გვარი ერთი და იმავე წარმოშობისაა, ან ფაღავები შესაძლოა ბაღუაშთა რომელიმე შტოს წარმომადგენლები არიან[6].

ვახუშტი ბატონიშვილი ფაღავას ოდიშის სამთავროს „უწარჩინებულეს“ გვართა შორის ასახელებს. ცნობილ მეცნიერსა და მოგზაურს – გიულდენშტედტს ოდიშის თავადებს შორის პირველ რიგში სწორედ ფაღავა ჰყავს დასახელებული[7]. ო. სოსელია ფაღავების გვარის აღზევებას ოდიშში ახალი სამთავრო დინასტიის – ჩიქვანების გაბატონებას უკავშირებს და აღნიშნავს: ოდიშის ძირძველ წარჩინებულ საგვარეულოებთან – ჭილაძე-გოშაძე-ქორთოძე-ჯაიანებთან გაჩაღებულ ბრძოლაში, სავარაუდოა, რომ ფაღავები ჩიქვან-დადიანების მხარეზე იყვნენ. რამდენადაც ჭილაძეების მიწა-წყლის მომიჯნავედ ფაღავების სამფლობელოს არსებობა ფაღავებისათვის სახიფათო იყო, ო. სოსელია ფიქრობს, რომ ისინი გარკვეულ ინტერესს იჩენდნენ ჭილაძეთა დასამარცხებლად[8].

ბანძელი ფაღავები რომ გავლენიანი ფეოდალები იყვნენ, ამაზე მეტყველებს ისტორიული საბუთები. კერძოდ, გრიგოლ დადიანსა და იმერეთის მეფე სოლომონ I-ს შორის დადებულ ხელშეკრულებაში აღნიშნულია, რომ ოდიშის მთავარი სამთავროს საქმეების მოგვარებას ავალებს სახლთუხუცეს გიორგი ჩიქოვანს და ზაალ ფაღავას. ისინი მთავრის „მამულის მომკითხველები“ არიან

---

[4] ხელნაწერთა ინსტ., ფ. S, N3729, 116 V; **ო. სოსელია,** დასახელებული ნაშრომი, 187.

[5] **კ. ბოროზდინი,** სამეგრელო და სვანეთი, 1854-1861. მოგონებანი, თარგმნილი თ. სახოკიას მიერ. ტფ., 1934: 249.

[6] იქვე: 187.

[7] იოჰან ანტონ გიულდენშტედტი, მოგზაურობა საქართველოში, 323.

[8] იქვე: 188.

(საბუთი 1792 წლის 4 მაისით თარიღდება)[9]. ზაალ ფაღავა დოკუ-მენტებში მოიხსენიება მთავრის „კარის მდეგნი დიდებულებს“ შო-რის[10]. იმერეთის მეფე სოლომონ I-სათვის მიცემულ პირობის წე-რილს, რაც ტყვის სყიდვას კრძალავს, ჩიქოვანის შემდეგ ხელს აწერს ფაღავა[11]. ციციანოვისადმი 1804 წელს ლიტვინოვის მიერ გაგზავნილ წერილს ექვსი ბეჭედი აზის, რომელთაგან ერთი პუ-პუა ფაღავასია[12]. საინტერესოა ისიც, რომ ფაღავები ოდიშის მთავ-რის ოჯახს ენათესავებოდნენ კიდეც. ასე, მაგალითად, გიორგი ლიპარტიანი (1681-1714 წწ.) ხუხუ ფაღავას „ერთგულს... სიძეს“ უწოდებს და შხეფში უბოძებს „სამოსახლოს ღელესა და ღელეს შუა... მისის მიწა-მამულითა“. ამასთანავე, „მეციხოვნის სათხოვა-რისაგან“ ათავისუფლებს მას[13]. ლევან V დადიანის (1805-1840 წწ.) ძე გრიგოლი (ოდიშის მთავარი 1810-1846 წლებში) ბანძაში, ბახვა ფაღავას ოჯახში იზრდებოდა. ბახვას მეუღლე კი მანუჩარ დადია-ნის ასული იყო.

რა ტერიტორიას მოიცავდა ფაღავების სათავადო? ო. სოსე-ლია მათ სამფლობელოში, მთლიანად თუ ნაწილობრივ, აქცევს შემდეგ სოფლებს: ბანძას, აბედათს, ნახუნუს, თარგამუს//თარგა-მულს (ნაწილობრივ), ჯოლევს (ნაწილობრივ), მუხურჩას. ეს სოფ-ლები ქმნიდა ერთ მთლიან ტერიტორიას, რომელსაც აღმოსავლე-თით ნაგებეროუ-ნაჯახოუ საზღვრავდა, დასავლეთით – ორქა, სამხრეთით – ონოღია და ჩრდილოეთით – სერგიეთი. ამ სოფლებს გარდა ფაღავები ყმა-მაულს ფლობდნენ ლეხაინდროს, ნაგვაზუს, სეფიეთს, ეკს, მოხაშს, უშაფათს, სუჯუნასა და ონოღიაში[14]. მათვე ჰქონიათ ციხე სოფ. თარგამულში. ეს ციხე-სიმაგრე 1776 წლის 5 თებერვალს დაარბია იმერეთის მეფე სოლომონ I-მა და „აიღო დი-დი ნაშოვრით“[15]. თარგამულის ნაწილს ფაღავები ფლობდნენ, ნა-

---

[9] **სსცია,** ფ. 226, N1286.
[10] **ო. სოსელია,** დასახელებული ნაშრომი, 192.
[11] **Акты**, I, 56-58.
[12] **Акты**, I, 450.
[13] **ო. სოსელია,** დასახელებული ნაშრომი, 188-189.
[14] იქვე: 189.
[15] **ნ. დადიანი,** ქართველთ ცხოვრება, თბ., 1962: 179; თარგამულის შესახებ იხ. **ი. კეკელია,** მარტვილის რაიონის ოიკონიმია, 38-40.

წილი კი ჩიქოვანების საკუთრებას წარმოადგენდა[16]

1872 წლის აღწერის მონაცემებით ფაღავებს ეკუთვნოდათ შემდეგი სოფლები: ბანძა, ვედიდკარი, მუხურჩა, ონოღია, ნაჯახუ, ნაგებერუ, ნახუნუ. ასევე მნიშვნელოვან ადგილებს ფლობდნენ თამაკონსა და ნამკოლუში[17]. სადედოფლო მამულის აღწერის დოკუმენტებში მითითებულია, რომ ხახუ ფაღავას შვილებს – გვადას და დუტუს 17 კომლი ჰყავდათ, ხოლო სხვებს რვაზე მეტი არცერთს არ ჰყოლია[18].

ფაღავების მიწა-მამულების, მათი სამფლობელოების დასადგენად საინტერესო ცნობებს გვაწვდის ტოპონიმია. სოფ. ბანძაში წყაროს, საგუბიშ წყარის შენაკადს ეწოდება **ზურაბ ფაღვაშ წყურგი(ჲ)ე**. ლევახანეში, ნახაჯუსთან მდებარე მინდორს **ბატუაშ ნოხორი//ფაღვაშ ნოხორი** ეწოდება. აქ უწინ ბატუა ფაღავას უცხოვრია[19]. ტყე ლეპატარეს საზღვარზე **დავითიშ ნადოხორუს** სახელითაა ცნობილი. ეკუთვნოდა დავით ფაღავას (ლევახანე)[20]. ნაწისქვილარი ნოღაშ ღე(ჲ)ეზე, რაც საზიაროა ლევახანე-ლეფოჩხუესთან, **კიწიშ წისქვიის** სახელითაა ცნობილი. აქ წისქვილი ჰქონია გამართული გასული საუკუნის დასაწყისში თავად კიწი ფაღავას. ნოღაშ ღე(ჲ)ეს შენაკადს, წყარო-ნაკადულს ლეფოჩხუეს საზღვართან, **კოკი ფაღვაშ წყურგიი//კოკიშ წყურგიე** ჰქვია (ლევახანე)[21]. ჭალა-სახნავებს მდ. აბაშის ნაპირას ადგილობრივი მოსახლეობა **მექიშ ჭაჲეს** უწოდებს. აქ უწინ თავად მექი ფაღავას მამულები ყოფილა. მასვე წისქვილი ჰქონია გამართული სოფელში, რასაც დღეს **მექიშ ნაწისქვიუს//მექიშ წისქვიის** უწოდებენ (ლევახანე, ლეპატარე)[22]. ნაჩილაჩაოს სკოლის უკან, ოღეჯესთან ჩაის ფართობს ჰქვია **ფაღვეფიშ ნადიხუ** (ლევახანე)[23]. წყარო სოფ. ლეკეკელეში **გახუშ წყურგიის** სახელით არის ცნობილი. აქვე მდება-

---

[16] **ო. სოსელია,** ნარკვევები..., I, 317; მისივე, ნარკვევები..., II, 1981: 189.
[17] ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, მთავრის ფონდი, №6494/18, 3365.
[18] იქვე.
[19] **პ. ცხადაია,** სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, V, მარტვილის რაიონი (სამხრეთი ნაწილი), თბ., 2010: 231.
[20] იქვე: 233.
[21] იქვე: 234.
[22] იქვე: 234, 255-256.
[23] **ი. კეკელია,** ბანძის ტოპონიმია, თბ., 2007: 72.

რეობს **გახუშ აბანო**[24]. თავად გახუ ფაღავას წყაროზე აბანო ჰქონდა გამართული. გახუ გავლენიანი თავადი ყოფილა სამეგრელოს მთავარ დავით დადიანის კარზე. არჩილ და სიმონ ფაღავებთან ერთად იონა მეუნარგია მას ასახელებს „რიგის კაცად“, ე. ი. მორიგედ მთავრის სასახლეში. „რიგის კაცებს“ ევალებოდათ, რომ ცხენით ან ქვეითად თან ხლებოდნენ მთავარს სადმე წასვლის შემთხვევაში[25]. სახნავს მდ. აბაშის ჭალაში **ფაღვაშ დიხა** „ფაღავას მიწა“ ეწოდება (ლეკეკელე)[26]. ლეპატარეში წყაროს ეწოდება **ფაღვეფიშ წყურგიი**[27]. მორევი აბაშა-ტარჩენის შესართავთან, ნაქალაქევის საზღვარზე, **ფაღურის** სახელით არის ცნობილი. „აქ წყალი ღრმაა და ბევრი თევზი ბინადრობს. ისეთი გამორჩეული საბანაო იყო, რომ იტყოდნენ – ფაღური, სათავადო ადგილიაო[28]. ოთარ ქაჯაიას ლექსიკონში ფაღური განმარტებულია შემდეგნაირად: „**ფაღური (ფაღურს)** ფაღავას რომ შეჰფერის ისეთი, – მდიდრული, უხვი. **ფაღური სადილი უღუდუა** – ფაღავას შესაფერისი სადილი ჰქონდაო“[29]. შდრ. **ფაღური** სადიდებელი, ბატონკაცური; **ფაღურო** ბატონკაცურად, განცხრომით[30]. ფაღური, ჩემი აზრით, ნიშნავს „ფაღავასეულს, ფაღავას საკუთრებას, მამულს[31]. მინდორზე ქვაღრის სათავესთან ესახლა თავადი ფაღავა. ამიტომ ამ ადგილს **დოხორე//ფაღვაშ დოხორე** ეწოდება (ლემიქავე, აბედათის თემი)[32]. ტყეს ქვაღრის ზემო წელის მარჯვენა ფერდობზე, თუნთიშის გვერდით, **ფაღური//გახუნიაშ ნაპანღურუ** ჰქვია. ვინმე გახუნიას ეს ტყე ქირით აუღია თავად ფაღავასაგან (ლემიქავე)[33]. მორევი მდ.

---

[24] **ი. კეკელია,** ბანძის ტოპონიმია, 20-21.

[25] **ი. მეუნარგია,** სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი და დავით დადიანი, თბ., 1939: 66.

[26] **პ. ცხადაია,** სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, V, მარტვილის რაიონი (სამხრეთი ნაწილი), 251.

[27] **პ. ცხადაია,** სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, V, მარტვილის რაიონი (სამხრეთი ნაწილი), 258.

[28] **ი. კეკელია,** ბანძის ტოპონიმია, 72.

[29] **ო. ქაჯაია,** მეგრულ-ქართული ლკექსიკონი, ტ. III, თბ., 2002: 90.

[30] ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, 2010: 623.

[31] **ი. კეკელია,** ბანძის ტოპონიმია, 72.

[32] **პ. ცხადაია,** სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, V, მარტვილის რაიონი (სამხრეთი ნაწილი), თბ., 2010: 164, 177.

[33] **ნ. ბუღაძე, ც. კაკულია, ი. კეკელია,** აბედათის მიკროტოპონიმთა ხალხური მოტივაციი-

ტარჩენზე **ფაღვაშ ტობას** სახელითაა ცნობილი (აბედათი)[34]. **ფაღვაშ ნოხორი//ფაღვაშ რზენი** ეწოდება საძოვარს ბჟერის მთისკალთაზე, წმ. გიორგის ეკლესიასა და ლაჯონას შუა (თამაკონი)[35]. „თამაკონის სასოფლო საბჭოს“ ტოპონიმთა ნუსხაში გ. ელიავას დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე დამოწმებული აქვს **ფაღვაშ ნადოხორუ**[36]. სოფ. თარგამეულში (თამაკონის თემი) მიუთითებენ წყაროს სახასოსთან, რაც ბესარიონ ფაღავას აღმოუჩენია. ამიტომ მისთვის **ფაღვაშ წყურგილი** უწოდებიათ[37]. გ. ელიავა „ეკის სასოფლო საბჭოს“[38] ტოპონიმთა ნუსხაში დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე ასახელებს ტოპონიმ **საფაღვოს,** რასაც თან ახლავს შემდეგი განმარტება: „აქ კაცს 25 მანეთად ყიდდნენ თურმე ბატონყმობის დროს“[39]. **ნადოხორუ//ფაღვაშ ნადოხორუ** დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე მითითებულია „ნახუნაოს სასოფლო საბჭოს“ ტოპონიმთა ნუსხაში, შემდეგი განმარტებით: „აქ ფაღავების სასახლე და ციხე-სიმაგრე მდგარა“[40]. ნახუნავოს თემის სოფელ წინაკვერკვეში ბორცვს ღეღეს მარჯვენა ნაპირზე, ნახუნავოს საზღვართან, ეწოდება **ფაღვაში//ფაღვაშ ნოხორი.** „საერთოდ, ნახუნავო და წინაკვერკვე ფაღავების სამფლობელო იყო“, - წერს პ. ცხადაია[41]. აქვე ღეღეს მარჯვენა შენაკადის სახელია **ფაღვაშ ნაღუ//ფაღვეფიშ ნაღუ,** რაც ზარქუეფიშ გადან ჩამოედინება. ნაკირტუსა და ფაღვაშ ნოხორს შუა მდებარე ტყე ფაღავების საკუღება ყოფილა. ამიტომ მას დღესაც **ფაღვაშ ტყა**

სათვის. კრ. „ქართველური მემკვიდრეობა“, XII, ქუთ., 2008: 42; **პ. ცხადაია,** სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, V, მარტვილის რაიონი (სამხრეთი ნაწილი), თბ., 2010: 162, 177.

[34] **პ. ცხადაია,** სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, V, მარტვილის რაიონი (სამხრეთი ნაწილი), თბ., 2010: 154.

[35] **პ. ცხადაია,** სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, VI, მარტვილის რაიონი (ჩრდილოეთი ნაწილი), თბ., 2012: 580.

[36] **გ. ელიავა,** აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების..., 166.

[37] **პ. ცხადაია,** სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, VI, 2012: 581.

[38] ეკი სოფელია სენაკის მუნიციპალიტეტში.

[39] **გ. ელიავა,** სენაკის რაიონის ტოპონიმია, თბ., 1989: 84.

[40] **გ. ელიავა,** აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმიკა, 122.

[41] **პ. ცხადაია,** სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, V, მარტვილის რაიონი (სამხრეთი ნაწილი), 372.

ეწოდება (წინაკვერკვე)[42]. **ფაღური** ფაღავების მამულის სახელად მითითებულია აბაშის მუნიციპალიტეტის პირველი მაისის თემში. გადმოცემით, აქ ხარობდა ვაზი „ფაღური“[43]. ნახუნავოს თემის სოფ. წინაკვერკვეში, ღეიეს მარჯვენა ნაპირზე მდებარე ბორცვს ფაღვაში//ფაღვაშ ნოხორი ჰქვია. „საერთოდ, ნახუნავო და წინაკვერკვე ფაღავების სამფლობელო იყო“, – წერს პაატა ცხადაია[44].

კორნელი ბოროზდინი, თავის მოგონებებში სამეგრელოს ყოფა-ცხოვრების შესახებ, გადმოგვცემს XIX ს. I ნახევრის ბანძის გეოგრაფიულ მდებარეობას და წერს, რომ ბანძას ეჭირა აბაშასა და ცხენისწყალს შუა მდებარე, 40 ვერსის სივრცე ადგილი, სადაც 75-ზე მეტი კომლი თავადი ფაღავა და 800 კომლი აზნაური და გლეხი მოსახლეობდა. „ამ სახით, ბანძა სენაკის ოლქში Status in status-ს (სახელმწიფო სახელმწიფოში) ჰგვანდა, ხოლო მებატონე ფაღავები – ცალკე ელემენტს, ცალკე ძალას“, – წერს კ. ბოროზდინი[45]. მისივე თქმით, ცხენისწყლის ნაპირას მდებარე სოფლები – ლეხაინდრო და ნაგვაზუ, ფაღავების საყმოს წარმოადგენდა[46]. თითოეულ მებატონეზე 10 კომლზე მეტი გლეხი არ მოდიოდა, მაგრამ ასე თანაბრად როდი ჰყავდათ ყმები. ერთს, მაგალითად, თავად ხახუ ფაღავას, ას კომლამდე გლეხი ჰყოლია[47].

ამრიგად, ფაღავების სათავადო „საფაღაო“[48] XVII-XIX საუკუნეებში ტიპიურ სათავადოს წარმოადგენდა. მას გააჩნდა თავისი შინაგანი ორგანიზაცია. მათ უნდა ჰყოლოდათ მოხელეები (სახლთუხუცესი, მოურავი...), რომელთაც სათავადოს მართვის საქმეში გამოიყენებდნენ. 1855 წლის საბუთში დასახელებულია ფაღავას „ხელოსანი სიმონია პატარაია“[49].

---

[42] იქვე: 372.
[43] **გ. ელიავა,** აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების..., 48.
[44] **პ. ცხადაია,** სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, V, მარტვილის რაიონი (სამხრეთი ნაწილი), 372.
[45] **კ. ბოროზდინი,** სამეგრელო და სვანეთი, 1854-1861. მოგონებანი, თარგმნილი თ. სახოკიას მიერ. ტფ., 1934: 248-249.
[46] იქვე: 250.
[47] იქვე: 247.
[48] **საფაღაო** დასახელებულია 1838 წლის საბუთში. იხ. ო. სოსელია, ნარკვევები..., 190.
[49] **ო. სოსელია,** ნარკვევები..., 190.

ვფიქრობთ, ის გარემოება, რომ „ბანძა და ციხე კეთილნაშენი“ ვახუშტის მიერ ცხენისწყლის ხეობის აღწერისას არის მოხსენიებული, უნდა აიხსნას ბანძის იმდროინდელი გეოგრაფიული მდებარეობის, კერძოდ, ტერიტორიულად დიდი მოცულობის, გათვალისწინებით. გვიან შუა საუკუნეებში და შემდგომაც, XIX ს-სა და XX ს. 30-იან წლებში, სოფელი ბანძა საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას მოიცავდა.

გიულდენშტედტი სამეგრელოს ორ ნაწილად ყოფს. დასავლეთ ნაწილს ოდიშს უწოდებს, ხოლო აღმოსავლეთს – სამეგრელოს. ამ უკანასკნელში იგი თავის მხრივ ორ მხარეს არჩევს – **ბანძას** და **(ვ)აბაშას**. გიულდენშტედტი იქვე ჩამოთვლის ბანძასა და აბაშაში შემავალ სოფლებს[50]. ამ ცნობაზე ყურადღება გაამახვილა მკვლევარმა შ. ჯღარკავამ და შენიშნა, რომ სოფლების ჩამონათვალის არათანმიმდევრულობის გამო თითქმის შეუძლებელია იმის გარკვევა, თუ რომელი მათგანი მიეკუთვნებოდა ბანძის მხარეს, მაგრამ ერთი რამ ცხადია: ბანძის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორია ბანძის შემადგენლობაში იყო, ხოლო სამხრეთი ვაბაშას ანუ აბაშას ეკუთვნოდა[51]. მკვლევარი თავის მოსაზრებას იმ ფაქტით ამყარებს, რომ 1819 წელს შედგენილ საქართველოს გენერალურ რუკაზე, რაც ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმშია დაცული, ბანძის სამხრეთით მდებარე ტერიტორიას აწერია „Абашской“[52].

საერთოდ, ეს სოფელი მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ოდიშის სამთავროს ისტორიაში. ცნობილია, რომ რუსეთიდან დაბრუნებულ დელეგაციას თანამედროვეთა და შთამომავალთაგან „დიდ ნიკოდ“ წოდებული ნიკო დადიანის[53] მეთაურობით ოდიშის მმართველი ნინა დედოფალი (1805-1810 წწ.) და მისი მემკვიდრე ლევანი (შემდგომში ლევან V დადიანი, 1805-1840 წწ.) ბანძაში

---

[50] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, I, 1962: 323.

[51] **შ. ჯღარკავა,** სალიპარტიანო (ისტორიულ-გეოგრაფიული დახასიათება), თსუ შრომები, ისტორიულ მეცნიერებათა სერია, ტ. 113 (V), თბ., 1965: 274.

[52] იქვე.

[53] ქართველი ისტორიკოსი, საზოგადო მოღვაწე, მწერალი, წლების მანძილზე სამეგრელოს სამთავროს მსაჯულთუხუცესი (მდივანბეგთუხუცესი. მას ეკუთვნის ისტორიული ნაშრომები - „ქართველთ ცხოვრება“, „დასტურლამა“ და „მიმოსვლა ნიკოლაი დადიანოვისა“.

შეხვდნენ[54]. ოდიშის სამთავროს რუსეთის შემადგენლობაში შესვლისას (ანექსიის შედეგად) ოდიშის, იმერეთისა და გურიის მმართველად დანიშნული რუსი მოხელე ლიტვინოვი, რომელსაც რუსეთის იმპერიის პოლიტიკური ბატონობის განმტკიცება, ოდიშ-გურიის მთავრების პოზიციების გაძლიერება და იმერეთის მეფის შეზღუდვა ევალებოდა, ბანძაში იჯდა და აქედან აწესრიგებდა ოდიშის საქმეებს[55]. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ 1805 წელს სწორედ ბანძაში დაიწერა სამურზაყანოს მფლობელ შერვაშიძეების ფიცის წიგნი, სადაც ისინი ერთგულებას უცხადებენ რუსეთის იმპერატორს[56].

ბანძის სოფლის საზოგადოება საკმაოდ დიდი მოცულობის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულს წარმოადგენდა მოგვიანებითაც, XIX-XX სს-ში. ოდიშ-ლეჩხუმის დავით დადიანისეული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით ბანძა დასახელებულია სუჯუნის მაზრის სოფლებს შორის, მაგრამ ამ დაყოფაში ლეხაინდრაო და ნოჯიხევი არ გვხვდება[57]. წერილობითი წყაროების პირდაპირი და არაპირდაპირი ცნობების გაანალიზებით შეიძლება დავასკვნათ, რომ ბანძის შემოგარენში მდებარე სოფლები – ლეხაინდრე//ლეხაინდრავო, ნაჯახუ//ნაჯახავო, ნაგიბერუ//ნაგებერავო, ონოღია, ვედიდკარი, ლეფოჩხუე, მახათი და მუხურჩა დროის გარკვეულ მონაკვეთში ბანძის შემადგენლობაში ერთიანდებოდა.

ფულადი-სასაქონლო მეურნეობის შემოჭრის წინა პერიოდში ამ ადგილის დაწინაურებას მისი სტრატეგიული (სამხედრო და ეკონომიკური მნიშვნელობის გზაჯვარედინზე) მდებარეობა განაპირობებდა. XIX ს-ის დასაწყისისათვის აღებმიცემობის თვალსაზრისით თვალსაჩინო შედეგები მოაქვს არა მხოლოდ ბანძისათვის, არამედ ქუთაისი, სუჯუნა, ნოქალაქევი და ხონიც ამ მხრივ მნიშვნელოვანი კერები ხდებიან. სუჯუნაში ებრაელთა უბნის შექმნას ყურადღებას აქცევენ ბანძის მფლობელი ფაღავები და გაბუ-

---

[54] იხ. **ნ. დადიანი,** ქართველთ ცხოვრება, 196.

[55] **Акты**, I, 413.

[56] **Акты**, I, 60-61.

[57] **ი. მეუნარგია,** სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი და დავით დადიანი, ტფ., 1939: 113.

ნიები და გვიან, XVIII ს-ის II ნახევარში, ბეჟან და ლევან გაბუნიებს ბანძაში შემოჰყავთ ებრაელთა ერთი ოჯახი, კაფავენ ტყეს და ამ ოჯახს სწორედ იმ ადგილას ასახლებენ, რასაც დღეს „ურიაკარი“ ეწოდება. შემდეგ მას ებრაელთა ახალი ოჯახებიც ემატება და საჭილაო-ჭყონდიდისა და არგუეთ-კლისურის გზაჯვარედინზე მდებარე ბანძის ებრაელთა უბანი (ურიაკარი) გაცხოველებული ვაჭრობის ცენტრი ხდება[58].

ბანძაში ებრაელთა ჩამოსახლების ისტორიას ეხება აგრეთვე მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელი ანა ჩიქვანაია. XVIII ს-ის დასასრულსა და XIX საუკუნეში ამ ადგილის მნიშვნელოვან, მჭიდროდ დასახლებულ, სავაჭრო-ეკონომიკურ და სახელოსნო წარმოების პუნქტად გადაქცევას მკვლევარი სავსებით სამართლიანად გზაჯვარედინზე მდებარეობით ხსნის: აქ ერთმანეთს კვეთდა სუჯუნა-ჭყონდიდისა და არგუეთ-კლისორის სავაჭრო-საქარავნო გზები. მკვლევარი დასძენს, რომ „კარგმა ადგილმდებარეობამ ხელი შეუწყო ბანძის სწრაფ კულტურულ-ეკონომიკურ დაწინაურებას, აღებ-მიცემობისა და ვაჭრობის განვითარებას. ბანძა გაცხოველებული გაცვლა-გამოცვლის ცენტრად აქ ებრაელების ჩამოსახლების მერე, XVIII საუკუნიდან ქცეულა“[59].

ბანძა, როგორც სამეგრელოს მნიშვნელოვანი სავაჭრო პუნქტი, XIX ს-ის II ნახევრიდან აქტიურად მონაწილეობდა ეროვნული ბაზრის განმტკიცების, ძირითადად აღმოსავლეთ სამეგრელოს, ასევე ქვემო იმერეთის სოფლის მეურნეობისა და შინამრეწველობის პროდუქციის რეალიზაციის საქმეში. სამეგრელოს რეგიონის სოფლები სწორედ ბანძასა და სუჯუნაში მცხოვრები ადგილობრივი ვაჭრების მიერ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო ქალაქებიდან და საზღვარგარეთის სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოტანილი ევროპული საქონლით მარაგდებოდა. ბანძიდან და სუჯუნიდან ევროპაში დიდი რაოდენობით გაჰქონდათ აგრეთვე ქართუ-

---

[58] **ა. გაბუნია,** სოფელ ბანძის ისტორიისათვის. გმმ IX სამეცნიერო სესია. თეზისები. ქუთ., 1967: 16-17.

[59] **ა. ჩიქვანაია,** სოფელ ბანძის ისტორიისათვის, გეგეჭკორის სარაიონთაშორისო სამხარეთმცოდნეო მუზეუმის XXVII სამეცნიერო სესიის მასალები. გეგეჭკორი, 1982: 69.

ლი საქონელი, ძირითადად სოფლის მეურნეობის პროდუქტების სახით. „ბანძიდან იგზავნებოდა ყველა მიმართულებით თაფლი, აბრეშუმის პარკი, ან ძაფი და კვერცხი“, – წერს ე. ბართაია[60]. ასევე სოფელი სუჯუნა, ამიერკავკასიის რკინიგზის მაგისტრალის გაყვანამდე (XIX ს-ის 70-იანი წლების დასაწყისი) უცხოური სავაჭრო საქონლის გამანაწილებელ პუნქტს წარმოადგენდა[61].

ბანძა სენაკის მაზრის შუა ადგილზე მდებარეობდა, რის წყალობით აქ ბაზრობას საფუძველი ჩაეყარა XIX ს-ის 60-იანი წლებიდან. 70-90-იან წლებში იგი დასავლეთ საქართველოს ეკონომიკური ცხოვრების ყურადღების ცენტრში მოექცა. აქვე იყო სამამასახლისო ცენტრი, 1875 წლიდან აქვე მოქმედებდა საშინაო სკოლა, სადაც დადიოდნენ ბავშვები ბანძის საზოგადოების სოფლებიდან. ფოთი-თბილისის რკინიგზის გაყვანამდეც ბანძაში გაჩაღებული ვაჭრობა აქაურ მედუქნეებს დიდ შემოსავალს აძლევდა. სოფლის ცენტრში, სახმელეთო გზის გასწვრივ ჩამწკრივებული იყო სავაჭრო და საბაზრო ნაგებობანი. ბანძა წარმოადგენდა ეკონომიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრების ცენტრს, სახელოსნო და სავაჭრო საწარმოებით, ბაზრით, მწკრივად განლაგებული ფიცრული ნაგებობებით და ათეულობით კერძო მობინადრეთა შენობებით. სოფელი თვალსაჩინო როლს თამაშობდა დასავლეთ საქართველოს ეკონომიკურ ცხოვრებაში. სოფელს სიცოცხლეს ჰმატებდა საკვირაო ბაზრობა. აქ იყო ახლომახლო სოფლების – აბედათის, ჯოლოს, ვედიდკარის, მუხურჩის, ნოქალაქის, ლებაღათურეს, ვედიდკარის, მუხურჩის, ორქა-მახათის, სეფიეთის, ნაგებერუს, ნაჯახუს, ლეხაინდრეს, ნოჯიხენის, ნაგვაზუს, ნახარებუს, ონოღიის, გეჯეთის მცხოვრებთა სავაჭრო ადგილი. აქ მოდიოდნენ ვაჭრები სენაკიდან, მარტვილიდან, ხონიდან, სუჯუნიდან და სხვ. თამაკონიდან და ტეხურსგაღმა მდებარე სხვა სოფლებიდან **მექაჲაქეშ შარათი** („მექალაქის გზა“, „ქალაქში მიმავლის გზა“) მომავალ გლეხებს ბანძის ბაზარზე გასაყიდად მოჰქონდათ კერამიკული ნაწარმი, ხის ჯამ-ჭურჭელი და ა. შ. აქაური ებრაელი ვაჭრები საზღვარგარეთაც ახერხებდნენ სიარულს

---

[60] იხ. **ე. ბართაია,** ადამიანები და საქმეები. თბ., 1965: 29.
[61] იქვე: 38.

და იქიდან სავაჭრო საქონლის ჩამოტანას[62].

ბანძაში თანდათან იზრდებოდა სავაჭრო დაწესებულებათა რიცხვი, რასაც ხელს უწყობდა სოფლის მოხერხებული გეოგრაფიული მდებარეობა – აქ თავს იყრიდა სენაკ-ნოქალაქენიდან, ნაოღალენიდან, ჯოდო-აბედათიდან, აბაშა-სუჯუნიდან, ხონი-ლეხაინდრედან, სამიქაო-ონოღიიდან მომავალი გზები, რის გამოც ბანძელები ჩაბმულნი იყვნენ სავაჭრო საქონლის არა მხოლოდ ქვეყნის შიგნით, არამედ მსოფლიო-ეკონომიკურ ბრუნვაში. XIX ს-ის ბოლოსა და XX ს-ის დასაწყისში ბაზრის მოედნის ირგვლივ სახელოსნოების, სავაჭროებისა და სამიკიტნოების რიგები იყო გაჭიმული. სოფელში პირველად ჩამოსულს აუცილებლად თვალში ეცემოდა სავაჭრო ფარდულების სიმრავლე. XIX ს-ის მიწურულიდან ბანძაში ჩამოსახლებას იწყებენ ახლომახლო სოფლების მცხოვრებნი[63].

XX საუკუნის 10-იანი წლებიდან საცხოვრებელი სახლების სოფლის ცენტრში კონცენტრაცია იმით უნდა აიხსნას, რომ უშუალო მწარმოებელი, როგორც ხელოსნური წარმოების მესაკუთრე, დაინტერესებეული იყო საკუთარი ნაწარმის რეალიზაციით. ამიტომ ცდილობდა იგი თავისი საცხოვრებელი და სახელოსნო ფართის იქ მოთავსებას, სადაც მომხმარებელთან დაკავშირების უკეთესი საშუალება იქნებოდა. ცხადია, საამისოდ ყველაზე ხელსაყრელი პირობები ბაზრის გარშემო მდებარე გზებზე იყო შექმნილი და ვაჭარ-ხელოსნები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, რათა ასეთი ადგილები ურიაკარში დროულად დაეკავებინათ.

ბანძის სამიმოსვლო გზების მდგომარეობის შესახებ გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის XIX ს-ის II ნახევრის ქართულ პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებული პუბლიკაციებიც.

კონსტანტინე ფადავა გაზეთ „ცნობის ფურცელში“ გამოქვეყნებულ თავის წერილში („ს. ბანძა (სამ-ო). გზის უქონლობა“) აღნიშნავდა, რომ სამეგრელოს ერთი უმთავრესი სოფელთაგანი - ბანძა მდიდარია ბუნებით და რომ ქურდობა და ყოველივე ავკაცო-

---

[62] იხ. **ი. კეკელია,** ბანძა - ესკიზები სოფლის წარსულიდან, I, ქუთ., 2020: 62-63, და იქვე მითითებული ლიტერატურა.
[63] იქვე: 64-65.

ბა მოსპობილია სენაკის მაზრის ადმინისტრაციის მეცადინეობით, მაგრამ იგი უჩივის საზოგადო გზის უქონლობას. თავად ბეგლარ გიგოს ძე ფაღავას ეზოდან დაწყებული ურიების უბნამდე, ვერსნახევრის მანძილზე, გზა გაყვანილია მაზრის ყოფილი უფროსის, განსვენებულ გ. ბებურიშვილის განკარგულებით და მას აქეთ დღემდე ეს გზა მოუკირწყლავად არის დარჩენილი, რის გამოც მოსახლეობა წვიმიან დღეებში დიდ გაჭირვებაშია. ურიების უბანში, არამც თუ ქვეითად, ცხენითაც შეუძლებელია გავლა, ისეთი ტალახი დგას გზად. ზამთრობით მოწყვეტილნი არიან იმ უბანსაც, სადაც ყოველ პარასკევ-კვირაობით იყიდება ყოველივე საჭირო ხორაგი. ჩვენი ეკლესია ურიების უბნის იქით არის და იქ ხომ ზამთრობით ჩვენიანებს ვერავინ ნახავს ამგვარი უგზოობის გამო. წირვა-ლოცვის მოსმენას მოკლებულნი მიცვალებულის გასვენებასაც ვეღარ ვახერხებთ. რაც უნდა გულსაწვავი მიცვალებული იყოს, დედათა სქესს არ შეუძლია ეკლესიამდე მიაცილოს. ავტორი დასძენს, რომ გზის თაობაზე ბევრჯერ შეაწუხეს ადმინისტრაცია, მაგრამ მაზრის დროებითი უფროსისა და ბოქაულისგან გზის გაკეთების შესახებ მიღებულ ბრძანებას სოფლის მამასახლისი ვერ ასრულებს. კ. ფაღავა იმედს არ კარგავდა - ამ შემოდგომაზე მაინც იქნებ გვეღირსოს გზის გაკეთებაო[64].

სოფელი უჩიოდა მდ. აბაშაზე ხიდის უქონლობასაც. „ნაქალაქევის და მარტვილის საბოქაულოებს ერთი რამ უხერხულობა აწუხებს, – ეს უხერხულობა გახლავთ მდ. აბაშაზე ხიდის უქონლობა; ერთის სიტყვით, ხალხი დიდს შეწუხებაშია, როგორც ამ ორი საბოქაულოს მცხოვრებნი, ისე მოგზაურნი ლეჩხუმიდან, ხონიდან და სხვ. და სხვ. ადგილებიდან. ძლიერ კარგს იზამს ბატ. ნაქალაქევის და მარტვილის ბოქაულები, რომ ამ საგანზედ თვისი მოსაზრებას წარუდგენენ სენაკის მაზრის უფროსს ქავთარაძეს, რომელიც, დარწმუნებული ვართ, ყოველივე ღონეს იხმარს უმაღლეს მთავრობასთან, რომ ხიდი გაკეთდეს მთავრობის ხარჯით და მით ფასდაუდებელ სამსახურს გაუწევს როგორც მისი მაზრის მკვიდრთ, აგრეთვე გარეშე პირებთაც“[65].

---

[64] „ცნობის ფურცელი“, 21 სექტემბერი, 1897: 3.

[65] **ევსევი,** ს. ბანძა (ავადმყოფობა „მუცელკეთილა“ და ექიმ ივლ. ხოფერიას ღვაწლი: მდ.

გზის პრობლემაზე თავადი კონსტანტინე ფაღავა ყურადღებას ამახვილებდა სხვა პუბლიკაციებშიც. იმავე გაზეთის 1897 წლის 2 ნოემბრის ნომერში (#359, გვ. 3) ავტორი წერს: „უგზოობითაც დიდს გაჭირვებაში ვართ ჩაცვენილნი. კარგი იქნება, აქაურის გზების შეკეთებისთვისაც ვინმე იზრუნებდეს“-ო.

როგორც ჩანს, სენაკის მაზრის უფროსი ი. ქავთარაძე დიდ გულისხმიერებას იჩენდა უგზოობით გამოწვეული პრობლემების მოსაგვარებლად. „ბ-ნმა ქავთარაძემ გასულს წლებში წყალ-დიდობისა და თოვლისგან დაზიანებულს საზოგადოებას უშუამდგომლა, სადაც ჯერ იყო, ფულის სესხი და მით დიდი დახმარება აღმოუჩინა გაჭირვებულ ხალხს. ამის გარდა, მას მიეწერება, რომ სენაკის მაზრის სოფლებში ბნ მაზრის უფროსს ბევრს ჰშველოდნენ მისი თანაშემწე და ყველა ბოქაულებიცა. გაჰყავთ ყველგან სოფლებში გზები, რომ გაუადვილონ ხალხს უშიშრად მიმოსვლა“[66].

კ. ფაღავას დიდი მცდელობის მიუხედავად, 1897 წელს უგზოობის პრობლემა ბანძაში მაინც არ გადაჭრილა, რასაც მოწმობს ერთი წლის შემდეგ გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებული ინფორმაცია: „ჩვენი სოფლის გზები ისეა გაფუჭებული, რომ მათზედ მიმოსვლა, ცხენით იქნება თუ ქვეითად, შეუძლებელი თუ არა, ძლიერ საძნელო მაინც არის. აქაურის პოლიციის ბოქაულის ყურადღება მიქცეულია ერთადერთს საეტლო გზაზედ, მაგრამ ეს ერთი გზა სოფელს არ აკმაყოფილებს. მეტყვით, რომ თავიანთი გზები ადგილობრივმა მცხოვრებლებმა უნდა გააკეთონო. ეს სრული ჭეშმარიტებაა, მაგრამ მოგეხსენებათ, რომ ჩვენი ხალხი ბრძანებას არის დაჩვეული და ჯერ-ჯერობით ისე არას აკეთებს, სხვამ თუ არ უბრძანა. ამიტომ საჭიროა, ბ-ნი ბოქაული იქნება თუ სხვა ვინმე, ძალა დაატანოს ხალხს, რომ თავისი სასიარულო გზები გაიკეთოს“[67].

გაზეთ „ცნობის ფურცელში“ გამოქვეყნებულ სარედაქციო წერილში („დ. აბაშა. დილიჟნები ბანძამდე“) აღნიშნულია, რომ

აბაშაზე ხიდის უქონლობა). „ცნობის ფურცელი“, №317, 20 სექტემბერი, 1897: 3-4.

[66] **ევსევი ხოფერია,** სოფ. ბანძა, მცხოვრებნი და ყოფა-ცხოვრება. „ცნობის ფურცელი“, №172, 18აპრილი, 1897: 2.

[67] ს. ბანძა (სენაკის მაზრა), გზების უვარგისობა. გაზ. „ივერია“, №258, 3 დეკემბერი, 1898: 2.

დაბა აბაშის რკინიგზის სადგურიდან სოფ. ბანძის მიმართულებით, დილის 9 საათზე, ყოველდღეს გადის დილიჟანსი და თითო სული მიჰყავს ოთხ აბაზად. დაქირავებული ეტლი იქამდე (აბაშიდან 25 ვერსი) ოთხ მანეთზე ნაკლებად არ მიდის და მიმავალ მგზავრს შეუძლია ისარგებლოს დილიჟანსით. ამ უკნასკნელით მგზავრობა, რასაკვირველია, დიდ შეღავათს წარმოადგენდა სიღარიბით შეჭირვებული მოსახლეობისთვის[68]. გაზეთ „ივერიის“ №186-ში გამოქვეყნებული კორესპონდენციის ავტორი მკითხველს აუწყებდა: „ურიაკარსა“ და აბაშას სადგურს შუა ოცი ვერსია. ამ გზაზედ დილიჟანი დადის და დიდს შეღავათს აძლევს ხალხს. სადაც ორი-სამი მანეთი არ ჰკმაროდა, იქ დღეს ორი-სამი აბაზი ჰყოფნის. უბედურება ის არის, რომ ეტლის სასიარულოდ გზა არ ვარგა, ყოველ ფეხის გადადგმაზედ ოღრო-ჩოღროებია, ზოგან სულ უფსკრულში ვარდება დილიჟანი და მგზავრებს ამოჰყავთ ხელით. ამაზედ უარესს გზას, დიოგენის ფარნით რომ ეძიოთ, მთელს სამეგრელოში ვერსად ჰნახავთ. ეტლის პატრონმა არა ერთხელ მიჰმართა აბაშის სადგურში მყოფ ბოქაულს და სთხოვა შემწეობა, მაგრამ ბოქაული ბოქაულად დარჩა და გზა - გზად!“[69]

ინტერესს იწვევს ის გარემოება, რომ მარტვილის მუნიციპალიტეტის აბედათის თემში, რაც ბანძას დასავლეთიდან ესაზღვრება, გ. ელიავას გზის სახელწოდებად დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე მითითებული აქვს **დერეჟანიში გინაართუ** „დილიჟნის გადასახვევი“[70]. **დილიჟანიში შარა** მკვლევარს დასახელებული აქვს აგრეთვე „ნაგვაზაოს სასოფლო საბჭოს“ ტოპონიმთა ნუსხაში[71]. **დერეჟანიშ შარა//დილიჟანიშ შარა** ერქვა ბანძიდან მარტვილისკენ მიმავალ გზას, რაც გაივლიდა სოფლებს: ნაჯახავოს, ნოჯიხენს, ლეხაინდრავოს, ნაგვაზავოს და ნახარებავოს[72].

---

[68] ცნობის ფურცელი, №507, 16 აპრილი, 1898: 2.

[69] სოფ. ბანძა (სენაკის მაზრა) [თავ. ფაღავების ყოფილი ყმების ებრაელების ვაჭრობა „ურიაკარში“. ცუდი გზა აბაშამდე]. „ივერია“, №186, 29 აგვისტო, 1898: 2.

[70] **გ. ელიავა,** აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმიკა, 1977: 92.

[71] იქვე: 108.

[72] **ი. კეკელია,** მარტვილის ტოპონიმია (ეტიმოლოგიურ-განმარტებითი ლექსიკონი), თბ., 2009: 46.

თავი მეოთხე

გზები და საგზაო ნაგებობანი ბანძასა და მის შემოგარენში (ტოპონიმიკური მასალების შუქზე)

გზებისა და საგზაო კომუნიკაციების შესასწავლად საგულისხმოა ტოპონიმები – გეოგრაფიული სახელწოდებანი. „ცნობილია, რომ ყოველთვის და ყველგან – ყველა ქვეყანაში, ყველა ხალხი გეოგრაფიული სახელებით ძირითადად ასახავდნენ მათი მდებარეობისა თუ გარემოს ბუნებრივ ან სხვა დამახასიათებელ ნიშნებს, თავისებურებას. ამავე დროს ცნობილია ისიც, რომ ჩვეულებრივ გეოგრაფიული სახელები ძლებენ უფრო დიდხანს, ვიდრე ამ სახელებით აღნიშნული ადგილების დამახასიათებელი ნიშნები“[1]. გრ. ზარდალიშვილის დაკვირვებით, „დღეისათვის არსებული ასობით დასახლებული პუნქტისა და ათასობით ადგილობრივ ტოპონიმებზე დაკვირვება საშუალებას გვაძლევს დავრწმუნდეთ როგორ არის ასახული გეოგრაფიულ სახელწოდებებში საგზაო ტერმინოლოგია“[2]. ენათმეცნიერი პაატა ცხადაია შენიშნავს: „გეოგრაფიული ტერმინების შედგენილობისა და ფორმირების გზების კვლევა-ძიება, მათი სემანტიუკრი ცვალებადობის გათვალისწინება იძლევა საინტერესო მასალას არა მარტო ენის განვითარების, მისი შემოქმედი კოლექტივის აზროვნებისა და საქმიანობის, არამედ ხალხის წარსული ყოფა-ცხოვრების დასადგენადაც“[3].

საქართველოში საგზაო ქსელის საკმაოდ განვითარებაზე მიუთითებს გზიდან ნაწარმოები მდიდარი ტერმინოლოგია. სულხან-საბა ორბელიანი განმარტავს: „**გზა** არს ზომიერი კაცთა სავალი, ხოლო **შარა** ვრცელი და ბილიკი ვიწრო, ხოლო **ქაშანი** შამმბნართა ანუ თოვლთა ზედა გატკეცილი სავალი და **წავარნა** კლდეთა ზედა ვიწრო რამ ნადირთა წარსავალი [ნ. ბაბუსაგძალა, გზის, მოგზაური, ორგზის, საგზალი, საგზაური, საგძალი, შაბა-

---

[1] **ნ. კვეზერელი-კოპაძე,** გზათა მშენებლობა საქართველოში. ნაწილი I, (უძველესი დროიდან მე-18 საუკუნის დამლევამდე), თბ., 1974: 146.

[2] **გრ. ზარდალიშვილი,** ქართული საგზაო ტერმინები და მათი ასახვა ქართულ გეოგრაფიულ ნომენკლატურაში. საქართველოს სსრ გეოგრაფიული საზოგადოების შრომები, XIII, თბ., 1975: 176.

[3] **პ. ცხადაია,** კოლხეთის ტოპონიმიიდან: მიგარია, ოჩხონაფუ, ყალიში. კრ. „ტოპონიმიკური კრებული“, თბ., 1993: 128.

თის გზა]"[4]. გრ. ზარდალიშვილი გზიდან ნაწარმოები ტერმინებიდან ასახელებს გზასავალს, გზამკვლევს, გზაუვალს, გზაბოძალს, სერიგზას, შუაგზას, გზიქვეშას, ველიგზას, გზაბაწარას, გზასახვევს, გზაკვალს, გზიპირს, გზაწვრილს, გაუვალს, მგზავრს, მეგზურს, გზირს და სხვ. გზები ძველ საქართველოში საკუთარი სახელებით იყო ცნობილი: გზა არზრუმისა, არტანისა, ლეკეთისა, დვალეთისა... სხვადასხვა სახეობის, ფართო თუ ვიწრო გზისთვის, ხიდისა თუ გადასასვლელისთვის ქართველ ხალხს საკუთარი სახელი მოუძებნია[5]. ძველ სამეგრელოშიც გზისა და გზა-გადასასვლელების მეტად მდიდარი ტერმინოლოგია არსებობს. ასე, მაგალითად, შარა, შარააკართუ, შარაგოკვათილი, შარა გოჭკადილი, შარაგოჭოფილი, შარაეიორთაფუ, შარა-ოკართუ, შარაპიჯი, შარაფართო, შარაჭიფე, ბონშარა, განიშ შარა, კუნტაშარა, გინძეშარა, კუჩხიშ შარა, სანჯოლო შარა, საჭაპანო, ბოგა („ბოგა მცირე ხიდი", საბა), ბოგილი//ბოგირი („ბოგირი ბოგას უდიდესი მცირე ხიდი", საბა), გობოგილი, მჷკობოგილი, მიკოლჷ, გოჭკადირი, შუკა, შკაზა//შქაზა, ბონდი, ბორძალშარა//ბორზია შარა, უნაგირა, ყა(ლ)იში, ოყალეში, გედჷრაკილი//გოდჷრაკილი, გოხორხილი, გჷშალჷ, ათალჷ, იალი, დიალი, გითოლჷ, გინოლი, ხირხჷ, კიბეში//კიბულა, გინალჷ, მჷკნაჭკირა, მიკართაფუ, მიკართუ, მიშართუ, ხინჯი, კირილხინჯი, ჯვარი, ბანძიი, იკოხონი, დიკოხონი, გინაართუ, სუმორთო, ოთხორთუ, ამშვორთუ, ფონი (მდინარეზე გადასასვლელი), კარი.

ბანძასა და მის შემოგარენში გავრცელებულია დრომონიმები[6]: **ჯვეში შარა** „ძველი გზა", **ჯვეში ნაშარუ** „ძველი ნაგზური", **სალეჩხუმო შარა//საეჩხომო შარა** „სალეჩხუმო გზა", **მექალაქეში შარა//მარტვიიში შარა, ბანძაში შარა** „ბანძის გზა"[7] და ა. შ., რაც

---

[4] **სულხან-საბა ორბელიანი,** ქართული ლექსიკონი, პროფ. ი. ყიფშიძისა და ა. შანიძის რედაქციით, ტფ., 1928: 68.

[5] **გრ. ზარდალიშვილი,** ქართული საგზაო ტერმინები და მათი ასახვა ქართულ გეოგრაფიულ ნომენკლატურაში, 177.

[6] **დრომონიმი** - ტოპონიმის სახეობა, ყოველგვარი სამიმოსვლო გზის საკუთარი სახელი.

[7] გზას რიონისპირეთიდან ნოსირის გავლით, ბანძისაკენ, „ბანძაში შარა" ეწოდება. ამ გზით ვაჭრებს ბანძაში, ურიაკარში დაჰქონდათ სავაჭრო საქონელი. იხ. **გ. ელიავა,** სენაკის რაიონის ტოპონიმია, თბ., 1989: 37.

ძველ მაგისტრალებზე მიგვითითებს[8]. ბანძასა და მის შემოგარენში ტოპონიმების – „ჯიხას“ (სოფ. გეჯეთში), „გოჭვიროხვამეს“ (გეჯეთში), „მიკოტახილის“ (ნაქალაქევში), „ქეჯვარის“ (ნაქალაქევში), „ნაოხვამუს“ (ნაქალაქევში), „ჯვეშ ნაოხვამუს“ (ნაქალაქევში), „ნაფოშტუს“ (ნაქალაქევში) და სხვათა დამოწმება ასევე სახელდებულ ობიექტებთან ძველი დროიდანვე გზების არსებობის მოწმობად შეიძლება ჩაითვალოს.

ბანძის ისტორიულ-გეოგრაფიული მდებარეობის შესწავლის თვალსაზრისით საინტერესოა თვით სოფლის სახელწოდებაც. „ბანძა“, „ბანძიი“, ჩემი აზრით, „გზაგასაყარს ან გზაშესაყარს, განშტოებულს, განტოტვილს“ ნიშნავს[9]. არის ასეთი ხალხური ლექსი: „სო მეულꙋ, ჩქიმი ინგირი, სორე მიხურთქინუქꙋნი... მიბურჯანქꙋ დო ზღვაშა მეიღꙋ თირꙋ გვალაშე გꙋმნაჭვალა. ენოუნქ სქანꙋ რობუს, მუთა გიჩქꙋ გინორთიშꙋ, დღასი ვაგაბანძღუ შარა: „სად მიხვალ, ჩემო ენგურო, სად არი, რომ მიჩხრიალებ... მიგორავ და ზღვაში მიგაქვს თოვლი მთიდან მონაწველი. შენს კალაპოტს მიჰყვები, არაფერი გეტყობა გადახვევის (არსად გადაუხვევ), არასოდეს გერევა (გეხლართება, გიშტოვდება) გზა“. ამ ლექსში „ვაგაბანძღუ“ იგივეა, რაც „არ გეტოტება, არ გიშტოვდება, არ გეხლართება (გზა)“. არეულის, ჩახლართულის მნიშნელობითაა იგი გამოყენებული აგრეთვე გამოცანაში – უკმაკური ჭკადირი, ეშმაკიში ბანძღირი „უკუღმართად გაჭედილი, ეშმაკისაგან დახლართული“. **ბანძღუა, ბანძღიი** „დახლართულის, არეულ-დარეულის“ მნიშვნელობითაა გამოყენებული მეორე ხალხურ ლექსშიც: „ქꙋდოჭყაფე გაჭირება ახადგაზდა ბოშკათეფი! კინოხიშე დოსქꙋლადე საქმე გაკობანძღილეფი „დაწყებულა გასაჭირი,

---

[8] **გ. ელიავა,** აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმიკა, თბ., 1977: 393, 60, 65, 78, 81, 89, 92, 108, 118, 121; **ა. ჩიქვანაია,** სოფელ ბანძის ისტორიისათვის. გეგეჭკორის სარაიონთაშორისო სამხარეთმცოდნეო მუზეუმის XXVII სამეცნიერო სესია (მასალები). თბ., 1982: 68; **ი. კეკელია,** ტოპონიმიკური ძიებანი („აბედათი“, „ბანძა“). გაზ. „მარტვილი“, 4 ოქტომბერი, მარტვ., 2002: 2; **მისივე,** ბანძის ტოპონიმია, თბ., 2007: 13-14; **ი. კეკელია, კ. ქებულაძე,** „შიდა ეგრისის“ ისტორიული გეოგრაფიიდან („გზა თაკუერისა“, „სალეჩხუმო გზა“). კრ. „ქართველური მემკვიდრეობა“, ტ. XV, ქუთ., 2011: 196; **მისივე,** ბანძა - ესკიზები ბანძის წარსულიდან, I, ქუთ., 2020: 15.

[9] იხ. **ი. კეკელია,** ტოპონიმიკური ძიებანი („აბედათი“, „ბანძა“). გაზ. „მარტვილი“, 4. 10. 2000: 2.

ახალგაზრდა ვაჟკაცებო, ძველი დროიდან დარჩენილა საქმეები დახლართული“[10]. შდრ. **მიკობანძღუა** - დავიდარაბი; არევ-დარევა; ბანძღი; **მიშაბანძღინ-ი (მიშაბანძღინს)** სახელი **მიშებანძღუ(ნ)** ზმნისა – ჩახლართვა, რაღაცის არევ-დარევა, ხლაფორთი“[11]. ო. ქაჯაიას „მეგრულ-ქართულ ლექსიკონში“ **„ბანძღუა (ბანძღუას)** ასეა განმარტებული: ბღლარძუნი; არევა, ხლართვა. **უარესო ბან-ძღუნც...** – უარესად ხლართავს (ბურდავს)... **შარას გილებანძღუ...** გზაზე ბღლარძუნობს; **ძაფის ნიბანძუნქ!** „ძაფს ნუ ხლართავ!“[12]. **ბანძღი** დავის, შარის ატეხვის მნიშვნელობით აქვს გააზრებული გივი ელიავას: **ბანძღი ვეტახა** „არ იდავო, „დავა არ ატეხო“[13].

ალიო ქობალიას „მეგრულ ლექსიკონში“ **ბანძი//ბრანძი** განმარტებულია როგორც „ფლასი; აბურდული, აწეწილი, უწესრიგო“, ხოლო **ბანძუა,** როგორც „აბურდვა, აწეწვა, არევ-დარევა“. იმავე ლექსიკონის მიხედვით **ბანძღილის** მნიშვნელობაა ჩახლართული, ხოლო **ბანძღუა** განმარტებულია, როგორც „აბურდვა, ხლართვა, არევ-დარევა“[14].

ამდენად, **ბანძა, ბანძი** ნიშნავს განშტოებულ, სხვადასხვა მხარეს მიმავალ გზას (**გობანძი** „განსაკვული, დახლართული, არეულ-დარეული, გამოყოფილი ყოველი მხრიდან“; **ბანძა** „ნასკვი; გზაჯვარედინი; გზაშესაყარი; გზაგასაყარი; ნებოძირი“).

და მართლაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბანძაზე გადიოდა მნიშვნელოვანი სავაჭრო-სამხედრო მაგისტრალები, რასაც, სხვა ფაქტორებთან ერთად (ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები, სამეურნეო საქმიანობის მაღალი დონე), ეგრის-ლაზიკის სამეფოს დედაქალაქთან სიახლოვეც ხელს უწყობდა.

ქართულში **კარ-** ფუძეს გადატანითი მნიშვნელობაც აქვს და აღნიშნავს ადგილს, საიდანაც ყველაზე უფრო ადვილად შეისვლება რომელიმე მიწა-წყალზე, მხარეში, ქალაქში და მისთ. (ქეგლ). „კარი ძველ საქართველოში, – აღნიშნავს გრ. ზარდალიშვილი, – უფრო მეტად გეოგრაფიული ტერმინი იყო და აღნიშნავდა

---

[10] **ი. კეკელია,** ბანძის ტოპონიმია, 2007: 13; მისივე, მარტვილის რაიონის ოიკონიმია, 2010: 20.
[11] **ო. ქაჯაია,** მეგრულ-ქართული ლექსიკონი. ტ. II, თბ., 2002: 268, 284.
[12] **ო. ქაჯაია,** მეგრულ-ქართული ლექსიკონი. ტ. I, თბ., 2001: 217.
[13] **გ. ელიავა,** მეგრულ-ქართული ლექსიკონი (მასალები), მარტვ.-თბ., 1997: 27.
[14] **ა. ქობალია,** მეგრული ლექსიკონი, თბ., 2010: 56.

არა მარტო საკუთრივ კარს, არამედ შესასვლელს, მისასვლელს, ბჭეს. კარი – შესასვლელი თუ გასასვლელი, მისადგომი გადაიქცა გეოგრაფიულ სახელად. აქედანაა ნაწარმოები სიტყვები კარიბჭე, კარდაკარ, კარგანთხმული, ჭიშკარი, კარისკაცი, ცისკარი, კარი (სამეფო), მეკარე, კარგაღებული, კარდახშული, მეკრე (იგივეა რაც ეჯიბი, მეკარეთუხუცესი). თავსართი ან ბოლოსართი „კარი“ ყოველგვარი გადასასვლელის, მისასვლელის სინონიმად იქცა და აქედან არის ნაწარმოები დიდძალი გეოგრაფიული სახელწოდებანი“[15].

ვახტანგ ითონიშვილი შენიშნავს, რომ ზოგი სიტყვა „კარის“ მნიშვნელობას არასწორად აღიქვამს და მას მაინცდამაინც „კარების“, „შესასვლელის“ შინაარსს მიაწერს: „ქართული წერილობითი წყაროებისა და ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით სიტყვა „კარი“, როგორც წესი, გამოიყენება ზოგადად „შესასვლელის“, „გასასვლელის“, გამაგრებული „ალაგის“, საფორტიფიკაციო ნაგებობის (ციხე-სიმაგრის, კოშკის, გზის ჩამკეტი კედლის და ა. შ.) და დასახლების ერთეულის (გამაგრებული ქალაქი, უბანი, სოფელი) აღმნიშვნელ ტერმინად“[16].

ქართველურ ენებში ოიკონიმთა (დასახლებული პუნქტის სახელების) საწარმოებლად ისტორიულად ჩამოყალიბებულ მოდელებში ხშირად გამოიყენება დასახლების ტიპის აღმნიშვნელი

---

[15] იხ. **გრ. ზარდალიშვილი,** ქართული საგზაო ტერმინები და მათი ასახვა ქართულ გეოგრაფიულ ნომენკლატურაში, 179.

[16] **ვ. ითონიშვილი,** არაგვი და არაგველები, თბ., 1989: 142. შდრ. ისტორიულ წყაროებში დამოწმებული „კარები“: არაგვისკარი, ჩრდილოსკარი ქალაქისათა, კარი მუხრანისა (სამივე მცხეთაში), ზღვისკარი (ერისთავმა „აღაშენა ქალაქი ზღვისკარი და უწოდა დარუბანდი“; „და ისწავეს ხაზართა ორნივე ესე გზანი, რომელ არს ზღვის კარი დარუბანდი, და არაგვისკარი, რომელ არს დარიალა“). ევროპელი მეცნიერები დარიალს უწოდებენ კავკასიის კარს, ზოგიერთ წყაროში კი ოვსეთის კარის სახელითაა ცნობილი. თბილისის კარებიდან არაბი გეოგრაფები ასახელებენ მოედნისკარს, კარისკარს, პატარა კარს, ბატონის კარს//ციხისკარს და სოდდებილის კარს. ვახუშტი ბატონიშვილი თავის „აღწერაში“ 70-მდე კარ-ბოლოსართიან ტოპონიმს ასახელებს. საგულისხმოა, რომ საზოგადო სახელი ზეკარი ძველ საქართველოში აღნიშნავდა გადასასვლელს, მისასვლელს, შესასვლელს. დღეს საქართველოში ზეკარის სახელწოდებით ცნობილია ორი გადასასვლელი: ერთი ცხინვალიდან კეხვის გავლით ჩრდილო კავკასიისაკენ, თერგის ხეობაში (ვახუშტი: „ხოლო ბჟისხევი - სადაცა სდის კავკასს, მუნ დამდაბლდების ზეკარი კავკასი და გარდავალს გზა ზამთრისა და ზაფხულისა ზახას და დვალეთს“), და მეორე სამცხიდან ზემო იმერეთისაკენ, რაც ასევე რკინისჯვრის სახელითაა ცნობილი. აქვე იყო სოფელი ზეკარი, ქარვასლითა და მგზავრთა სადგურით. მსჯელობისათვის იხ. **გრ. ზარდალიშვილი,** ქართული საგზაო ტერმინები და მათი ასახვა ქართულ გეოგრაფიულ ნომენკლატურაში, 180-181. ცნობილია აგრეთვე კლდეკარი „ვიწრო გასასვლელი კლდეში“.

ლექსემა, ე. წ. ინდიკატორი „კარი“. „მეგრულის გავრცელების ზონაში **კარ-** ლექსემის შემცველი ტოპონიმები აღნიშნავენ მცირე დასახლებას, რომელიც შექმნილია იმ ხელოვნური თუ ბუნებრივი ობიექტის გარშემო, რომლის სახელიც წარმოდგენილია კომპოზიტის პირველ წევრად“[17]. ასე, მაგალითად: ოხვამეკარი, ვედიდკარი, თხინაშკარი, გულეიკარი, ალერტკარი, მანცხვარკარი, ბარბაეკარი, უფალკარი, ყულიშკარი, წკელკარი და სხვ[18].

ბანძაში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული გეოგრაფიული ტერმინია **კარი**. ჩვენ გაკარგულებაში არსებული ისტორიულ-ეთნოგრაფიული და ონომასტიკური მონაცემების გაანალიზების შუქზე შევეცდებით ბანძის „კარების“ რაობისა და მდებარეობის დადგენის თვალსაზრისით მკითხველისთვის გარკვეული წარმოდგენის შექმნას.

ინტერესს იწვევს ის ფაქტი, რომ ერთ-ერთ რუსულენოვან რუკაზე (Сенак и Кутаис. уъзд) მდ. აბაშის ნაპირას დატანილია გუიდკარი, ურიასკარი, ლეკეკელი, შაურკარი, ნაჩილაჩაუ (Начилячау), ვედიდკარი... მწერალი შალვა დადიანი რომანში – „გვირგვილიანების ოჯახი“, წერს, რომ ბანძაში მკვიდრობდნენ ებრაელები. მათი უბანი „ურიაკარის“ სახელით იყო ცნობილი. მწერალს არც ის ფაქტი გამორჩენია მხედველობიდან, რომ ბანძა „კარებად“ იყო დაყოფილი. ურიაკარის გარდა, აქ ცალკეულ დასახლებებს ერქვა „შაურკარი“, „ვედითკარი“, „გუიდკარი“ და სხვ.

გუითკარი ეწოდება მინდორს ეკოტიეში. ამ ადგილას 1997 წლამდე იდგა საუკუნოვანი ხე, რაც სალოცავად მიიჩნეოდა. ხეს დიდი პატივისცემით ეპყრობოდნენ, ტოტსაც არ ჭრიდნენ, რადგან მიაჩნდათ, რომ ოჯახს დიდი უბედურება დაატყდებოდა თავს. გ. ელიავას მიერ ჩაწერილი გადმოცემის მიხედვით, გუითკარში იდო ვეებერთელა ლოდი, რომელსაც ფულს სწირავდნენ. შესაწირავს ტაბუ ედო – **ვაშინერს**. ტრადიცია უკანასკნელ დრომდე შემორჩენილი ყოფილა. ქვა ხავსსა და მიწას დაუფარავს[19].

გუითკარი **გუის, გულედას, გუიფურის** სალოცავი ყოფილა.

---

[17] **პ. ცხადაია,** ძიებანი კოლხეთის ტოპონიმიიდან I, თბ., 1999: 116-117.
[18] იქვე: 117.
[19] **გ. ელიავა,** აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმიკა, თბ., 1977: 87.

გუი ან გულედა ადამიანთა მფარველი ღვთაება იყო, რომელიც იბრძოდა ავსულთა და ყოველგვარი ბოროტების წინააღმდეგ. ადგილობრივი მოსახლეობა მას (იქნებ წმ. გიორგის?) ოჯახის მფარველობას შესთხოვდა. აქვე უძველესი სასაფლაოს არსებობაზე მიუთითებენ. ადგილს **ნაოხვამუსაც** უწოდებენ. სხვა გადმოცემით, „აქ გუთების ტომი დაბანაკებულა“. ალ. ღლონტი თავის წიგნში მიუთითებს **გუიტკარის** ფორმით. გუი, გუია, გუითია, გუიტია კოლხური პირსახელებია. გუითკარი „გუის კარს, გუის სახლთან მდებარე მოედანს“ ნიშნავს[20]. ამჟამად აქ ახალი, წმ. გიორგის ეკლესიაა აგებული.

ვედიდკარი ამჟამად თემის ცენტრია ბანძის სამხრეთით, ზ. დ. 80 მ. თემი აერთიანებს ხუთ სოფელს – ვედიდკარს, ლეფოჩხუეს, მახათს, მუხურჩას და ორქას. XIX ს-ის მიწურულამდე ბანძის ტერიტორია სამხრეთით ორქამდე ვრცელდებოდა და, შესაბამისად, ვედიდკარის თემში ამჟამად შემავალი ყველა სოფელი ბანძის შემადგენლობაში იყო. XIX ს-ის II ნახევარში ბანძის საზოგადოების ადმინისტრაციულ ცენტრს ვედიდკარი წარმოადგენდა. ოდიშ-ლეჩხუმის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის მიხედვით სუჯუნის მაზრის სოფლებს შორის ჩამოთვლილია ბანძა და ორქა, ხოლო ლეფოჩხუე და მუხურჩა არ იხსენიება[21]. რუსეთის იმპერიის მიერ 1886 წელს ჩატარებული ამიერკავკასიის საკომლო აღწერის მასალების მიხედვით ვედიდკარი ბანძის თემშია გაერთიანებული. 1900-იანი წლებიდან ქართულ პერიოდულ პრესაში სოფელი მოსახლეობის რაოდენობით და სკოლით ცალკე იხსენიება.

გ. ელიავას თქმით, ბანძის ერთ-ერთ გარეუბანს, მის კარს, დიდი ველის კარს **ვედიდკარი** წარმოადგენდა, სადაც უწინ მარულა და ჯარიანობა იმართებოდა[22]. მკვლევრის მიერ ჩაწერილი გადმოცემის მიხედვით მაღალი ხეებით გარშემორგული გაშლილი ველი, რაც სოფლის ცენტრს წარმოადგენდა, **დიდი ველის** ან **ველდიდის** სახელით იყო ცნობილი, სადაც უძველესი დროიდან

---

[20] **ი. კეკელია,** ბანძის ტოპონიმია (ეტიმოლოგიურ-განმარტებითი ლექსიკონი), თბ., 2007: 24.

[21] **ი. მეუნარგია,** სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი და დავით დადიანი, თბ., 1939: 113.

[22] **გ. ელიავა,** აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმიკა, 65.

ჯარობას მართავდნენ. ამ კუთხის თავადაზნაურობას და გლეხობას აქ სცოდნია **ვედიდკარობა** - დიდი ჯირითი და ბურთაობა. ჯარობაზე თავს იყრიდნენ სტუმრები სამეგრელო-სამურზაყანოდან და აფხაზეთიდან[23].

მწერალი შალვა დადიანი ეხება ბანძის კარს – **ვედითკარს,** სადაც იმართებოდა ბურთაობა, ცეკვა, ცხენების ჭენება „კარამდე“, ანუ შეჯიბრის მსურველთა მიერ სახელდახელოდ არჩეულ და დანიშნულ ადგილამდე. ვედითკარის დიდ მინდორზე რამდენიმე ათასი ცხენოსანი და უამრავი ქვეითი დაეტეოდა. ძველთაგანვე საასპარეზოდ განკუთვნილ ამ ნოყიერ და ნაყოფიერ მიწას არც ერთი მარგალი (გლეხი) და თავადი ფაღავა არ ამუშავებდა. ვედიდკარის განაპირას იდგა ქვის კოხტა ეკლესია. მის ირგვლივ გარშემორტყმული ძელქვის ხეები საამურ ჩრდილს ჰფენდნენ თავის გარშემო. მწერალს ვრცლად და შთამბეჭდავად აქვს აღწერილი ვედიდკარის ბურთაობა (შ. დადიანი, „გვირგვილიანების ოჯახი“).

მეგრულში **ვე** ქართული „ველის“ შესატყვისია. პ. ცხადაის დაკვირვებით „ვე“ ეწოდება „მინდორს ტყეში“, ან დავაკებას მთის ტყიან კალთებზე. „ვედიდკარი“ ვე ლანდშაფტურ ტერმინთან დაკავშირებული ოიკონიმია. სოფლის ცენტრში მდებარე ფართო ველს, სადაც უწინ ჯარობა იმართებოდა, **ვედიდი** უნდა რქმეოდა, ხოლო მცირე დასახლებას ამ ობიექტის – დიდი ველის (ვედიდის) გარშემო **ვედიდკარი** ეწოდა[24].

ზურგაკარი – შემაღლება,ზეგანი ეგაბუნეში, ბანძიდან მარტვილისკენ მიმავალი გზის მონაკვეთი. „ის ადგილია, სადაც ზუბალია კიკალიშვილისა და ზური დანელიას კარ-მიდამოებია“. აქ იმართებოდა ჯარალა[25].

კიკიანკარი – ეწოდება ფართო ჭალას ბანძის ჩრდილოეთით, ნაჯახავოს საზღვარზე (მასთან საზიარია). გ. ელიავა „ნაჯახაოს სასოფლო საბჭოს“ ტოპონიმთა ნუსხაში დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე მიუთითებს **კიკიანიში ნოხორიი**-ს „კიკიანის

---

[23] იქვე: 9.

[24] მსჯელობისათვის ვრცლად იხ. **ი. კეკელია,** მარტვილის რაიონის ოიკონიმია, ქუთ., 2010: 34-36.

[25] **ი. კეკელია,** დასახელებული ნაშრომი, 42.

ნასახლარს“, ხოლო ტოპონიმების ანბანურ საძიებელში სახელდებული ობიექტის პარალელურ ფორმად ასახელებს ტოპონიმს – „კიკიანიში კარი“[26]. ასევე კიკიანი ტყა//ჭყონარი ეწოდება ტყეს მდ. აბაშის გაღმა, მარჯვენა ნაპირზე, სოფელ სერგიეთში[27]. ჩვენ ჩაწერილი გვაქვს ტოპონიმი კიკიანიშ წისქვიი „კიკიანის წისქვილი“, ბანძის ჩრდილოეთით, აბაშის მარცხენა ნაპირზე, ნაჯახავოს საზღვარზე. კიკიანს აქ წისქვილი ჰქონია გამართული[28].

საგულისხმოა ის გარემოება, რომ არქანჯელო ლამბერტის მიერ შედგენილ რუკაზე (XVII ს.) მდ. აბაშის მარჯვენა მხარეს, აბაშასა და ტეხურს შუა, მარსილის სამხრეთით დატანილი აქვს პუნქტი Sagigiani, ეკლესიის პირობითი ნიშნით. სავარაუდოა, რომ აქ სწორედ ბანძის „კიკიანკარი“ იგულისხმება. თუმცა გამორიცხული არ არის, რომ ლამბერტი რუკაზე შეცდომით მიუთითებდეს ამჟამინდელი ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სოფელ ნაკიანის უწინდელ სახელწოდებას[29]. კიკიანი მცირერიცხოვანი გვარია. აქედან მარტვილში სახლობს 13 სული. გვარის ადგილობრივი ვარიანტია კიკია (შდრ. ლეკიკიე – კიკიანების ნასახლარი პალურში; ნაკიკიანი - სოფელი ზანისა და ღვიის მარცხენა მხარეს, თემის ცენტრი ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში). იმერელი კიკიანები აზნაურები ყოფილან[30].

კოტიაჲკარი „კოტიას კარი“[31] – მცირე მოედანი კოტიების უბანში, ეკოტიეში. ეკოტიე ეწოდება მიკროუბანს სამოთხეში, ექუთეესა და ეფაღვეს შუა[32]. პ. ცხადაია აღნიშნავს, რომ ასე ეწოდება უბანს ბანძის თემის სოფ. ლევახანეში, ბანძა-ლეფოჩხუეს გზაზე, ლეფოჩხუეს საზღვართან. მკვლევარს კოტიების ჯგუფურ მეტსა-

---

[26] **გ. ელიავა,** აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმიკა, 80, 191.
[27] იქვე: 95.
[28] **ი. კეკელია,** ბანძის ტოპონიმია, თბ., 2007: 45;
[29] რუკაზე მარსილის ჩრდილოეთით, მდ. ტეხურის სათავესთან დატანილია **Muchurec**, ეკლესიის პირობითი ნიშნით – ამჟამინდელი სოფელი მუხური ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში.
[30] **პ. ცხადაია,** გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში, თბ., 2000: 97.
[31] **გ. ელიავა,** აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმიკა, 45; **ი. კეკელია,** ბანძის ტოპონიმია, 45; პ. ცხადაია, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, V, მარტვილის რაიონი (სამხრეთი ნაწილი), თბ., 2010: 234.
[32] **ი. კეკელია,** ბანძის ტოპონიმია, 37.

ხელად ჩაუწერია „ჯინიანი კოტიეფი“: ერთ კოტიას დაუჟინებია – ეს ხარები კიდეც რომ გავყიდო, ჩემს ცოლს ბეწვიან პალტოს მაინც ვუყიდიო, და მართლაც უყიდია[33]. კოტია მცირერიცხოვანი გვარია. მათგან 125 სული მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფლებშია განსახლებული. ბანძაში 45 კომლი ცხოვრობს. გადმოცემით, კოტიას თავდაპირველი გვარი კოდუა ყოფილა[34].

ოხვამეკარი//შაურკარი//საჭვენიერო – სასაფლაო ნაეკლესიარით, ლეკეკელეში (ბანძის ცენტრში). აქ იდგა XIX ს-ის შუა წლებში აგებული წმ. გიორგის ქვის ერთნავიანი ეკლესია. დაუნგრევიათ კომუნისტებს, 1931 წელს. შაურკარის ეკლესიისთვის 1847 წელს ვერცხლის ხატი შეუწირავს კაცია ფაღავას და მის თანამეცხედრეს – ზეფისშვილის ასულ ელისაბედს[35]. გადმოცემით, სოფელში თითო შაური შეუგროვებიათ და ეკლესია აუგიათ. ადგილის სახელიც თითქოს აქედან მოდის[36]. შაურკარში იცოდნენ დღესასწაული ჭვენიერობა, რომელიც ნააღდგომევს, ახალი კვირის ორშაბათს აღინიშნებოდა. რიტუალი აღწერილი აქვს პროფ. სერგი მაკალათიას. იცოდნენ ლელობურთის თამაში და ეკლესიის ეზოში წინასწარ შერჩეული ხის მოგლეჯა, რასაც სიმღერა-გალობით ეკლესიის გარშემო შემოატარებდნენ და შემდეგ იქვე მიაყუდებდნენ[37]. ჩვენ მიერ ჩაწერილი გადმოცემის მიხედვით, ბანძიდან გათხოვილი ქალები ჭვენიერობის დღესასწაულზე სტუმრობდნენ სოფელს და წმ. გიორგის ხატს შაურს სწირავდნენ[38]. საინტერესოა პ. ცხადაიას მიერ რესპოდენტ იაკობ კეკელიასაგან ჩაწერილი გადმოცემა ჭვენიერობაზე: „ჭვენიერობა უჩქუდეს ოსურეფიშ თანაფაშ მაჟია დღას, თუთაშხას. თენა რდჷ დღეობა: შაურკარს აკიკათუუდუ აუარებელი ხალხი, ართი მედგამი. ჯას მოსოფუნდეს, ოხვამეს სუმშახ გულუანდეს დო უკუი ჟი ჯას ქიმკაპონან-

---

[33] **პ. ცხადაია,** სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, V, მარტვილის რაიონი (სამხრეთი ნაწილი), 237.

[34] **ი. კეკელია,** ბანძის ტოპონიმია, 37-38.

[35] **ე. თაყაიშვილი,** არხეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში. კრ. „ძველი საქართველო“, ტფ., 1913-1914: 38-39.

[36] **გ. ელიავა**, აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმიკა, 84.

[37] **ს. მაკალათია,** სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941: 370-372.

[38] **ი. კეკელია,** ბანძის ტოპონიმია, 76.

დესჷ, ფესვი ეშე უღუდუნჷ თეში. თი ჯას გაბირანდეს, ოხვამეს ულუანდესჷნი თეში: „ოისა დო კირიე, ხაჭაპური ჭვირირე. უკული: ქრისტე აღსდგა, კუჩხიბედინერა“[39]. შდრ. **შაუ(რ)კარი//ოხვამეკარი** – 1. სასაფლაო და ნაეკლესიარი კირცხში. აქ აღმართული ყოფილა ქვის ჯვარი, სადაც ჯიჯიხიები ლოცულობდნენ; 2. ბორცვი ლეყალიჩეში, სადაც იდგა ცაცხვი. ამ ცაცხვს შაურს სწირავდნენ (ნაკიანი).

სამოთხეჲკარი//სამთხეკარი//სამოთხეკარი „სამოთხის კარი“ – სასაფლაო ნაეკლესიარით ლევახანეში, შანის მახლობლად. ტოპონიმი დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე შეტანილია გ. ელიავას წიგნში[40]. ბანძის „სამოთხეს“ თავისი კარი - შესასვლელი, გასასვლელი, კარიბჭე ჰქონია, რომლითაც ბაღში შედიოდნენ[41].

სამოთხეჲკარი უძველესი საკულტო-სარიტუალო ადგილია, სადაც დღესაც დგას ურთხელის ათასწლოვანი ხეები. აქ ლოცულობდნენ და ურთხელს (უთხოვარს) სწირავდნენ ფულს, სურსათსანოვაგეს, სხვადასხვა სახის ნივთებს და სხვ., რომელთა სახლში წაღებაც არ შეიძლებოდა, იკრძალებოდა და განისაზღვრებოდა ტაბუთი – ვაშინერს[42]. ეს იმდენად შორეული დროის ამბავია, რომ ამ უძველეს სამეურნეო ერთეულთა შესახებ მოსახლეობის მეხსიერებას სხვა გადმოცემა არ შემორჩენია. სამოთხეკარი ჩილაჩავების გვარის სალოცავი იყო. აქედან წასული ამ გვარის შთამომავლები „ჯინჯიხატის“ მოსალოცავად სამთხეკარში დღესაც დადი-

---

[39] **პ. ცხადაია,** სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, V, მარტვილის რაიონი (სამხრეთი ნაწილი), 229.

[40] **გ. ელიავა,** დასახელებული ნაშრომი, 86.

[41] „სამოთხე“ და „სამოთხის კარი“ იხსენიება ქართლის ცხოვრებაში: „შემდგომად ამისა მესამე დღესა ჩამოვიდა (წმ. ნინო – ი. კ.) ქართლად, გამოვლო მტკუარი და მიმართა სამოთხესა მას მეფისასა (ხაზგასმა ჩემია – ი. კ.), იხილა სახლი მცირე სამოთხისა მცველისა. შევიდა წმიდა წმიდა ნინო, და ჯდა მას შინა დედაკაცი, რომლისა სახელი ანასტო... მაშინ იხილა წმიდამან ნინო ჩუენებასა შინა: მოვიდა კაცი ნათლისა ფერი და რქუა, ვითარმედ: „შევედ სამოთხესა მაგას, ბაბილო არს მცირე ნაძუთა ქუეშე, საუფლო შეზავებული, მიწა აღიღე მის ადგილისაგან, შეაჭამე კაცთა მაგათ და აესუს შვილი“. **„ქართლის ცხოვრება“,** ტ. I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955: 93-94.

[42] იხ. **გ. ელიავა,** ჭყონდიდ-მარტვილი უძველესი ქართული საგანმანათლებლო კერა, თბ., 1969: 23; **მისივე,** აბაშისა და ტეხურის ხეობების ისტორიული ღირსშესანიშნაობანი. მეგზური. თბ., 1971: 30-31.

ან და მამალს სწირავენ.

ლეილკარი – ტოპონიმს ასახელებს გ. ელიავა, დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე[43]. როგორც შემდეგ გავარკვიეთ, ასე ეწოდება დასახლებას ურიაკარის აღმოსავლეთით, ამჟამინდელ (ლ)ეკაჭარეს.

ურიაკარი – დასახლება ბანძის ცენტრში, ბაზრიდან ექუთემდე. ებრაელები აქ XVIII ს-ის მიწურულს ჩამოსახლებულან. მათ უბანს „ურიაკარი“ ეწოდა. პირველი ებრაელი ვაჭარი აქ თავად ფაღავას ჩამოუყვანია და დაუსახლებია[44].

ალექსანდრე გაბუნია ამ სოფელში ებრაელთა ჩამოსახლების პერიოდად XVIII ს-ის II ნახევარს ასახელებს და წერს: ფულადი-სასაქონლო მეურნეობის შემოჭრის წინა პერიოდში ამ ადგილის დაწინაურებას მისი სტრატეგიული (სამხედრო და ეკონომიკური მნიშვნელობის გზაჯვარედინზე) მდებარეობა განაპირობებდა. სუჯუნაში ებრაელთა უბნის შექმნას ყურადღებას აქცევენ ბანძის მფლობელი ფაღავები და გაბუნიები და გვიან, XVIII ს-ის II ნახევარში, ბეჟან და ლევან გაბუნიებს ბანძაში შემოჰყავთ ებრაელთა ერთი ოჯახი, კაფავენ ტყეს და ამ ოჯახს სწორედ იმ ადგილას ასახლებენ, რასაც დღეს „ურიაკარი“ ეწოდება.[45].

ბანძაში ებრაელთა ჩამოსახლების შესახებ საგულისხმო ინფორმაციის შემცველია ჩემ მიერ 1996 წელს გიორგი ოთარის ძე კუციასაგან ჩაწერილი შემდეგი გადმოცემა: „ბანძის მიწა-მამულებს თავადი ფაღავები და აზნაური გაბუნიები ფლობდნენ. ოდიშის მთავარ დადიანს კარგი სამსახურისთვის აზნაურ გაბუნიასთვის ორი ყმა გლეხის – კაჭარავასა და კუციას ოჯახი უბოძებია. გაბუნიას ეს ყმები ბანძის ცენტრში, ტაბაკურში დაუსახლებია. გაბუნიას ქმედებისთვის მიუბაძავს ფაღავას და კულაშიდან ჩამოუსახლებია ყმები, გვარად აჯიები (აჯიაშვილები), რომლებიც იმერეთის მეფეს მისი ცოლისთვის მზითვში გამოუყოლებია. ფაღავას სოფლის ცენტრში პატარა ფაცხა დაუდგამს ებრაელთა ამ ოჯა-

---

[43] **გ. ელიავა,** მეცნიერები და მწერლები მშობლიურ კუთხეში. გაზ. „შრომის დროშა“, 22 ივნისი, 1971: 3.

[44] **გ. ელიავა,** აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმიკა, 85.

[45] **ა. გაბუნია,** სოფელ ბანძის ისტორიისათვის. გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის IX სამეცნიერო სესია. თეზისები. ქუთ., 1967: 16-17.

ხისთვის. ბანძის ცენტრი უწინ ტყით ყოფილა დაბურული. ტყე გაუჩეხიათ და ებრაელები აქ დაუსახლებიათ. ამ ოჯახს შემდეგ სხვა გვარისკაცნი – ხუხაშვილები, შამელაშვილები, შალელაშვილები, სეფიაშვილები, ბააზოვები, ჯანაშვილები, მეგრელიშვილები ჩამოჰყოლიან და მალე ეს უბანი ცენტრად უქცევიათ“. სწორედ ამ ტერიტორიას ეწოდა **ურიაკარი.**

გ. ელიავას მოსაზრებით, პირველი ებრაელი ვაჭარი აქ თავად ფაღავას ჩამოუყვანია, დაუსახლებია და მისთვის პატარა ფაცხა დაუდგამს. პირველ ებრაელს სხვებიც ჩამოჰყოლიან და საწვრილმანოთი ვაჭრობა დაუწყიათ. სულ მალე ეს პატარა ადგილი ცენტრად ქცეულა[46].

ებრაელებს ბანძის ცენტრში მიეცათ სამოსახლო. ამ დასახლებას შაურკარიდან (ამჟამად ეწოდება სასაფლაოს და ნატაძრალს სოფლის ცენტრში) სამხრეთით – ექუთეემდე, ურიაკარი ეწოდა. ჩრდილოეთით მას ეკეკეე//ლეკეკელე (უწინდელი ბანძაშაურკარი) ესაზღვრება, დასავლეთით – (ლ)ეპატარე, ხოლო აღმოსავლეთით ლეილკარ-ტაბაკურამდე (ლეკაჭარე) ვრცელდება (შდრ. ურიაკარი - ებრაელთა ყოფილი დასახლებული უბანი სუჯუნის ცენტრში, სადაც დგას სინაგოგა).

ენათმეცნიერი პ. ცხადაია „ურიაკარის“ პარალელურ სახელწოდებად მიუთითებს **ბაზარს** და შენიშნავს, რომ ასე ეწოდება უბანს, სოფლის ცენტრს. ოდესღაც აქ დასახლებულ ერთ ურიას ნავთის გაყიდვა დაუწყია და მაშინ დარქმევია ურიაკარი[47].

უშანგიაჲკარი „უშანგის კარი“ – მცირე მოედანი ლეკეკელეში, ანტონიშ ნაოჩუსთან. „უშანგი კეკელიას სახლის წინ მდებარე მოედანი. აბედათიდან ბანძაში, ბაზრობაზე მომავალნი ამ ადგილას ისვენებდნენ“[48]. ამჟამად სპორტული მოედანია მოწყობილი.

ფიიკიაშ კარი „ფიიკიას კარი“ – მცირე მოედანი ეგაგუეში, ჭეჭეხთან. ფიიკია, ფიუკია პირსახელია. მისი სახლის წინ მდებარე მოედნისთვის ფიიკიაშ კარი უწოდებიათ (გვარად ვახანია ყოფილა). პარალელური სახელწოდებაა **ფიუკიაშ(ი) კარი//ფინიკიაშ**

---

[46] **გ. ელიავა,** აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმიკა, თბ., 1977: 84.

[47] **პ. ცხადაია,** სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, V, მარტვილის რაიონი (სამხრეთი ნაწილი), თბ., 2010: 222.

[48] **ი. კეკელია,** ბანძის ტოპონიმია, 70.

კარი[49].

შანგუაჲკარი – მოედანი საორინჯოსთან, ბანძა-ვედიდკარის გზაზე, ჩაის ფაბრიკის მახლობლად. „დუტუ შანგუას სახლის წინ მდებარე მოედანი“[50].

ჯამუშ კარი „ჯამუს კარი“ – მოედანი ეკეკესქუეში. „ჯამუ კიკალიშვილის სახლის წინ მდებარე მოედანი. მოედანზე დიდი აკაციის ხე იდგა, სადაც იმართებოდა ჯარიანობა“[51].

ჯეგეეკარი//ჯეგელეკარი//ჯეგეოხვამე – სასაფლაო ნაეკლესიარით და სასაფლაოს შემოგარენი, დასახლება ბანძის ჩრდილო-აღმოსავლეთით, წაკორტთან. აქ ცხოვრობენ ძირითადად ასაბაშვილები, კიკალიშვილები და ქაქუჩაიები. ტოპონიმი დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე შესულია გ. ელიავას წიგნში. იქვე მოცემულია განმარტება: „წმინდა ადგილი. უძველესი ნაეკლესიარი“[52].

ჯეგეეკარი წარმართული რელიგიის ბატონობის დროინდელი სალოცავი ყოფილა. აქ ჯეგე-მისარონის სალოცავი მდგარა, რომელსაც საქონლის მფარველობას შესთხოვდნენ. აქვე სცოდნიათ დღესასწაული მისარონობა (მირსობა//მისრობა). როგორც ჩანს, ეს ტერიტორია უხსოვარი დროიდან ყოფილა დასახლებული, რასაც მოწმობს 1957 წელს აქ ნაპოვნი და მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული, სამკუთხა ფორმის, მხრებიანი, კაჟრის ისრისპირი. დათარიღებულია ენეოლითის ხანით (17/1, ა-17).

ჯეგე//ჯგეგე მეგრულ ენაში განზოგადებული სიტყვაა და ორი მნიშვნელობით გამოიყენება: ა. კონკრეტული – „წმინდა გიორგი“, ბ. ზოგადი – „წმინდანი, ხატი, ეკლესია“. პ. ცხადიას ცნობით, დასავლეთ საქართველოში ბიზანტიური (ბერძნული) ეკლესიის დომინანტობის პერიოდში ბერძნულ „აგიოს“ (წმინდა, წმინდანი) ეკვივალენტს ზედსართავი სახელი **ჯგირი** „კარგი, კეთილი“ წარმოადგენდა. სწორედ იმ დროიდან (IX ს-ის შუა წლები) უნდა

---

[49] იქვე, 72.
[50] იქვე, გვ. 75.
[51] იქვე, გვ. 86.
[52] **გ. ელიავა,** აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმიკა, გვ. 84.

გავრცელებულიყო მეგრულ ლექსიკასა თუ ონომასტიკაში **ჯგირელია, ჯგეგე, ჯგარაგუნა, ჯგემარია, ჯეგეთა**...[53]

ჯეგე სამეგრელოსა და აფხაზეთის მრავალ ტოპონიმში ფიგურირებს **(ჯეგეთა, ჯეგეჯინჯი, ჯეგეჭელეთი, ჯეგემისარონიშ ოხვამე, ჯეგე(შ)ენწერი, ჯგემარიონი//ჯეგემარიონი//ჯეგემარია,ჯარაგუნა//ჯერაგუნა,ჯგემარიონი//ჯეგემარიონი, ჯგერილია//ჯგირელია, ჯეგეეში კარი//ჯეიში კარი, ჯეგეცხირი//ქუაჯვარიშ ოხვამე, ჯეგეიაში, ჯეგეშ მიოხვამუ, ჯეგეხანგარამი, ჯგერაგი//მოციანრე, ჯეგეფაცხა, ჯეგეცუდნა, ჯგერიანი**...)[54].

ბანძაში ჩაწერილი ტოპონიმი **ჯეგეე//ჯეგეეკარი** შეიძლება გააზრებულ იქნას როგორც „წმინდა ადგილი, წმინდა გიორგის სალოცავი“ (შდრ. **ჯეგეოხვამე**).

ბანძის შემოგარენში ჩაწერილი დრომონიმებიდან აქვე დავასახელებთ რამდენიმეს, რომლებიც გზების, ხიდებისა და ფონების სახელებად გამოიყენებოდა:

გვირაბი//ტუნეი – მიწისქვეშა კამაროვანი გვირაბი, რაც მდ. ტეხურზე ჩადის (ნაქალაქევი). ისტორიულ წარსულში ქალაქის მეციხოვნენი და მცხოვრებნი წყლით მომარაგებისათვის იყენებდნენ. პროკოპი კესარიელი შენიშნავს, რომ არქეოპოლისის მცხოვრებნი სარგებლობენ მდინარიდან ამოტანილი წყლით. ვინაიდან „სხვა წყალი არსაიდან არა აქვთ, ქალაქის ამშენებლებს ორი კედელი აუგიათ იქ, სერიდან მდინარემდე, რათა მათ თავისუფლად შესძლებოდათ მდინარის წყლის ამოტანა“[55]. გამოთქმულია მოსაზრება, რომ გვირაბი ქალაქის ერთ-ერთ კარს, „წყლის კარს“ წარმოადგენდა[56].

გჷთოტახილი//მჷკოტახირი – გზის მონაკვეთი ტეხურის

---

[53] **პ. ცხადაია,** წმინდანის ეპითეტები მეგრულში (ტოპონიმიკური მასალის მიხედვით). ქუთაისური საუბრები, VII (სიმპოზიუმის მასალები), ქუთ., 2000: 144; **მისივე,** ტოპონიმი **ჯგერიანი** და ზოგი ქრისტოლოგიური ტერმინის კოლხურში გავრცელების საკითხისათვის. კრ. ქართველური ონომასტიკა, II, 216-231.

[54] მიმოხილვა იხ. **ი. კეკელია,** ბანძის ტოპონიმია, გვ. 89-91.

[55] გეორგიკა, II, 188-189.

[56] **ნ. ლომოური,** ნოქალაქევი-არქეოპოლისი-ციხეგოჯი (ისტორიული ნარკვევი). კრ. „ნოქალაქევი-არქეოპოლისი“, I, არქეოლოგიური გათხრები, 1973-1977. თბ., 1981: 34-35.

მარჯვენა მხარეს, ციხეგოჯის პირდაპირ. **გითოტახილი** მეგრულში აღნიშნავს „გამოტეხილს, გამომტვრეულს (გზას, კედელს), მაგრამ **მჭკოტახირი** მოხვეულსაც“ ნიშნავს. გზა XIX საუკუნის 90-იან წლებში გაუყვანიათ და სიგრძე დაახლოებით 3 კმ-ია. გადმოცემით, ამ გზის გაყვანამდე კიცხირაფონიდან ლებაღათურეს გავლით უბრალო საცხენო გზა გადიოდა (ნაქალაქევი)[57];

გოჭკადილი „გაჭედილი“ – ძველი რკინის ხიდი ტეხურზე, ციხესთან, რაც 1884-85 წლებში გაუკეთებიათ. პარალელური სახელწოდებაა **რკინახინჯი** (ნაქალაქევი);

ნაურემუ – ტყე, ნაგზაური ლაკარდაშ ფერდზე. სახელდებული ობიექტი მიუთითებს, რომ აქ საურმე გზა გადიოდა (გახომელა);

ნაფოშტუ – დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე მითითებულია გ. ელიავას ნაშრომში (ნაქალაქევი)[58];

ფონ(ი)ღაი – ღელე; აბაშის მარჯვენა შენაკადი. გამოედინება პერტიაშ ნოხორთან (ლებაღათურე). ფონუა იგივეა რაც „ფონზე გასვლა, გაფონვა“. ფონღალი აღნიშნავს მარჩხობს, ფონს მდინარეზე, ღელეზე.

ყაიში – ხევი, გზა-გადასასვლელი საკილასონიოსა და მიკოტახირს შუა, ბერთემისაკენ მიმავალ გზაზე. ყა(ლ)ი მეგრულში აღნიშნავს უღელტეხილს, გადასასვლელს ქედზე, ყელს (გახომელა);

შქაოთოკე – გზა ყურუაშონიდან როკონისაკენ, ლეგაგუეშ სუკისძირში (გახომელა);

ბონდი//ბონდიშდუდი – ტარჩენის მონაკვეთი, სადაც უწინ ბონდის ხიდი ყოფილა გადებული. ამჟამად ბონდიშდუდი ეწოდება მდინარისპირა სახნავს ბონდთან (აბედათი);

ზარქუაშკარი – ქუჩის ნაწილი მარსილში. აქვე ცხოვრობდა თედო ზარქუა (აბედათი);

ყალიში – საბალახო არჯანიას სათავესთან. ყალი „უღელტეხილი, უნაგირა, გზა-გადასასვლელი მთაზე“ (აბედათი);

---

[57] **გ. ელიავა,** სენაკის რაიონის ტოპონიმია, თბ., 1989: 108; **ი. კეკელია,** ნაქალაქევის გეოგრაფიული სახელწოდებანი, ქუთ., 2013: 16.

[58] **გ. ელიავა,** სენაკის რაიონის ტოპონიმია, 110.

ხუთი ორთუ შარა//ოთხი ორთუ შარა – გზაგასაყარი ბანძის გზაზე. თავიდან ხუთი გზა იყო, შემდეგ ერთი გაუქმდა და ეწოდა ოთხი ორთუ შარა. **ორთუ შარა** იგივეა, რაც „გზაგასაყარი“ (აბედათი).

გიშაშირიი//გᲫშაშირიი – გზა-გადასასვლელი კუკუᲫურის აღმოსავლეთ ფერდობზე (ლემიქავე);

გᲫშახორხი(ლ)ი – მცირე გზა-გადასასვლელი კუკუᲫურის აღმოსავლეთ კალთაზე (ლემიქავე);

ვედომოსტი//ვედომოსტიშ შარა – სოფლის ცენტრალური გზა. ასე ეწოდებოდა უწინდელ ქუთაისი-ზუგდიდის სამხედრო გზის მონაკვეთს (ლემიქავე);

ლომიაშ შარა – გზა ღურჯუმიდან ბჟერის მთაზე ადის. აქ ესახლნენ ლომიები (ლემიქავე);

ლუკაშკარი – გზისპირი სოფლის ცენტრალურ გზაზე (ლემიქავე);

(Ა)ემიქეშ გიმოლᲫ – (Ა)ემიქედან გამავალი გზა (ლემიქავე);

აბედათიშ შარა//ბანძაშ შარა//ურიაკარიშ შარა//თარგამუიშ შარა//ჯიხაშ გინალᲫ – ერქვა ძველისძველ გზას, რითაც აბედათიდან გადადიოდნენ თარგამულისკენ. ბჟერის მთასა და ქაჯაიეფიშ გოლას შუა, გინაწონუს უღელტეხილიდან გზა მიემართებოდა ბანძისაკენ. თარგამეულელები ამ გზას უწოდებენ აბედათიშ შარას//ბანძაშ შარას//ურიაკარიშ შარას, ხოლო აბედათელთათვის ესაა **ჯიხაშ გინალᲫ//თარგამუიშ შარა.** სწორედ ამ გზაზეა აგებული აბედათის ციხე-სიმაგრე. თარგამუიშ შარა იწყება ჯიხაშფერდთან (ლექაჯაიე);

გᲫშაშირიი//გᲫშახორხიი – გზა-გადასასვლელი ჯეგეიაშში. გᲫშაშირიი „ჩაცვეთილი“, გᲫშახორხიი „გამოხერხილი“ (ჯოლევი);

კიცხირაფონი – ფონი ტეხურზე, სადაც გზა გადადის ჯოლევიდან ლეძაძამეში (ჯოლევი);

ობიშხიაკარი – მინდორი კიზუს მარცხენა ფერდობზე, კარტოზიების უბანში (ჯოლევი);

შე(Ა)ეგიაშ მინაჯინუ „შელეგიას გადასახედი“ – გზის მონაკვეთი, გზა-გადასასვლელი ჯოლევიდან ლემიქავესაკენ. სერიდან

გზა მიემართება შელეგიების ნასახლარისკენ (ჯოლევი);

გაგუაშ შუკა „გაგუას შუკა“ – შუკა-დასახლება გაგუაშ წაკორტსა და კანკიაშ წაკორტს შუა (ლევახანე);

ჟირბოგა//ჟირბოგეფი „ორი ბოგირი“ – მინდორი სამთხეკარსა და ნაჩილაჩაოს სკოლას შუა, სადაც უწინ არხზე გადებული ყოფილა ბოგირი (ლევახანე);

ბონდი//ნაბონდუ – ერქვა ბაგირზე გამართულ ხიდს აბაშაზე, ჩიქვანიშ მამულთან. ხიდი 1930 წელს გაუდვია დავით გიორგის ძე კოკაიას. ამ ხიდით ბანძა უკავშირდებოდა აბედათს. აქვე მდინარისპირა ჭალას ეწოდება ბონდიჭაჲე, ხოლო მორევს აბაშაზე - ბონდიშ ტობა (ლეკეკელე);

მარტვიიშ შარა „მარტვილის გზა“ – სასოფლო გზა მარტვილისაკენ (ლეკეკელე);

ნოქაჲაქიშ შარა – სასოფლო გზა ნაქალაქევისკენ; მარტვილი-სენაკის საავტომობილო გზის მონაკვეთი. საზიაროა ლეპატარესა და ჯოლევთან (ლეკეკელე);

ბაზარიშ მიშალჷ „ბაზრის შესასვლელი“ – გზის მონაკვეთი ბანძის ცენტრიდან ლეპატარესაკენ (ლეპატარე, ბანძა);

აბაშაგოჭკადირი – ხიდი აბაშაზე, ბანძა-სენაკის საავტომობილო გზაზე (ლეპატარე);

გოტაიაშ ბოგა „გოტაიას ბოგირი“ – ერქვა ბოგირს ჭითაღეეზე. ბოგასთან გოტა მაიასაიას სახნავი ჰქონია (ვედიდკარი);

გუტუიაშ ბოგა – ერქვა მცირე ღელეზე გადებულ ბოგას საკარტოზიოში (მახათი);

თედორეშკარი – ქუჩის მონაკვეთი წინათედორეს, წმ. თეოდორე ტირონის სახელობის ეკლესიის წინ (მუხურჩა).

მაშურიაშ გინაი „მაშურიას გადასასვლელი“ – საცალფეხო გზა-გადასასვლელი მცირე სერზე, გუიფურსა და ცხემურონს შუა, რაც მაშურიას გაუყვანია. მაშურია გვარსახელ დანელიას ერთ-ერთი შტო-გვარია (ლეხაინდრავო);

ნოღაგოჭკადირი – 1. ხიდი ნოღაზე (ლეხაინდრაო); 2. ნახიდარი ნოღაზე, ეფაციეში (ზემო ნაგვაზავო);

რაბკარი//სიბაკარი – ერქვა გზას, რაც ჩელტის კარით ყოფილა გადაკედლილი (ლეხაინდრავო);

ნაფოშტარი//კვადაცონა – ერქვა გზის მონაკვეთს ჟირაკაცი-

ას//აკაციაშჯინჯის ქვემოთ, ჯიხასთან (ნოჯიხენი);

სამარტვიდო შარა „სამარტვილო გზა“ – გზა მაიდნიდან გუიფურში. გამოივლის ნაჯახუს, ლეხაინდრეს და მიემართება მარტვილისკენ (სტეფასდაბალი);

სანდროშკარი – სასოფლო გზის გზაჯვარედინი, უბნის სანახშო (სტეფასდაბალი);

სახარიაშ ფონი – ერქვა ფონს ცხენისწყალზე, ნაგვაზუს საზღვართან (ლეხაინდრავო). შდრ. ვახუშტი: მდ. აბაშაზე „არს სახარია, ციხე და სასახლე დადიანისა“ (მსჯელობისათვის იხ. ზემოთ).

ჯვეში შარა „ძველი გზა“ – გზა ნოღელას გაყოლებაზე (ლეხაინდრავო). ვასახელებთ გ. ელიავას ნაშრომიდან;

დერეჟანიშ შარა – ბანძა-მარტვილის საავტომობილო გზა (მარტვილი, ნახარებუ, ქვემო ნაგვაზავო, ნოჯიხენი, ნაჯახუ, ბანძა);

სუმორთუშარა//უესკა – გზაშესაყარი ჭაეპიჯში, სოფლის სამხრეთ ნაწილში. სუმორთუ „სამი გზის შესაყარი“ (ლეკვანტალიანე);

ბარბაჲეკარიშ შუკა – გზა სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, რაც მიემართება ბარბაჲეკარის ეკლესიისკენ (ნაჯახავო);

ბესელაშ მიკართუუ//ბესეჲაშ მიკართუუ – გზა-გადასახვევი სოფლის აღმოსავლეთ ნაწილში (ნაჯახავო);

განარჯიაშ შარა „განარჯიას გზა“ – სასოფლო გზა, რაც იწყებოდა (ჲ)ეკვეციეში და განარჯიაშ მუხურის გავლით გადიოდა ლეხაინდრავოში (ნაჯახავო);

დომეშ შუკა – შუკა სოფლის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში (ნაჯახავო);

ელიზბარიშ შუკა – შკა სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში (ნაჯახავო);

ეჯეიეშ მიშართუ „ეჯეიეს შესახვევი“ – ბანძა-მარტვილის საავტომობილო გზიდან ეჯეიესკენ მიმავალი საუბნო გზა. ეჯეიე „ჯელიების უბანი“ (ნაჯახავო);

მექიშ შუკა – შუკა სოფლის აღმოსავლეთ ნაწილში (ნაჯახავო);

ნაჭკირა – ბანძა-მარტვილის საავტომობილო გზის მონაკვეთი. გოჭკირუა „გაჭრა“, ნაჭკირა „განაჭერი“ (ნაჯახავო);

(ე)ეკვეციეშ გინართუუ – ბანძა-მარტვილის საავტომობილო გზას გამოეყოფა გაჯარში მიმავალი საუბნო გზა. (ე)ეკვეციე „კვეკვეციების უბანი“ (ნაჯახავო);

პავიეშ ნაჭკირა – ნაგზაური. პავლე დანელიას ინიციატივით გაუჭრიათ ეს გზა, რაც მიემართებოდა ხონისაკენ (ნაჯახავო);

სარდიშ შუკა – შუკა სოფლის დასავლეთ ნაწილში (ნაჯახავო);

სუმიორთუ შარა – სოფლის სანახშო, ფართო მინდორი რეგაში (ნაჯახავო);

ძაგანიეფიშ მიშართუუ – შესახვევი (ე)ეძაგანეში (ნაჯახავო);

ბოჭოშ ფონი – ცხენისწყლის მონაკვეთი. გადმოცემით, ვინმე ბოჭოს იმერეთში კაცი მოუკლავს, იქიდან გამოქცეულს მდინარეზე ამ ადგილას გადმოუცურავს (ნაგებერავო);

გინოიკარი – ონოღიისაკენ მიმავალ გზაზე ღობეს ჰქონდა გადასასვლელი (ნაგებერავო);

დიდი ნაჭკირა – გზა სოფლის აღმოსავლეთი ნაწილიდან მიემართება ხონისაკენ (ნაგებერავო);

კიკესქუა(ე)ეფიშ შარა – გზა (ე)ეკიკესქუეში. კიკესქუა იგივე კიკალიშვილია (ნაგებერავო);

ნაჭკირა//ნაჭკირა შარა – გზა ებახიეში (ნაგებერავო);

(ე)ებახიეშ მიშართუუ – შესახვევი, რაც ბანძა-მარტვილის საავტომობილო გზიდან გადის ებახიესაკენ (ნაგებერავო);

პეტრეშ შუკა – შუკა სოფლის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში (ნაგებერავო);

სარჩმეიეფიშ შარა – გზა ჲესარჩიმეიეში. სარჩიმელია გვარია (ნაგებერავო);

წირქვაიეფიშ შუკა – შკა სოფლის აღმოსავლეთ ნაწილში. გზა გადიოდა ეწირქვაიედან ხონისაკენ (ნაგებერავო);

ჭყონიეფიშკარი – გზისპირი ჭყონიეფიშ შარასთან (ნაგებერავო);

ჭყონიეფიშ შარა – გზა ონოღიის საზღვართან. ჭყონია გვარია (ნაგებერავო);

ანტოშ შუკა – შუკა სოფლის აღმოსავლეთ ნაწილში (ონო-

ღია);

ბანძაშ შარა – გზა ონოღიის ცენტრიდან ბანძისაკენ (ონოღია);

ბუთაშ შუკა – შუკა სოფლის აღმოსავლეთ ნაწილში (ონოღია);

გაბუნიეფიშ შუკა – შუკა-უბანი სოფლის სამხრეთ ნაწილში, სადაც გაბუნიები მოსახლეობენ (ონოღია);

გოხორხიი „გახერხილი“ – გზა (ონოღია). ვასახელებთ გ. ელიავას ნაშრომიდან;

დარჯანიეფიშ შუკა – შუკა-უბანი სოფლის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, სადაც დარჯანიები მოსახლეობენ (ონოღია);

ევგეშ შუკა – შუკა სოფლის აღმოსავლეთ ნაწილში. ევგე, ევგენი პირსახელია (ონოღია);

ევსევიშ შუკა – შუკა სოფლის აღმოსავლეთ ნაწილში. ევსევი პირსახელია (ონოღია);

მაიდანიშ შარა – გზა ონოღიიდან მაიდნისაკენ (ონოღია);

მახათიშ მიშართუუ – გზა-შესახვევი ონოღიიდან მახათისაკენ (ონოღია);

მიხოშ შუკა – შუკა სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში (ონოღია);

ნიკო ქაჯაიაშ შუკა – შუკა სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში (ონოღია);

ნოღაშ ხიდი//ონოღიაშ ხიდი – ხის საცალფეხო ხიდი ნოღელაზე (ონოღია);

ჟაღვანაშ ხიდი – ხიდი ღელე ჟაღვანაზე (ონოღია);

ქაჯაიეფიშ შუკა – შუკა სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში (ონოღია);

ძაგანიეფიშ შუკა – შუკა სოფლის აღმოსავლეთ ნაწილში, სადაც მოსახლეობენ ძაგანიები (ონოღია);

ჭიჭიკოშ შუკა – შუკა სოფლის აღმოსავლეთ ნაწილში (ონოღია);

გედენიაშ ნაჭკირა//გედეონიშ შარა – გზა, რაც მიუყვება ნოღელის მარჯვენა ნაპირს. გასული საუკუნის 30-იან წლებში გაუჭრიათ გედევან კაჭარავას თაოსნობით (სეფიეთი);

კიბირიაშ ფონი – ფონი, წყალმარჩხი ზანაზე. კიბირია პირ-

სახელი უნდა იყოს (სეფიეთი);

კორჩხეფონი – გ. ელიავა მიუთითებს დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე და განმარტავს როგორც „თხელ ფონს“[59].

შქაჲფონი „შუაფონი“ – ფონი აბაშაზე. შქაჲფონი აღნიშნავს ფონს მდინარის ორ ტოტს შუა (სეფიეთი);

ჯაბელიაშ ბოგირი – ბოგირი ძველი აბაშის საზღვართან. ჭენჭყობიან ადგილზე ვინმე ჯაბელიას ხის ვიწრო ხიდი გაუდგამს (სეფიეთი)[60].

---

[59] **გ. ელიავა,** აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმიკა, 14.

[60] ტოპონიმებს ვომოწმებთ შემდეგი წიგნებიდან: **გ. ელიავა,** აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმიკა, თბ., 1977; **ი. კეკელია,** ბანძის ტოპონიმია, თბ., 2007; **მისივე,** ნაგვაზუს ტოპონიმია, თბ., 2008; **მისივე,** აბედათის ტოპონიმია, თბ., 2008; მისივე, მარტვილის რაიონის ოიკონიმია, ქუთ., 2010; **მისივე,** სეფიეთის ტოპონიმია, ქუთ., 2011; **მისივე,** ნაქალაქევის გეოგრაფიული სახელწოდებანი, ქუთ., 2013; **ჰ. ცხადაია,** სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, V, მარტვილის რაიონი (სამხრეთი ნაწილი), თბ., 2010.

თავი მეხუთე

სოფელ ბანძაში სარკინიგზო ხაზის მშენებლობის მცდელობის ისტორია (რეფორმისშემდგომ პერიოდი)

რუსეთის საიმპერატორო კარს გააზრებული ჰქონდა, რომ ამიერკავკასიასა და, კერძოდ, საქართველოში სარკინიგზო მშენებლობით მოხდებოდა ამ მხარის გარდაქმნა ყველა მიმართულებით. იგი განსაკუთრებით მომგებიანი იქნებოდა ეკონომიკურ ურთიერთობათა, კერძოდ, კომერციული თვალსაზრისით, თვით რუსეთისთვისაც, საიდანაც შემოდიოდა საქონელი. საქართველო იმპერიისთვის წარმოადგენდა საქონლის გასაღების ბაზარს და ნედლეულის წყაროს. ამასთანავე, იმდროინდელი პოლიტიკური სიტუაციის გათვალისწინებით, შავი ზღვისაკენ მიმავალ გზას, რუსეთისთვის, ეკონომიკურთან ერთად, განსაკუთრებული სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭებოდა, ვინაიდან თურქეთის პირველი შემოტევა სწორედ ამ მხრიდან იყო მოსალოდნელი. ცნობილი საზოგადო მოღვაწე სერგეი მესხი აღნიშნავდა, რომ „ყოველი გზის მნიშვნელობა და განსაკუთრებით რკინიგზისა, იმაში მდგომარეობს, რომ ერთმანეთზე დაშორებულ მცხოვრებლებს გაუადვილოს მისვლა-მოსვლა, აღებ-მიცემა, განაღვიძოს ვაჭრობა და ერთი სიტყვით შეუმსუბუქოს მათ ყოველგვარი კავშირი“[1].

ცნობილია, რომ ფოთი-თბილისის რკინიგზის ხაზის პირველი უბანი ფოთიდან ყვირილამდე 1871 წლის 14 აგვისტოს გაიხსნა[2]. ის იყო მთავარი სამიმოსვლო-სავაჭრო გზა საქართველოში, რამაც ბიძგი მისცა საგუბერნიო ქალაქებსა და მხარეებს შორის ახალი სამიმოსვლო გზების გაყვანას, ხიდების მშენებლობას, ახალი სამრეწველო-სავაჭრო პუნქტებისა და ქალაქების (სამტრედია, აბაშა, ახალსენაკი, ზესტაფონი...) წარმოქმნას და მათ ირგვლივ მოსახლეობის თანდათან დაჯგუფებას[3]. ახლადწარმოქმნილ პუნქტებში ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებამ ხელი შე-

---

[1]გაზ. „დროება“, N40, 1872.
[2]საქ. ცსია, ფ. 17, ს. 8990, ფურც. 85.
[3]საქ. ცსია, ფ. 17, ს. 8990, ფურც. 92.

უწყო ადგილობრივი და შემოტანილი პროდუქციის მეტად გავრცელებას[4].

ფოთი-თბილისის რკინიგზის ხაზის გაყვანა, ახალი ქალაქებისა და დაბების წარმოქმნასთან ერთად, ძველ და უკვე არსებულ ქალაქებზეც ახდენდა გავლენას. მ. ნიკოლეიშვილის შეფასებით, „იწყება ამ ქალაქების სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები. ისინი იწყებენ გარდაქმნას ბურჟუაზიულ ქალაქებად, მაგრამ ეს პროცესი არ ყოფილა ერთგვაროვანი ყველა ქალაქისათვის. ზოგიერთი ქალაქი, რომლებიც ხსენებული რკინიგზის ხაზის გარეთ დარჩა, დაქვეითებას იწყებს და თანდათან ჰქრებიან ასპარეზიდან. ისინი ადგილს უთმობენ ახლად წარმოქმნილ ქალაქებს, მაგრამ ამ პროცესსაც არ ჩაუვლია უმტკივნეულოდ. იწყება მათ შორის მეტოქეობა-დაპირისპირება“[5].

სენაკის მაზრის სოფელ ბანძაში სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობის ისტორია XIX ს-ის რეფორმისშემდგომ პერიოდს უკავშირდება. ეს საკითხი დასავლეთ საქართველოს ქალაქების სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და სარკინიგზო მშენებლობის ისტორიის ჭრილში საფუძვლიანად აქვს შესწავლილი მიხეილ ნიკოლეიშვილს, თავის სადოქტორო დისერტაციაში (1994 წ.), რასაც ეფუძნება არსებითად ჩვენი ნაშრომის წინამდებარე თავი[6].

ბანძა, როგორც მნიშვნელოვანი სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული ცენტრი, ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი მაგისტრალის გარეშე დარჩა, რამაც უარყოფითი გავლენა მოახდინა მის შემდგომ გარდაქმნასა და ზრდა-განვითარებაზე. დაქვეითდა სოფლის სამეურნეო ცხოვრება, რამაც ღრმა დაღი დაასვა მის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებას. როგორც ირკვევა, სწორედ ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში ცნობილ მწიგნობარსა და

---

[4]საქ. ცსია, ფ. 17, ს. 8990, ფურც. 105-106.

[5]**მ. ნიკოლეიშვილი,** დასავლეთ საქართველოს ქალაქების სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და სარკინიგზო მშენებლობის ისტორიიდან (XIX ს. რეფორმისშემდგომი პერიოდი), ქუთ., 1994: 39-40.

[6] მსჯელობისათვის იხ. **ი. კეკელია,** ბანძა - ესკიზები სოფლის წარსულიდან, I, ქუთ., 2020: 77-83.

უანგარო ეროვნულ მოღვაწეს _ ზაქარია ჭიჭინაძეს (1854-1931 წწ.), რომელიც 1904 წელს გამოცემულ წიგნში („ქართველი ებრაელები საქართველოში“) აღნიშნავდა: „ბანძაში ებრაელნი არიან ნიჭით ისეთნივე, როგორც თვით ბანძელი ქრისტიანები. **როცა ბანძას რკინისგზა ასცდა, მას შემდეგ ბანძის საქმეც ცუდათ წავიდა, იგი დავარდა თითქმის და დაკლება იწყო**“[7].

ამიერკავკასიის რკინიგზის ხაზის ბანძაში გაყვანას დიდი ხნის ისტორია აქვს და იგი უკავშირდება საქართველოს ერთ-ერთ უმთავრეს ქალაქ ქუთაისში სარკინიგზო მშენებლობის დაწყებაზე საკითხის დასმას და მის განხორციელებაზე ზრუნვას. დიდი მცდელობის მიუხედავად, აღნიშნავს მ. ნიკოლეიშვილი, დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქალაქი ქუთაისი მაინც დარჩა რკინიგზის მთავარი მაგისტრალის გარეშე, თუმცა ეს საკითხი დღის წესრიგიდან არ მოხსნილა, რასაც, ალბათ, ის გარემოება განაპირობებდა, რომ პირვანდელი პროექტი ამიერკავკასიის რკინიგზის ხაზის სწორედ ქუთაისში გაყვანას ითვალისწინებდა[8]. სხვადასხვა მიზეზების გამო ამ პროექტის შეცვლით ქუთაისს ასცდა რკინიგზის მთავარი ხაზი, რაც ქალაქს ეკონომიკური ცხოვრების დაქვეითებას უქადდა. ცნობილ პუბლიცისტსა და საზოგადო მოღვაწეს – ნიკო ნიკოლაძეს კარგად ჰქონდა გააზრებული ის სავალალო შედეგი, რაც უნდა მოჰყოლოდა რკინიგზის გარეშე საქართველოს მეორე ქალაქის დატოვებას. 1869 წელს „პეტერბურგის უწყებებში“ იგი აქვეყნებს სპეციალურ წერილს და მოითხოვს, რომ სარკინიგზო მაგისტრალს გაევლო მჭიდროდ დასახლებულ პუნქტებში: ფოთიდან ძველი სენაკის, ბანძის, ხონის, ქუთაისის, გოდოგან-სიმონეთის გავლით – ყვირილამდე[9]. ნიკო ნიკოლაძის აღნიშნული წერილი არის პირველი, ჩვენთვის ცნობილ პუბლიკაციებს შორის, სადაც საუბარია რკინიგზის ხაზის სოფელ ბანძაში გაყვანის აუცილებლობაზე; თუმცა ეს მოთხოვნა მაშინ არ დაკმაყოფილდა. ნაკლებად დასახლებულ და სუსტი ეკო-

---

[7]იხ. **ზ. ჭიჭინაძე,** ქართველი ებრაელები საქართველოში (მეორე გამოცემა), გამოსაცემად მოამზადა და ბოლოსიტყვაობა დაურთო ვახტანგ ჩიქოვანმა, თბ., 1990: 66.

[8] **მ. ნიკოლეიშვილი,** დასახელებული ნაშრომი, 41.

[9]ნ. ნიკოლაძის არქივი, საბ. 31/17-24; გაზ. „იმერეთი“, N150, 1911; მსჯელობისათვის იხ. მ. ნიკოლეიშვილი, დასახელებული ნაშრომი, 42-43.

ნომიკური პოტენციალის მქონე დასახლებულ პუნქტებში რკინიგზის ხაზის გაყვანამ უარყოფითად იმოქმედა სწორედ ძველ სენაკზე, ბანძაზე, ხონსა და ქუთაისზე.

1873 წელს ნიკო ნიკოლაძე წერდა: „ქალაქ ქუთაისის მოსახლეობა ყოველდღიურად სულ უფრო ხმამაღლა აცხადებს საჩივარს ვაჭრობისა და ამ ქალაქის ეკონომიური მნიშვნელობის არაჩვეულებრივი დაქვეითების გამო. რკინიგზის გახსნით, რომელმაც ქალაქს 7,5 ვერსით აუხვია გვერდი, ქუთაისმა თანდათან დაიწყო დაცარიელება, დაქვეითება და უმთავრესად სავაჭრო და სამრეწველო ქალაქი დაეშვა მესამე ხარისხოვან ადმინისტრაციული ცენტრის დონემდე. სახლები სანახევროდ დაცარიელდა, – ძველმა ფასებმა ორჯერ და სამჯერ დაიწია. მაღაზიები უიმედოდ ელოდებოდა ნისიად მყიდველებს და მთელი ქალაქის ცხოვრება ტრიალებს სასამართლო და საპოლიციო სამმართველოების ან მრავალრიცხოვანი აუქციონერების ირგვლივ...“[10]. ქუთაისის ეკონომიკური მნიშვნელობის დაქვეითების ნიკოლაძისეული დახასიათება შეიძლება განზოგადდეს ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი მაგისტრალის გარეშე დარჩენილ სავაჭრო ცენტრებზეც. ფოთი-თბილისის ხაზის საგუბერნიო ქალაქიდან 8 კმ-ის დაშორებით გაყვანამ სასიკვდილო ლახვარი ჩასცა ქუთაისს. როდესაც აბაშამ და ახალსენაკმა დაიწყო აღორძინება, ეს პუნქტები ბანძის სერიოზული კონკურენტები შეიქნა. ძველი სენაკის ნაცვლად ახალსენაკი დაწინაურდა, ძველ აბაშას აბაშა ჩაენაცვლა, ორპირს – სამტრედია, რედუტ-კალეს (ყულევს) – ფოთი და ა. შ.

რეფორმისშემდგომი პერიოდის დასავლეთ საქართველოში ცალკეულ დასახლებულ პუნქტებს შორის დაწყებული მეტოქეობის, ახლადწარმოქმნილ და „ძველ“ ქალაქებს შორის შექმნილი დამოკიდებულების საერთო სურათი ნათლად არის ნაჩვენები 1888 წელს გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში, სადაც ვკითხულობთ: „დაუწყნარებელი ბრძოლა დაიწყო მასაქეთ, რაც ფოთი-თბილისის რკინიგზა გაიყვანეს... ამ გზაზე რკინიგზის მმართველობამ განზრახ შეცდომით, თუ სხვა მიზეზით გვერდი აუქცია რიონის ხეობაზე გამწკრივებულ დაბა-ქალაქებს: რვა ვერ-

[10] **ნ. ნიკოლაძე,** თხზულებანი, ტ. I, 559.

სზე მიატოვა ქუთაისი, ოთხ ამდენ მანძილზე ხონი, სამს ვერსზე სუჯუნა და აგრეთვე ძველი სენაკი. გზის ასეთმა მიმართულებამ კინაღამ სული ამოართვა ქუთაისს. ხონს მოაკლო ის, რასაც შესძენდა, შიგ რომ გაევლო რკინიგზას. დაეცა ძველი სენაკი და ორპირი, რის შედეგად გაიზარდა სამტრედია, აბაშა, ახალი სენაკი, ფოთი"[11].

წერილის ავტორი გულისტკივილით დასძენს, რომ ამ ქალაქებს, რომელთა კეთილდღეობაც დამოკიდებული იყო ამიერკავკასიის რკინიგზის მმართველობაზე, მოაკლდათ ის, რაც ახლებს მიემატათ, რადგან გზას მგზავრი უნდა მოჰყოლოდა, მგზავრს ვაჭრობა, ვაჭრობას ხალხი, მერე სკოლა, სასამართლოები, აფთიაქები და ამ დაწესებულებათა მოსამსახურენი. ძველი სენაკის, მარტვილისა და სუჯუნის მესვეურები მაინც იმედოვნებდნენ წარსული დიდების დაბრუნებას[12]. რკინიგზის მაგისტრალის ქუთაისიდან პირდაპირ ხონში და აქედან ძველ სენაკში გავლით ხონი ერთიორად გაიზრდებოდა, რომელსაც ლეჩხუმისა და ცხენისწყლისპირას მდებარე იმერეთ-სამეგრელოს მოსახლეობა მოაწყდებოდა. ვინ მოთვლის, რამდენი მლოცველი და მნახველი მოუვიდოდა მარტვილს, აუარებელ მგზავრს მიიღებდა ნაქალაქევის მადნეული წყლები, რომელიც ქვემო იმერეთის ესენდუკი გახდებოდა. სენაკის მაზრის სიმინდი სულ ძველ სენაკს მოაწყდებოდა, მაგრამ რადგან ეს ასე არ მოხდა, ხსენებული დაბა-ქალაქები ერთიმეორეს გადაემტერა[13].

ამიერკავკასიის რკინიგზის ახალი მიმართულებით გაყვანის საკითხი დღის წესრიგში მოგვიანებითაც დადგა. კერძოდ, 1911 წლის 19 თებერვალს ქუთაისის ქალაქისთავი ი. ჩიქოვანი გზათა მინისტრისადმი გაგზავნილ დეპეშაში ითხოვდა შავი ზღვის რკინიგზის ზუგდიდიდან ქუთაისის მიმართულებით გაყვანას. მოხსენებით ბარათში დაწვრილებით არის ჩამოყალიბებული ქუთაისის თვითმმართველობის აზრი შავი ზღვის რკინიგზის მეორე მიმართულების შესახებ. აგვისტოს მეორე ნახევარში ქალაქის საბჭოს

---

[11]გაზ. „ივერია", N159, 1888.

[12] იქვე.

[13]გაზ. „ივერია"; მსჯელობისათვის იხ. **მ. ნიკოლეიშვილი,** დასახელებული ნაშრომი, გვ. 120-121.

გადაწყვეტილებით ქალაქის თავმა მეფისნაცვლის მოადგილეს, სენატორ ვაცეტს გადასცა ვრცელი მოხსენებითი ბარათი, შავი ზღვის რკინიგზის მეორე მიმართულების პროექტის ესკიზთან ერთად. აღნიშნული პროექტი ითვალისწინებდა შავი ზღვის რკინიგზის ახალი მიმართულების გაყვანას სადგურ რიონიდან, რიონის ხიდისა და მდინარის მარჯვენა ნაპირის გავლით, 7 ვერსის შემდეგ გზა შედიოდა ქუთაისში, ხოლო აქედან გზა მიემართებოდა ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით. მე-11 ვერსზე გზა კვეთდა მდ. წყალტუბოს, გაივლიდა სოფ. წყალტუბოში, შემდეგ გზა კვეთდა მდინარეებს – გუბისწყალს და ზემო კუხს. გაივლიდა სოფლებს – კუხს, ივანდიდს, ქარჩხაბს, ხონს, საწულუკიძეოს, ნახახულევს, მათხოჯს და კონტუათს. 31-ე ვერსზე გზას უნდა გადაეკვეთა მდ. ცხენისწყალი, შემდეგ მდ. ნოღელა, გაევლო სოფლები – ლეციცხვაიე, ნაგვაზაო, მარტვილი, ლეხაინდრაო, ნოჯიხევი, ურიაკარი (ასე ერქვა ბანძის ცენტრალურ უბანს, სადაც ებრაელები სახლობდნენ – ი. კ.) და სხვ. მე-40 ვერსზე გზა გადიოდა მთაგორიან ადგილებზე[14].

ქუთაისის ქალაქის თავის მოხსენებითი ბარათის პასუხად გზათა მინისტრი იტყობინებოდა, რომ ი. ჩიქოვანის შუამდგომლობა ვერ დაკმაყოფილდებოდა რამდენიმე გარემოების გამო. ერთერთ მიზეზად დასახელებული იყო ის, რომ შავი ზღვის რკინიგზის ქუთაისზე გაყვანით განსახორციელებელი ფართო მასშტაბის სამუშაოები დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული, გზათა სამინისტროს კი ამ მიზნით თანხების გამოყოფა ეძნელებოდა. ამასთანავე, მართალია, ახალი მიმართულებით რკინიგზის სიგრძე 19 ვერსით მცირდებოდა, მაგრამ სამაგიეროდ 46 ვერსით მატულობდა ახლადგასაყვანი გზის სიგრძე. გასათვალისწინებელი იყო ის გარემოებაც, რომ ამ გზას მთაგორიან ადგილებზე უნდა გაევლო, რაც გვირაბების გათხრას საჭიროებდა[15].

საკითხის შესწავლის თვალსაზრისით საინტერესოა ჩემ მიერ ჩაწერილი გადმოცემაც: ბანძაში რკინიგზის მაგისტრალის

---

[14] ქუთაისის ისტორიული არქივი, ფ. 108, ს. 4025, ფურც. 5-7; გაზ. „კოლხიდა“, 27 აგვისტო, N122, 1911; მსჯელობისათვის იხ. მ. ნიკოლეიშვილი, დასახელებული ნაშრომი, 70.
[15] მ. ნიკოლეიშვილი, დასახელებული ნაშრომი, 72.

გაყვანის პროექტს სოფლის საზოგადოების არისტოკრატიულმა ნაწილმა – თავადმა ფაღავებმაც წინააღმდეგობა გაუწიეს, რადგან რკინიგზის ხაზს მათ მამულებზე უნდა გაევლო. ცხადია, ფაღავების ასეთი პოზიცია ხელს უშლიდა დასახელებული პროექტის განხორციელებას. ფაღავები ფიქრობდნენ, რომ რკინიგზის ხაზის გაყვანით ისინი მიწის გარკვეულ ნაწილს დაკარგავდნენ. ამასთანავე, მათი აზრით, რკინიგზა ხელს შეუწყობდა ბანძასა და მომიჯნავე სოფლებში საქონლის ქურდების მომრავლებას, რომლის ნაკლებობასაც სოფელი არც მანამდე უჩიოდა[16].

ასე ჩავარდა შავი ზღვის რკინიგზის მეორე მიმართულების გაყვანის პროექტი XX ს-ის ათიან წლებში. პროექტის განხორციელებას არც შემდგომ ეწერა ბედი, რადგან სულ მალე, 1914 წელს იფეთქა მსოფლიო ომმა, ქვეყანა ომის ქარცეცხლში გაეხვია და რკინიგზის ხაზის გაყვანაზე ფიქრისთვის არავის ეცალა.

[16]მთხრობელი **ხუტა დავითის ძე კოკაია**. ჩემი მასალებიდან, საველე დღიური N2. გადმოცემა ჩაწერილია სოფ. ბანძაში.

ძირითადი დასკვნები

ბანძა სამეგრელოს აღმოსავლეთ ნაწილში, მდ. აბაშის მარცხენა ნაპირას, გაშლილ ველზე მდებარეობს. ბანძა ძველი დროიდანვე წარმოადგენდა ცენტრალურ პუნქტს, გზაჯვარედინს სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ და აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ გაჭრილ გზებზე. სწორედ ბანძის გავლით მიემართებოდა მთავარი გზა ეგრისის (ლაზიკის) სამეფოს დედაქალაქ ციხეგოჯ-არქეოპოლისისაკენ.

რიონის ქვემო წელზე და მის ჩრდილოეთით, რიონის მარჯვენა შენაკადების - ცხენისწყლის, აბაშისა და ტეხურის ხეობებში არქეოლოგიური ძიების გზით დადასტურებული გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამაროვანი (მუხურჩა, „პეტრეშ ნაკარუ“), ბრინჯაოსა და რკინის ხანის სამოსახლოები („კეკელური ზუგა“, „ნაჭვიშ ზუგა“, „ბაღდუდი“), ადრეანტიკური დასახლებები (მუხურჩის „ნაწისქვიუ“), გვიანანანტიკური ხანის ქვევრსამარხი (სოფ. ბანძა), ანტიკური ხანის ნამოსახლარები (სერგიეთის „ნაფაცაცუ“, ლეხაინდრავოს „გოგიაშ ნაოხვამუ“, მარტვილის ტაძრის ფერდობი) და რომაული ვერცხლის მონეტების განძი (სოფ. სეფიეთიდან)' უნდა ვიფიქროთ, რომ მჭიდრო კავშირშია რიონის სამდინარო-საგზაო მაგისტრალთან. ამასთანავე, ქუთაისისა და ციხეგოჯ-არქეოპოლისის არქეოლოგიურ მონაცემებზე დაყრდნობით ეჭვმიუტანლად დგინდება ამ გზის **გვერდითი შტოების** ფუნქციონირების შესაძლებლობა, ჯერ კიდევ ელინისტურ, ადრეანტიკურ და მომდევნო ხანაში. აბაშისა და ტეხურის ხეობების შუა და ქვემო წელზე სამოსახლოთა მნიშვნელოვან კონცენტრაციას სწორედ მდ. ფასისის (რიონის) მაგისტრალი, აგრეთვე ციხეგოჯ-არქეოპოლისისკენ მიმავალი სახმელეთო გზა განაპირობებდა. ბანძის სტრატეგიულ პუნქტად მიჩნევას ეგრისის სამეფოს დედაქალაქთან - მისი სიახლოვე, მის „საკონტროლო ზონაში“ მდებარეობა განსაზღვრავდა.

ბანძასა და მის შემოგარენში, აბაშა-ტეხურის ხეობებზე გამავალი მნიშვნელოვანი სავაჭრო-სატრანზიტო თუ სამხედრო დანიშნულების გზები თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის აუცილებელს ხდიდა ხეობებში საეკლესიო თუ საფორტიფიკაციო

ნაგებობების მშენებლობის საჭიროებას. სასიმაგრო ნაგებობების აგება საჭირო იყო საზღვრების, გზებისა და მდინარეთა ხეობების ჩასაკეტად. ციხე-სიმაგრე წარმოადგენდა სამხედრო დანიშნულების მქონე გამაგრებულ პუნქტს, რაც საალყო პირობებში ხანგრძლივი ბრძოლისათვის ყოველმხრივ უზრუნველყოფილი და მუდმივი გარნიზონით იყო დაცული. შემორჩენილი ციხე-სიმაგრეების ერთი ნაწილი ჯერ კიდევ ანტიკურ და ადრეული ფეოდალიზმის ხანაშია აშენებული. გვხვდება მომდევნო პერიოდის საფორტიფიკაციო ნაგებობათა ნაშთებიც. ვახუშტი ბატონიშვილი თავის ნაშრომში ჩამოთვლის და რუკებზე აღნიშნავს ბანძასა და მის შემოგარენში მდებარე რამდენიმე პუნქტს, კერძოდ, ციხეს ბანძაში, ციხეს სასახლითურთ სახარიაში, ნაქალაქევსა და შხეფში, ჭყონდიდს, ხუნწს, ლეხაინას (ლეხაინდრავო), ლეჯახიას (ნაჯახავო)... ზოგიერთი ისტორიული ძეგლის შესახებ საინტერესო ცნობებს იძლევა არქეოლოგიური მასალა და სხვა ისტორიული წყაროები.

ბანძა წარმოადგენდა ოდიშის სამთავროს ერთ-ერთი წარჩინებული გვარის - ფაღავების სათავადოს ცენტრს. ბანძელი ფაღავები რომ გავლენიანი ფეოდალები იყვნენ, ამაზე მეტყველებს ისტორიული საბუთები. „ლიხთ-იმერეთის“ 1737 წლის რუკაზე დატანილია „ბანძა-ფაღაოს“ სასახლე, სათანადო პირობითი ნიშნით. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ფაღავების სამფლობელოში, მთლიანად თუ ნაწილობრივ, შედიოდა შემდეგი სოფლები: ბანძა, აბედათი, ნახუნუ, თარგამუ//თარგამული (ნაწილობრივ), ჯოლევი (ნაწილობრივ), მუხურჩა. ეს სოფლები ქმნიდა ერთ მთლიან ტერიტორიას, რომელსაც აღმოსავლეთით ნაგებეროუ-ნაჯახოუ საზღვრავდა, დასავლეთით – ორქა, სამხრეთით – ონოღია და ჩრდილოეთით – სერგიეთი. ამ სოფლებს გარდა ფაღავები ყმა-მაულს ფლობდნენ ლეხაინდროს, ნაგვაზუს, სეფიეთს, ეკს, მოხაშს, უშაფათს, სუჯუნასა და ონოღიაში. მათვე ჰქონიათ ციხე სოფ. თარგამულში. თარგამულის ნაწილს ფაღავები ფლობდნენ, ნაწილი კი ჩიქოვანების საკუთრებას წარმოადგენდა. 1872 წლის აღწერის მონაცემებით ფაღავებს ეკუთვნოდათ შემდეგი სოფლები: ბანძა, ვედიდკარი, მუხურჩა, ონოღია, ნაჯახუ, ნაგებერუ, ნახუნუ. ასევე მნიშვნელოვან ადგილებს ფლობდნენ თამაკონსა და ნამკოლუში. ფაღავების სათავადო „საფაღაო“ XVII-XIX საუკუნეებში ტიპიურ

სათავადოს წარმოადგენდა. მას გააჩნდა თავისი შინაგანი ორგანიზაცია.

გზებისა და საგზაო კომუნიკაციების შესასწავლად საგულისხმოა ტოპონიმები - გეოგრაფიული სახელწოდებანი. ბანძასა და მის შემოგარენში გავრცელებულია დრომონიმები: **ჯვეში შარა** „ძველი გზა“, **ჯვეში ნაშარუ** „ძველი ნაგზური“, **სალეჩხუმო შარა//საეჩხომო შარა** „სალეჩხუმო გზა“, **მექალაქეში შარა//მარტვიიში შარა, ბანძაში შარა** „ბანძის გზა“ და ა. შ., რაც ძველ მაგისტრალებზე მიგვითითებს. ბანძასა და მის შემოგარენში ტოპონიმების – „ჯიხას“ (სოფ. გეჯეთი), „გოჭვიროხვამეს“ (გეჯეთი), „მიკოტახილის“ (ნაქალაქევი), „ქეჯვარის“ (ნაქალაქევი), „ნაოხვამუს“ (ნაქალაქევი), „ჯვეშ ნაოხვამუს“ (ნაქალაქევი), „ნაფოშტუს“ (ნაქალაქევი) და სხვათა დამოწმება ასევე სახელდებულ ობიექტებთან ძველი დროიდანვე გზების არსებობის მოწმობად შეიძლება ჩაითვალოს.

ბანძის ისტორიულ-გეოგრაფიული მდებარეობის შესწავლის თვალსაზრისით საინტერესოა თვით სოფლის სახელწოდებაც. „ბანძა“, „ბანძიი“ „გზაგასაყარს ან გზაშესაყარს, განშტოებულს, განტოტვილს“ ნიშნავს.

ბანძის სამიმოსვლო გზების მდგომარეობის შესახებ გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის XIX ს-ის II ნახევრის ქართულ პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებული პუბლიკაციებიც.

ბანძის სოფლის საზოგადოება საკმაოდ დიდი მოცულობის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულს წარმოადგენდა XIX-XX სს-ში. ოდიშ-ლეჩხუმის დავით დადიანისეული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით ბანძა დასახელებულია სუჯუნის მაზრის სოფლებს შორის, მაგრამ ამ დაყოფაში ლეხაინდრავო და ნოჯიხევი არ გვხვდება. წერილობითი წყაროების პირდაპირი და არაპირდაპირი ცნობების გაანალიზებით შეიძლება დავასკვნათ, რომ ბანძის შემოგარენში მდებარე სოფლები – ლეხაინდრე//ლეხაინდრავო, ნაჯახუ//ნაჯახავო, ნაგიბერუ//ნაგებერავო, ონოდია, ვედიდკარი, ლეფოჩხუე, მახათი და მუხურჩა დროის გარკვეულ მონაკვეთში ბანძის შემადგენლობაში ერთიანდებოდა.

ფულადი-სასაქონლო მეურნეობის შემოჭრის წინა პერიოდ-

ში ამ ადგილის დაწინაურებას მისი სტრატეგიული (სამხედრო და ეკონომიკური მნიშვნელობის გზაჯვარედინზე) მდებარეობა განაპირობებდა. XIX ს-ის დასაწყისისათვის აღებმიცემობის თვალსაზრისით თვალსაჩინო შედეგები მოაქვს არა მხოლოდ ბანძისათვის, არამედ ქუთაისი, სუჯუნა, ნაქალაქევი და ხონი ამ მხრივ მნიშვნელოვანი კერები ხდებიან.

ბანძა, როგორც სამეგრელოს მნიშვნელოვანი სავაჭრო პუნქტი, XIX ს-ის II ნახევრიდან აქტიურად მონაწილეობდა ეროვნული ბაზრის განმტკიცების, ძირითადად აღმოსავლეთ სამეგრელოს, ასევე ქვემო იმერეთის სოფლის მეურნეობისა და შინამრეწველობის პროდუქციის რეალიზაციის საქმეში. სამეგრელოს რეგიონის სოფლები სწორედ ბანძასა და სუჯუნაში მცხოვრები ადგილობრივი ვაჭრების მიერ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო ქალაქებიდან და საზღვარგარეთის სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოტანილი ევროპული საქონლით მარაგდებოდა.

ბანძა სენაკის მაზრის შუა ადგილზე მდებარეობდა, რის წყალობით აქ ბაზრობას საფუძველი ჩაეყარა XIX ს-ის 60-იანი წლებიდან. 70-90-იან წლებში იგი დასავლეთ საქართველოს ეკონომიკური ცხოვრების ყურადღების ცენტრში მოექცა.

შინაარსი

შესავალი _____ 3

თავი პირველი. ბანძა და მისი მიდამოები ციხეგოჯ-არქეოპოლისის „საკონტროლო ზონაში“ _____ 4

თავი მეორე. ბანძის ისტორიულ სანახებში _____ 31

1. **სეფიეთი** _____ 31
2. **ვედიდკარისა და მახათის ციხეები** _____ 36
3. **ბანძის „ციხე კეთილნაშენი“** _____ 39
4. **ლეხაინდრე** _____ 44
5. **ნაგვაზუ** _____ 45
6. **ჭყონდიდ-მარტვილი** _____ 53
7. **კვაუთის ციხის კომპლექსი** _____ 62
8. **აბედათის ციხე „ონოგურისი“** _____ 67
9. **ტარჩუ(ლი) - ლიპარტიანის სასახლე და კარის ეკლესია** _____ 83
10. **სახარია - „ციხე და სასახლე დადიანისა“** _____ 85
11. **ხუნწის ციხე** _____ 91

თავი მესამე. ბანძის საისტორიო გეოგრაფიის ზოგიერთი საკითხისათვის _____ 100

თავი მეოთხე. გზები და საგზაო ნაგებობანი ბანძასა და მის შემოგარენში (ტოპონიმიკური მასალების შუქზე) _____ 114

თავი მეხუთე. სოფელ ბანძაში სარკინიგზო ხაზის მშენებლობის მცდელობის ისტორია (რეფორმისშემდგომ პერიოდი) _____ 137

ძირითადი დასკვნები _____ 144

იგორ კეკელია

ბანძის ისტორიული გეოგრაფიის
საკითხები

ბანძა - ესკიზები სოფლის წარსულიდან
III

კომპიუტერული უზრუნველყოფა: **ლევან იობაძე**
ქაღალდის ზომა 1/16
ნაბეჭდი თაბახი 9,5
ტირაჟი 100

დაიბეჭდა ი. მ. მარიამ იობაძის მიერ
ქ. ქუთაისი, ახალგაზრდობის გამზირი 25-1
ტელ.: 599 18 20 98; 592 02 25 55; 579 10 13 23
ელ-ფოსტა: levanistamba@mail.ru; iobadze13@mail.ru